საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№48 (186)
19 - 25 დეკემბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

5 ორნი ქენევაში და რობინზონის დილემა

2



არჩილ კბილაშვილი:

## მალე გაიგებთ დასაბუთებულ ბრალდებებს იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთაც ყველა კარგად ვიცნობთ

გვაქვს წამების საოცარი ფაქტები, რომელთა მსგავსს ვერ წარმოვიდგენთ ყველაზე უარესის ფიქრის დროსაც კი

«დღემდე არ ვიცით, რისთვის 7 მოკლეს ჩემი ძმა»

„შეიძლება მართლაც ეგონათ, რომ გიორგიმ პიკანტური ფოტოები გადაიღო, ვინაიდან ის სულ ფოტოაპარატით დადიოდა და იმ დღესაც ასე იყო, როცა ანაკლიაში პრეზიდენტის ესკორტი იმყოფებოდა.“

«სააკაშვილის ხელისუფლება ქართველი ხალხის მომსახურე პერსონალად გადაქცევას 9 ცდილობდა»

## ბოკერიას ცოლის აპრილის თეზისები

4






## ამერიკის დიქტატის ქვეშ იყვნენ «ნაციონალები» და ამ დიქტატის ქვეშ არიან «მეოცნებეებიც» 24

დასავლეთისთვის მიუღებელია ის, რომ საქართველოში, შესაძლოა, 12 ეროვნული თვითშეგნება გაღვივდეს

«ახლანდელი პარლამენტი ისევე ვერ 14 შერჩება ხელისუფლებას, როგორც მიწვე მსხალი – ტოტს»

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ სამართლიანი მაშინაც კი, როდესაც ვიცით, რომ კონკრეტულმა მაღალჩინოსანმა თანხა არაკეთილსინდისიერად იშოვა. სანამ არ გვექნება უტყუარ მტკიცებულებათა ბაზა, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ბრალდებებს არ ვარიგებთ.“**

**არჩილ კბილაშვილი:**

# მალე გაიგებთ დასაბუთებულ ბრალდებებს იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომელთაც ყველა კარგად ვიცნობთ

**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი.**

— ხალხმა არ უნდა იგრძნოს, რომ ფულზე მიდის ვაჭრობა. როდესაც ფული შემოდის სამართალში, თუნდაც ლეგალურად, იქ უკვე მართლმსაჯულებაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. შარშან, 2011 წელს, 108 მილიონი ლარი იყო საპროცესო შეთანხმების გზით ამოღებული. ეს თანხა ერთი ან ათი ბიზნესმენის გადასახედიდან შეიძლება ბევრი იყოს, მაგრამ სახელმწიფოსთვის საკამათოა, დიდი ფულია თუ არა. თუ შეადარებთ იმას, რომ ქუთაისის პარლამენტის შენობა 300 მილიონი ლარი დაჯდა, არც ისე დიდი თანხაა... **საპროცესო გარიგების მანკიერი მხარეების კულტივირების შედეგად დაირღვა მთავარი — საზოგადოებამ დაკარგა სამართლიანობის შეგრძნება. ეს კი არც 108 მილიონი ღირს და არც ათჯერ ამაზე მეტი.** მე ასეთი მაგალითი მომყავს — დღეს რომ არჩევანი გქონდეთ ახალ „მერსედესსა“ და ახალ „ფორდს“ შორის, ბუნებრივია, აირჩევთ „მერსედესს“. 4 წლის შემდეგ რომელი გირჩევნიათ — 4 წლის „მერსედესი“ თუ ახალი „ფორდი“? ზოგმა შეიძლება ისევ ის „მერსედესი“ აირჩიოს, მაგრამ 8 წლის შემდეგ ახალ „ფორდს“ აირჩევს უმეტესობა, „მერსედესს“ აირჩევს 1-2%, ისიც ამ ფირმის ფანები. ესაა სწორედ ხელისუფლების ცვალებადობის პრინციპი.

**— მოდით, კონკრეტული მაგალითებით დავიწყოთ. როგორც ვიცი, ამ ეტაპზე უამრავი საქმის გადახედვა-გადასინჯვა მიმდინარეობს. 50 ადამიანზე მეტი არის გამოშვებული დროებითი დაკავების იზოლატორებიდან. რას ენიჭება პირველ რიგში უპირატესობა და როგორ ახერხებთ ამ მოკლე დროში იმის დადგენას, დამნაშავეა თუ არა კონკრეტული პირი?**

— დროებითი დაკავების იზოლატორები სამმართველოს კიბის ქვეშ, ორ სართულზე არის განთავსებული და, როცა იქ მოხვდებოდა ადამიანი, იძულებული იყო, დათმობაზე წასულიყო და ხშირად ელიარებინა ის, რაც, არათუ მას არ ჩაუდენია, არამედ სინამდვილეში არც მომხდარა, ამიტომაც ძალიან იოლი იყო, ასეთ მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანისთვის ყველაფერი გეთქმევინებინა. შეიცვალა ხელისუფლება, აღარ ვახორციელებთ ზეწოლას სასამართლოზე და მივიღეთ ასეთი სურათი — აბსოლუტურად ყველა საქმეზე სასამართლო განხილვის პროცესში, ვინც კი თავი დამნაშავედ ცნო, ასევე მოწმეები, რომელთაც წინასწარ გამოძიებაში მხარი დაუჭირეს ბრალდებას, თითქოს პირი შეკრეს, ამბობენ, რომ სინამდვილეში პირს არ ჩაუდენია დანაშაული და ადგილი ჰქონდა მათზე ზეწოლას. მოგეხსენებათ, რომ სასამართლოში მიცემული ჩვენება მეტი ძალის არის, ვიდრე მანამდე მიცემული ჩვენება. ჩავხედეთ საქმეებს და საქმეებში არაფერია, არის მხოლოდ დასკვნა მოწმეების ჩვენების საფუძველზე, შედეგად — საქმე დანგრეულია, ანუ **წინა ხელისუფლებას არ სჭირდებოდა მეტი მტკიცებულება, არც ფაქტები, მხოლოდ მოწმეთა საფუძველზე შეეძლოთ საქმის შეკერვა.**

**ასე რომ, ჩვენ ელემენტარულად იძულებული ვართ, გავუშვათ ის ადამიანები, რომელთა დაკავების საფუძველიც არ არსებობს.**

**— ხელისუფლების ყოფილ წარმომადგენლებზე ხშირად ამბობენ — ამ ხალხს ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი და უფლებამოსილების გადამეტების ან ფინანსური გადაცდენის მეტი ვერაფერი უპოვეთო?**

— საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულები შედარებით იოლი გამოსაჩენია და ზედაპირზე დევს. ელიტური კორუფციის გამოვლენა კი უკვე გულდასმით შესწავლას საჭიროებს, რათა ამას არ მიეცეს შემდეგ პოლიტიკური დევნის შეფასება. **ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ სამართლიანი მაშინაც კი, როდესაც ვიცით, რომ კონკრეტულმა მაღალჩინოსანმა თანხა არაკეთილსინდისიერად იშოვა. სანამ არ გვექნება უტყუარ მტკიცებულებათა ბაზა, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ბრალდებებს არ ვარიგებთ.**



**«საპროცესო გარიგების მანკიერი მხარეების კულტივირების შედეგად დაირღვა მთავარი — საზოგადოებამ დაკარგა სამართლიანობის შეგრძნება. ეს კი არც 108 მილიონი ღირს და არც ათჯერ ამაზე მეტი»**

**— მიუხედავად ამისა, ყოფილი ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენელთა მიმართ საფინანსო-ეკონომიკური კუთხით კონკრეტული და სერიოზული ბრალდებები ჯერ არ მოგვისმენია...**

— **ძალიან მალე მოისმენთ, იმიტომ, რომ ჩვენი — პროკურატურისა და ფინანსური პოლიციის — ჯგუფი ამჟამად მუშაობს და ძალიან მალე გაიგებთ დასაბუთებულ ბრალდებებს იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებსაც ყველა კარგად ვიცნობთ, საქმე მათ მიერ მილიონების მითვისებას ეხება.**

**— აქვე მინდა გკითხოთ: გადაიხედება თუ არა უკანონო სასამართლო განაჩენები და დადგება თუ არა არასწორი განაჩენების გამომტანთა პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ვაპირებთ, ავამოქმედოთ საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს უკანონო განაჩენის მსხვერპლთ, რომ მოხდეს მათი განაჩენების გადახედვა. **როგორც მოცემულობა აჩვენებს, ბევრი ადამიანი უკანონოდ იხდის სასჯელს.** უბრალოდ, აქამდე ვერ მოხერხდა შესაბამისი კანონის ამოქმედება ამ პირების მიმართ, მაგრამ ახლო მომავალში ყველა მათგანს მიეცემა საშუალება, რომ მათი განაჩენი გადაიხედოს და შესწავლილ იქნეს. **რა თქმა უნდა, პრიორიტეტი მიენიჭება მათ, ვინც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმყოფება.**

**— რის მიხედვით ხდება პოლიტპატიმრების სტატუსის მინიჭება?**

— მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით არანაირი კანონი და ნორმატიული აქტი არ არსებობს, არსებობს ერთი ზოგადი ხასიათის აზრი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტპატიმრობის რაობის არსს. **თუკი განაჩენი გამოტანილი არ არის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ანდა წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი, მაშინ ეს ადამიანი შეიძლება განვიხილოთ პოლიტპატიმრად.** მოტივი შეიძლება იყოს ნაირგვარი — მიუღებელია მისი პოლიტიკური შეხედულება ანდა ქონება აქვს ამ ადამიანს წასართმევი და ა. შ. **ჩვენ ასეთი შემთხვევაც გვქონდა, როდესაც ვილაცას მისი ცოლი მოეწონა და ამის გამო ის ადამიანი მსჯავრდებული გახდა. ამ მხრივ ფანტაზიას, გაუკუღმართების თვალსაზრისით, საზღვრები მართლაც არ აქვს.** შეიძლება ნამდვილი დამნაშავეც კი პოლტპატიმრად გექცეს, თუ იქ მტკიცებულებებზე დაყრდნობით არ არის სტანდარტი დაცული.

ამის გარდა, არის შემთხვევები, როდესაც განაჩენი გამოტანილია საპროცესო შეთანხმებაზე და პარალელურად საქმეში დევს, თუ როგორ აჩუქა ამ ადამიანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მანქანა ან ქონება. რა თქმა უნდა, ეს არის უკანონობა და ყველა ასეთ შემთხვევას ვიძიებთ. ეს, ფაქტობრივად, ქრთამია და, თუ ამ პოზიციას მიადევნებთ თვალს, სარგებელი შეიძლება გაკეთებული იყოს მესამე პირის სასარგებლოდ. ეს მესამე პირი კი შეიძლება სულაც სახელმწიფო იყოს. გამოვრიცხავთ რა ასეთი ქონებრივი უფლებების მიღებას სახელმწიფოს მხრიდან, უნდა დაისაჯოს ის პირი, რომელმაც ეს გააკეთა ანდა აიძულა სხვა, რომ გაეკეთებინა. **თუ ნაჩუქარი ქონება დღესაც არის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში და მას სხვა მესაკუთრე არ გააჩნია, სახელმწიფო ეცდება, დაუბრუნოს ეს იმ პირს.** თუ შემდეგ სახელმწიფოსგან იყიდა სხვა კეთილსინდისიერმა პირმა, მაშინ ეს ქონება იმ პირს დარჩება, მაგრამ სახელმწიფომ უნდა კომპენსაცია გასწიოს თავდაპირველი მესაკუთრის სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, თუ ეს წართმეული ქონება სახელმწიფოსგან ისეთ პირს აქვს შეძენილი, რომ ჩანს მისი კავშირი სახელმწიფო მოხელესთან, მაშინ მის მიერ მოხდება მესაკუთრისთვის კომპენსაციის გადახდა, ანუ მიდგომა უნდა იყოს სამართლიანი.

მაგალითად, 2004 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ბევრ თანამდებობის პირს თუ საწარმოს ხელმძღვანელს ქონება ჩამოართვეს. იმ დროს გავრცელებული აზრით, ეს ქონება იყო შეძენილი კორუფციული გარიგებით და ჩამორთმევის მეთოდი და წესი იყო უკანონო. **აქ საკითხი ასე დგება — რა ვქნათ, იმ ყოფილ კორუმპირებულ ჩინოვნიკებს დავუბრუნოთ ქონება? სამართლებრივი პასუხი ამაზე ძალიან იოლია — უნდა დავუბრუნოთ, თუკი უკანონოდ არის წართმეული, და უნდა დაასაბუთო, თუკი უკანონოდ აქვს მოპოვებული. სამართლებრივი გზა ეს არის. ამასთან დაკავშირებით ასობით ადამიანს უკვე შემოტანილი აქვს განცხადება პროკურატურაში.**

**— რამდენად გახსნილი იქნება პროკურატურა? და საერთოდ, რა კეთდება იმისთვის, რომ დაუახლოვდეს პროკურატურა სამოქალაქო საზოგადოების ინეტერესებს?**

— პროკურატურის გახსნილობა და პროკურორის დამოუკიდებლობა არის სწორედ ის ნაბიჯები, რომელიც ამ სტერეოტიპს შეცვლის. პროკურორი უნდა იყოს მეოხი, თანამდგომი, რომელიც სამართლიანობას დაამკვიდრებს და არა ძალმომრეობას. როდესაც ჩემს პროკურორად დანიშვნამდე გარედან, ▶

**«წინა ხელისუფლებას არ სჭირდებოდა მეტი მტკიცებულება, არც ფაქტები, მხოლოდ მოწმეთა საფუძველზე შეეძლოთ საქმის შეკერვა. ასე რომ, ჩვენ ელემენტარულად იძულებული ვართ, გავუშვათ ის ადამიანები, რომელთა დაკავების საფუძველიც არ არსებობს»**

## „პენიტენციარული სისტემა იყო იმ ადამიანების ხელში, რომელთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაფიქრებულია. გვაქვს საოცარი წამების ფაქტები, რომელთა მსგავსს ვერ წარმოვიდგენთ ყველაზე უარესის ფიქრის დროსაც კი, რომ ეს შეიძლება ვინმეს მოეფიქრებინა და რომელთა გახმოვანებაც კი ჩვენ ხშირ შემთხვევაში გვიჭირს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს მოუმზადებელმა და მოუმწიფებელმა ადამიანებმა.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ როგორც საზოგადოების წევრი, თვალს ვადევნებდი ხელისუფლების წარმომადგენლების გამოსვლებს, ვხედავდი რიტორიკას: „მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი“, „ხალხის ნება“, „საზოგადოების მიმართ საკუთარი თავდადების დემონსტრირება“ და ა. შ. სწორედ ასეთი პათეტიკით იყო გამსჭვალული ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლა, მაგრამ ისინი ისე თავისუფლად სჩადიოდნენ შემზარავ ქმედებებს, რომ ხელიც არ უკანკალებდათ. დაგროვილი ბოროტება იყო სწორედ ჩვენი რეალობა. **დღეს ვცდილობთ, რომ თითოეულ ადამიანს ვესაუბროთ. ეს არის ძალიან ძნელი, მაგრამ ეს არის ის, რაც ნდობას განაპირობებს. მოქალაქეების მიღებას ჩვენ ვახორციელებთ კვირაში ორჯერ. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ იმ კაბინეტში მოქალაქე კი არა, დეპარტამენტის თავმჯდომარეც არ ყოფილა არასოდეს შესული, მაგრამ, თუ მოქალაქემ არ იგრძნო, რომ იქ არის ხელისუფლება, იქ არის მისი პრობლემის გადაწყვეტის სათავე, არაფერი გამოვა.**

ახლა მივდივარ ერთი პატიმარის სანახავად. ასეთი რამ კი, რომ **გენერალური პროკურორი ციხეში მისულიყოს პატიმრის სანახავად, ძველი ხელისუფლების პირობებში არ მომხდარა.**

**— საზოგადოება თვლის, რომ დანაშაულმა იმატა ქვეყანაში. ხომ არ იქნება ეს საშიში საზოგადოებისთვის?**

— ძალიან გახშირდა „ფეიბოქსების“ გატეხვის ფაქტები. ეს გარდამავალი პერიოდისთვის ახსნადია; როდესაც ერთი ხელისუფლება მიდის და მეორე მოდის, ასეთი ტიპის დანაშაულებების მატება ხდება. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ბიჭმა გატეხა „ფეიბოქსი“ და მოიპარა 20 ლარი. არასრულწლოვანს 20 ლარისთვის ხომ არ დააპატიმრებ და ამიტომ გირაოთი იქნა გამოშვებული, მაგრამ მეორე დღეს იგივე გაიმეორა. სწორედ აქ არის საჭირო სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან წვრილმანი ხულიგნობისა და ძარცვის ფაქტები ძალიან გაზრდილია, ამიტომაც ჩვენ იძულებულები ვართ, გავამკაცროთ პოლიტიკა. **მე დავავალე ჩემს პრესსამსახურს, რომ ძალიან აქტიურად დაიწყოს საზოგადოების ინფორმირება, რომ წვრილმანი დანაშაულების რიცხვი არის მზარდი, ამიტომაც ჩვენ ვამკაცრებთ სისხლისსამართლებრივ ბერკეტებს, მაგრამ აქაც ადეკვატურობა უნდა იქნეს დაცული.**

მაგალითად, მე ძალიან უსამართლოდ მეჩვენება ფაქტი, როდესაც 29 წლის ახალგაზრდას, აფხაზეთიდან ლტოლვილს, რომლის საქმეშიც იყო „თელასის“ კაბელის მოპარვის 22 შემთხვევა, რაც საბოლოო ჯამში 5 ათასი ლარის ზარალს შეადგენდა, შეკრებითობის წესით, მიუსაჯეს თითოეულ შემთხვევაზე 3 წლამდე და გამოვიდა 72 წელიწადი. მაგრამ, ვინაიდან ჩვენი კანონი 30 წელზე მეტხანს პატიმრობას არ ითვალისწინებს, მოსამართლემ მას მისცა 30 წელიწადი. ეს არის არაადეკვატური და არალოგიკური. იქ შეიძლება განაჩენი ყოფილიყო 3-4 წელიწადი ზიანის ანაზღაურებით, მაგრამ პროკურატურა მას ეუბნებოდა ასეთ რაღაცას – 10 ათასი დოლარი გადაიხადე და 10 წელს მოგცემო. იმ ლტოლვილს 10 ათასი დოლარი რომ ჰქონოდა, კაბელს არ მოიპარავდა. **ჩვენ შევეცდებით, რომ სასჯელი იყოს დანაშაულის ადეკვატური.** აგერ, გუშინწინ გამოვიდა ადამიანი, რომელიც უკურნებელი სენით არის დაავადებული, მაგრამ გამოსვლიდან მეორე დღეს მოასწრო ადამიანის დაჭრა და უკან შებრუნდა, რა თქმა უნდა, ასეთ რაღაცებს ვერც მომავალში გავექცევით, მაგრამ რა ვქნათ? ამის გამო სამართლიან მართლმსაჯულებაზე უარი ვთქვათ?

**სამართლიანი მართლმსაჯულების გაგონებაც არ უნდოდა წინა ხელისუფლებას, ამიტომ ვაწყდებით დღეს უამრავ მანკიერებას.** ერთ შემთხვევას გავიხსენებ ჩემი საადვოკატო პრაქტიკიდან: როდესაც საქართველოში ისრაელის საელჩოს ადვოკატი გახლდით და ამ ქვეყნის დიპკორპუსს იურიდიულ მომსახურებას ვუწევდი, ისრაელის ელჩმა საქართველოში უჩივლა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს. იგი თვლიდა, რომ მის მიერ გაწეული სამუშაო სრულად არ კმაყოფილდებოდა და ითხოვდა საზღაურის გაზრდას თავისი მთავრობისგან. აღნიშნული სარჩელი განიხილა ისრაელის სასამართლომ, ელჩის მოთხოვნა საფუძვლიანად და სამართლიანად სცნო და აქედან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტროს დააკისრა ელჩისთვის ანაზღაურების გაზრდა. ახლა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს ელჩს რომელიმე ქვეყანაში, მაგალითად, საბერძნეთში, ეჩივლა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის სასამართლოში. ის კი არა, რომ ჩვენი დოპლომატი პროცესს ვერ მოიგებდა, ამ ელჩს გააქრობდნენ ელემენტარულად... სარჩელის შეტანაზე ხომ ლაპარკიც ზედმეტია — მას, უბრალოდ, სასამართლო არ მიიღებდა წარმოებაში.

ამის საპირისპიროდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მეორე მაგალითი, **როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოში მოიწვია ისრაელელი ბიზნესმენები, როგორც თავისი პირადი სტუმრები, და ამ მოწვევას უშუალოდ პრემიერ-მინისტის ხელმოწერა ჰქონდა. შემდეგ გაირკვა, რომ არანაირი მოწვევა უშუალოდ პრემიერ-მინისტრისგან არ გაგზავნილა და არც არაფერზე მოუწერია ხელი პრემიერს. მან საერთოდ არ იცოდა ამ მოწვევის შესახებ, უბრალოდ, იმდროინდელი პროკურატურის ოპერატიულმა სამსახურმა თავად გამოაცხო ასეთი მოწვევა, თავად დაუსვა პრემიერ-მინისტრის რეგალიები და შემოიტყუა ასე და ამგვარად უცხოელი ბიზნესმენები საქართველოში,** ანუ ქვეყნის, ფაქტობრივად, ერთ-ერთი პირველი პირი იქნა გამოყენებული ამ ბინძურ ავანტურაში. იცით, როგორც დასრულდა ეს ამბავი? ამასთან დაკავშირებით არ? პრემიერ-მინისტრს შეუტანია სასამართლოში სარჩელი და არც გაუპროტესტებია ეს ფაქტი.

**— ჯერ კიდევ არჩევნებამდე თქვენს ამ ფრაზას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და უნდა გკითხოთ: რა კავშირშია პოლიტიკასთან სექსუალური მომწიფება?**

— ეს იყო ფიგურალური გამოთქმა. ჩვენ, მაგალითად, გვაქვს ისეთი რეალობა, როდესაც 25-26 წლის ადამიანი არის უკვე ექსმინისტრი. გვყავდა ადამიანები, რომლებიც გენპროკურორობიდან სასწავლებლად მიდიოდნენ... ეს არ არის ჯანსაღი მოვლენა, როდესაც სხვისი ბედის გადაწყვეტა მიენდობა ადამიანს, რომელსაც საკუთარი ბედიც ვერ გადაუწყვეტია, იმიტომ, რომ 25 წლის ასაკში შეიძლება იყო ექსტანმოვარჯიშე, იმიტომ, რომ ისინი 25-26 წლის ასაკში ასრულებენ თავის კარიერას, მაგრამ ამ ასაკში იყო ექსმინისტრი და, ასე ვთქვათ, ყველაფრის სპეციალისტი, ეს ხშირად აბსურდამდე მიდიოდა. ამიტომაც ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, რომ **პენიტენციარული სისტემა იყო იმ ადამიანების ხელში, რომელთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაფიქრებულია. გვაქვს წამების საოცარი ფაქტები, რომელთა მსგავსს ვერ წარმოვიდგენთ ყველაზე უარესის ფიქრის დროსაც კი, რომ ეს შეიძლება ვინმეს მოეფიქრებინა და რომელთა გახმაურებაც კი ჩვენ ხშირ შემთხვევაში გვიჭირს. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს მოუმზადებელმა და მოუმწიფებელმა ადამიანებმა.** და ეს დაუბრუნდა უკან საზოგადოებას ძალიან მძიმედ.

დასავლეთში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, მოსამართლე ხდება წარჩინებული ადვოკატი, რომელსაც დიდი შემოსავალი ჰქონდა და ახლა უნდა მშვიდი ცხოვრება. მოსამართლის ცხოვრება კი მშვიდია და ნაკლებ შემოსავლიანი. ამ ადამიანს კარიერა აწყობილი აქვს და მას შეუძლია სხვისი ბედი განაგოს. ჩვენ კი გვყავს 26-27 წლის მოსამართლე, რომელიც საოჯახო სამართლის საკითხებს იხილავს და ფიქრობს, როდის გათხოვდება ან დაქირავებული ბინიდან როდის გადავა საკუთარ ბინაში.

**— ქვეყანაში, სადაც კლავენ პრემიერ-მინისტრს, სცემენ ჟურნალისტებს, ქუჩაში ხალხს ხოცავენ, ქართველმა ხალხმა ხელისუფლებას სამართლიანობა დაუსვა პირველ ამოცანად, უკანონოდ არავინ იქნეს დასჯილი და, რასაც ვხედავთ, ჯერ არც ერთი პირი არ დაკითხულა უკანონოდ. რატომ არის შეშფოთებული ევროპა ამ სამართლიანობისთვის და ვინ ჰკითხავს სენატორებს, რას და როგორ გააკეთებს საქართველოს ხელისუფლება?**

— აქ არანაირი ტრაგედია არ არის და ეს ახსნადი პროცესია. თქვენ გახსოვთ, რომ ყველა სადამკვირვებლო მისია და ავტორიტეტული ორგანიზაცია აცხადებდა, რომ არჩევნებამდე ხელისუფლების რეიტინგი ძალიან მაღალი იყო, რომ მას დიდი უმრავლესობით უნდა მოეგო და ა.შ. ამასთანავე, ჩვენ ვისმენდით, რომ საქართველო არის წარმატებული ქვეყანა, აქ შენდება ახალი ცათამჯენები და ა. შ. ამ იდეას და პროპაგანდას ემსახურებოდა მთელი სახელმწიფო მანქანა და იხარჯებოდა სახელმწიფო ფული. ეს გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ზოგიერთი გარეგნული ეფექტი რომ დაალაგო, შედეგი მართლაც არის და ამ შედეგის პროპაგანდა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საქართველო დაენახათ, როგორც თანამედროვე სტანდარტების ნიადაგზე აღმოცენებული სახელმწიფო. თან ეს სახელმწიფო ატარებდა აშკარად ანტირუსულ პოლიტიკას. ესეც ჯდებოდა იმ დასავლურ სტანდარტებში.

მოკლედ, **პროკურორს რაც არ ევალება, ეს არის პოლიტიკური შეფასებების გაკეთება,** მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვსაუბრობ არა როგორც პროკურორი, არამედ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე. ეს ფაქტორები, **ეს ფსევდორეალობა განაპირობებდა იმას, რომ საქართველო მიიჩნეოდა დემოკრატიის შუქურად, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ქართველი ხალხი და 1 ოქტომბერს ეს ნათლად გამოჩნდა.** თუმცა ადამიანებს, ვინც საქართველოს გარშემო ფსევდორეალობას ქმნიდნენ, ინფორმაციული წყაროები ხელუხლებელი დარჩათ და აგრძელებენ ძველ რეჟიმში მუშაობას. ამ მუშაობის შედეგად ბევრისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება, მძიმე დანაშაულში მხილებული იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები „არაკორუმპირებული ქვეყნისა, რომელშიც მიდის აღმშენებლობა, სადაც სამოქალაქო რეესტრი კომპიუტერიზირებულია“...

ასე რომ, მათი დამოკიდებულება არის ახსნადი და ის, რაც ახსნადია, ნორმალურია. საჭიროა კარგი მუშაობა და ინფორმაციის გაცვლა. მე, მაგალითად, ორჯერ შევხვდი დიპლომატიურ კორპუსს და ისინი უკვე ყველა ინფორმაციას ფლობდნენ, როდესაც მოსმენების გამო კუდის თანამშრომლები დავაკავეთ. თანაც, როდესაც შენს მეგობარზე გეუბნებიან ძვირს, შენი პირველი და ბუნებრივი რეაქცია მხარდაჭერაა, არ გინდა, დაიჯერო, რომ შენი მეგობარი დამნაშავეა.



**«ჩვენ შევეცდებით, რომ სასჯელი იყოს დანაშაულის ადეკვატური. სამართლიანი მართლმსაჯულების გაგონებაც არ უნდოდა წინა ხელისუფლებას, ამიტომ ვაწყდებით დღეს უამრავ მანკიერებას»**

**«გენერალური პროკურორი ციხეში მისულიყოს პატიმრის სანახავად, ძველი ხელისუფლების პირობებში არ მომხდარა»**

**«მე დავავალე ჩემს პრესსამსახურს, რომ ძალიან აქტიურად დაიწყოს საზოგადოების ინფორმირება, რომ წვრილმანი დანაშაულების რიცხვი არის მზარდი, ამიტომაც ჩვენ ვამკაცრებთ სისხლისსამართლებრივ ბერკეტებს, მაგრამ აქაც ადეკვატურობა უნდა იქნეს დაცული»**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ „ქართული ოცნება" ასე საჯაროდ გამოფენილ „ლიბერალ-დემოკრატიულ" მანიფესტს სათანადოდ არ გააანალიზებს, ამომრჩეველს დანაპირებს არ შეუსრულებს და ძველი ხელისუფლების მოსაწონი ნაბიჯების გადადგმას ეცდება, მისი მხარდაჭერა უფრო სწრაფად დაეცემა, ვიდრე ლუის ნავაროს მიერ დათვლილი „ნაცმოძრაობის" რეიტინგი.**

**«თავად ბედმა მარგუნა პოლიტიკოსობა: მე ხომ პირველ აპრილს დავიბადე!»**
ოტო ფონ ბისმარკი

# ბოკერიას ცოლის აპრილის თეზისები

**აგვისტოში, წინასაარჩევნო კამპანიის შეფასებისას, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა რიკარდო მილიორიმ საქართველოში ლენინიზმის ნიშნები დაინახა. „ამ კამპანიაში მე ლენინიზმის ნიშნების მცირე ნაწილს ვხედავ. ლენინიზმი ჩანს იმაში, რომ პარტიები კი არ წარადგენენ პროგრამებს, არამედ ცდილობენ, გაანადგურონ ერთმანეთი, საკუთარი მტრები. ამ ქვეყნაში არ არიან მტრები, არიან განსხვავებული პარტიები", — აღნიშნა მილიორიმ.**

**უცნაურია, მაგრამ ევროპამ ლენინიზმის ნიშნები ვერ დაინახა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" წინ, როცა „კმარამ" შექმნა დოკუმენტი „10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ". მართალია, ეს ნაბიჯები რევოლუციის შემდეგ მალევე მიივიწყეს, მაგრამ მათი მსგავსება ლენინის ასევე 10-პუნქტიან აპრილის თეზისებთან ერთობ თვალსაჩინო იყო.**



ლენინმა აპრილის თეზისები თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაწერა. ბოკერია და მისი მეუღლე ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას" სწორედ ისე უყურებენ, როგორც ლენინი — ბურჟუაზიას და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ახალი აპრილის თეზისები სწორედ ახლა გამოცხვა.

სააკაშვილის მომხრეები სოციალურ ქსელებში ხომ სწორედ აპრილს ელიან სულმოუთქმელად. მათ ნაწილს სჯერა, რომ „ნაციონალური ხელისუფლება" სწორედ აპრილში დაბრუნდება. და თუ ანალოგიებს კვლავაც მივმართავთ, წინა ხელისუფლების იდეოლოგად წოდებული გიგა ბოკერიას მეუღლემ, აწ უკვე მედიამაგნატის პრეტენზიის მქონე თამარ ჩერგოლეიშვილმა იდეურ მეგობრებს ის თეზისები მიაწოდა, რომელთა მიხედვითაც უნდა იმოქმედონ, რათა მათი მშობლიური ხელისუფლების „მეორედ მოსვლა" უზრუნველყონ:

**„ბევრი ადამიანი, ზოგი პირად ფოსტაში, ზოგიც კი აქ, კედელზე მომმართავს კითხვით: რატომ არაფერს ვაკეთებთ იმის წინააღმდეგ, რასაც ახალი მთავრობა ჩადის? მესმის მათი, შეუძლებელია მოგეწონოს ის, რაც ხდება.**

**1) გენერალური შტაბის ხელმძღვანელი კომიკური ბრალდებით დააკავეს და ამის გამო ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უმნიშვნელოვანესი ვიზიტი გადადო, თანაც მინისტერიალის წინ, სადაც მართლა გვქონდა შანსი, რომ გაწევრიანების დამატებითი გარანტია მიგვეღო;**

**2) პარლამენტში ქსენოფობები „ზიან";**

**3) პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მერი მას ექვემდებარება და მაშინ უნდა „დაუძახოს", როცა საჭიროდ ჩათვლის. ვერც ის გაუგია, პრეზიდენტი რატომაა ისევ პრეზიდენტი, როცა საპარლამენტო არჩევნები მოიგო და სასახლიდან გამოდიო, ეჯაჯგურება;**

**4) იუსტიციის მინისტრი ცურტაველის ენაზე გვესაუბრება და, მოქალაქეების ძირითადი უფლებების უზრუნველყოფას როცა სთხოვენ, ხელს „დედა ეკლესიისკენ" იშვერს.**

**5) ციხეს მაყურებლები აკონტროლებენ;**

**6) ქუჩაში კრიმინალმა მოიმატა;**

**7) შსს სოსო ალავიძის კორუმპირებული კადრებით გაიტენა".**

მთლად 10 თეზისი ვერ მოიფიქრა, მაგრამ კომუნისტების დროს კარგად აპრობირებული მეთოდიკა ჩინებულად გამოიყენა; პარტნომენკლატურისთვის მაშინ სპეციალურ კრებულებს ბეჭდავდნენ, რათა ტიპობრივ იდეოლოგიურ შეკითხვებზე პარტმუშაკებს სტანდარტული და შეთანხმებული პასუხები ჰქონოდათ. **ჩერგოლეიშვილიც პუნქტობრივად აწოდებს საკუთარ იდეოლოგიურ სამეგობროს, თუ რომელი მიმართულებით უნდა განახორციელონ დარტყმა.**

ერთხელ ლენინმა კითხვაზე **„შეიძლება თუ არა გაზეთი კოლექტიური ორგანიზატორი იყოს"?** ასე უპასუხა: „გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიცაა". ლენინის დროს სოციალური ქსელები არ იყო, არც ტელევიზია, ამიტომ იგი „ისკრას" მეშვეობით ამზადებდა რევოლუციას.

**თამარ ჩერგოლეიშვილს ტელეკომპანიებიც აქვს, ჟურნალ-გაზეთებიც და „ფეისბუქის" სამეგობროც. იგი ამ რესურსით ეცდება აპრილის მო(ტ)ყვანას, ერთი მისი პირადი მეგობრის ტერმინით რომ ვისარგებლოთ.**

ბოკერიას მეუღლე ხვდება, რომ მოსახლეობის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ ღიად გალაშქრება სახიფათოა და აღნიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიაზროს, რომ მოქმედი ხელისუფლება მოსახლეობის უმრავლესობის 54%-ის არჩევანია.

**„არ არის საჭირო, რომ, რადგან სხვა (მთავრობა და მისი მეთაური) ბანდერლოგივით იქცევა, ჩვენც ასე მოვიქცეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მოვადუნოთ და შეცდომებზე არ მივუთითოთ.**

**54%-ის დიდი ნაწილი აუცილებლად გაიცნობიერებს, რომ შეცდომა დაუშვა, ნახავს, რომ არც სამართლიანობა აღდგება, არც პენსია გაორმაგდება, არც ჯანდაცვა გახდება უფასო, არც საწვავის ფასი დაიკლებს მნიშვნელოვნად, ვერც ტარიფი დაიწევა მნიშვნელოვნად, არა იმიტომ, რომ ახალ ხელისუფლებას ეს არ სურს, არამედ იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია.**

შეიძლება ხელოვნური ჩარევით რაღაც მოიმოქმედო, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ისევ ეკონომიკას, ანუ ჩვენ დაგვაზარალებს.

ივანიშვილი მალე დაინახავს, რომ ის, რაც არჩევნებამდე მისი უპირატესობა იყო (ფული), არჩევნების შემდეგ მისივე მინუსად იქცა. „ბიუჯეტში ფული არ არის და პენსიას ვერ ვზრდი" — პასუხი არ მიიღება. ვინც მას დაუჯერა, იმიტომ დაუჯერა, რომ იცის, ივანიშვილს ფული ჯიბეში აქვს და ამ ფულს ელის.

**საზოგადოების ახალი ხელისუფლებით იმედგაცრუება გარდაუვალია, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ იმედგაცრუება „ნაციონალური მოძრაობის" ან რომელიმე სხვა პარტიის სასარგებლოდ იმოქმედებს.**

იმისთვის, რომ ეს ხელისუფლება გამოიცვალოს, ახალი ხელისუფლების ალტერნატივამ საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს — საკუთარი და სხვისი შეცდომები გააანალიზოს, ჩამოაყალიბოს იდეა და იდეის გარშემო დაიწყოს საზოგადოების კონსოლიდაცია და არა ხელისუფლების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, რომ მოლოდინები სწორად ვმართოთ, „ხმალი ამოვიღოთ და ვეკვეთოთ" რიტორიკა ჩავაცხროთ. ასე უჭკუოები იქცევიან. გამბედაობა დასაფასებელია, მაგრამ ჭკუის გარეშე მისი ფასი ძალიან დაბალია", — წერს ჩერგოლეიშვილი.

**ერთი სიტყვით, ჩერგოლეიშვილი „მოლოდინების მმართველია". იგი ჭკუაა, რომელიც ასე სჭირდება ძალაუფლებადაკარგულ „ნაცმოძრაობას". იგი ლენინივით მკაფიოდ აყალიბებს მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას და არც მის გასაჯაროებას ერიდება; მან ხომ დაიჯერა, რომ წერა-კითხვა მარტო „ნაცმოძრაობის" მომხრეებმა იციან, ხოლო „მეოცნებებს" დისციპლინა არ უვარგათ. აკი ეს თავად ივანიშვილმაც დაადასტურა!**

საინტერესოა, კითხულობენ თუ არა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ცოლის ოპუსებს ის დასავლელი მეგობრები, რომლებიც ახალ მმართველ ძალას ყოფილთან კოაბიტაციისკენ (ქართულად რომ ვთქვათ, თანაარსებობისკენ) მოუწოდებენ? და თუ კითხულობენ, რამდენად კოაბიტანტურად მიაჩნიათ მისი მოწოდებები?

ბოლო პერიოდის ტრენდი „ნაციონალური" ხომალდიდან გაქცეული ვირთხების თემაა. ერთგული „ნაციონალები" ამას მძიმედ განიცდიან და სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ქართველი ხალხის კონფორმიზმზე. იმას, რომ კონფორმიზმი სწორედ მათ რეჟიმთან შემგუებლობა იყო, ვერ ხვდებიან ან არ იმჩნევენ. ვირთხა ჭკვიანი არსებაა, მითუფრო, ლაბორატორიული ვირთხა. ადამიანისა და ვირთხის ინტელექტუალურ შეჯიბრზე ამერიკელმა მწერალმა დენიელ კიზიმ არაჩვეულებრივი ნაწარმოები შექმნა სახელწოდებით „ყვავილები ელჯერნონისთვის".

მისი სიუჟეტი ფანტასტიკურია: ელჯერნონი ლაბორატორიულ ვირთხას ჰქვია, რომელზეც ექსპერიმენტი ხორციელდება ინტელექტის ხელოვნურად გასაზრდელად. ოპერაციის შემდეგ ელჯერნონის ინტელექტი მძლავრად ვითარდება და მეცნიერები ამჯერად გონებრივად ჩამორჩენილ დამლაგებელზე — ჩარლი გორდონზე გადაწყვეტენ იმავე ექსპერიმენტის განხორციელებას. ჩარლი დღიურის წერას იწყებს, რომლიდანაც ჩანს, რომ ოპერაციის შემდეგ მისი IQ — ინტელექტუალური კოეფიციენტი საოცარი სისწრაფით იზრდება. პირველ ეტაპზე იგი ჭკვიან ელჯერნონს ეჯიბრება და უზომოდ ხარობს, რომ მას ჯობნის. მერე და მერე მას ისე „ეხსნება გონება", რომ რამდენიმე უცხო ენას სწრაფად ეუფლება და ტექნიკური ლიტერატურის კითხვას იწყებს, შემდეგ საწარმოში მოდერნიზაციას ახორციელებს და იგი დიდ მოგებაზე გაჰყავს.

ძველი თანამშრომლები, რომლებსაც უყვარდათ გონებრივად ჩამორჩენილი ჩარლი, მის დათხოვნას მოითხოვენ, რადგან მოდერნიზებულ საწარმოში მათი ადგილი აღარ არის. გოგონა, რომელიც მის მიმართ თბილად იყო განწყობილი, „დაჭკვიანებულ" ჩარლისთან საერთო ენას ველარ პოულობს. ინტელექტის ზრდამ ჩარლის უამრავი პრობლემა და, რაც მთავარია, ამ პრობლემების აღქმის სიმწარე მოუტანა. ექსპერიმენტის მსვლელობისას ელჯერნონის ინტელექტი ისევე სწრაფად იწყებს დაცემას, როგორც იზრდებოდა. ჩარლი ხვდება, რომ მასაც გარდაუვალი ინტელექტუალური დეგრადაცია ელის. ელჯერნონი კვდება. გაკვეთისას ირკვევა, რომ მისი ტვინი დაპატარავდა და სრულიად გლუვი გახდა. ჩარლი ასაფლავებს ელჯერნონს.

ჩარლი თვითმკვლელობაზე ფიქრობს, თუმცა მისი ინტელექტის რეგრესი სულ უფრო ნაკლებად აგრძნობინებს ტკივილს. იგი გაცილებით უფრო ეცემა ინტელექტუალურად, ვიდრე ექსპერიმენტამდე იყო. ჩარლის დღიურებში დეტალურად არის აღწერილი დეგრადაციის პროცესი. მისი ბოლო ჩანაწერი დღიურში ასეთია: **„თუ არ გაგიძნელდებათ, მიიტანეთ ყვავილები ელჯერნონის საფლავზე".**

**„ნაციონალური" ხელისუფლების იდეოლოგიურ მხარდამჭერთა ისტორია ძალიან ჰგავს ჩარლის ამბავს. მათი ინტელექტი ხელოვნურია, იგი ქირურგიული ჩარევით და ძალაუფლების მიტაცებით „გაიზარდა". ახლა, როცა ძალაუფლება არა აქვთ, მათი „ინტელექტი" ისევე სწრაფად ეცემა, როგორც ლაბორატორიული ვირთხა ელჯერნონის შემთხვევაში, თუმცა ჩარლისგან განსხვავებით მათ სჯერათ, რომ კვლავაც დაიბრუნებენ დაკარგულ ძალაუფლებას.**

ჩარლისგან განსხვავებით, ისინი არ განიცდიან, რომ ყველას შეაძულეს თავი. ისინი ამას უბრალოდ ვერ გრძნობენ. მათ ჰგონიათ, რომ ძველი მეგობრებისთვის ვირთხების ძახება იხსნის მათ გარდაუვალი დეგრადაციისგან. თავის დროზე ამ მცირერიცხოვანმა მარგინალურმა ჯგუფმა მიიტაცა ძალაუფლება, დაირქვა მთავრობა, ერთმანეთს მაგისტრებისა და პროფესორების წოდებები ჩამოურიგა, შექმნა „ნაციონალურ" ექსპერტთა კასტა, გაინაწილა ტელეეთერები და ერთმანეთთან „ინტელექტუალური ჭიდილის" ილუზიაში თავადაც ირწმუნა, რომ ზეპური საზოგადოება გახდა. **ახლა ამ „ელიტის" მიერ საკუთარი თავისთვის შექმნილი სასათბურე პირობები აღარ არის და ისინი ისევე სწრაფად უბრუნდებიან მარგინალური ჯგუფის ნიშას, როგორც ჩარლი — გონებასუსტის მდგომარეობას.**

**„ჩვენ რომ მართლა მოვახერხებდეთ, ყველა ადგილობრივმა კომიტეტმა, ჯგუფმა და წრემ აქტიურად მოკიდონ ხელი საერთო საქმეს, სულ ახლო მომავალში გამოვცემდით გაზეთს, რომელიც რეგულარულად გავრცელდებოდა. ეს გაზეთი გახდებოდა იმ უზარმაზარი სამჭედლო საბერველის ნაწილი, რომელიც კლასობრივი ბრძოლისა და სახალხო აღშფოთების ყოველ ნაპერწკალს საყოველთაო ხანძრად გადააქცევს".** არა, ეს სიტყვები ჩერგოლეიშვილს არ ეკუთვნის. ეს ლენინმა დაწერა, მაგრამ ზუსტად ამ პათოსს ატარებს ბოკერიას მეუღლის რევანშისტული „შპარგალკა" და „საყოველთაო ხანძრის" გაჩაღებას ის არა გაზეთის, არამედ დროულად მისაკუთრებული სატელევიზიო მაუწყებლობის გამოყენებით აპირებს.

**რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, თუ „ქართული ოცნება" ასე საჯაროდ გამოფენილ „ლიბერალ-დემოკრატიულ" მანიფესტს სათანადოდ არ გააანალიზებს, ამომრჩეველს დანაპირებს არ შეუსრულებს და ძველი ხელისუფლების მოსაწონი ნაბიჯების გადადგმას ეცდება, მისი მხარდაჭერა უფრო სწრაფად დაეცემა, ვიდრე ლუის ნავაროს მიერ დათვლილი „ნაცმოძრაობის" რეიტინგი.**

**დღეს აშშ-სა და ნატოს არ შეუძლიათ გადადგან ახალი, ალიანსში საქართველოს რეალურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული ნაბიჯები ისე, რომ რუსეთთან მწვავე დაპირისპირებაში არ შევიდნენ, რის გაკეთებაც ამ ეტაპზე არ უღირთ.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორნი ჟენევაში და რობინზონის დილემა

**არავინ ელოდა, რომ ზურაბ აბაშიძისა და გრიგორი კარასინის პირველ შეხვედრას ჟენევაში, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში რაიმე პრინციპული ხასიათის გარღვევა მოჰყვებოდა. აშკარა იყო, რომ დიპლომატებმა ჯერ ტექნიკურ დეტალებზე უნდა ისაუბრონ, შეეხონ იმ უთანხმოებებს, რომელთა აღმოფხვრა შედარებით იოლია, და მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მიუახლოვდნენ იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა დღეს პრაქტიკულად წარმოუდგენელი ჩანს, თუმცა გარღვევის ელემენტი ამ შეხვედრაში მაინც იყო — ორი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს შუამავლების გარეშე შეხვდნენ, რაც 2008 წლის ომის შემდეგ არ მომხდარა.**



ზურაბ აბაშიძე



გრიგორი კარასინი

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დიალოგის განახლებას მიესალმება და ეს ნათლად ასახა „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ უკანასკნელმა კვლევამ, რომელშიც ეს პოზიცია გამოკითხულთა 83%-მა დააფიქსირა; 52% კი მიიჩნევს, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას მოახერხებს.

ყოფილი ხელისუფლების აპოლოგეტები, პირველი შეხვედრის მოახლოების პარალელურად, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით, ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ ამ დიალოგის დაწყება საქართველოს ლამის „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანებამდე ან, როგორც მინიმუმი, დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებამდე მიიყვანს, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე არაფერი მიანიშნებდა. შეხვედრის გამართვამდე აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა, განაცხადა: **„მიგვაჩნია, რომ ეს კარგია როგორც საქართველოს, ისე რუსეთისთვის და ვიმედოვნებთ, ეს ურთიერთობა განვითარდება. უნდა გვახსოვდეს, რომ აშშ მხარს უჭერს ყველა ქვეყნის უფლებას რეგიონში, განავითაროს საკუთარი უსაფრთხოების სისტემა და ეკონომიკური ურთიერთობები. საქართველო თავისუფალია, რათა აირჩიოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვა. სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა განაცხადა, რომ ამ პრინციპს მხარს დავუჭერდით“.** ასეთივე შინაარსის განცხადება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ტომას მელიამ გააკეთა: **„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სურვილს რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების შესახებ იმასთან დაკავშირებით, როგორ მოხდეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზება. ასევე, მხარს ვუჭერთ საქართველოს სურვილს, გააუმჯობესოს ურთიერთობები მეზობლებთან“.** ზოგადად კი, იმის თაობაზე, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები უნდა დარეგულირდეს, განცხადება არაერთგზის, არაერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა გააკეთა.

**ისტერიული საუბრები საფრთხეებზე, რომლებიც დიალოგის დაწყებას და მოსალოდნელ გაღრმავებას უკავშირდება, ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს, სავარაუდოდ, იმისთვის სჭირდებათ, რომ რამენაირად გაამართლონ სააკაშვილის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რომელიც 2008 წლის კატასტროფით და ქვეყნის პრაქტიკულად გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგდებით დასრულდა და მიიყვანონ საზოგადოება დასკვნამდე, რომ ურთიერთობა რუსეთთან ამ ეტაპზე შეიძლება მხოლოდ ისეთი იყოს, როგორიც იყო პერიოდში ომიდან საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე.** რაც უფრო წარმატებული იქნება აბაშიძის მისია და მკაფიო სხვა ქვეყნების დადებითი დამოკიდებულება მის მიმართ, მით უფრო აშკარა გახდება სააკაშვილი-ვაშაძის საგარეო პოლიტიკის, რბილად რომ ვთქვათ, ერთუჯრედიანობა, რომლის ქვაკუთხედი მოსკოვთან კონფრონტაციის გაღვივება, რუსეთ-დასავლეთის წინააღმდეგობებზე ავანტურისტული თამაში (უფრო სწორად, მისი წამოწყების მცდელობა) იყო.

**„ჩარეცხილი რეჟიმის“ ადვოკატებს** (საინტერესოა, წარმოიდგენდა თუ არა სააკაშვილი, რომ ეს, გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვა ერთ მშვენიერ დღეს ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა?) **შეუძლიათ ილაპარაკონ ის, რაც მოეხასიათებათ. ჩვენთან** (იდეაში) **სიტყვის თავისუფლება და დემოკრატიაა, თუმცა მათმა გოდებამ შეიძლება აუდიტორიის ყურადღება მთავარი თემებიდან უმნიშვნელო დეტალებზე გადაიტანოს. ერთ-ერთი უმთავრესი კი უსაფრთხოების პრობლემაა, რომელსაც თავის განცხადებაში რიჩარდ ნორლანდი შეეხო** (საინტერესოა, რატომ ამ კონტექსტში?).

დღეს ქვეყანა ამ მხრივ ჰაერში გამოკიდებულ მდგომარეობაშია. მისი ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში რეალურად დაბლოკილია და რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ანდერს ფოგ რასმუსენმა, რომ რუსეთს ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე ვეტოს დადების უფლება არ აქვს, აშკარაა, რომ დეიურე არარსებული ვეტო, ფაქტობრივად, არსებობს. **დღეს აშშ-სა და ნატოს არ შეუძლიათ გადადგან ახალი, ალიანსში საქართველოს რეალურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული ნაბიჯები ისე, რომ რუსეთთან მწვავე დაპირისპირებაში არ შევიდნენ, რის გაკეთებაც ამ ეტაპზე არ უღირთ;** ამავე დროს, საქართველოს გადასვლა ოდკბ-ს ქოლგის ქვეშ დღესდღეობით წარმოუდგენელი ჩანს. ყველაფერი ეს, კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს.

სააკაშვილის პროპაგანდამ, თავის დროზე, ხელი შეუწყო ისეთი განწყობის შექმნას, თითქოსდა ნატოში გაწევრიანებას ორიოდე ნაბიჯი გვაშორებს. პირველი, რის აღიარებაც, სავარაუდოდ, მოგვიწევს, ისაა, რომ ეს ასე არ არის და **საქართველო ტრანზიტულ მდგომარეობაში** (მარტივად რომ, ვთქვათ, სრულ გაურკვევლობაში) **იმყოფება და ეს შეიძლება არა მხოლოდ წლების, არამედ ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდეს. ამიტომ სასურველია, საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს არა ფანტაზიებს პრობლემის საბოლოო მოგვარებაზე სადღაც იქ, შორეულ მომავალში, არამედ — ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას სწორედ ამ** (პირობითად) **„გარდამავალ ეტაპზე“.**

უკრაინას, საქართველოსგან განსხვავებით, აქტივში აქვს ბუდაპეშტის 1994 წლის მემორანდუმი, რომელსაც „ბირთვული კლუბის“ წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მას შემდეგ მოაწერეს, რაც უკრაინამ ბირთვულ შეიარაღებაზე უარი თქვა. მის 1-3 პუნქტებში ნათქვამია, რომ რუსეთი, აშშ და დიდი ბრიტანეთი (შემდგომ შესაბამისი განცხადებები საფრანგეთმა და ჩინეთმა გააკეთეს) ადასტურებენ პატივისცემას უკრაინის სუვერენიტეტისა და მისი საზღვრების ურღვევობის მიმართ, აცხადებენ, რომ უკრაინასთან ურთიერთობაში თავს შეიკავებენ სამხედრო ძალის გამოყენებისა და მისი გამოყენების მუქარისგან, აგრეთვე, ეკონომიკური იძულების ზომებისგან. **ბუდაპეშტის მემორანდუმი არ არის სრულყოფილი დოკუმენტი, ის უკრაინის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს არ ქმნის, თუმცა „სულ არაფერს“ ნამდვილად სჯობს.**

ბუდაპეშტის მემორანდუმი უკრაინელებმა ბირთვული იარაღის დათმობის სანაცვლოდ მიიღეს, საქართველოს მსგავსი არაფერი გააჩნია, თუმცა აქ მთავარია პრინციპი: **უნდა ვისწრაფოდეთ თუ არა შუალედური გარანტიების მოპოვებისკენ და მათი გაფორმებისკენ კონკრეტული შეთანხმებების სახით?** ერთის მხრივ, ეს სავსებით ბუნებრივი ჩანს, თუმცა ამავე დროს, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ დღევანდელ სიტუაციაში ეს იქნება ნაბიჯი ფინლანდიზაციისკენ, რომელთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში კონსენსუსი არ არსებობს.

არც ერთ მხარეს დისკუსიის გამართვა არ სურს — ერთნი დუდღუნებენ: „ნატოს ალტერნატივა არ აქვს“, მეორენი კი ყვირიან: „ძირს ნატო, ძირს აშშ!“. ამასობაში დრო გადის და არაფერი იცვლება, ნატოში არ გვიღებენ, აშშ და რუსეთი რუკიდან არ ქრებიან, ხოლო საფრთხეები დღევანდელ არასტაბილურ მსოფლიოსა და რეგიონში სოკოებივით მრავლდება.

**პირველი, რის გაკეთებაც დღევანდელ სიტუაციაში მოგვიწევს, სავარაუდოდ, იმის გაცნობიერება იქნება, რომ ახლო მომავალში, სავსებით ობიექტური, მეტწილად ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებიდან გამომდინარე, საქართველო ვერ შეძლებს გახდეს ისეთი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი, რომელიც მისი პრობლემების თუნდაც ნაწილობრივ გადაწყვეტაში** (უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერიტორიული გამთლიანება) **განმსაზღვრელ როლს შეასრულებს და, აქედან გამომდინარე, ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება მოგვიწევს.** ეს არ ნიშნავს შორეულ პერსპექტივაში ნატოში გაწევრიანებაზე ან პირიქით, რუსეთთან „ევრაზიულ“ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე უარის თქმას (როგორც შეიძლება ერთი ან მეორე მიმართულებით წასვლის მომხრეებმა ჩათვალონ), არამედ ზრუნვას იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ, გადავრჩეთ და წინ წავიწიოთ დღეს, ხვალ და უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში.

რობინზონი კუნძულზე აღმოჩენის პირველსავე დღეს წყალში რომ გადამხტარიყო და გაეცურა იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან შეხვდებოდა გემი, რომელიც გადაარჩენდა ან კონტინენტამდე ჩააღწევდა, ძალიან მალე დაიღუპებოდა. მას უკაცრიელი კუნძულის მკაცრი პირობების მიმართ ადაპტირება მოუხდა. ეს მდგომარეობა არ იყო ნორმალური და მისთვის სასურველი, ის სულ სხვა ცხოვრებისკენ მიისწრაფოდა და საბოლოოდ დაბრუნდა იქ, სადაც სურდა, მაგრამ, ვიდრე ეს მოხდებოდა ის, თავის „ტრანზიტულ პერიოდში“ სავსებით ადეკვატურად იქცეოდა. შეიძლება ოდნავ პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ **საქართველოს წინაშე დღეს თითქმის იგივე პრობლემა დგას, მან, ცრუ იმედების გარეშე, რთულ პირობებში ცხოვრება, მათ მიმართ ადაპტირება უნდა ისწავლოს.**

**არის კიდევ ერთი საინტერესო პრობლემა; არავინ — არც რუსეთი, არც აშშ, არც მამაზეციერი არ გვიკრძალავს, ვიყოთ შემოქმედებითები და გადარჩენის ორიგინალური სტრატეგია შევიმუშაოთ.** თუმცა დღეს (შესაძლოა, ესეც სააკაშვილის რეჟიმის მემკვიდრეობაა) შეინიშნება სწრაფვა „ან ერთი, ან მეორე“ ტიპის პრიმიტიული კონსტრუქციების აგებისკენ, რომლებიც ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობას არ გვაძლევს. სინამდვილეში, პოლიტიკასა და დიპლომატიაში არჩევანი ორ ვარიანტს შორის, როგორც წესი, ცრუ არჩევანი, ხშირ შემთხვევაში, საგანგებოდ დაგებულ მახეს წარმოადგენს, ხოლო თავისუფალი არჩევანი, მინიმუმ, სამი ვარიანტიდან იწყება. **ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობისა და პერსპექტივების განხილვა „ან ნატო, ან რუსეთის“ ჭრილში მეტად კონტრპროდუქტიული რამ არის, მითუმეტეს, რომ არც ერთი მათგანი საქართველოსთან ისეთი დაახლოებისთვის, რომელიც ჩვენი პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას უზრუნველყოფს, ამ ეტაპზე მზად არ არის.** ქვეყანას სჭირდება მეტი სივრცე მანევრისთვის და ის მალე დასჭირდება ზურაბ აბაშიძესაც მოლაპარაკებებზე (ყველა როდი აცნობიერებს იმ მისიის სირთულეს, რომელიც მას დაეკისრა), როდესაც მხარეები ძირითად პრობლემებზე გადავლენ.

დაბრუნება რეალისტური საგარეო პოლიტიკის კალაპოტში, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის შეერთებული შტატებით მანიპულირებას ცდილობდა (ამან მისი რეჟიმის კრახში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა) და თავის წარმოსახვაში ლამის კოსმოსური მასშტაბის საკითხებს აგვარებდა, მძაფრ შეგრძნებებს მიჩვეულ აუდიტორიას შეიძლება ერთობ პროზაულად და უინტერესოდ მოეჩვენოს, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს; არ იქნება არანაირი ფანტასტიკური ბლოკბასტერი სპეცეფექტებით, არამედ — მხოლოდ მეთოდური შრომა და ნელი წინსვლა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის და გამთლიანების მიმართულებით. ვერაფერს ვიზამთ, ცხოვრება სწორედ ასეა მოწყობილი, ხოლო ის, თუ როგორაა მოწყობილი მენტალურად არამდგრადი ადამიანის წარმოსახვა, სჯობს, ფსიქიატრებმა გაარკვიონ, ამას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არის სიტუაციები, რომლებშიც, აღმართის ტრადიციული მოხვნის ნაცვლად, სასურველია, შემოვლითი მანევრის გამოყენება, თუნდაც ამან გარკვეული დრო მოითხოვოს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან და საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული სიტუაცია, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ მანევრს მოითხოვს.**

# როგორ დავმარხოთ დრაკონი?

**როდის დაეცემა „ნაციონალების" ორი ციტადელი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო და „საზოგადოებრივი მაუწყებელი"? გასულ კვირას მომხდარმა ცვლილებებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ დროის საკითხია. ამ გამაგრებულ პუნქტებს, 1945-ში რომ იტყოდნენ, „ფესტუნგებს", ყოფილი მმართველი პარტიის თავდაცვით სისტემაში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. შეძლებს თუ არა „ქართული ოცნება" მოწინააღმდეგე ამ პოზიციებიდან ისე განდევნოს, რომ მინიმალური დანაკარგი განიცადოს და ყოფილ მმართველებს, ისევე, როგორც მათ ლობისტებს დასავლეთში, არ მისცეს შესაძლებლობა შეაფასონ მოვლენები, როგორც „თავდასხმა დემოკრატიაზე"; ამის გაკეთება არც ისე იოლია და მოქმედების ნეიროქირურგიულ სიზუსტეს მოითხოვს.**






## ვის გააჰყვება თემიდა?

**იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს რგოლს სისტემაში, რომლის მეშვეობით სააკაშვილის ხელისუფლებამ სასამართლოებზე ტოტალური კონტროლი დაამყარა, ხოლო მისი დაკომპლექტების წესი ვითარების შეცვლის მცირე შესაძლებლობასაც არ ტოვებდა.** საბჭოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ხელმძღვანელობდა. ორ წევრს პრეზიდენტი ნიშნავდა (ფორმალური თვალსაზრისით, ჩამოთვლილი ნორმები დღესაც ძალაშია, თუმცა, ვინაიდან სიტუაცია მალე შეიცვლება, აჯობებს, წარსული დრო გამოვიყენოთ). საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა პარლამენტის ოთხი დეპუტატი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ორი დეპუტატი უმრავლესობიდან და ერთიც უმცირესობიდან. საბჭოს დანარჩენ 8 წევრს მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევდა, რომლისთვის საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ჰქონდა. აშკარაა, რომ ფაქტობრივი ერთპარტიულობის პირობებში ამ სისტემიდან გამომდინარეობდა სააკაშვილის ჯგუფის სრული კონტროლი იუსტიციიის უმაღლეს საბჭოზე, რომელიც, თავის მხრივ, მოსამართლეებზე კონტროლს უზრუნველყოფდა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტს საბჭოს წევრების დანიშვნის უფლება ჩამოერთმევა; საბჭოს წევრობას 4 დეპუტატიც დაემშვიდობება. მათ ნაცვლად პარლამენტი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კვალიფიციურ იურისტებს აირჩევს (აკადემიური წრეებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან). რაც შეეხება დანარჩენ 8 წევრს, მათი კანდიდატურების წარდგენის უფლება მოსამართლეთა კონფერენციისთვის არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, არამედ სხვა მოსამართლეებსაც ექნება. **კანონპროექტის თანახმად, ის, ვინც ბოლო წლის განმავლობაში სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე იყო, საბჭოს წევრი ვერ გახდება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება კი ისაა, რომ საბჭოს ახალი წევრების არჩევისთანავე მის ძველ წევრებს უფლებამოსილება შეუჩერდებათ.**

კანონპროექტი, აგრეთვე, ითვალისწინებს იმ შეზღუდვების დიდი ნაწილის გაუქმებას, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2007 წლის ივლისში სასამართლო პროცესების გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტებს დაუწესა.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა კანონპროექტის კრიტიკის ორ შესაძლებელ ტაქტიკას შორის არა მისი სრული უარყოფა, არამედ ცალკეული პუნქტების ეჭვქვეშ დაყენება აირჩია.** ის არ ეწინააღმდეგება იმას, რომ საბჭოს 6 წევრის არჩევის წესი შეიცვლება, თუმცა მიიჩნევს, რომ მათი არჩევა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შესაძლებლობას მისცემს „ქართულ ოცნებას", მხოლოდ მისთვის სასურველი კანდიდატურები გაიყვანოს ისე, რომ საპარლამენტო უმცირესობის აზრი არ გაითვალისწინოს (იმაზე, თუ როგორ „ითვალისწინებდა" უმცირესობის აზრს სააკაშვილის ხელისუფლება, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მორიდებულად დუმს). კუბლაშვილი, აგრეთვე, ეწინააღმდეგება სასამართლოს თავმჯდომარეებისთვის (და სხვა, ზემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის) შეზღუდვების დაწესებას და, რაღა თქმა უნდა, მისთვის მიუღებელია საბჭოს ამჟამინდელი წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაც. კუბლაშვილი, სავარაუდოდ, შეეცდება, წარმოაჩინოს ყოველივე ეს, როგორც ზეწოლა სასამართლო ხელისუფლებაზე, აღმასრულებელი ხელისუფლების უხეში ჩარევა მის საქმეებში, რის მიმართ დასავლელი პარტნიორები, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან.

**იუსტიციის სამინისტროს, შეუძლია კუბლაშვილს ყურადღება არ მიაქციოს და მიაღწიოს პარლამენტის მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, როგორიც სურს, თუმცა შესაძლებელია სხვა ტაქტიკის არჩევაც, რომელიც ნაწილობრივ შეამცირებს ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ხელისუფლება „ნაციონალების" კონტროლისგან სასამართლოების გათავისუფლების პარალელურად, მათზე საკუთარ კონტროლს ამყარებს. არსებობს თუ არა სივრცე კომპრომისისთვის ან შუალედური, გარდამავალი პერიოდის გადაწყვეტილებებისთვის?** საინტერესოა, რომ საკითხი დღის წესრიგში არცთუ შორეულ მომავალში კიდევ ერთხელ დადგება, როდესაც ძალაში შევა ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც, სხვა ყველაფერთან ერთად, პრეზიდენტს იუსტიციის საბჭოს ერთი წევრის დანიშვნის უფლებას მისცემს. შესაბამისად, საჭირო გახდება ან კონსტიტუციის, ან იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესის შეცვლა.

**ნაკლებად სავარაუდოა, კანონპროექტის ავტორები დათმობაზე წავიდნენ იმ დეპუტატების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც მომავალში საბჭოს წევრებს აირჩევენ, რადგან ეს, დიდი ალბათობით, საბჭოს ახალი წევრების არჩევის შესაძლებლობას საერთოდ დაბლოკავს, როგორც დღევანდელ, ისე მომავალ, სავარაუდოდ, უფრო „ჭრელ" მრავალპარტიულ პარლამენტში.** თუმცა ჭარბი კონსტრუქციულობის დემონსტრირებისთვის, მათ თავისუფლად შეუძლიათ მოხსნან შეზღუდვა კოლეგიების და პალატების თავჯდომარეების კანდიდატურების წარდგენაზე (რომლიდანაც სულაც არ გამომდინარეობს, რომ ამ კანდიდატებს ავტომატურ რეჟიმში აირჩევენ), მაგრამ **მთავარი პრობლემა, ალბათ, მაინც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი წევრების უფლებამოსილების შეჩერება, მას პრინციპული ხასიათი აქვს.** ერთი შეხედვით, სავსებით შესაძლებელია საბჭოს ახალი, პარლამენტის მიერ არჩეული წევრების თანაარსებობის უზრუნველყოფა ძველ წევრებთან, თანაც ისე, რომ კუბლაშვილის ფაქტობრივი დიქტატურა შეიზღუდოს, მაგრამ ეს ძალიან არაბუნებრივი მდგომარეობა იქნება. ძველი, ანტიდემოკრატიული სისტემის ელემენტების ინტეგრირება ახალში, ალბათ, მაინც დაუშვებელია, ეს, 99%-იანი ალბათობით, იუსტიციის საბჭოს წევრებს პოლიტიკური თამაშის მძევლებად გადააქცევს. ბოლოს და ბოლოს, არავინ უშლის კოტე კუბლაშვილს და მის თანამოაზრეებს, მოსამართლეთა კონფერენციას მათთვის სასურველი კანდიდატურები წარუდგინონ (აირჩევენ თუ არა მათ, სხვა საკითხია).

> **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ — კოტე კუბლაშვილმა კანონპროექტის კრიტიკის ორ შესაძლებელ ტაქტიკას შორის არა მისი სრული უარყოფა, არამედ ცალკეული პუნქტების ეჭვქვეშ დაყენება აირჩია**

ამ გარემოებების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტროსთვის, სასურველია, ამ საკითხში პრინციპულობა შეინარჩუნოს. **შეძლებს თუ არა ის, წარმოაჩინოს პროცესი, როგორც სასამართლო სისტემის გათავისუფლება „ნაციონალების" დიქტატისგან და მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, მაშინ, როდესაც ოპონენტები საპირისპიროზე იყვირებენ? ძნელი სათქმელია, თუმცა ამ სენსიტიურ საკითხს ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის და საკუთარი ნაბიჯების ახსნა-განმარტების კუთხით, ჯერჯერობით სერიოზული პრობლემები აქვს** (როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ), **ალბათ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.**

## ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა...

**გასულ კვირას თანამდებობა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ჭანტურიამ დატოვა.** ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ ის პოსტს ვადის ამოწურვამდე, კიდევ ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნებდა, თუმცა მოულოდნელობის ელემენტი ყოველივე მომხდარში მაინც იყო — განცხადების დაწერამდე რამდენიმე დღით ადრე, ჭანტურია საჯაროდ მსჯელობდა იმაზე, თუ როგორ განახორციელებდა ოპტიმიზაციას საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების პირობებში, ამასთანავე, არაერთი კომენტატორი თვლიდა, რომ ის სავარძელში ბოლომდე გამაგრდებოდა, როგორც ლეყაშემორტყმული ფელდმარშალი პაულუსი სტალინგრადში, თუმცა მან გაცლა ამჯობინა, თანაც ისე, რომ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ამის გაკეთება აიძულეს. არადა, „ნაციონალების" პროპაგანდისტულ არსენალში „ახალი ხელისუფლების ზეწოლა საზოგადოებრივ მაუწყებელზე" ერთ-ერთი მთავარი თემა იყო, რომელსაც უცხოელ პარტნიორებს ცხვირწინ უფრიალებდნენ. **იმას, თუ რა გახდა ჭანტურიას წასვლის უშუალო მიზეზი, ასე ვთქვათ „ბოლო წვეთი", არსებითი მნიშვნელობა, ალბათ, არ აქვს.**

ვიდრე საკითხში სიცხადეს თავად ფიგურანტი არ შეიტანს, შეგვიძლია დროებით ჩავთვალოთ, რომ მან, დონ კორლეონეს თქმის არ იყოს, „მიიღო წინადადება, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელია" ან, უბრალოდ, ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო (ერთი მეორეს, პრინციპში, არ გამორიცხავს).

ამ ფაქტთან დაკავშირებით, გაჩნდა ვერსია, რომ ის სააკაშვილის ჯგუფის კომბინაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თითქოსდა მათ მოაცილეს საზოგადოებრივ მაუწყებელს ჭანტურია, რომელსაც ახალი ხელისუფლება შეიძლება ფინანსურ დარღვევებზე მოედავოს, რათა მათ მიერ კონტროლირებადი სამეურვეო საბჭოს მეშვეობით, „ახალი ჭანტურია" მოეყვანათ, რომელსაც „საზმაუს" ფინანსებთან შეხება არ ჰქონია. **მთავარ მიზანს კი,** ამ ვერსიის ფარგლებში, **საზოგადოებრივ მაუწყებელზე სააკაშვილის ჯგუფის კონტროლის გამყარება და გახანგრძლივება წარმოადგენს.** გამორიცხული არაა, რომ ეს გეგმა (თუ ის მართლაც არსებობს) ითვალისწინებს იმასაც, რომ გენდირექტორად „ნაციონალების" ერთგული კადრის დანიშვნის პერსპექტივა (ან ფაქტი), უკიდურესად გააღიზიანებს ახალ ხელისუფლებას და მას რადიკალურ ნაბიჯებს გადაადგმევინებს, რომელსაც სააკაშვილის ჯგუფი დასავლეთში „დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლად" წარმოაჩენს.

▶

სამართალი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვილაცებს შეიძლება მართლაც ეგონათ, რომ გიორგიმ პიკანტური ფოტოები გადაიღო, ვინაიდან ის სულ ფოტოაპარატით დადიოდა და იმ დღესაც ასე იყო, როცა ანაკლიაში პრეზიდენტის ესკორტი იმყოფებოდა, მაგრამ გიორგის მსგავსი ფოტოები არ გადაუღია."**

◀ ამ ვერსიას არსებობის უფლება, რა თქმა უნდა, აქვს, თუმცა უფრო დამაჯერებელი ის, ალბათ, იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ყოველივე აღწერილი ვაკუუმში მოხდებოდა, დღეს კი, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და საზოგადოების განწყობის გათვალისწინებით, მსგავსი ჩანაფიქრის ხორცშესხმა პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ რეალობის ადეკვატური აღქმის უნარი საბოლოოდ არ დაკარგა). აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ **ჭანტურიას წასვლა გენდირექტორის პოსტიდან სულაც არ ხსნის დღის წესრიგიდან კითხვებს, რომელიც შეიძლება ფინანსებთან დაკავშირებით გაჩნდეს — სამეურვეო საბჭოს უნდა ეკონტროლებინა ყოფილი დირექტორის მოქმედება და ის იზიარებს პასუხისმგებლობას ყველაფერზე, რაც „საზმაუში" ამ წლების განმავლობაში ხდებოდა.**

ერთი თვის ვადაში საბჭომ ახალი დირექტორი უნდა დაამტკიცოს და აქ ჩვენ ძალიან საინტერესო პრობლემას ვეჯახებით. ეს საბჭო სააკაშვილის რეჟიმის პირობებში დაკომპლექტდა ისეთი მეთოდებით, რომელსაც დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში „დემოკრატიული ფასადის" შენარჩუნებაზე რეჟიმი ასე თუ ისე ზრუნავდა. არსებობს უამრავი ხერხი, რომელთა გამოყენებით ახალმა ხელისუფლებამ შეიძლება საბჭოს წევრებს მისთვის სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინოს, თუმცა პრობლემის გადაწყვეტა საიდუმლო პოლიტიკური მანიპულაციების (და არა დემოკრატიის) კალაპოტში ძლიერ არასასურველია.

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის შეცვლის მცდელობა დღეს, თუნდაც მისი დაკომპლექტების ახალი წესი ზედემოკრატიული იყოს, აუცილებლად გამოიწვევს „ზეწოლასთან" დაკავშირებულ ბრალდებებს, რომლებიც გაცილებით რეზონანსული იქნება, ვიდრე** (მაგალითად) **იუსტიციის საბჭოს შემთხვევაში.** პარადოქსული ვითარებაა, ახალ (იდეაში) ნეიტრალურ და პროპაგანდისტული სიბინძურისგან თავისუფალ საზოგადოებრივი მაუწყებელს საფუძველი ძველმა სამეურვეო საბჭომ უნდა ჩაუყაროს, ხოლო ხელისუფლება, სავარაუდოდ, იძულებული გახდება, სიტუაციაში უფრო აქტიურად ჩაერიოს, ვიდრე ეს სასურველია (როგორც ტელევიზიისთვის, ისე საზოგადოებისთვის). ამ შემთხვევაშიც მოსაძებნი იქნება შუალედური, გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტილება, რომელიც უნაკლო ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება.

ამ სიტუაციაში, ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანია პრიორიტეტების განსაზღვრა, იმის დადგენა, თუ რა არის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ერთბაშად ყველა სასურველი მიზნის მიღწევა, უბრალოდ, ვერ მოხერხდება. **აშკარაა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი „ნაცმოძრაობის" პროპაგანდისტული რუპორის როლს აღარ უნდა ასრულებდეს, თუმცა კომენტატორების დიდ ნაწილს ძალიან ბუნდოვნად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორი უნდა გახდეს „საზმაუ"; მარტივად რომ ვთქვათ, მათ იციან, „როგორი არ უნდა იყოს" ის, მაგრამ არ იციან „როგორი უნდა იყოს".**

ქართული საზოგადოება ძალიან დიდ, საბედისწერო შეცდომას დაუშვებს, თუ დათანხმდება იმას, რომ ცვლილებები „საზმაუში" „დროშის გამოცვლაში" გამოიხატოს. სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს მოვლენების განვითარება სწორედ ასე აქვს წარმოდგენილი.

### ხერხი სჯობია ღონესა

**ორივე აღწერილ შემთხვევაში შესაძლებელია „ნაციონალების" წინააღმდეგობის დაძლევა უხეში ზეწოლით, ისე, როგორც ამას თვითონ აკეთებდნენ, თუმცა სასურველია, რომ ახალმა ხელისუფლებამ დასახული მიზნების მიღწევა სხვა მეთოდების გამოყენებით მოახერხოს.** შესაძლო რეაქცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, თანაც **ახალმა ხელისუფლებამ ნათლად აჩვენა, რომ ეს ფაქტორი მისთვის განმსაზღვრელი ნებისმიერ შემთხვევაში არ იქნება. აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ, სწორედ დღეს ყალიბდება ახალი ხელისუფლების შიდაპოლიტიკური სტილი და სასურველია, მასში რაც შეიძლება ნაკლები იყოს სააკაშვილის რეჟიმის მემკვიდრეობისგან და რაც შეიძლება მეტი — დემოკრატიისგან.**

როდესაც მოწინააღმდეგე სუსტია და ის საზოგადოების უდიდეს ნაწილს სძულს, შეიძლება გაჩნდეს ცდუნება, ყველა პრობლემა სწრაფად, შესაძლებლობების მთელი სპექტრის გამოყენებით გადაჭრა. მაგრამ სწორედ აქ აუცილებელია თავშეკავება, მართვის ბინძური და სუფთა ტექნოლოგიების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მხოლოდ ამ უკანასკნელთა გამოყენება, რათა, ცნობილი სიუჟეტის თანახმად, რომელიც საქართველოში მეტად აქტუალურია, ის, ვინც დრაკონს მოკლავს, დრაკონად თავად არ გადაიქცეს.

ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები არ უნდა დაისაჯონ, ან ახალი სისტემის განუყოფელ ნაწილად სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებთან იძულებითი, პერვერსიული „თანაარსებობა" უნდა იქცეს, მაგრამ ნამდვილად **არის სიტუაციები, რომლებშიც, აღმართის ტრადიციული მოხვნის ნაცვლად, სასურველია, შემოვლითი მანევრის გამოყენება, თუნდაც ამან გარკვეული დრო მოითხოვოს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან და „საზოგადოებრივ მაუწყებელთან" დაკავშირებული სიტუაცია, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ მანევრს მოითხოვს.**

კარგი იქნება, რომ ორივე პრობლემის გადასაჭრელად ახალი ხელისუფლება გამოიყენებდეს არა იმდენად ძალას, რამდენადაც სიბრძნეს; ამას როგორც მისი, ისე ქვეყნის მომავლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

**დიმიტრი მონიავა**

ელენე ფოჩხუა:

# დღემდე არ ვიცით, რისთვის მოკლეს ჩემი ძმა

**ადვოკატი ირმა ჭკადუა ახალგაზრდა რეჟისორისა და მსახიობის, გიორგი ფოჩხუას, მკვლელობის ახალ ვერსიაზე საუბრობს და აცხადებს, რომ გიორგის მკვლელობაში პოლიტიკური მოტივი იკვეთება. მკვლელობის რეალური მიზეზი არა უბრალო ძარცვა, არამედ გიორგის მიერ ანაკლიაში პრეზიდენტის ვიზიტის დროს გადაღებული ფოტოები გახდა. აღნიშნული ვერსია დაღუპულის ოჯახისთვისაც სიახლე აღმოჩნდა და ის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს. საქმეში არსებულ საეჭვო დეტალებსა და მკვლელობის ახალ ვერსიებზე „საქართველო და მსოფლიოს" ელენე ფოჩხუა ესაუბრა.**



**— თქვენი ძმის, გიორგი ფოჩხუას, მკვლელობის საქმე გაიხსნა, მკვლელობაში ბრალდებული დაპატიმრებულია და მას 13 წელი მიუსაჯეს, მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინ ოჯახმა საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა. რა ახალი გარემოებები გამოიკვეთა ამ ეტაპზე?**

— პირველივე დღიდან, გამოძიება არასწორად და ძალიან არაპროფესიონალურად წარიმართა. მართალია, ჩემი ძმის მკვლელი დაიჭირეს, მაგრამ საქმე მიაფუჩეჩეს. სასამართლო პროცესებიც ძალიან სუსტი იყო. პროკურორი ანა არონია ან ძალიან უვიცი პროკურორი იყო, ან საგანგებოდ, ვინმეს დავალებით მოქმედებდა, კითხვებიც კი არ გასჩენია, რომ ელემენტარულად დამნაშავისთვის დაესვა. არადა, გამომძიებელი ლევან საჯაია და ანა არონია თავად უნდა ყოფილიყვნენ საქმის ობიექტური გამოძიებით დაინტერესებულნი.

თავიდან მკვლელს 109-ე მუხლით წაუყენეს ბრალი, რაც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას სისასტიკით, ყველაზე დამამძიმებელი გარემოებებით, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად რატომღაც ბრალდების კვალიფიკაცია შეიცვალა და მხოლოდ განზრახ მკვლელობის მუხლი შეეფარდა. **ამ ადამიანმა სრულიად უმიზეზოდ და ასეთი სისასტიკით მოკლა ჩემი ძმა და 13 წელი მიუსაჯეს, როცა ვიცი ადამიანი, რომელსაც მობილურის მოპარვისთვის 9 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. სად არის სამართალი?**

ამას გარდა, საქმეში უამრავი საეჭვო დეტალი იკვეთება, რაც გვიქმნის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მკვლელს ვილაცები „ზემოდან" მფარველობდნენ. ელემენტარულად, დღემდე ვერ გავარკვიეთ, დაკითხულია თუ არა ყველა მოწმე. მკვლელობის დღეს ბულვარში ისხდნენ გიორგი და მისი მეგობრები, როდესაც ბექა ცობეხია თავის ორ მეგობართან ერთად მივიდა მათთან და გამოელაპარაკა, თავი შეახსენა. მისმა მეგობრებმა თითქოს სპეციალურად გაართეს გიორგის მეგობრები, რათა მკვლელს გიორგი ცალკე გაეყვანა. როცა გიორგის მეგობარი მივიდა ჩვენების მისაცემად, მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდა ცობეხიას, ამოიცნო მკვლელი, რადგან გაახსენდა, როგორ უთხრა გიორგის, ბექა ვარ „როიალ პალასიდანო". იმ რესტორანში მუშაობდა დაცვის პოლიციელად და რამდენიმეჯერ ჰყავდა გიორგი ნანახი. გიორგისთვის უკითხავს თავის საქმიანობის შესახებ და თავადაც უთქვამს, რომ ძალოვან სტრუქტურას ვემსახურები, ციხეზე ვმუშაობ. **სწორედ გიორგის მეგობარმა მოძებნა სოციალური ქსელის მეშვეობით და ამოიცნო მკვლელის ორი მეგობარიც, მაგრამ, როცა ამის შესახებ გააგებინა პოლიციას, მათ უთხრეს, ისინი უკვე დავკითხეთო. არადა, მანამდე აცხადებდნენ, რომ მათ შესახებ არაფერი იცოდნენ. თუ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ, როგორ დაკითხეს? ჩვენთვის დღემდე გაურკვეველია, მართლა დაკითხეს თუ არა ის ბიჭები.**

**მკვლელობის ღამეს, პირველს აკლდა 15 წუთი, სახლის ტელეფონზე ვილაცამ დარეკა და ხმას არ იღებდა. შემდგომში, როცა ეს გავიხსენეთ და ყველა დეტალით დავინტერესდით, წავედით და შემოსული ზარების ამონაწერი მოვითხოვეთ, აღმოჩნდა, რომ ყველა ზარია დაფიქსირებული იმ ზარის გარდა.** ამის შესახებ მოვახსენე პროკურორს და ვთხოვე, გაერკვიათ, მაგრამ მას არაფერი გაურკვევია. პირიქით, ვილაცამ გააქრო ზარი. რატომ, ეს უკვე ძალიან დიდ ეჭვს იწვევს. შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, საქმე გამოუძიებელია. ასე, არაფრის გამო ადამიანს არ კლავენ.

**— ადვოკატმა ირმა ჭკადუამ მკვლელობის ახალ ვერსიაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც გიორგის ანაკლიაში პრეზიდენტის ვიზიტის დროს გადაღებული ფოტოები ჰქონდა, რაც მისი მკვლელობის მიზეზი გახდა. რას ფიქრობს ოჯახი ამ ვერსიაზე?**

— ჩვენთვის უცნობია ეს ვერსია. ჩვენც ჭორის დონეზე გავიგეთ ეს ამბავი, არავის არაფერს ვაბრალებთ, მაგრამ მოვითხოვთ, საქმე კვალიფიციურად გამოიძიონ. თუმცა, რადგან ეს ჭორი გავრცელდა, შესაძლოა, საფუძველი მართლაც არსებობდეს და **ვილაცებს შეიძლება მართლაც ეგონათ, რომ გიორგიმ პიკანტური ფოტოები გადაიღო, ვინაიდან ის სულ ფოტოაპარატით დადიოდა და იმ დღესაც ასე იყო, როცა ანაკლიაში პრეზიდენტის ესკორტი იმყოფებოდა, მაგრამ გიორგის მსგავსი ფოტოები არ გადაუღია.** პოლიტიკაში ის არ ერეოდა, საერთოდ არ აინტერესებდა. თან კიევში მიდიოდა რამდენიმე დღეში, მაგისტრატურაში აბარებდა და ტელევიზორის საყურებლადაც ვერ იცლიდა.

დიდი იმედი მაქვს, ასე გამოუძიებელი არ დარჩება ეს საქმე. ოჯახის წევრებმა დღემდე არ ვიცით, რისთვის მოკლეს ჩემი ძმა და თანაც ასეთი სისასტიკით. ნიკოლოზ ბაძაღუამ, რომელთანაც მივიდა ცობეხია და გაუმხილა, რაც ჩაიდინა, თქვა, რომ შეუთავაზებია, წამოდი იქნებ არ არის მკვდარი, გადავარჩინოთო და, არა უკვე მოვკალიო, მკვლელს უთქვამს. რომ ვცემე, მერე კისერი გადავუტეხე, კოჭებიც გადავუმტვრიე და წყალში ჩავაგდეო.

**— რა ვერსია გაქვთ ოჯახს, თითქმის უცნობ ადამიანს რა მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ასეთი სისასტიკით მოეკლა გიორგი?**

— არ ვიცით, ასე რატომ გაიმეტეს. თან გასათვალისწინებელია, რომ **ეს არ ყოფილა ჩხუბი, როცა შემთხვევით შეიძლება შემოგაკვდეს ადამიანი. ეს იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა.** თავიდან მას მაგრად სცემეს, თირკმელები, მთელი სხეული სულ დაბეჟილი ჰქონდა, ცხვირის ნესტოები, ტუჩი, ყურები, მოგლეჯილი, არც ერთი კბილი აღარ ჰქონდა. ჯერ სცემეს და შემდეგ ჩააგდეს წყალში. გიორგის თავის სახე არ ჰქონდა შერჩენილი. საშინელ მდგომარეობაში იყო.

ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ გიორგის ერთი გრამი წყალიც არ ჰქონდა ნაყლაპი. არადა, როცა ადამიანი წყალში იხრჩობა, ფილტვები წყლით ევსება. ამას გარდა, თავის ტვინში შეშუპება განუვითარდა. ასე ხდება, როცა ადამიანს ახრჩობენ. ჯერ სცემეს, შემდეგ გახადეს ტანისამოსი და მოაბეს ქვები ჩასაძირად. ამის მიუხედავად, ადვოკატი ბოლომდე იმ ვერსიას იცავდა, თითქოს გიორგი ცემის შედეგად არ გარდაცვლილა. როცა ღამე მოასვენეს სახლში და ოჯახმა გარდაცვალების ზუსტი მიზეზიც არ იცოდა, როცა მამაჩემს დაუნახავს, მაშინვე უთქვამს, ეს არ არის დამხრჩვალი, მოუკლავთ ბავშვიო. თუნდაც ჰგონებოდათ, რომ ფოტოები ჰქონდა, თუნდაც ძარცვის მიზნით, მაინც არაფრის გამო გამოასალმეს სიცოცხლეს. მტერი მას არ ჰყავდა. გასვენებაზე გაოცებული ვიყავი, 26 წლის ბიჭს რამდენი სიკეთე და სიყვარული დაუთესავს ამქვეყნად.

**ტანსაცმელი დაგვიბრუნეს, გარდა ჯინსის შარვლისა. ჯინსიდან ყველაზე რთულად გადადის სისხლის ლაქა, ამიტომ გააქრეს შარვალი — ან დამარხეს, ან გადააგდეს. გამომძიებელი მეუბნება, ჯინსი თუ დაისვარა, მკვლელი ვერ ამორეცხავდა ზღვის წყალშიო, წარმოიდგინეთ ღამის პირველ საათზე მკვლელი რეცხვას დაიწყებდა? ანაბეჭდებიც არ აუღიათ. ძალიან არაპროფესიონალურად და გულგრილად ჩატარდა გამოძიება.**

მობილური ტელეფონი როცა დაგვიბრუნეს, გვითხრეს, განმუხურში ხიდის ქვეშ გადააგდო ცობეხიამ და ლამის დავიხრჩვით მისი ძებნის დროს, ძლივს ვიპოვეთო, მაგრამ საინტერესოა, რომ 5 დღე ხიდის ქვეშ ნაგდებ ტელეფონს პატარა დაზიანებაც არ აღენიშნება. გვაქვს ეჭვი, რომ ტელეფონი, შესაძლოა, ამ ბიჭებს ჰქონდათ, იმ ორ ადამიანს, ხელს რომ აფარებენ. მოვითხოვთ, მკვლელის ორივე მეგობარი დაიკითხოს. **ცობეხია მარტო ვერ მოკლავდა ჩემს ძმას, ვვარაუდობთ, რომ მისი მეგობრებიც მონაწილეობდნენ ამ ყველაფერში,** მაგრამ ერთი იბრალებს და დანარჩენები დაუსჯელები დადიან. ცრუ ჩვენების მიხედვით შეიძლება განაჩენი გამოუტანო დამნაშავეს? უნდა ათქმევინონ სიმართლე, გამოიძიონ საქმე.

**— დამნაშავე მართლაც დედამ ჩააბარა პოლიციას?**

— ესეც გაურკვეველია. როცა ტელეკომპანია „მეცხრე არხის" თანამშრომლები მივიდნენ მასთან, ჩემი შვილი მთავრობას მე ჩავაბარეო, — აქცენტს რატომღაც ამაზე აკეთებდა თურმე, პოლიციაში კი გვითხრეს, რომ სპეცოპერაცია ჩავატარეთ — გადავედით გალში, მოვიტყუეთ გარკვეულ ტერიტორიამდე და შემდეგ დავაპატიმრეთო.

ველოდებით სიმართლის დადგენას. ჩემს ძმას აღარაფერი გააცოცხლებს, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სიმართლე გაირკვეს. ჯერჯერობით კითხვა ბევრი გვაქვს და პასუხი არა. ვითხოვთ, დაკითხონ და დააპატიმრონ დამნაშავეები, გამოიძიონ საქმე. მკვლელმა სიმართლე აღიაროს — რატომ, რისთვის გაიმეტა გიორგი!

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

საით გავიქეცით, იქით წავიქეცით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რატომღაც წარმოუდგენლად მეჩვენება, ივანიშვილი ვერ ხვდებოდეს, რომ მას ორი არჩევანი აქვს: ან უნდა დაჰყვეს ამერიკელთა ნებას და იქცეს სააკაშვილის მსგავს მმართველად, ან გაწიროს თავი და დადგეს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.“**



**ვალერი კვარაცხელია:**

# დღემდე ვართ დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და რეალური კოლონიალიზმის ვითარებაში

**მეოცე საუკუნის დასასრულს მსოფლიო საზოგადოებრიობაში განვითარებულმა ტექტონიკურმა ძვრებმა გაკვალული გზები ჩახერგა და კაცობრიობა ახალი არჩევანის წინაშე დადგა: ახლა საით? ქვეყნებმა საკუთარი ორიენტირები აირჩიეს. საქართველოს განვითარების ორბიტა დასავლეთისკენ გადაიხარა. არჩეულია თუ არა სწორი გეზი? ხომ არ მოხდება ისე, რომ, საითაც გავიქეცით, წაქცევას ვერ გადავრჩებით? ამ თემებზე საუბრობს საზოგადო მოღვაწე, სოციოლოგი და ცნობილი ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია.**

**— საზოგადოება თანდათანობით რწმუნდება, რომ აშშ-ის საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულება სუვერენული სახელმწიფოების ეტაპობრივი ნგრევაა. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ პოლიტიკის მიმართ?**

— ხაზგასმით უარყოფითი. ამ პოლიტიკას ამერიკელები გლობალიზაციით ნიღბავენ. მე, როგორც სოციოლოგს, თავის დროზე ეს საკითხები მეცნიერულად მაქვს ნაკვლევი და ნაშრომები მაქვს გამოქვეყნებული აქაც და საზღვარგარეთაც. გლობალიზაცია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანმდევი პროცესი და მისი ბუნებრივი შედეგია. კომუნიკაციის საშუალებათა უკიდეგანო გაფართოებამ მსოფლიო მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების საყოველთაო ხელმისაწვდომობა გამოიწვია, რაც ხალხებს შორის ბარიერებს თანდათანობით შლის და ადამიანებს სულ უფრო ამსგავსებს ერთმანეთს, მათი რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. **ამერიკელებმა ამ პროცესს მოხერხებულად შეუცვალეს მიმართულება და ბუნებრივი გლობალიზაცია ხელოვნური ამერიკანიზაციით ჩაანაცვლეს. გლობალიზაცია თუ კულტურათა ევოლუციური განვითარებაა, ამერიკანიზაცია კულტურათა რევოლუციური ნგრევაა.**

**— როგორ ფიქრობთ, ამ პროცესის შეჩერება შესაძლებელია?**

— როგორც ჩანს, პატარა ერები ამ პროცესს წინ ვერ აღუდგებიან. ამის დასტურია ყოფილი იუგოსლავიის მაგალითი, რომელიც ემსხვერპლა ევროპის საბოლოო ამერიკანიზაციის ბინძურ გეგმას. ამის დასტურია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები. სატირალი რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში ამერიკული „დემოკრატიის“ ცეცხლითა და მახვილით შეტანა, რასაც შედეგად დემოკრატია ვერა, მაგრამ სისხლისა და ცრემლის მდინარეები მოჰყვა. **ამერიკანიზაციას მთელი მსოფლიო უნდა აღუდგეს წინ, ვინაიდან იგი მთელ მსოფლიოს ემუქრება. აღუდგნენ კიდეც.**

შოს-ი („შანხაისკაია ორგანიზაცია სოტრუდნიჩესტვა“), სადაც რუსეთი, ჩინეთი და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები გაერთიანდნენ, ამერიკანიზაციის საწინააღმდეგო მოვლენაა. ამერიკანიზაციის უპირველესი შემაკავებელი ფაქტორი იქნება ევრაზიული კავშირი, რომლის ჩამოყალიბების იდეა პუტინმა გაახმოვანა და რომლის კონტურები უკვე გამოიკვეთა რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის სახით. ვანს, მაგრამ გაკვრით მაინც უნდა ვახსენოთ ამერიკული იმპერიალიზმის სისტემური კრიზისის შესახებ ყველაზე მეტს თვითონ ამერიკელები ლაპარაკობენ. ყოველივე ამის ანალიზი წამყვან ფილოსოფოსებს, სოციოლოგებსა და ეკონომისტებს უბიძგებს დაასკვნან, რომ **ამერიკანიზაცია, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურა, ვერ განხორციელდება.**

**— დღევანდელ მმართველ ძალასა და მის ოპოზიციას შორის პერსონალიებს შორის განსხვავების გარდა რამე მსოფლმხედველობრივ განსხვავებას პოულობთ?**

— ათასჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია მთლიანად უზურპირებულია ამერიკელების მიერ. 1985 წელს საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ აქ პოლიტიკურ პროცესებს ამერიკელები მართავენ და ყველა ის უბედურება, რომლებიც დღემდე თავს დაგვატყდა, მათ სინდისზე, უფრო სწორად, მათ უსინდისობაზეა... რაც შეეხება მმართველ ძალასა (მხოლოდ პოლიტიკოსები მყავს მხედველობაში და არავითარ შემთხვევაში — ჩინოვნიკები) და მის ოპოზიციას, თუ ბიძინა ივანიშვილს არ ჩავთვლით, ეს ერთი გუნდია. სწორედ მათი ერთობლივი პოლიტიკური „შემოქმედების“ შედეგია სამ ნაწილად დაშლილი საქართველო, რომლის გამთლიანების პერსპექტივა, სამწუხაროდ, ძალიან ბუნდოვანია.

**— ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთიანობის შესახებ წინა ხელისუფლების პირობებშიც საუბრობდით, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაპირისპირებამ ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი მიიღო და, მითუმეტეს, მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო უმცირესობაში აღმოჩნდა, მტკიცება იმისა, რომ ისინი კვლავ ერთ გუნდად რჩებიან, რბილად რომ ვთქვათ, დამაჯერებლობას მოკლებული ხომ არ არის?**

— ერთად ვიმსჯელოთ. ისინი ერთმანეთს პერსონალურად ვერ იტანენ, თორემ, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებასაც ვერ იპოვით. დააკვირდით მათ ლექსიკას: საგარეო საკითხებში — დასავლეთი, ამერიკა, ნატო... საშინაო საკითხებში — დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და ასე შემდეგ, მაგრამ რა საერთო აქვთ ამ შინაარსისგან დაცლილ თუმცა გარეგნულად ლამაზ ცნებებს ქართულ რეალობასთან — დაკარგულ ტერიტორიებთან... მიწასთან გასწორებულ ეკონომიკასთან... ლუკმა-პურის საძებნელად საზღვარგარეთ გადახვეწილ მილიონობით ჩვენს თანამემამულესთან?! 1992 წელს სამშობლოდან გაძევებულმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** რადიოსადგურ „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა აზრი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, მას უფრო დაუმკვიდრებს ადგილს ისტორიაში, ვიდრე დისიდენტური ან საპრეზიდენტო მოღვაწეობა: **„დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც იყენებენ დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესის შესანიღბად. ისინი არიან კაცობრიობის მტრები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ისინი მიზნად ისახავენ სხვა ხალხების გენოციდს პლანეტის მოსახლეობის ერთი გარკვეული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპასთან და მსოფლიო ბატონობისკენ ისწრაფვის. მე ზოგადად მას ევრო-ამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი“.**

**— ძალიან რადიკალური ხომ არ ხართ, ბატონო ვალერი?**

**თქვენ მიგაჩნიათ, რომ ქართველი ხალხის ერთწლიანმა ბრძოლამ და 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებამ ვერაფერი შეცვალა და ხელთ იგივე სიტუაცია შეგვრჩა, როგორიც გვქონდა?**

— ვთქვი და გავიმეორებ: ბიძინა ივანიშვილის ფენომენს თუ არ გავითვალისწინებთ, ზუსტად ასეა. ივანიშვილის ფენომენი ცალკე თემაა.

**— ცალკე თემა შეიძლება იყოს, გეთანხმებით, მაგრამ, როცა მისი პოზიცია ქვეყნის საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებით მისი პოლიტიკური გუნდის რიტორიკის ანალოგიურია, განსხვავებაზე ლაპარაკი ჭირს.**

— მაგრამ ხომ ხედავთ, რომ ამის მიუხედავად, მის მიმართ როგორი აგრესია მოდის დასავლეთიდან?! მე ყოველთვის ღია პოლიტიკის მომხრე ვიყავი და მაღიზიანებდა თუნდაც იგივე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით რომ მეუბნებოდნენ, — სხვას ლაპარაკობს, მაგრამ სხვა გეგმები აქვსო. დღეს ვერ გამოვრიცხავ, რომ მართლა ასე იყოს. **რატომღაც წარმოუდგენლად მეჩვენება, ივანიშვილი ვერ ხვდებოდეს, რომ მას ორი არჩევანი აქვს: ან უნდა დაჰყვეს ამერიკელთა ნებას და იქცეს სააკაშვილის მსგავს მმართველად, ან გაწიროს თავი და დადგეს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.**

**— მაინც როგორი მოლოდინი გაქვთ — საით გადაიხრება ივანიშვილი?**

— ივანიშვილი ძლიერი პიროვნებაა და არც პოლიტიკაში ჩანს ისე ჩაუხედავი, ზოგიერთებს რომ სურთ წარმოჩენა. დავაკვირდეთ ერთი შეხედვით ისეთ უბრალო ფაქტს, როგორიცაა რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხებში მის პირად წარმომადგენლად ზურაბ აბაშიძის დანიშვნა. ეს საქმე საგარეო საქმეთა სამინისტროს კი არ დააკისრა, არამედ მისგან სრულიად დამოუკიდებელი პიროვნება მოიყვანა. ისე გააკეთა, რომ ორი საგარეო საქმეთა სამინისტრო შექმნა. ერთი — რუსეთთან ურთიერთობისთვის, მეორე — დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობისთვის. საკითხავია, რატომ? მარტივი ახსნა აქვს ამას. თავიდან ბოლომდე პროდასავლური ფანჯიკიძე (თავის აპარატთან ერთად) რუსეთთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების საქმეში ვერ გამოადგება. **არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილი საკუთარ გუნდთან სერიოზული მსოფლმხედველობრივი განსხვავების გამო მათ არც ენდობოდეს, მაგრამ ოსტატურად ინიღბებოდეს. თუმცა კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია და არავითარ შემთხვევაში — მტკიცება.**

**— თქვენ თქვით, რომ საქართველოში პოლიტიკა ამერიკელების მიერ არის უზურპირებული, ანუ ჩვენ არა ვართ სუვერენული სახელმწიფო. სად და როდის დავკარგეთ სუვერენიტეტი?**

— ძალიან რთული შეკითხვაა. მე ვფიქრობ, რომ სუვერენიტეტიც და სახელმწიფოებრიობაც მეთხუთმეტე საუკუნეში დავკარგეთ, როცა საქართველო სამთავროებად დაიშალა. მას შემდეგ სუვერენიტეტი ვერ აღვიდგინეთ. იყო პატარა გამონათება 1918-21 წლებში, მაგრამ ის სუვერენიტეტი ვერ შედგა. 1992 წელსაც გვქონდა ისტორიული შანსი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. საბჭოთა ნანგრევებიდან გამოსულები, ყოველგვარი ყოყმანისა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩავბარდით ამერიკელებს და **დღემდე ვართ დეკლარირებული დამოუკიდებლობისა და რეალური კოლონიალიზმის ვითარებაში, ჰეროიკული წარსულით და ბუნდოვანი მომავლით.**

**— აშშ-ის რეალური გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე რუსეთია. უშვებთ თუ არა, რომ ეს რეალობა ჩვენი ქვეყნის შიგნითაც აისახებოდეს და არსებობდეს?**

— რა თქმა უნდა! მიუხედავად ათასგვარი პროვოკაციისა და ალვირახსნილი ანტირუსული პროპაგანდისა, ამერიკელებმა სააკაშვილის პირობებშიც კი საქართველოში რუსი ხალხისა და მისი უდიდესი კულტურის მიმართ სიძულვილი ვერ გააღვივეს. **ივანიშვილის მიმართ ქართველი ხალხის მიერ არჩევნებში გამოხატული უდიდესი ნდობა იმ ფაქტორსაც ეფუძნებოდა, რომ ის რუსეთთან ურთიერთობის მომწესრიგებელ პიროვნებად მიიჩნიეს** (ამას „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდისტულმა მანქანამაც შეუწყო ხელი). **ხალხს ეს იმედი რომ გაუცრუვდეს, ივანიშვილი სწრაფად დაკარგავს პოლიტიკურ რეიტინგს. ეს ის რეალობაა, რომელსაც ხმამაღლა არავინ აღიარებს.** ერთადერთი პოლიტიკური ძალა, ვინც ამ რეალობის შესახებ წლების განმავლობაში თანმიმდევრულად ლაპარაკობდა, ჩვენ თანამოაზრეები ვიყავით, რამდენიმე ადამიანი, მაგრამ ვახტანგ გოგუაძე საეჭვო ვითარებაში გამოგვეცალა ხელიდან, იგორ გიორგაძეს ცილი დასწამეს და პოლიტიკურ დევნილად აქციეს, ხოლო მის თანამოაზრეებს, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანებს, მრავალი წლის განმავლობაში ახეხინეს ციხის კედლები. ამ ხელისუფლებასაც კი, ვეჭვობ, ეყოს ძალა და პატიოსნება, რომ იგორ გიორგაძე, რომელსაც ოფიციალურად ბრალიც კი ვერ წაუყენეს, პოლიტიკურ დევნილად აღიაროს. ასე რომ, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ანარეკლი საქართველოშიც გვაქვს. არც შეიძლება სხვაგვარად იყოს.

**— საერთოდ, რამდენად სამართლიანია, ან თუნდაც პრაგმატული მიზნებით რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ მსოფლიოში ერთი ჰეგემონი სახელმწიფოს არსებობა?**

— ღმერთმა დაიფაროს მსოფლიო ერთი სახელმწიფოს ჰეგემონიისგან. **რამე სახის ჰეგემონია თუ უნდა არსებობდეს მსოფლიოში, ეს უნდა იყოს სოციალური სამართლიანობა, ძლიერისა და სუსტის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, საყოველთაო ჰუმანიზმი, ტოლერანტობა და ასე შემდეგ, მაგრამ ვიდრე კაცობრიობა ამ სანუკვარ მდგომარეობას მიაღწევდეს, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის.** ხოლო რასაც ნიშნავს ამერიკული ჰეგემონიზმი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს უკვე იწვნია კაცობრიობამ. შეიძლება თუ არა ასე გაგრძელება, ამის შესახებ დასკვნა იმავე კაცობრიობამ უნდა გააკეთოს.

**— ამ ვითარებაში საქართველომ საით უნდა გადადგას ნაბიჯი, რომ არ წაბორძიკდეს და, ღმერთმა არ ქნას, არ წაიქცეს?**

— საქართველო, კარგა ხანია, რაც წაბორძიკდა და წაიქცა კიდეც. ის ახლა ფეხზე წამოსაყენებელი, მოსავლელი და გასაჯანსაღებელია. ამისათვის ერთადერთი გზა არსებობს: მტკიცე უარის თქმა ამერიკულ კოლონიალიზმზე, ნატოს წევრობის აკვიატებულ სურვილსა და მსგავს პოლიტიკურ ილუზიებზე. **რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების ბაზაზე გახდება შესაძლებელი სამშობლოს ტერიტორიული გამთლიანება და რეალური სუვერენიტეტის მოპოვება.** აი, სამოქმედო პროგრამაც და წმიდათაწმიდა მიზანიც, რომლის ირგვლივაც უნდა გაერთიანდეს სრულიად საქართველო. გაერთიანდება კიდეც!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„სააკაშვილის ხელისუფლებამ არა პარტნიორის, არამედ მონის კურსი აირჩია, რაც გულისხმობს იმას, რომ დასავლეთის ქვეყნებს ეთანხმებოდნენ ყველგან და ყველაფერში, სანაცვლოდ კი მინიმალურს ან სულაც ვერაფერს იღებდნენ.“

აიფონის თაობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ბექა მჭედლიშვილი: სააკაშვილის ხელისუფლება ქართველი ხალხის მომსახურე პერსონალად გადაქცევას ცდილობდა

**საბჭოთა წყობილების პერიოდში ჩაკეტილი სივრცე და პარტიული ნომენკლატურა ახალგაზრდა თაობის შინაგან თავისუფლებას ზღუდავდა. ამის მიუხედავად, იმ პერიოდში უამრავი ნაწარმოები შეიქმნა, განვითარდა ხელოვნება, სპორტი, მიღწეულ იქნა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი... დღეს „რკინის ფარდა“ გაიხსნა, ნანატრი თავისუფლება მივიღეთ, მაგრამ რამდენად თავისუფალია თანამედროვე ახალგაზრდობა და რას ქმნის და რას დატოვებს ღირებულს? როგორები არიან ისინი, ჩვენი მომავალი თაობის წარმომადგენლები, რა პრობლემები აწუხებთ და რა პრიორიტეტებით ცხოვრობენ? რა გზა განვლო საქართველომ „ჯინსების თაობიდან“ „აიფონის თაობამდე“? „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია ცნობილი ბლოგერი ბექა მჭედლიშვილი:**



— მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 9 წლის მანძილზე ჩაკეტილ, ერთგვარად ერთ ხაზზე მდგომი თაობის შექმნის მცდელობას ვუყურეთ, საბედნიეროდ, მცდელობა მცდელობად დარჩა და მე დღეს მიმაჩნია, რომ ვარ იმ თაობის წარმომადგენელი, რომელიც მომავალში დიდ პროგრესს მიაღწევს. ჩემი თაობის წარმომადგენლებს იზიდავს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ცხოვრებაში — თავისუფლება და მჯერა, რომ ჩვენ ამას მივაღწევთ, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი თაობა ერთგვარად პროგრესულია და ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რას სთავაზობს მას ესა თუ ის ხელისუფლება...

ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, როგორც საჭირო, ასევე საშიშია პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდობა და **წინა ხელისუფლებაც კარგად აცნობიერებდა იმას, რომ, პოლიტიკურად აქტიური ახალგაზრდობის შემთხვევაში, ისინი ბევრად ადრე დაასრულებდნენ საკუთარ მოღვაწეობას, ვიდრე დაასრულეს.** ალბათ, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართვას ისინი არ ცდილობდნენ.

თუმცა საბოლოოდ ახალგაზრდობა მაინც გამოცოცხლდა იმ ამაზრზენი კადრების ხილვის შემდეგ, რომელიც სააკაშვილის პენიტენციარული სისტემიდან გამოვიდა და სწორედ ახალგაზრდების აქტიურობამ და მასობრივმა საპროტესტო აქციებმა გამოიწვია ის, რომ იმ პერიოდში რამდენიმე მაღალჩინოსანი თანამდებობას დაემშვიდობა. **რომ არა ახალგაზრდები, სააკაშვილის ხელისუფლება კვლავ თვალს დახუჭავდა ამ ამბავზე, მათ მსგავსი რამ არაერთხელ გაუკეთებიათ, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემთხვევაში.**

**— როგორ ფიქრობთ, რა მოუტანა თავისუფლებამ თქვენს თაობას? თუნდაც, რამდენად აქვს დღეს ნიჭიერ, თანამედროვე ახალგაზრდას საქართველოში საკუთარი თავის რეალიზების საშუალება?**

— ჩვენს თაობას თავისუფლებამ მეტი სივრცე, განვითარების მეტი საშუალება მოუტანა, თუმცა **დღეს ნამდვილად არ არის საქართველოში სიტუაცია, როცა ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას ეძლევა თვითრეალიზების საშუალება.** უპირველესად კი იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებას არ ჰქონდა ამის პოლიტიკური ნება, ვინაიდან ისინი უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანების პოლიტიკურ გემოვნებას, ვიდრე ნიჭს. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ჩემი მეგობრის ამბავი, რომელმაც სწორედ საკუთარი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით მიაღწია წარმატებას და ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში დაიწყო მუშაობა, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ეს ახალგაზრდა „ნაცმოძრაობას“ არ უჭერდა მხარს და, უბრალოდ, გაათავისუფლეს სამსახურიდან. დღეს ჩემი მეგობარი საქართველოდან წასულია და ამერიკის შეერთებულ შტატებში, საკმაოდ სერიოზულ კერძო სტრუქტურაში მუშაობს.

**— ედუარდ შევარდნაძე და მისი გუნდი აცხადებდა, რომ საქართველოს გეოსტრატეგიული როლი და ფუნქცია მიუჩინეს თანამედროვე მსოფლიოში, მიხეილ სააკაშვილმა ახალი მითი — ტურისტული სამოთხე შემოგვთავაზა, რომელიც, თუ მოვლენების განვითარებას დავუკვირდებით, სავარაუდოდ, ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას ისახავდა მიზნად. ამას ემატება ისიც, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების დიდი ნაწილი უცხოეთში ეძებს თავშესაფარს. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?**

— საბედნიეროდ, ვერ დაგეთანხმებით, რომ ერს გადაშენება ემუქრება. ვფიქრობ,

## «უამრავი პროგრესული და ნიჭიერი ახალგაზრდა წავიდა საქართველოდან და სხვა ქვეყანაში დაიწყო მოღვაწეობა»

დღეს ქართველი ერი ასეთ სავალალო სიტუაცუაში არ არის, თუმცა, **წინა ხელისუფლება რომ ქართველი ხალხის მომსახურე პერსონალად გადაქცევას ცდილობდა, ნათლად ჩანდა. უამრავი პროგრესული და ნიჭიერი ახალგაზრდა სწორედ ამიტომ წავიდა საქართველოდან და სხვა ქვეყანაში დაიწყო მოღვაწეობა. არადა, მათი ნიჭის გამოყენება საქართველოს ნამდვილად წაადგებოდა.** მე პირადად, გამოსავალს ეკონომიკურ აღმავლობაში ვხედავ, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, რაც მეტ ახალგაზრდას მისცემს საშუალებას, თავისი პროფესიით საკუთარ ქვეყანაში დასაქმდეს, რაც საბოლოო ჯამში ქართველების სხვა ქვეყნებში გადინების პროცესს შეაჩერებს და პირიქით — ემიგრანტები მასობრივად დაიწყებენ ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებას.

**— ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ორიენტირებიც შეიცვალა. რუსეთის მაგივრად საქართველომ დასავლურ-ევროპული განვითარების კურსი აირჩია, თუმცა ბოლო წლებში ამ საკითხშიც გულაცრუება შეინიშნება, ვინაიდან ორი ათეული წელიწადია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უცხო ქვეყნების მორჩილი მარიონეტის როლს ვერ გასცდა. რამ განაპირობა ეს და ქვეყნის განვითარების სწორ გზად რა მიგაჩნიათ? როგორ საქართველოში ისურვებთ ცხოვრებას?**

— მიმაჩნია, რომ **სააკაშვილის ხელისუფლებამ არა პარტნიორის, არამედ მონის კურსი აირჩია, რაც გულისხმობს იმას, რომ დასავლეთის ქვეყნებს ეთანხმებოდნენ ყველგან და ყველაფერში, სანაცვლოდ კი მინიმალურს ან სულაც ვერაფერს იღებდნენ.** ჩემი აზრით, პარტნიორობა ორმაგ ინტერესს გულისხმობს, რაც არ უნდა დიდ ქვეყანასთან გვქონდეს საქმე, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ავირჩიოთ კურსი, რომელიც ჩვენი ინტერესების დაკარგვას გულისხმობს.

ქვეყნის განვითარების სწორ გზად, ცხადია, ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია მიმაჩნია, რაც, ჩემი აზრით, დღეს სრულიად რეალურია. სააკაშვილის მთავრობა უკვე აღარ არის სათავეში და მიმაჩნია, რომ დღეს საქართველოს რეალურად პროდასავლური ხელისუფლება ჰყავს.

**— ლამის მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე თაობათა ბრძოლა გამუდმებით მიმდინარეობს. დღესაც ახალგაზრდებს ხშირად საყვედურობენ, რომ ფასეულობები დაიკარგა. რა ღირებულებები აქვს ახალ თაობას, რა არის თანამედროვე „აიფონის თაობის“ ცხოვრებისეული პრიორიტეტები?**

— რა თქმა უნდა, ეს საყვედურები ხშირ შემთხვევაში მართებულია და, სამწუხაროდ, გარკვეული მნიშვნელოვანი ფასეულობები რეალურად დაკარგა ჩვენმა თაობამ, თუნდაც ქართული ტრადიციები რომ მოვიყვანოთ მაგალითად. **ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდების საქილიკო სწორედ ის ტრადიციები ხდება, რომლებიც ქართველებისთვის, როგორც ერისთვის, ერთ დროს საამაყო იყო,** თუმცა გარკვეული ტრადიციებისა და ღირებულებების უკანა პლანზე გადასვლა, მსოფლიო გლობალიზაციის კვალდაკვალ, ჩემი აზრით, გარდაუვალია.

მე მაინც მიმაჩნია, რომ **ჩვენი თაობის უპირველესი პრიორიტეტი თავისუფლებაა და ყველაფერი დანარჩენი სწორედ ამ თავისუფლებიდან გამომდინარეობს.**

**— ბოლო წლების მანძილზე დაინერგა ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც აქილიკებს ყოველივე ეროვნულს, დრომოჭმულ არქაულ გადმონაშთად წარმოაჩენს ჩვენს ტრადიციებს. პარალელურ რეჟიმში კი ხდება „თავისუფალი ცხოვრების“ პროპაგანდა, რომელსაც თან ახლავს დაუფარავად აგრესიული შეტევები რელიგიასა თუ ეროვნულ წეს-ჩვეულებებზე, როგორია თქვენი, ახალგაზრდების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

— სამწუხაროდ, ისევ **წინა ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ ევროპელობა და პროდასავლურობა ბევრ ახალგაზრდას არასწორი ცხოვრების წესად მიაჩნდა. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი უნდა ცხოვრობდეს თავისუფლად და აკეთებდეს იმას, რაც მას თავად მიაჩნია სწორად, თუმცა არსებობს გარკვეული ზღვარი, რომელსაც არავინ არ უნდა გადააბიჯოს, თუნდაც რელიგიური საკითხი ავიღოთ.** თუ დააკვირდებით, ამ ბოლო დროს ახალგაზრდებში მასობრივად შეინიშნება „გაათეისტება“, ანუ ისინი არ ცნობენ მართლმადიდებლობას და ამბობენ, რომ არიან ათეისტები. თუმცა ისინი ვერც აცნობიერებენ, რა არის ათეიზმი და ჰგონიათ, რომ ეს უკანასკნელი სხვა რელიგიური ან სხვა სასულიერო პირების შეურაცხყოფას გულისხმობს, რაც, თავისთავად ცხადია, ასე არ არის. ჩემი აზრით, რელიგიის მიმართ ახალგაზრდების არასწორი დამოკიდებულება წინა ხელისუფლების ე. წ. ლიბერტარიანული ფრთის წევრების აქტიური მუშაობით ჩამოყალიბდა, თუმცა ყველაფერს მათ ვერ დავაბრალებთ, რადგან ახალგაზრდა იზრდება, უპირველესად კი, ოჯახის ტრადიციებსა და ადათ-წესებს ითვისებს.

**— საბჭოთა პერიოდში ბევრი ტაბუდადებული თემა იყო, დღევანდელი ახალგაზრდები გაცილებით თავისუფლები და გახსნილები არიან. არის თემები დღევანდელი ახალგაზრდობისთვის, რაზეც ხმამაღლა არასდროს საუბრობთ?**

— ნამდვილად არ ვიცი, რა ხდება ზოგადად ამ კუთხით ახალგაზრდობაში, თუმცა არ მახსენდება არც ერთი თემა, რომელზეც ჩემს სამეგობრო წრეში არ მისაუბრია ან, რომ მომინდეს, ვერ ვისაუბრებ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენთვის ტაბუდადებული თემა არ არსებობს.

**— ასაკის მიუხედავად, პოლიტიკურად აქტიური ადამიანი ხართ, როგორ წარმოგიდგენიათ, რას გააკეთებდით და როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება, საბჭოთა კავშირის დროს რომ დაბადებულიყავით?**

— მიმაჩნია, რომ, თუ 18 წლის ადამიანს აქვს უფლება, რომ მივიდეს არჩევნებზე და ამ გზით გადაწყვიტოს საკუთარი ქვეყნის ბედი, მას აქვს იმის უფლებაც, რომ იყოს პოლიტიკურად აქტიური, და ეს სწორად მიმაჩნია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახალგაზრდობა არის ძალა, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები უკეთესობისკენ შეატრიალოს. ჩემ მიერ არჩეული პროფესია ერთგვარად პოლიტიკასთან არის კავშირში და არც ჩემი აქტიური ხასიათი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩემს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გარედან ვუყურო. საბჭოთა კავშირის დროს რას ვიზამდი, ამაზე არ მიფიქრია, თუმცა, ალბათ, იმ პერიოდშიც პოლიტიკურად აქტიური ვიქნებოდი და საბოლოო ჯამში ციხეში ამოვყოფდი თავს ან ვეცდებოდი, საბჭოთა კავშირის სივრციდან გამეღწია და სხვა ქვეყანაში მეცხოვრა.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ ბიოლის ფონდი გამხდარა ქართველი პედერასტების თავშეყრის ადგილი, სადაც გასულ კვირას გაიმართა ფილმის ჩვენება ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ**

# ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა...

**პირველად თბილისში ბიოლის ფონდის არსებობის შესახებ ა. წ. მაისში შევიტყვე — სწორედ იქ გაიმართა მაშინ ქართველი ლგბტ ჩვენებურად, ანუ უფრო გასაგებ ენაზე, პედერასტების სახელდახელო „სხოდკა“ და მეორე დღეს, 17 მაისს, გეი-პარადის ჩატარებაც დაუთქვამთ... რატომ ასეთი ფორსმაჟორული ფართხი-ფურთხი? იმიტომ, რომ წარსულის „მწარე გამოცდილებამ“ ასწავლათ — რამდენჯერაც წინასწარ დაუანონსეს ქართველ საზოგადოებას მოსალოდნელი გეი-პარადის დრო და ადგილი, იმდენჯერ მოესწრო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, მართლმადიდებელმა ეკლესიამაც გამოხატა ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება სოდომის ცოდვის პროპაგანდის მიმართ და ამიტომ, გასულ მაისამდე ვერც ერთხელ აასრულეს დანაქადები.**



იმ ვარდობის თვეს კი საზოგადოებას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა პედერასტების განაზრახზე და სცადეს კიდეც აღლუმის გამართვა. თუმცა რაღა სცადეს?! მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გამზირი ბოლომდე ვერ ჩაიარეს, რადგანაც კინოს სახლთან „დაატორმუზეს“ აზრზე მოსულმა გამვლელ-გამომვლელებმა, შეიძლება ითქვას, ფილარმონიასთან დაწყებული გეიპარადი ასე თუ ისე მაინც შედგა!

თუნდაც იმიტომ, რომ ზემელზე „დარბეულ“ პედერასტებს მეორე დღესვე გამოუცხადა სოლიდარობა თბილისში აკრედიტებული დიპკორპუსის ლიბერასტულმა ნაწილმა, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ პედერასტებთან ერთად, რუსთაველზე მაშინ ჯერ კიდევ პარლამენტის შენობის წინ, მანიფესტაციაში მონაწილეობის სახით...

„ჰაინრიხ ფიოდორ ბიოლი (დ. 21 დეკემბერი, 1917 — გ. 16 იანვარი, 1985) — გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ვილჰელმ კაიზერის გიმნაზიის დასრულების შემდგომ ჯერ დურგლად მუშაობდა, მერე — წიგნების მაღაზიაში. ლექსებსა და მოთხრობებს სკოლაშივე წერდა. 1930 წელს კელნის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. შემოდგომაზე კი მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს. ჯერ საფრანგეთში იბრძოდა, მერე უკრაინის ფრონტზე. ომის დროს, 1942 წელს, იქორწინა ანა-მარია ჩეხზე, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა. 1945 წელს ამერიკელებს ტყვედ ჩაუვარდა. დურგლობა ტყვეობის შემდგომაც გაიხსენა, თუმცა კი მალე კელნის უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მისი ნაწარმოებები 1947 წლიდან იბეჭდება და ამ დროიდანვე პოპულარული ხდება. წლების განმავლობაში დასავლეთ ევროპის მწერალთა გაერთიანების — პენკლუბის დამჯდომარე იყო. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი თავგამოდებით აკრიტიკებდა ყოველგვარ ძალადობას, განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა დევნილთა პრობლემებს. საქართველოს ორჯერ ესტუმრა — 1966 და 1972 წლებში“.

ამ ე. წ. ვიკიპედიიდან არაფერი მიანიშნებს ნობელიანტი მწერლის არატრადიციულ სექსულაურ ორიენტაციაზე (თუმცა ვინ იცის!), რისი „გონივრული ეჭვი“ გამიჩნდა იმის გამო, რომ სწორედ ბიოლის ფონდი გამხდარა ქართველი პედერასტების თავშეყრის ადგილი, სადაც გასულ კვირას რედაქტორის დავალებით მივედი — ე, ბიჭო, რაღაც ფილმის ჩვენება იქნება ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ და ნახე, ვინ იქნებიან ე. წ. ცნობადი სახეებიდან, ერთი სიტყვით, იქნებ რამე სტატია გააკეთო, დასწრება თავისუფალიაო. ჰოდა, მეც წავედი და ზოვრეთის ქუჩის №38-ში მდებარე სამსართულიან ფეშენებელურ (?!) აპარტამენტებს მივადექი...

თავიდან ხალვათობა იყო, ერთი-ორი ბიჭად გადაცმული გოგოს (თუ პირიქით) მეტი ვერავინ დავლანდე და „პრემიერის“ მოლოდინში კედელზე გაკრული სტენდების თვალიერება დავიწყე, სტენდების, რომელზეც ბიოლის საქართველოში სტუმრობის ამსახველი მომენტები იყო: ჰაინრიხ ბიოლი სტუმრად ლადო გუდიაშვილთან, პოეტ იოსებ ნონეშვილთან და, როგორც წესი, ამ ფოტოებზე გერმანელი სტუმრის მთავარი მასპინძელი, ბრწყინვალე გერმანისტი, ნოდარ კაკაბაძე — რისი თქმა უნდათ ამ სტენდებით, აი, ნახეთ, როგორ დიდ ქართველებთან მეგობრობდა ჰერ ჰაინრიხი, დღეს ისინი რომ ცოცხლები იყვნენ, ქართველ პედერასტებს გვერდით დაგვიდგებოდნენო?!

ვერაფერი არგუმენტია, იმის მიუხედავადაც კი, რომ ბატონი ნოდარის ძმისწული, ნინია კაკაბაძე, მართლაც გვერდით უდგას „დედალ-მამალ“ პედერასტებს იქამდეც კი, რომ სოლიდარულად აცხადებს — ჩემი ვაჟი რომ გათხოვდეს, პატივს ვცემ მის არჩევანსო!..

რას იზამ, ეს ის შემთხვევაა, როცა „ერთი მახინჯი შეიძლება ყველა ოჯახში გამოერიოს“, მათ შორის ცხონებული ნოდარ კაკაბაძისა და დიდი ჭაბუას ოჯახებშიც — პირველი, ბიძა, ალბათ, საფლავში

**«გონივრული ეჭვი» არსებობს იმისა, რომ სწორედ ახლა გააქტიურდებიან და პარადების სალერღელი აეშლებათ, რადგან იქნებ ვინმემ დაარბიოს (ასეც იქნება, ალბათ), რაზეც ახალ ხელისუფლებას, მიუხედავად მისი სიჭრელისა, დასავლეთის მოსაწონი რეაქცია ვერ და არ ექნება! ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...**

ბორგავს და მეორეს სააქაოში მოეწამლა სიბერე ნინიას ამგვარი გამონათქვამებისა და აქედან გამომდინარე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ გამოხდომების გამო...

ამასობაში ლგბტ პედარასტები თუ მათი გულშემატკივარი ახალგაზრდებიც მოქუჩნდნენ და ფილმის ჩვენებაც დაიწყო.

ჰოდა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — სწორედ იმ, წერილის თავში ნახსენები, 17 მაისს გამართული გეი-პარადის ამსახველი, ჩემთვის კარგად ნაცნობი კადრებით, არა იმიტომ, რომ მრავალჯერ მქონდა ნანახი, არამედ იმიტომ, რომ იმ „აზრზე მოსულ გამვლელ-გამომვლელებში“, რომლებიც წინ გადაეღობნენ „დომ კინოსთან“ პარადს, ერთ-ერთი მეც გახლდით. უფრო სწორად, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ბიჭებთან ერთად, მე და სოსო მანჯავიძე ვიყავით იმ აღლუმის „დატორმუზების“ მთავარი ფიგურანტები! იქამდე, რომ მეორე დღეს სიმბოლურად, მაგრამ მაინც დასაჯეს სოსო მანჯავიძე 100-ლარიანი ჯარიმით მსუბუქი ალიყურისთვის, რომელიც მამაშვილურად „აჭამა“ ერთ პედერასტს, რომელიც პატრულს უხმობდა თქვენი მონამორჩილის დასაპატიმრებლად, რომელმაც „სისხლიც დავღვარე“ (თითი შევახიე რა ტრანსპარანტის ლურსმანს, რომელიც „შენც გაფერადდიო“ მომიწოდებდა)...

**ჰოდა, როდესაც ეკრანზე წამით გაიელვა ჩემმა გამოსახულებამ, თავი ქისტეთში შეპარულ ზვიადაურივით ვიგრძენი. ვიფიქრე, სოსოს რა ენაღვლება, ზის ახლა არხეინად „ობიექტივში“ და მე რა ვქნა, ის კადრებიც რომ გამოჩნდეს, რომლებშიც „საპოჟნიკივით“ ვიგინებ და შემდეგ გასისხლიანებული ხელით ინტერვიუს ვაძლევ, რომ მიცნოს ვინმემ, როგორც ზვიადაური — მუსამ, ხომ დავიღუპე ძირიან-ფესვიანად-მეთქი და ჩაბნელებულ დარბაზში უჩუმრად პირჯვარი გადავიწერე...**

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ეკრანზე არც მე და არც სოსო მანჯავიძე რაიმე „კომპრომატში“ აღარ გამოვჩენილვართ, თორემ გადაწყვეტილი მქონდა, „გაშიფრვის“ შემთხვევაში, ზვიადაურივით „ძაღლ იყოს“ მეთქვა ხმამაღლა და...

აი, ამიტომ „საუბედუროდ“, რადგან იმას მაინც ხომ იტყოდა ცხონებული დედაჩემი იმ ქვეყნად — ერთი შვილ მაინც გავზარდე გეებთან მეომარია და ეს ხომ ერთ რამედა ღირს?..

მაგრამ, მოდით, გვეყოფა ლადაობა და ფილმს დავუბრუნდეთ, რომლის სიუჟეტიც მარტივი იყო — იმ გეიპარადის ფონზე შიგადაშიგ საკუთარ თავზე „გულისამაჩუყებლად“ ორი ახალგაზრდა პედერასტი და ერთი „ლეზბიანკა“ საუბრობდნენ, ოღონდაც დედლები იყვნენ თუ მამალები, ამაზე არაფერი უთქვამთ. სამაგიეროდ იმაზე მოთქვამდნენ, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისიც აღიარეს, რომ მათ უფლებას კურტუმოების ქნევაზე არავინ ზრუდავს, მაგრამ არაო, ეგ აღარ გვაკმაყოფილებს და დროა ქართველმა საზოგადოებამაც სიყვარულით გვიყუროს, თორემ რას იტყვის ევროპა-ამერიკაო და ა. შ. ნაცნობი პედერასტული ლირიკა...

**ქამინგაუტი...**

აბა, ვინ გამოიცნობს, რას ნიშნავს ეს სიტყვა? ვიცი, ჯერ „კოაბიტაცია“ ვერ მოგვინელებია და ამიტომ აღარ გაწვალებთ და გეტყვით, რომ „ქამინგაუტი“ თურმე იმას ნიშნავს, როდესაც პედერასტი გადაწყვეტს „ჩრდილიდან გამოსვლას“ და საკუთარ ახლობლებს თუ ნაცნობებს ამაყად განუცხადებს — მე პედერასტი ვარ!

ჰოდა, ეს სიტყვა, როგორც ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ პირში „კოაბიტაცია“, ასევე ხშირად ისმოდა პედერასტების პირებიდანაც, რომელთაგან ერთ, სიმწრის ღიმილის მომგვრელ მაგალითს მოვიყვან:

ერთმა ჯეელმა, მეო, ბებიაჩემს გავუკეთე (ზუსტად ასე თქვა) ქამინგაუტიო. მისმინა ბებომ, მისმინა და მერე მითხრაო — შვილო, ეგ კარგი, მაგრამ ცოლი როდის უნდა მოიყვანოო? რასაც, სიმწრის კი არა, ირონიული სიცილ-კისკისი მოჰყვა დარბაზში, საწყალი ბებოს გაუნათლებლობის გამო.

არც იმის გამო ყოფილა დარბაზში სინანულის რეაქცია, როდესაც იგივე ჯეელმა აღიარა — ქამინგაუტი არ უნდა გამეკეთებინა ბებიაჩემისთვის, რადგანაც ამის შემდეგ მალევე გაუსკდა გული და მიიცვალაო...

სხვებისთვის, მშობლებძმაკაცებისთვის გაკეთებული ქამინგაუტები ლეტალური შედეგებით არ დამთავრებულა — რას იზამს მამაჩემი, შვილი ვარ და რა უნდა ქნას, ხომ არ მომკლავსო და ძმაკაცებმა ერთი კი მისაყვედურეს, ეგ რა გვიქენი ბიჭოო, მაგრამ დღესაც ვძმაკაცობთო!..

ბათუმში 2 წლის წინ დაგეგმილი გეიპარადიც გაიხსენეს ფილმის გმირებმა — ტყუილი იყო ეგ ამბავი, არაფერი დაგვიგეგმავსო და **ბათუმის ქუჩებში გამოსული სამღვდელოების კადრებს, რომლებიც „მამაო ჩვენოს“ კითხულობდნენ და ლიტანიობდნენ, დარბაზმა აშკარად გამოხატული აგრესიული რეაქციით უპასუხა. ისევე, როგორც ყველა კადრს, რომლებზეც ჩვენი „ჩამორჩენილ-გაუნათლებელი“ სამღვდელოება გამოჩნდებოდა.**

ჩვენო, მართალია, პედერასტები ვართ, მაგრამ მაშინ, 2010-ში ბათუმში რა დროს პარადი იყო, რუსეთ-საქართველოს ომი ხომ ახალი მომხდარი იყო, პატრიოტობაც დაიჩემეს?!

ჰოდა, ახლაც, მართალია ომი „კაი ხნის“ ჩავლილია, მაგრამ, კობა დავითაშვილის პრეზერვატივების არ იყოს, რა დროს „ქამინგაუტებია“, არჩევნები ახალი ჩავლილია და ქვეყანა ფეხზეა დასაყენებელი. აი, ჯერ „ნაცები“ გავუშვათ ბოლომდე და მერე, ოღონდაც ბებია-ბაბუებს თავი დაანებეთ, მაინც ცოდოები არიან და ერთმანეთს, რამდენიც გენებოთ, იმდენი „ექამინგაუტეთ“ — სიყვარულს ვერა, მაგრამ უვნებელ კოაბიტაციას (როგორც იტყვიან, ჩვენ — ჩვენი „კრუგი“ და თქვენ — თქვენი) ნაღდად გპირდებით, ქართველო პედერასტებო!

თუმცა **„გონივრული ეჭვი“ არსებობს იმისა, რომ სწორედ ახლა გააქტიურდებიან და პარადების სალერღელი აეშლებათ, რადგან იქნებ ვინმემ დაარბიოს (ასეც იქნება, ალბათ), რაზეც ახალ ხელისუფლებას, მიუხედავად მისი სიჭრელისა, დასავლეთის მოსაწონი რეაქცია ვერ და არ ექნება! ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით** (ისევე, როგორც არ მოსწონთ „ქართული ოცნების“ პასიურობა ე. წ. რელიგიური უმცირესობების ვითომდაც უფლებების დარღვევის მიმართ), რაც მორიგი „შეშფოთების“ საბაბს მისცემს ჩვენს „დასავლელ მეგობრებს“ — „ნაცების“ ფაშისტური ბანდის ნარჩენებს, ხლისტებისა და პედერასტების გარდა, რეალურად ხომ აღარავინ უჭერს მხარს!..

**დავით მხეიძე**

**„კანონის უზენაესობა მარტო ის არ არის, რომ ქაღალდზე ეწეროს, არამედ ყველა უნდა ექვემდებარებოდეს. ესაა დემოკრატია, სხვა კი არაფერი. პატივს სცემენ სამართალს და ისჯება: თუ პრეზიდენტმა დააშავა — პრეზიდენტი, თუ პრემიერ-მინისტრმა — პრემიერ-მინისტრი... აი, ეს თუ არ დამკვიდრდა აქ, ვერაფერს მივაღწევთ, მაგრამ დღეს საზოგადოებაა ავად და ჯერ საზოგადოებას სჭირდება განკურნება.“**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### მამა მიქაელი (მეკრავიშვილი):

# თუ ვინმე დასასჯელია, დაისჯება!



**მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მღვდელი მიქაელი (მეკრავიშვილი).**

**— მამაო მიქაელ, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ანტირელიგიურმა და კერძოდ ანტიმართლმადიდებლურმა კამპანიამ იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ მთელი რიგი ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფაქტობრივად, ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ამ საქმეში. 1 ოქტომბერს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეული ცვლილება მოხდა. როგორ ფიქრობთ, რა ფორმით აისახება ეს საზოგადოების განწყობაზე, მოტივაციასა და დამოკიდებულებაზე იმ რეალობისადმი, გამოწვევებისადმი, რომელთა წინაშეც დღეს დადგა ჩვენი ქვეყანა.**

— მოდი, ცოტა იმედიანად შევხედოთ იმ მოვლენებს, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოებაში და პოლიტიკურ ჭრილში, იმიტომ, რომ ადამიანი, რაც უნდა ხდებოდეს, ყოველთვის იმედით ცოცხლობს. ჩვენ შეიძლება რაღაც არ მოგვწონს, რაღაც მიუღებელია, მაგრამ ის რწმენა, რომელიც ჩასახულია ჩვენში, გვანიჭებს ოპტიმიზმს და გვაძლიერებს. კი, რა თქმა უნდა, იყო უამრავი შეცდომა, იყო უსამართლობა და საშინელებები ხდებოდა. გვახსოვს, როგორ ეპყრობოდნენ ტაძრებს, იმავე სასულიერო პირებსაც, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, თუკი ადამიანი ამას არ ეთანხმება. თქვენ კამპანია ახსენეთ, პროპაგანდას ძალა მაშინ აქვს, როცა ის ხალხზე, მაპატიეთ, მასაზე მოქმედებს. ამიტომ, **თავისთავად, ყველაზე დიდი უბედურება ის კი არაა, არის თუ არა რამე ცუდის პროპაგანდა, უბედურებაა, როცა იგი აბინძურებს და, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი, ანაგვიანებს ერს სულიერად.** მგონი, ამ თვალსაზრისით ქართველმა ხალხმა გაუძლო განსაცდელს და დღეს ეს ყველაფერი ჩანს. რაც შეეხება ისევ შეცდომებს, მე, როგორც სასულიერო პირს, ძალიან მინდა, რომ იმ ადამიანებში, რომლებსაც ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი, გაიღვიძოს კეთილმა ნებამ. იმ დამოკიდებულებამ, რომელიც თვითეულ ჩვენგანს მოეთხოვება, რომ ვიყოთ საკუთარ თავთან და უფალთან მართლები, რომ სინდისის მომენტი იყოს წინა პლანზე...

**— ჯერჯერობით არ გვინახავს არც ერთი ცნობილი თუ სავარაუდო დამნაშავე, რომელსაც სინდისის ქენჯნა აწუხებდა.**

— ყველაფერს აქვს დრო... დღეს საზოგადოება დაძაბულია. დაუკვირდით, რა მომენტია: ხალხი ორადაა გახლეჩილი; და მე ვფიქრობ, მარტო ორად კი არა, რამდენიმე პატარ-პატარა ნაკუწად. **ჯერ გამთლიანება გვჭირდება, ერთ იდეაში, ერთ ყალიბში მოქცევა, რომ ერი სულიერად შეიკრას. რა თქმა უნდა, ამას ითავებს ეკლესია და ის იქონიებს გავლენას ყველაფერზე — იქნება კულტურა, განათლება, ჯარი თუ სხვა მიმართულებები.** რწმენას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. თუ შენ, რასაც ქადაგებ, თვითონაც არ გჯერა, სხვას ვერ დაარწმუნებ. მე არ ვამბობ მარტო სასულიერო პირზე, მხედველობაში მყავს პოლიტიკოსებიც. აქედან გამომდინარე, ტყუილი ყოველთვის გამოაშკარავდება... ტყუილი ყოველთვის ინგრევა.

ქრისტე ამბობს: „უარყავ თავი თვისი, აიღე ჯვარი და გამომყევი მე“. ჯერ ჩვენ თავის უარყოფა არ გვისწავლია, მერე ჯვრის აღება და მერე იმის კვალზე სიარული, ამიტომ გასავლელი და სასწავლი ბევრი გვაქვს.

**— ერის სულიერი ერთიანობა ახსენეთ, სოლიდარობის ნაკლებობა, რომელსაც ხშირად უჩიოდნენ და დღესაც უჩივიან ჩვენს საზოგადოებაში, ალბათ, იმ დაქსაქსულობის ნაწილია.**

— რა თქმა უნდა. მოდი, თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავთან ვიყოთ მართლები. ვართ გულწრფელები? იქნებ ჩვენც ვეხმარებოდით იმ ხელისუფლებას? იქნებ ისეთ რამეს ვაკეთებდით, რაც არ უნდა გაგვეკეთებინა? აი, შედეგიც... არ არსებობს ხალხი, რომელიც თავისი ხელისუფლების ღირსი არ არის. ჩვენც ამის ღირსი ვიყავით, მაგრამ ახლა მოვიდა ჟამი... სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ამას ხშირად ამბობს: არის ჟამი ქვების შეგროვებისა, არის გაბნევისაო. **ვფიქრობ, ახლა სიმართლის დროა და, როგორც გითხარით, თვალი უნდა გავუსწოროთ ამ სიმართლეს, რაოდენ მწარეც უნდა იყოს, რაოდენ რთული და მძიმე სალიარებელი ბევრისთვის.**

**— გასაგებია, რა ცვლილებებიც მოხდა, მაგრამ კონკრეტულად რა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ გამთლიანების ჟამია და არა გაბნევის?**

— შევხედოთ ისევ დღევანდელ ვითარებას, კი, საზოგადოება გახლეჩილია, არის დაქსაქსულობის მომენტიც, მაგრამ, წინანდელთან შედარებით, ხალხი უფრო იმედიანადაა. ყველა ფენაში მოხდა რაღაც ძვრა, ანუ შიში აღარ აქვთ, რაც ყველას ბოჭავდა. ზოგს ეშინოდა, რომ სამსახურიდან გააგდებდნენ, ზოგი ოჯახის წევრებს უფრთხილდებოდა. წარმოიდგინეთ, იყო შემთხვევები, როცა მოდიოდა ხალხი და ამბობდა, მე ამაზე ვერ ვისაუბრებ, იმიტომ, რომ ჩემი ტელეფონი ისმინება; იმიტომ, რომ ვიღაც მითვალთვალებს და ა. შ. შეიძლება, არც არავინ უსმენდა და უთვალთვალებდა, მაგრამ ტოტალური შიში იყო ადამიანების ფსიქიკაში გამჯდარი. ახლა პირიქითაა, რაღაცნაირი სიმშვიდე შემოვიდა, გაჩერდა, შეწყდა ეს ყველაფერი და პროცესები იცვლება; კიდევ ვიმეორებ, დავუკვირდეთ ყველანი ჩვენს თავს. ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა, მხოლოდ ესაა, დრო გვჭირდება. **ჩვენ ვხედავთ, ახლა რაც ხდება წინა ხელისუფლების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, დაკავებებს ვგულისხმობ. საზოგადოება ამას სხვადასხვანაირად აღიქვამს, ვიღაცას უხარია, ვიღაც არ ეთანხმება, მაგრამ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, არც ერთ მხარეს არ უნდა დავდგეთ; უბრალოდ, ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: თუ ვინმე დასასჯელია, დაისჯება.** კანონის უზენაესობა მარტო ის არ არის, რომ ქაღალდზე ეწეროს, არამედ ყველა უნდა ექვემდებარებოდეს. ესაა დემოკრატია, სხვა არაფერი. პატივს სცემენ სამართალს და ისჯება: თუ პრეზიდენტმა დააშავა — პრეზიდენტი, თუ პრემიერ-მინისტრმა — პრემიერ-მინისტრი... აი, ეს თუ არ დამკვიდრდა აქ, ვერაფერს მივაღწევთ, მაგრამ დღეს საზოგადოებაა ავად და ჯერ საზოგადოებას სჭირდება განკურნება.

**— რამდენიმე დღის წინ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც შემდეგნაირია: რელიგიურ მსახურებას ყოველდღიურად არავინ ესწრება, 5% — კვირაში ერთზე მეტჯერ, 10% — კვირაში ერთხელ, 22% — თვეში ერთხელ მაინც, 23% — მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე, 29% — უფრო იშვიათად და 10% — არასოდეს. დღეს, როცა საუბარია გამთლიანებასა და გაძლიერებაზე, ეკლესიის მეთაურობით, ხომ არ აჩენს გარკვეულ ეჭვებს თუნდაც ეს კვლევა, იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი წინა ხელისუფლების პროპაგანდამ უკვე გაუყენა სულიერებისგან დაცლის, დაკნინების გზას?**

— მესმის თქვენი კითხვის არსი, მაგრამ მე, ამ შემთხვევაში, მაინტერესებს, ვისთან, რა კატეგორიის ხალხთან ჩატარდა ეს გამოკითხვა. სად იდგნენ: ტაძართან თუ კაზინოსთან?! ეგეთი რამ პირველად მესმის. არ ვიცი, რას ეფუძნებოდა ის გამოკითხვა. მათ, როგორც ჩანს, არ იციან საქართველოში მართლმადიდებლობის მნიშვნელობა.

## «ჯერ ჩვენ თავის უარყოფა არ გვისწავლია, მერე — ჯვრის აღება და მის კვალზე სიარული»

**— „ენდიაი“ მსოფლიო მასშტაბით გავლენიანი ორგანიზაციაა. ფიქრობთ, რომ კვლევა, შესაძლოა, საკითხის საფუძვლიანად შესწავლის გარეშე ჩატარდა?**

— მაშინ რა გამოდის, მიზანმიმართულად კეთდება ეს ყველაფერი? არც ესაა უსაფუძვლო ეჭვი. ადამიანი, საერთოდ, მიმბაძველია როგორც ცუდის, ისე კარგის. აქედან გამომდინარე, ვამბობ, ეს კვლევაც სწორედ იქით ხომ არაა მიმართული, რომ ვიღაცაზე რაღაც გავლენა იქონიოს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, **მსგავსი კვლევების არ მჯერა და არ ვენდობი, იმიტომ, რომ ხალხის განწყობა ძალიან კარგად ჩანს. ამას თითოეული ჩვენგანი, თუ დავაკვირდებით, უკეთ დაინახავს და აწონ-დაწონის,** ვიდრე ნებისმიერი კვლევითი ორგანიზაცია.

**— დასაწყისში აღნიშნეთ, რომ დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა კანონის უზენაესობა. ეს ცხადია, მაგრამ კანონი დანაშაულის დასჯასაც გულისხმობს. რატომღაც ძალიან მტკივნეულად და ჩვენთვისვე საფრთხის შემცველად აღიქვამს დღეს დასავლეთი, განსაკუთრებით კი — ამერიკა, აქ მიმდინარე სამართლებრივ პროცესს. რატომ, როგორ ფიქრობთ?**

— აქ ერთი მომენტიცაა, გააჩნია, როგორ მიაწვდი თვითონ პროცესის მიმდინარეობას, ინფორმაციას. **ყველამ კარგად ვიცით, რა ხდებოდა საქართველოში. ეს დამალული არავისთვის ყოფილა, რაც შეეხება დასავლეთს, ნუთუ მათთვის იყო დაფარული და ხელმიუწვდომელი ეს ყველაფერი?! მათი ელჩები ხომ არიან აქ? მთელი რიგი ინსტიტუტებია და კვლევებს ატარებენ, ამას ვერ ხედავდნენ?! დაკავებები რომაა, ეს ხომ უკანონოდ არ ხდება?** ამაზე პრესაშიც იწერება, ტელევიზიაშიც, რადიოც აცხადებს. თვითონ პროკურორი ყოველ დაპატიმრებაზე პრესკონფერენციას ატარებს, რომ პროცესი გამჭვირვალე იყოს. მეტი რაღა უნდათ?!

**— ყველაფრის მიუხედავად, ისინი ხედავენ საფრთხეს, რომ მიმდინარე დაპატიმრებები პოლიტიკური ნიშნით ხდება და არა წმინდა სამართლებრივი პრინციპებით.**

— ჰოდა, ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია. ჩემი აზრით, მათ ინფორმაცია არ აკლიათ, არც ხელისუფლების მხრიდან და არც, სხვათა შორის, მათ მიერვე მოპოვებული. ერთ მარტივ მაგალითს გეტყვით, ახლახან ზუგდიდში რომ იყო გამოსვლები არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, იქ ამერიკის ელჩი პირადად მონაწილეობდა ხალხის დაწყნარებაში, ანუ ის უშუალო მონაწილე იყო ამ ყველაფრის. გამოდის, მან ყველაფერი იცის აქ მიმდინარე პროცესებზე. დანარჩენი თავად განსაჯეთ, მიდის თუ არა ობიექტური ინფორმაცია საელჩოდან.

**— ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება დაისახა. ჯერჯერობით, ალბათ, რაიმე პერსპექტივაზე და ავ-კარგზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ის მიდგომა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს ამ საკითხისადმი?**

— შოთა რუსთაველის სიტყვებით გიპასუხებთ: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ყველა მოყვარე უნდა იყოს შენი. **რუსეთი მეზობელია, ამხელა ქვეყანაა, კი, გვქონია ისტორიულად რთული ეტაპები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთი. გადავხედოთ ჩვენს განვლილ გზას, რა ურთიერთობა გვქონდა, გნებავთ, კულტურულ სფეროში, გნებავთ, ეკონომიკურში, სოციალურში და ა. შ. ვფიქრობ, ის ბევრად უფრო მომგებიანი პერიოდი იყო, ვიდრე ამჟამინდელი, როცა ორ ერს შორის, ფაქტობრივად, გაწყვეტილია ყველანაირი კონტაქტი.** ბუნებრივია, ძალიან ცუდია, რომ დღეს ჩვენ შორის განხეთქილებაა, მით უფრო ცუდია, რომ ხდება ისეთი საშინელი რამ, რასაც ვეძახით ტერიტორიების დაკარგვას, მაგრამ ეს ხომ არ არის მუდმივი მდგომარეობა? ჩემი აზრით, ესაა დროებითი მდგომარეობა, რომელიც ეტაპობრივად, ნელ-ნელა აუცილებლად გამოსწორდება და ქვეყნის ახალი ხლმძღვანელობა თუ ამას ხელს შეუწყობს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისასალმებელია.

**— ბევრს საქილიკოდ მიაჩნია ის თემა, რომ ერთმორწმუნეობა სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს ამ ურთიერთობების აღდგენაში. თქვენ როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში რა მნიშვნელობით შეიძლება განისაზღვროს რელიგიის როლი?**

— ერთმორწმუნეობა ყოველთვის დადებითი ფაქტორია. რაც უნდა და როგორც უნდა იყოს, ისიც ქრისტიანია და ჩვენც. მე არ ვამბობ, მაინცდამაინც დროშებითა და ზარზეიმით მივიღოთ ახლავე-მეთქი, უბრალოდ, ჩვენ შორის ურთიერთობაში წითელი ხაზი უნდა იყოს კომპრომისები და პატივისცემა. ცხადია, ამ ყველაფერს დრო უნდა, ამიტომ რაღაც ზედმეტი ილუზიები არ უნდა შევიქმნათ, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, **კეთილმეზობლობა თუ აღსდგება, ჩვენ ეს უფრო წაგვადგება. ნუ დაგვავიწყდება, რომ მარტო საქართველო არ ვითარდება, მათაც აქვთ ძალიან დიდი პროგრესი და იქაცაა დადებითი ძვრები. მოდი, იმ დადებითს მივაქციოთ დღეს მეტი ყურადღება, ვიდრე უარყოფითს. იქნებ ასე უფრო სწრაფად ამოივსოს ის უფსკრული, რომელიც დიდი ხნის წინ გაჩნდა.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რატომ არ უნდა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრს იმის გადაწყვეტის უფლება, რომ, ვთქვათ, დამნაშავე დასაჯოს? მთელმა საქართველომ ხომ ვიცით, იმ კონკრეტულმა პიროვნებამ რა ჩაიდინა, რა დააშავა? რისთვის გვყავს პროკურორი, რისთვისაა სასამართლო? რა, ამერიკამ უნდა გადაწყვიტოს, დამნაშავე უნდა დავიჭიროთ თუ არა?!“



თამაზ ალავიძე:

# დასავლეთისთვის მიუღებელია ის, რომ საქართველოში, შესაძლოა, ეროვნული თვითშეგნება გაღვივდეს

**რამდენიმე დღის წინ ზოგისთვის, შესაძლოა, ნაკლებად ცნობილ მწერალს, თამაზ ალავიძეს, ინტერვიუს ჩამოსართმევად შინ ვეწვიე. შეთანხმებისამებრ, მიმდინარე მოვლენებზე უნდა გვესაუბრა და, რომ იტყვიან, ქვეყნის ავ-კარგი შეგვეფასებინა. „20 წელია, ერთ ადგილს ვტკეპნით. საზოგადოება წინ ვერ მიდის, ვერც ინტელიგენცია ამბობს თავის სიტყვას“, — აღნიშნავს ბატონი თამაზი. ამთავითვე ნათელია, რომ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. ჩემი პირველი კითხვაც სწორედ ინტელიგენციას შეეხო.**

**— ბატონო თამაზ, წინა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლის პირველივე დღიდან „საკუთარი ინტელიგენციის“ შეკოწიწება დაიწყო, მათ კი, ვინც ამ პროცესს ფეხი სათანადოდ ვერ აუწყო, „ჩარეცხილები“ უწოდა. დღეს რა რეალობა გვაქვს ამ თვალსაზრისით, რა შეიცვალა?**

— მოდი, ასე დავიწყოთ, კითხვას დაგისვამთ: გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ, რომ ფიროსმანი შიმშილით გარდაიცვალა კიბის ქვეშ? რა თქმა უნდა, მეტყვით, მე რა შუაში ვარო. ეს არის ერთგვაროვანი პასუხი და რომელი გამვლელიც უნდა გააჩერო ქუჩაში, იმავეს გიპასუხებთ. ახლა გადავიდეთ მეზობელ სომხეთში, იქ ნებისმიერი ჭკუათმყოფელი ადამიანი ამ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ფიროსმანის გარდაცვალებაში დამნაშავეა ქართველი ერი. ე.ი. რა გამოდის? თუ ერია დამნაშავე, თითოეული ჩვენგანი დამნაშავე ვყოფილვართ. **პრობლემა ისაა, რომ ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნება არ გვაქვს, ეროვნული თვითშეგნება გვაკლია. აი, რა დაკარგა ქართველმა ხალხმა. ჩვენ დამნაშავედ არ ვთვლით თავს, თუ ვინმეს რამე უჭირს, თუ ვინმე რამეს გვთხოვს, თუ განწირულია.** ესაა სწორედ ის დამოკიდებულება, რომელიც ერთ ბრძნულ გამონათქვამშია ჩაქსოვილი: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“. იმის თქმა მინდა, რომ, როცა ერის გადარჩენაზეა საუბარი, თითოეული ქართველი ვალდებულია, იფიქროს თავის მოყვასის მიმართ ხელის გამოღებაზე, დახმარებასა და სოლიდარობაზე.

თქვენ ინტელიგენცია ახსენეთ. ამასწინათ დათქმული მქონდა შეხვედრის დრო ერთ-ერთ მინისტრთან. მე მას მივწერე წერილი და ვთხოვე, შემხვედროდა. მოხდა ისე, რომ ჩვენი შეხვედრა ორჯერ გადაიდო, ბოლოს კი დამირეკა მისმა თანაშემწემ და მითხრა, მინისტრი პატრიარქის აღსაყდრების დღესასწაულზე მიდის, ვერ შეგხვდებათო. არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ის დღესასწაული, რა თქმა უნდა, თამაზ ალავიძეზე მაღლა დგას, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა: როცა მის თანაშემწეს ვკითხე, როდის შეძლებს მინისტრი ჩემს მიღებას-მეთქი, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ძალიან დაკავებულიაო, მიპასუხა. ამ დროს მეორე დილით ჩავრთე ტელევიზორი და რას ვხედავ — იმართება ბულაძის, ტურაშვილისა და სხვა მწერლების წიგნების პრეზენტაცია, რომელსაც ეს მინისტრი ესწრება. ცხადია, მეწყინა! არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, ამ შემთხვევაში, მე არ მიმიღო, არა! უბრალოდ, იმიტომ, რომ **ეს არის ზუსტად იმ პოლიტიკის, იმ დამოკიდებულების გაგრძელება, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა.**

**— წინა ხელისუფლებას ჰყავდა პრივილეგირებული მწერლები, მომღერლები და მსახიობები, რომლებსაც ყველა გზა ხსნილი ჰქონდათ. მათ უბეჭდავდნენ წიგნებს, უმართავდნენ კონცერტებს და ა. შ. თქვენ ამბობთ, რომ ეს უცვლელი დარჩა?**

— წიგნების დაბეჭდვას რაც შეეხება, ერთ ამბავს გავიხსენებ. 2006 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი ებრაულ თემაზე, რომელშიც ერთი ოჯახის ტრაგედია იყო აღწერილი. ამ წიგნს ჰქვია „დედა“ და ის გამოიცა ქართულ-რუსულ ენებზე. აბა, რა სათქმელია, მაგრამ ამ წიგნმა არანაირი შემოსავალი არ მომცა, იმიტომ, რომ ის გამოიცა მხოლოდ ებრაელი ხალხისთვის საჩუქრად დასარიგებლად. სხვათა შორის, იმ დროს დამპირდა ორი ადამიანი, ბადრი პატარკაციშვილის და — ნანა პატარკაციშვილი და დავით კეზერაშვილის მამა — შოთა კეზერაშვილი, რომ ამ წიგნის თარგმნაში დაახლოებით 4 ათას დოლარამდე გადამიხდიდნენ. ნანა პატარკაციშვილზე არაფერს ვამბობ, იმიტომ, რომ პატარკაციშვილებს თავიანთი ტრაგედიაც ეყოფათ, მაგრამ **ამ კეზერაშვილმა ისე მომატყუა, ისე გამაკეთებინა საქმე, რომ ბოლოს თვალითაც აღარ დამენახვა. ახლა ვფიქრობ, რატომ მოხდა ასე, ალბათ, იმიტომ, რომ ამათი მეხოტბე და მაქებარი, ამათი კარის მწერალი არ ვიყავი...**

დავანებოთ ამასაც თავი. მე ინტერნატში გავიზარდე და იქ ჩამოვყალიბდი. პირველად, პური რომ ცხელი შეიძლებოდა ყოფილიყო, 11 წლის ასაკში გავიგე. ჩვენ გვაჭმევდნენ ორი-სამი დღის ნაჭრებს, რომ გაყინული კარაქი კარგად წასმოდა და ერთხელ შემთხვევით მოვხვდი იმ ადგილზე, სადაც ახალგამომცხვარი პური იცლებოდა. რაღაცნაირი სუნი მომივიდა, მიყურა იმ კაცმა, ვინც ცლიდა და მოდი აქ შვილოო, დამიძახა. მივედი, ერთი ცალი მომაწოდა და ხელში რომ დავიჭირე, მახსოვს, ჩემთვის ეს იყო რაღაც სასწაული, რაღაც წარმოუდგენელი, რომ თურმე პური ცხელიც არსებობს...

როდესაც მასწავლებელი გარდამეცვალა, 40 გრადუსი სიცხე მომცა, იმიტომ, რომ ის მეგონა დედა... იგი ყოველთვის მეუბნებოდა, იცი, რა კარგია ქართული საზოგადოება? შენ რომ აქედან წახვალ, ნახავ, როგორ გულში ჩაგიხუტებსო. ამ იმედით, ასე ჩამოვყალიბდი და ასე შევუდექი იმ გზას, რომელსაც საზოგადოებასთან ადაპტაცია ქვია, მაგრამ აგერ ნახევარი საუკუნეა, დავდივარ ქვეყანაზე და ეს ვერ მოვახერხე. ახლა ამას რატომ გიყვებით: არ მინდა ისე გამომივიდეს, თითქოს ვწუწუნებ და ვიღაცას თავს ვაცოდებ, მაგრამ **არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, ქართული საზოგადოება რაღაც ეტაპზე განვითარდა, შემდეგ გაჩერდა და, ფაქტობრივად, გაიყინა. მე პირადად ამ რეჟიმმა, სააკაშვილის რეჟიმს ვგულისხმობ, კლანჭები დამატყო, იმდენად გამიჭირდა, რომ, უკვე ექვსი თვეა, გარეთ არ გავსულვარ...**

## «ჩვენ დღეს დაწუნებული ერი ვართ»

**— ხელისუფლების შეცვლამ რამე უკეთესობა მოიტანა ან მომავალში მაინც მოიტანს, როგორ ფიქრობთ?**

— ერთი რამ ფაქტია, ამ უმძიმეს პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა კაცი, რომელიც ამბობს, მე ვარ გლეხი, მოვდივარ და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მოგხედავთ, დაგაპურებთ, გაგიფრთხილდებითო. კიდევ ვიმეორებ: უკანასკნელმა რეჟიმმა ბოლო მომიღო, კინაღამ მომსპო და აი, ამ სიტუაციამ მომისწრო.

აქვე მინდა ერთი ისტორიული მომენტი გავიხსენო, რომელიც სწორედ ივანიშვილის მოსვლამ გამახსენა: ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ასწლეულში გაიუს მარიუსმა აფრიკის ომში თავის სარდალს სთხოვა, გაეთავისუფლებინა ლაშქრობიდან, რომ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა და წარმსდგარიყო მარსის ველზე ხალხის წინაშე თავისი პროგრამით. არისტოკრატი სარდალი მას არ ათავისუფლებდა, არ უნდოდა, არჩევნებში მონაწილეობა მიეღო, ვინაიდან არისტოკრატები დასცინოდნენ მდაბიოებს. ბოლოს ისე მოხდა, რომ მაინც გაათავისუფლა, მაგრამ ამ დროს უკვე სულ რამდენიმე დღე რჩებოდა არჩევნებამდე.

ყველაფრის მიუხედავად, მარიუსმა გამოიჩინა საოცარი გამბედაობა, წარმოუდგენელი თავდაჯერებულობა და, დადგა თუ არა ფეხი იტალიის მიწაზე, ერთი კვირის სავალი ორდღე-ნახევარში გაირბინა. ბოლოს ის წარსდგა მარსის ველზე და განაცხადა ასეთი რამ: მე ვარ გაიუს მარიუსი, გლეხი. არ მიმიღია განათლება ათენში და არ გამივლია ფილოსოფიური სკოლა, მაგრამ, არისტოკრატებისგან განსხვავებით, ვიცი ომი, ვიცი, რა სჭირდება რომს და მე თქვენ მოგხედავთ; თქვენ გექნებათ მიწა, პური და ყველაფერი, რაც ახლა გაკლიათო. ხალხმა ერთიანად იღრიალა, — გაიუს გარიუსი მმართველად დანიშნეს. ამის შემდეგ მალევე, ფაქტობრივად, დასაშლელად განწირული რომი ისე შეიკრა, ისე გაძლიერდა, რომ სენატი იძულებული გახდა, 400-წლოვანი კანონი დაერღვია და მარიუსი მეორედ აერჩია. ზუსტად ეს გამახსენა ივანიშვილის მოსვლამ პოლიტიკაში და დარწმუნებული ვიყავი, რომ ის გაიმარჯვებდა, ვინაიდან ასეთ სიტუაციაში **მშიერი ადამიანის გონებაზე ძალიან მოქმედებს, როცა ეუბნებიან, მოვდივარ შენს დასაპურებლადო.**



**რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა შეიცვალა კონკრეტულად, — რა სჭირდებოდა ამ შემთხვევაში, მწერალ თამაზ ალავიძეს, რატომ უნდა მომწონებოდა ივანიშვილის შემოსვლა, უწინარესად, იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი მშიერია, უსახლკაროა და მიუსაფარი. აბსოლუტურად არაფერი გამაჩნია. რატომ არ უნდა გამხარებოდა?! მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მალე მთელი ქვეყანა დაპურდება.**

## «მივმართავ ბიძინა ივანიშვილს, გადაამირჩინოს ოჯახი...»

**— უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც ხელისუფლება შეიცვალა, არ მინდა კითხვა გაგიმეოროთ, მაგრამ კონკრეტულად რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— მოდი, ასე შევხედოთ მოცემულ მდგომარეობას: **რა ვითარებაში მოვიდა ახალი ხელისუფლება. ჩვენ ვიცით ზედაპირულად, რომ ამერიკა გვკარნახობს ყველაფერს, ამ დროს მთელი ევროპა, თუ ვინმეს უცებ გაეღვიძება და საქართველო მოელანდება, ისიც კი დირექტივას გვიგზავნის. თან, ამ შემთხვევაში, ივანიშვილს არა მარტო გარე ძალებთან აქვს ჭიდილი, არამედ შიდა მოწინააღმდეგეებთანაც. აქედან გამომდინარე, ცხადია, ერთი და ორი თვე, ვერც, გნებავთ, ერთი წელი, სიტუაციის მნიშვნელოვნად შეცვლას არ ეყოფა.** ჯერ ვიღაც-ვიღაცებს უნდა ავუხსნათ, რომ მე ვარ სამიათასი წლის და შენ ხარ ორასი წლის, მე ვარ დათვი და შენ ხარ ტურა. ამის შემდეგ, თუ გვექნება არჩევანის საშუალება და თავისუფალი განვითარების არეალი, ნელ-ნელა, ეტაპობრივად წავალთ წინ და აღმოიფხვრება ის პრობლემები, რომლებიც დღესდღეობით არსებობს.

**— დღეის მდგომარეობით, მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანი ითხოვს სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭებას. უმუშევართა რაოდენობა კი კატასტროფულად იზრდება. თქვენი აზრით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება გაიგებს, რომ პრობლემების გადაჭრას ხანგრძლივი დრო სჭირდება?**

— მესმის, ამის ახსნა ხალხისთვის ძნელია. ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს საზოგადოებაშია, ჩემთვის გასაგებია. მე, ჩემს ▶

**ქართველი ხალხის მიერ „ქართული ოცნებისთვის“ ა.წ. 1 ოქტომბერს თითქმის ერთხმად მიცემული ძალაუფლება — უეჭველია, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მიცემული — ცალსახად გულისხმობს იმის მანდატსაც, რომ ხელისუფლებამ არა მარტო განდევნოს ასპარეზიდან უკიდურესად საძულველი ხროვა, არამედ იმისაც, რომ ამ მასობრივი მრავალმხრივი გენოციდის გამტარებელთა ზედაფენა დასაჯოს.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოჯახთან ერთად, ვცხოვრობ ბინაში, რომელშიც 200 ლარს ვიხდი და აგერ უკვე მეშვიდე თვე მიდის, ქირას ვერ ვისტუმრებ. რამდენიმე დღეში სახლი უნდა დავცალო და ყველაფერი, რაც გამაჩნია, უნდა დავტოვო, რათა ბინის პატრონმა ქირის ნახევარი მაინც აინაზღაუროს. ამავე დროს მაქვს ბანკის ორი 200-ლარიანი ექსპრესსესხი, რომელიც, დამირეკეს და მითხრეს, რომ 21 დეკემბერს გამიხდება 500-500 ლარი. ჯარიმებთან ერთად ეს შეიძლება ძალიან დიდ თანხამდე ავიდეს, ამიტომ ამ შემთხვევაში **მე ერთს ვითხოვ, ვინმე ღვთისნიერმა ბინის ქირა გადამიხადოს. მივმართავ პირადად პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს, გადამირჩინოს ოჯახი და მომცეს საარსებო მინიმუმის შოვნის საშუალება.**

წიგნის პრეზენტაციები რომ ეწყობა და წვეულებებს მართავენ, შემიშვან ბაზარზე; დაე, ხალხმა გადაწყვიტოს, ალავიძის „საბჭოთა მზვერავის ვაჟი“ ჯობია თუ, ვთქვათ, მავანის რაღაც ნაწარმოები, რომელიც დედაზე იხრწნება. ჩემი „მძარცველი ჟურნალისტი“ ჯობია, თუ ის, ვინც თავის დაზე წერს, რომ ბოდიში და სექსუალური ურთიერთობა აქვს. ერმა განსაჯოს, ის ე. წ. ეპატაჟური ლიტერატურა უფრო ღირებულია თუ სხვა რამ.

**— გინდათ თქვათ, რომ ხელოვნურად იბლოკებით?**

— ელემენტარულ რამეს გეტყვით, მე სოციალურ ქსელებს არ ვიყენებ, იშვიათად ვინმეს წერილი მივწერო, წლების განმავლობაში კაცს ველაპარაკებოდი, მცემდა პასუხს და ახლა ის კაცი ჩამოდის, ვგებულობ, რომ თურმე მას კი არა, ვანო მერაბიშვილის უწყებას ვწერდი. თვეების განმავლობაში ტელეფონის ანგარიშზე 7 თეთრი მქონდა, ვლაპარაკობდი, არაფერი მეწერებოდა, ანუ მთელი ეს პერიოდი მე იზოლაციაში ვიყავი. ამ ყველაფრის შემდეგ კიდევ ვიღაც მეტყვის, რატომ ხარ ავადო... მე უკვე ვკვდები ფაქტობრივად და მრჩება ოჯახი, მრჩება 16 წლის შვილი, რომლის პატრონიც, ჩემ გარდა, არავინაა.

**— დავუბრუნდეთ მიმდინარე მოვლენებს, დასავლური მედია, განსაკუთრებით პრესა, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების გამო, რომ იტყვიან, პირდაპირ მიწაში გვდებს. ამასწინათ გავლენიანი გამოცემა „ფაინეშელ თაიმსი“ წერდა, რომ საქართველოში გაშმაგებული პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს. მანამდე იყო „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ასევე მწვავედ აკრიტიკებდა ახალ ხელისუფლებას. თქვენი აზრით, რითაა ეს ყველაფერი განპირობებული, რა პროცესები მიმდინარეობს?**

— ვაჟა-ფშაველას ცნობილი სტროფია: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. როდესაც ჩვენ დასავლეთი გვეფერებოდა და სააკაშვილის ხელისუფლებას უწონებდა ყველაფერს, რაც აქ ხდებოდა, დასავლური მედია, რომელიც თქვენ ახსენეთ, რატომღაც არ იყო ასეთი კრიტიკული. დღეს მოვიდა კაცი და დაიწყო ქვეყნის ფეხზე დაყენება, ეროვნული თვითშეგნების დაბრუნება. ეს, ალბათ, მიუღებელია მათთვის. შეხედეთ, როგორი დაწუნებული ერის იმიჯი გვაქვს... ადრე, როცა ვერაზე ვცხოვრობდი, იქვე, მეზობლად ჰქონდა სახლი ნიკა რურუას და მივაკითხე. მე მას შევთავაზე ჩემი ერთ-ერთი ნაწარმოების გამოქვეყნება და საზღვარგარეთ გატანა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებას ნახავდა. მისგან კონკრეტული პასუხი ვერ მივიღე. შემდეგ აღმოჩნდა, იმავე ღონისძიებაზე საზღვარგარეთ ისეთი ნაწარმოებები გაიტანეს, რომელთა მხატვრულ ღირებულებასა და ხარისხზე, უბრალოდ, საუბარი ზედმეტია. ახლა ამას რატომ ვყვები, **ეს მდარე ლიტერატურა, მდარე მუსიკა და ყველაფერი უგემოვნო დასავლეთში, გნებავთ, ევროპაში, გნებავთ, ამერიკაში, სწორედ იმ მიზნით გაჰქონდათ, რომ იქ ქართველებზე შექმნოდათ ცუდი წარმოდგენა — თითქოს ჩვენ ვართ უაზრო, გაუნათლებელი, ველური ხალხი...**

რატომ არ უნდა ჰქონდეს პრემიერ-მინისტრს იმის გადაწყვეტის უფლება, რომ, ვთქვათ, დამნაშავე დასაჯოს? მთელმა საქართველომ ხომ ვიცით, იმ კონკრეტულმა პიროვნებამ რა ჩაიდინა, რა დააშავა? რისთვის გვყავს პროკურორი, რისთვისაა სასამართლო? რა, ამერიკამ უნდა გადაწყვიტოს, დამნაშავე უნდა დავიჭიროთ თუ არა?! კიდევ ვიმეორებ: წლების განმავლობაში ჩვენ გვექმნებოდა ისეთი იმიჯი, ისეთი სახე საერთაშორისო ასპარეზზე, რომ დღეს რა დამოკიდებულებაც აქვთ საქართველოს მიმართ, ზუსტად ამის გამოძახილია. კაცს რომ ეტყვი, ო, რა მაგარი ხარო, გინდ მწერალი იყოს, გინდ დალაქი, ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს დაიჯერებს. ასე ჰგონია ყველას, რომ მაგარია. მახსოვს, წლების წინ პეტერბურგში ვცხოვრობდი და იქ ერთი მეზობელი მყავდა, ჯემალი, ის მეუბნებოდა, რა გვაქვს ქართველებს საამაყო, ერთი აკადემიკოსი არ გვყავს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, მაშინ, როცა სომხებს თხუთმეტი ჰყავთო.

რა არის, იცით? ჩვენ რაღაცნაირად ჩავიკეტეთ ჩვენს თავში და ვთქვით, რომ მართლა საუკეთესოები ვართ. ამ დროს ვიღაც, ბოდიში და, იდიოტს ამოირჩევდა ხელისუფლება და ის იყო ჩვენი სახე, ჩვენი წარმომადგენელი დანარჩენ მსოფლიოში.

მიუხედავად ყველაფრისა, მე ერთი რამ ვიცი, სახარებაში წერია: **ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა, ანუ ჩვენ დღეს დაწუნებული ერი ვართ, მაგრამ იოანე ზოსიმეს სიტყვები გავიხსენოთ: „დამარხულს არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა“. თუ ეს სიტყვები ივანიშვილსაც ისე ესმის, როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს, მაშინ ვენაცვალე სულში, თუ არა და, მე ძალიან მალე მოვკვდები იმაზე ფიქრით, რომ ჩემს ერს გადარჩენა არ უწერია.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# «ოპოზიციონერის» სტატუსი დაუსჯელობის გარანტიად ვერ იკმარებს!



**ლათინური გამონათქვამი „fiat justitia, pereat mundus“ (აღსრულდეს სამართალი, (თუნდ) დაიღუპოს ქვეყნიერება) სამართალდაცვის სისტემის საფუძვლად ვერ დაიდება: ქვეყნიერება ვერ უნდა დაიღუპოს ვერც ერთ შემთხვევაში, მაგრამ ამ პრინციპს ვერ გაექცევა ვერც კანონმდებლობა, ვერც მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლო მექანიზმები.**

ადამიანს აქვს სამართლიანობის თანდაყოლილი გრძნობა და მისი განხორციელების შეუვალი მოთხოვნილება არა მხოლოდ დედამიწის იმ არეალში, რომელშიც იმყოფება, არამედ კაცობრიობის საცხოვრებელ სივრცეში მთლიანად. **ნორმალური ადამიანი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ სადმე, მის თვალსაწიერში დაუსჯელად დადიოდეს იმგვარ ქმედებათა ჩამდენი დამნაშავე, რომელიც, მისი მორალური ცნობიერებისა და განცდის წინაშე, არანაირ შენდობას არ ექვემდებარება, და ამ სივრცეში მისთვის მიუღებელი ფაქტის არსებობას თავს მინუსად უთვლის,** ანუ: ადამიანი, როგორც პიროვნება და მოქალაქე, თავს პასუხისმგებლად მიიჩნევს, არსებულ მდგომარეობაზე საზოგადოებაში, დედამიწაზე და სამყაროს მისთვის ხილვად ნაწილში, სხვა სიტყვებით, იგი თავისი ცნობიერების, ქვეცნობიერების თუ წინარე ცნობიერების რაღაცა დონეზე თავის თვალსაწიერში მყოფ ამ სივრცის ერთ-ერთ მმართველად მიიჩნევს.

ადამიანის ეს თვისება ასახულია ჩვენი ცივილიზაციის საფუძვლებში იმ ბიბლიური გამოთქმის სახით, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი „ხატად და მსგავსად თვისა“, ანუ თავის თანამმართველად ღვთის მიერ მოცემულ მცნებათა და სხვა შესაძლო აქსიოლოგიურ სისტემათა მიხედვით. სხვა სულდგმულთაგან განსხვავებით, ადამიანი განცდითა და გონებით ცხოვრობს არა გარემოში, არამედ სამყაროში — მოცემულ რეალობაში, რომელსაც იგი გონებით ჭვრეტს მისს მთლიანობაში და რომელზეც, პრინციპულად, გავრცელებულია მისი ზემოქმედების შესაძლებლობები. ამიტომ როგორც გონიერი და თავისუფალი არსება (ეს არის მისი ორადორი თვისება, რომელიც არც ერთ სხვა ცოცხალ არსებას არ აქვს), იგი ვერ ასცდება იმ ხვედრსა და თავის შეუვალ მოთხოვნილებას, რომ თავისი სამართლებრივი ქმედება ააგოს პრინციპზე (პრინციპებზე), მათ შორის დამსახურებულისთვის საყოველთაო და თანასწორი წესით ნაცვალგების პრინციპზეც, და არა მარტოდენ პრაგმატიკაზე.

**ჩვენი ერისა და ქვეყნის გულწრფელად კეთილისმსურველი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და ჟურნალისტები, რომლებიც გვირჩევენ, „ამა და ამ კატეგორიის პირები** (სახელდობრ, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები) **დაუსჯელი დატოვეთ, რათა „დემოკრატიის“ იმიჯი არ შეგელახოთ მსოფლიოს თვალში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობა არ გაგიფუჭდეთო“, ამით, რეალურად და პრაქტიკულად, გვირჩევენ, ხელი ავიღოთ ადამიანის, როგორც ქვეყნად ღვთის თანამმართველის, სტატუსზე, ანუ ქმნილებათა გვირგვინის სტატუსზე სამართლისადმი პრინციპული მიდგომის ნაცვლად პრაგმატული მიდგომის არჩევის სახით, რაც პრინციპულად შეუთავსებელია ჩვენს პიროვნულსა და ეროვნულ თავმოყვარეობასთან.** სხვა სიტყვებით: ეს ჩვენი გულწრფელი კეთილისმსურველნი (მათ ამ მახასიათებელს ხაზს ვუსვამთ) ამ რჩევით ხელოვნურად გვაქცევენ კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ანტინომიის — პრაგმატულ ინტერესსა და პრინციპულ ზნეობრივ ინტერესს შორის არჩევანის საჭიროების — მარწუხებში, რომლის თავის არიდებასაც, შემთხვევათა უმრავლეს პროცენტში, კაცობრიობა ყველა შესაძლებელი საშუალებით ცდილობს და ძალიან ხშირად წარმატებით ახერხებს კიდეც.

ჩვენ, ქართველ საზოგადოებას, მიგვაჩნია, რომ, კაცობრიობის დღევანდელი ჰუმანიტარული ცოდნის არსებობის პირობებში, ამ ანბანურ მორალურ და აქსიოლოგიურ ჭეშმარიტებათა არც უგულებელყოფის, არც უარყოფის საჭიროება კაცობრიობას არ აქვს. **ბევრად უფრო მიზანშეწონილია, ეჭვის გაჩენის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, თითქოს საქართველოს სახელმწიფო ახორციელებს პიროვნების სამართლებრივ დევნას პოლიტიკური მოტივით, მსოფლიო საზოგადოებამ თავს იდოს მტკიცების ტვირთი იმ ფაქტის ილუსტრირებისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დევნის მიმართულებით.**

მხოლოდ ამის შემდეგღა ხდება შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოს მოქმედების უარყოფითი კვალიფიკაცია და მისი შეჩერება. დარწმუნებული ვართ, რომ **რჩევა „ხელი აიღეთ პრინციპებზე სამართლის სფეროში და ორიენტაცია აიღეთ მხოლოდ პრაგმატულ მოტივებზე“ ნებისმიერი დასავლური ქვეყნისთვის საწყენი იქნებოდა.** საქართველო ტიპოლოგიურად დასავლური, ანუ ქრისტიანი და ფეოდალური ისტორიის მემკვიდრე ქვეყანაა. ბუნებრივია ანალოგიური რეაქცია ჩვენი ქვეყნის მხრიდანაც.

**საქართველოს ცხრა წლის მანძილზე მმართველი ხელისუფლება (2003-2012) და მისი წინამავალი ხელისუფლება (1992-2003) არ არის მხოლოდ „დღეს ოპოზიციაში მყოფი“ პოლიტიკური სუბიექტების სიმრავლე ან პოლიტიკური კორპუსი. ეს არის უმძიმესი დანაშაულებით დატვირთული კრიმინალური ჯგუფი, რომელიც, პრაქტიკულად, მხილებულია იმაში, რომ:**

**— იგი იმყოფებოდა შეთქმულების შემადგენლობაში არჩევნების ტოტალური გაყალბების გზით ხელისუფლების უწყვეტი უზურპაციის მიზნით;**

**— იგი ეწეოდა სახელმწიფო ღალატს, სამხედრო ღალატთა გრძელი ჯაჭვის ჩათვლით, უცხო ქვეყნის სასარგებლოდ;**

**— იგი ახორციელებდა საქართველოს მოსახლეობის შეგნებულ ეკონომიკურ გენოციდს იმ მიზნით, რომ ქართველი მოსახლეობისთვის ეიძულებინა ემიგრაციაში წასვლა, ხოლო სამაგიეროდ მასობრივად (და საქართველოსთვის — დემოგრაფიულად მომაკვდინებელი მასშტაბით) შემოეყვანა ახალი მოსახლეობა ახლო და შორი უცხოეთიდან;**

**— იგი ეწეოდა მასობრივ მკვლელობებს პოლიტიკური და ყოფითი მოტივაციით, აგრეთვე, ტერორის ფსიქოლოგიური ამინდის შექმნას დივერსიული მიზნით (მოსახლეობის მასობრივი ნევროტული მდგომარეობა, რასაც ადგილი აქვს 1992 წლიდან, ამ ქმედების შედეგია);**

**— მან საგარეო ურთიერთობებში, საქართველოს „არადემოკრატიული“ იმიჯის ხელოვნური შექმნის მიზნით, რამდენიმეჯერ მოაწყო ლოგიკურად აუხსნადი მასობრივი რბევები ნატოსთან საქართველოს დაახლოების პროცესის დამუხრუჭების საპროვოცირებლად.**

**— იგი მისდევდა ტოტალურ კორუფციას, თუმცა იმ ტენდენციით, რომ ამ კორუფციას მიეცეს გაერთიანებული და მმართველი ხროვის მიერ მონოპოლიზებული სახე.**

**(დანაშაულთა ეს ჩამონათვალი არასრულია).**

საქართველოს წინა ორი ხელისუფლების დანაშაულებრივ ბუნებაზე მსჯელობა ვერ დაემყარება არსებულ ოფიციალურ მასალებს, მათ შორის ვერც ყალბ სტატისტიკას არჩევნების თითქოსდა „მცირე დარღვევებით“ ჩატარების შესახებ, ისევე, როგორც რეიტინგების კვლევას იმ კვლევათა ჩათვლით, რომელთაც ატარებს ხოლმე „ენდიაი“ (ბატონ ნავაროს ხელმძღვანელობით. მასთან პირადად საუბრის პატივი, სამწუხაროდ, გვქონდა). **რეალობის დასანახავად უნდა მიემართოს მთავარ მოწმეს და მთავარ დაზარალებულს — საქართველოს მოსახლეობას.** მისგან მიღებული ინფორმაციის მიყვანისთვის სასამართლოს მიერ გამოყენებადი მონაცემების მდგომარეობამდე არსებობს მრავალი სახე მეცნიერული კვლევისა სოციოლოგიური, სოციოფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა მასობრივი კვლევების სახით.

**ქართველი ხალხის მიერ „ქართული ოცნებისთვის“ ა.წ. 1 ოქტომბერს თითქმის ერთხმად მიცემული ძალაუფლება — უეჭველია, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მიცემული — ცალსახად გულისხმობს იმის მანდატსაც, რომ ხელისუფლებამ არა მარტო განდევნოს ასპარეზიდან უკიდურესად საძულველი ხროვა, არამედ იმისაც, რომ ამ მასობრივი მრავალმხრივი გენოციდის გამტარებელთა ზედაფენა დასაჯოს.** ეს ისევე ნათელია, როგორც ის, რომ ეს უკიდურესად აღგზნებულ მდგომარეობაში ჩატარებული კენჭისყრა არ გულისხმობს არანაირ მანდატს, რომ ამ ხელისუფლებაში შემავალმა ცალკეულმა ელემენტებმა (ვიმედოვნებთ — შემთხვევითსა და დროებითს. პაატა ზაქარეიშვილი, მაია ფანჯიკიძე), გააკეთონ ცალსახად შეკვეთილი რიგი განცხადებებისა, რომლებიც ეკრანიდან გვესმის.

**ნოდარ ნათაძე,**
**პაატა კოღუაშვილი**

მოდელირებული ქრონიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სტალინმა ჩამოაყალიბა თეორია, თუ რა შეიძლება იყოს დემოკრატიის საფუძველი. უპირველესი საფუძველი არის განათლება, განათლებული საზოგადოებრიობა.“**



# გრიგოლ ონიანი: ეს პარლამენტი ისევე ვერ შერჩება ხელისუფლებას, როგორც მწიფე მსხალი — ტოტს

**1921 წლამდე ორიოდ წლის განმავლობაში ცარიზმი, ვით მტვერი, ჩამოვიბერტყეთ და სოციალ-დემოკრატიის პირობებში ვიცხოვრეთ მომდევნო 70 წელიწადი — ბოლშევიკურ-კომუნისტური დემოკრატიის ხანგრძლივი დრო დაგვიდგა; დამოუკიდებლობის „ერთი გამოხედვა“ პერიოდში დავიჯერეთ, რომ მივაღწიეთ ჭეშმარიტ დემოკრატიას, მაგრამ სწორედ ამ დროს რუსთაველზე გამოსული ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას ჩაუშესკუს ეძახდა, მის მმართველობას „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა; ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში დასავლეთმა ტაში დაგვიკრა და დახმარების ხელი გამოგვიწოდა, რადგან დასავლური დემოკრატიის გზას დაადექითო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ჩასვა პრეზიდენტის სავარძელში და — აი, ახლა კი დემოკრატიის შუქურის სინათლეს მიჰყევითო; დღეს არც პრეზიდენტად შერაცხულ სააკაშვილს ახსოვს თავისი ქვეყანა, ქვეყანაც თანდათან ივიწყებს მბჟუტავ ლამპარს, ხოლო ხალხის მმართველობა — დემოკრატია — დამყარდა თუ არა ბოლოს და ბოლოს საქართველოში, საკითხავი აი, ეს არის.**
**ან იქნებ „მოდელირებული დემოკრატიის“ პირობებში გვიწევს არსებობა და მორიგ ცვლილებას გაფაციცებით უნდა ველოდოთ?**
**დღეს ამ პრობლემაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიომ“ მოიწვია ცნობილი პიროვნება, სტალინის მოღვაწეობისა და მოძღვრების აღიარებული მკვლევარი გრიგოლ ონიანი.**

**— ბატონო გრიგოლ, ჩვენთან დემოკრატიაა თუ დემოკრატიის სუროგატი?**

— დემოკრატია დემოკრატიული ქვეყნებიდან უნდა გადმოვიღოთ, ალბათ, მაგრამ არა მგონია, რომ დემოკრატიული ამერიკის ცხოვრება დემოკრატიის დამყარებით დაიწყო და დემოკრატიული იყოს დღესაც. **ამერიკამ თავისი დემოკრატია სისხლზე ააშენა, დედამიწის ყველა კუთხეში აწარმოა სისხლისმღვრელი ომები** და უკვე გამარჯვებულ არმიას დამარცხებული ქვეყნის თავზე პირველი ატომური ბომბი გამოაცდევინა.

**— ჰიროსიმა და ნაგასაკის ატომურ დაბომბვას გულისხმობთ, რა თქმა უნდა.**

— დიახ. ამ ქალაქების დაბომბვა, სამხედრო სტრატეგიის თვალსაზრისით, სრულიად ზედმეტი იყო, იაპონია უკვე დამარცხებული იყო, მაგრამ ამერიკელებმა ეს გააკეთეს იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირისთვის თავისი უპირატესი ძალა ეჩვენებინათ მსოფლიოს ბატონობისკენ მიმავალ თავიანთ გზაზე.

**განა ის, რაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ხდება, ამერიკის დამპყრობლური პოლიტიკის გაგრძელება არ არის?!**

ახლა ვეცნობი კაპლანის წიგნს, რომელიც ამ ნაშრომში ამტკიცებს, რომ სტალინმა იხსნა მსოფლიო კაპიტალიზმი.

**— ასეა?!**

— დიახ. მსოფლიო კაპიტალიზმი თავისი დემოკრატიით დიდი ხნის დამარხული იქნებოდა, სტალინის ეკონომიკურ პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვის პრინციპებს 30-იან წლებში რომ არ ეშველა დეპრესიით მოცული მომაკვდავი კაპიტალისტური ქვეყნებისთვის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ისთვის. პრეზიდენტმა რუზველტმა გაბედულად გამოიყენა ეს პრინციპები, რისთვისაც მოწინააღმდეგეებისგან „კომუნისტური“ პრეზიდენტის სახელი დაიმსახურა.

ახლა გადავიდეთ დემოკრატიაზე.

**სტალინმა ჩამოაყალიბა თეორია, თუ რა შეიძლება იყოს დემოკრატიის საფუძველი.**

**უპირველესი საფუძველი არის განათლება, განათლებული საზოგადოებრიობა.**

**მეორე: ეკონომიკური საფუძველი.**

**მესამე და მთავარი: თუ ქვეყნის საზღვრებზე ბომბები სკდება და სახელმწიფო მილიტარიზებულია, იმ ქვეყანაში და იმ საზღვრებს შიგნით დემოკრატიაზე ლაპარაკი სასაცილოა.**

**— მივყვეთ ამ სამ პრინციპს და ვთქვათ: პირველი — არის საქართველო განათლებული ქვეყანა?**

— საქართველო არის განათლებული იმ კუთხით, რომლითაც არ უნდა იყოს განათლებული. სახურავიდან დავიწყეთ სახლის მშენებლობა.

კომპიუტერის ათვისება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს განათლებულობას, კულტურას. როცა გამრავლების ტაბულა არ იცის ბავშვმა და კომპიუტერში ეძებს პასუხს, რამდენია 2X2, ეს ტვინის მოძრაობას არ ნიშნავს და მექანიკური საშუალებით ინფორმაციის მიღება მხოლოდ. მათემატიკა გონების ვარჯიშიაო, ნათქვამია. **დღევანდელი ახალგაზრდა თაობა, შეიძლება ასე ითქვას, თვალებით ცხოვრობს, იმით, რასაც ხედავს, ხოლო ამ პროცესში ტვინი აბსოლუტურად არ არის ჩართული.**

**— „მექანიკური ფორთოხლის“ თაობასაც უწოდებენ ამიტომ.**

— ფილმიც იყო გადაღებული ამ სახელწოდებით... ახლა — ეკონომიკური საფუძველი.

იყო დრო, როცა საქართველოში ასობით და ათასობით ოჯახი ყოველწლიურად სახელმწიფოსგან სრულიად უსასყიდლოდ კმაყოფილდებოდა ბინებით. ახლა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ეს ოჯახები იძულებულნი არიან, კაპიკებად გაყიდონ თავიანთი საცხოვრებელი მინიმალური საარსებო საშუალება, არსებობისთვის საჭირო სახსარი რომ იშოვონ.

რომელ დემოკრატიაზე შეიძლება ასეთ ვითარებაში ლაპარაკი?

**— აბა, სააკაშვილი რომ გვეუბნებოდა, საქართველოში ისეთი აღმშენებლობაა, რომლის მსგავსი 8 საუკუნის განმავლობაში არ ყოფილაო?! შემდეგ ეს 800 წელიც მოშალა და — საერთოდო?! გვატყუებდა ქვეყნის პრეზიდენტი?!**

— თავიდანვე ეჭვი მეპარებოდა, რომ მას ჰქონდა რაღაც გადახრა. არიან საკუთარი განდიდებისკენ მიდრეკილი ადამიანები.

**— ამას ფსიქიატრები ბოდვით იდეებს უწოდებენ, თუ არ ვცდები.**

— გიგანტომანები, საკუთარ თავს კეისრებად და ნაპოლეონებად რომ წარმოიდგენენ, აკვიატებული იდეები აქვთ, თავიანთი განსხვავებული აზროვნება.

მაგრამ მე სააკაშვილზე კი არ მიგითითებდით, არამედ, უფრო გია ნოდიაზე და მისთანებზე, რომელთაც ინტელექტუალებად მიიჩნევენ, რომლებიც ამერიკას აქ იმიტომ ჰყავს შემოგზავნილი, რათა დააკვირდნენ სააკაშვილს და იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გადამეტებულად დაიწყებს საკუთარი თავის შეფასებას, მიაწოდონ ინფორმაცია დამფინანსებელ პატრონებს. მაგრამ **სწორედ ნოდიასნაირთა მიერაა ჩანერგილი სააკაშვილის ტვინში მისი განსაკუთრებულობა, რომ ის, რასაც პრეზიდენტი საქართველოში აკეთებს, რვა საუკუნის მანძილზე არ მომხდარა, განვითარების ასეთი ტემპი და მასშტაბი არასოდეს ყოფილა.**

ამ უკეთურებას მარტო სააკაშვილს ნუ დავაბრალებთ, ეს ვინმე თავხელიძის, თევზაძის, ჩიტაძის და იმ ე. წ. პოლიტოლოგების მონდომებით კეთდებოდა, ისინი „თეორიულ ბაზას“ ფიანდაზად უგებდნენ ბატონ სააკაშვილს. ეს კაცი სრულფასოვანი არ იყო.

**— ე. ი. ეკონომიკური აღმავლობა არ შეიმჩნეოდა?**

— არსებობს გამოთქმა: „შენობების სიმაღლით არ განიზომება სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალი“. გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა, უფრო დაბალი სახლები რომ აგვეშენებინა და უფრო მაღალი შეგნების მქონე თაობა რომ გაგვეზარდა, მაშინ მოხდებოდა თანხვედრა.

**აშენდა მაღლივი შენობები, დაიგო გზების საფარი, მაგრამ ადამიანების შეგნებიდან ამოშანთეს ეროვნულობის გრძნობა, სულიერება, ტრადიციის ერთგულება და ა. შ. ამ შენობებს დაეპატრონებიან სხვები, არა ჩვენი ხალხი.** ხოლო ჩრდილოატლანტიკური სამოთხე, რომელსაც აქ ეფემერულად ქმნიდნენ, არც ისე გამოუვიდათ, არც ასე გამოუვათ.

**— დაგვრჩა დემოკრატიის მესამე საფუძველი.**

— გინდათ დამძრახონ, ვიტყვი. აფხაზეთში, სოხუმში კიტოვანის „ლაშქრის“ შესვლას, არძინბას რეზიდენციიდან აფხაზეთის დროშის ჩამოღებას აღფრთოვანებით შევხვდი და იმას ვნანობდი, რომ მეც იქ არ ვიყავი. ჩემნაირად განწყობილი მაშინ, ალბათ, მეტი თუ არა, ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტი მაინც იყო. ექსტაზში ვიყავით.

ასეთი ემოციური ტალღის, ე. წ. საომარი სულისკვეთების პირობებში, რაგინდ კეთილშობილური მიზნებითაც ყოფილიყო ნათქვამი, დემოკრატიის პრინციპებზე საუბარი უადგილოა. დადგებოდა დრო და იმ დროშას მშვიდობიანად ჩამოვიღებდით ან თვით აფხაზები შეუცვლიდნენ სტატუსს.

**როცა 2008 წლის აგვისტოში ცეცხლს უშენდნენ ცხინვალს და ჩემი უსაყვარლესი პრეზიდენტი ტელეეკრანიდან გვიმტკიცებდა, რომ ჩვენ ვაკონტროლებდით განდგომილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას, თავი მეცხრე ცაზე მეგონა.**

**მაგრამ, სანამ ასეთი სარაკეტო შეტევა და ასეთი სისხლისღვრა იქნება ჩემი და ჩემი მეგობრების ბედნიერების საგანი, მანამდე ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია ფესვს ვერ გაიდგამს.**

გასულ რამდენიმე წელიწადში 36 ტერორისტულ-დივერსიული ჯგუფი აღმოვაჩინეთ, რომლებიც, როგორც გვეუბნებოდნენ, ქვეყნის დამხობას ისახავდა მიზნად: აქეთ — ამერიკის საელჩოსთან მიიტანესო ასაფეთქებელი ნივთიერება, იქით — ლეიბორისტების ოფისთან რაღაც აფეთქდაო, გორში, პოლიციის შენობასთან კიდევ და ა. შ.

ასეთ პირობებში, ცხადია, დემოკრატიაზე ვერ ვისაუბრებთ.

**— ე. ი. რახან არც ერთ კომპონენტზე არ იყო ჩვენთან დემოკრატია დაფუძნებული, მაშასადამე, ჩვენი დემოკრატია მოდელირებულ „ქრონიკასავით“ იყო?**

— მოგონილია. ყალბია. თანაც იქ, სადაც თავიანთი დემოკრატიით ამაყობენ, იქაც გულზე დაბნეული ყალბი ყვავილებივითაა!

**— აი, მოვიდნენ ასეთი ყვავილებით მკერდდამშვენებული დემოკრატები აშშ-დან, კონგრესმენები და დაგვმოძღვრეს, რომ არ უნდა გვქონდეს შერჩევითი სამართალი, დამნაშავეებს ყოფილი ხელისუფლებიდან ცივი ნიავი არ უნდა მივაკაროთო, გავუფრთხილდეთ სააკაშვილისეულ „რეფორმებს“ და ა. შ.**

— ჰიროსიმასა და ნაგასაკიში აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი რომ ჩასულიყო და სამძიმარი რომ ეთქვა იმ ადამიანებისთვის, რომელთა ახლობლებიც ატომური დაბომბვის დროს დაიღუპნენ, თვითონ კი დასხივების დიდი დოზა მიიღეს, მაკკეინისა და კონგრესმენების ერთი ჯგუფის მწუხარება ჩვენთან მიმდინარე დაპატიმრებების, დემოკრატიის პრინციპების „დარღვევის“ გამო ამას ჰგავს.

**— დასავლეთში ჩვენი საპარლამენტო არჩევნები შეაფასეს როგორც დემოკრატიის დღესასწაული. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ გამარჯვება ხალხმა ხელისუფლებას ძალით გამოჰგლიჯა.**

— მე რომ მკითხოთ, ყველაზე არადემოკრატიულად ბოლო არჩევნები ჩატარდა. უწინ საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად მიდიოდა დათრგუნული ადამიანი...

**— შეშინებულიც.**

— უიმედოც, და გულჩამკვდარი ხუთ ნომერს შემოხაზავდა. დაბეჩავებული ადამიანების არჩევნები იყო, რომლებსაც ოცი წლის განმავლობაში ვატარებდით. ამჯერად **ერთი პიროვნების მიერ — ბიძინა ივანიშვილის იმედით შინაგანად გათავისუფლებულმა ელექტორატმა მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, ხელისუფლებამ კი, ჩვეულებისამებრ, მთელი სახელისუფლო რესურსი აამოქმედა არჩევნების გასაყალბებლად.** ამ ორი კომპონენტის დაჯახებით მივიღეთ ის შედეგი, რომელიც სახეზეა, რის გაკეთებას არ შეეცადა ამათი ანტიდემოკრატიული ჯადოქრობის ხელი, მაგრამ არ გამოუვიდა.

**— დღევანდელი პარლამენტის თქვენეული შეფასება როგორია?**

— სააკაშვილისგან გათავისუფლების შემდეგ დემოკრატიული მმართველი ელიტა ასე უცებ ვერ ჩამოყალიბდება. ჯერ უნდა შეიქმნას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების სრულფასოვანი გარემო. **ჩვენ უნდა ვემზადებოდეთ ნამდვილი არჩევნებისთვის. ახალ ვითარებაში არჩეულ პარლამენტს უნდა მიეცეს ქვეყნის განვითარების სრული მანდატი. დღეს მოქმედი პარლამენტი კი გარდამავალია. ეს პარლამენტი ისევე ვერ შერჩება ხელისუფლებას, როგორც მწიფე მსხალი ტოტს.**

**— ბოლოთქმას მოვიდეთ: თქვენ მიიჩნევთ, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის?**

— როგორ შეიძლება ქოთანში ყვავილის გახარებას აპირებდე, როცა თიხა არ მოგიზელია, ღუმელში არ გამოგიწვავს და მცენარისთვის მიწა არ შეგირჩევია?!

**— თქვენ, ცნობილ სტალინელს, ყოფილი ხელისუფლების მიერ სტალინის, როგორც ისტორიული ფიგურისადმი, უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ რომ არ შეგეკითხოთ, უხერხულიც კი იქნება.**

— მინდა მჯეროდეს, რომ აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება, რომელსაც სტალინისადმი იჩენენ, მათი შინაგანი რწმენიდან არ გამომდინარეობს. ეს არის აშშ-ის, ნატოს და ევროკავშირის აშკარა დაძალების შედეგი. **ანტისტალინელობა ისტორიული ჭეშმარიტების წინააღმდეგ წასვლაა.** მსოფლიო ჰეგემონობისადმი მისწრაფება, რასაც ამერიკა ცდილობს, საფუძველსაა მოკლებული. პირდაპირ გეტყვით: კაპიტალიზმის სისტემის განვითარების ბოლო სტადია დაიწყო, რაზეც მეტყველებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამის სერიოზული ნიშანია ტრანსნაციონალური მოძრაობა ლოზუნგით „დაიპყარი უოლსტრიტი!“, რომელმაც ცუნამივით ყველა დიდ ქალაქს გადაუარა.

მაგრამ ეს დიდი თემაა და მისი ანალიზი სხვა დროისთვის გადავდოთ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**სტალინი ბრწყინვალე პოლემისტი იყო, ყოველთვის თავშეკავებული, პროვოკაციებს არ აჰყვებოდა. თავს უფლებას არ აძლევდა, კალაპოტიდან ამოვარდნილიყო, თუმცა ხშირად თავშეკავება შინაგანი ძალების დიდ დაძაბულობას მოითხოვდა. სიმტკიცე, თანმიმდევრულობა და მიზანმიმართულობა ერწყმოდა გონივრული კომპრომისების მისაღწევ მზადყოფნას. იგი არასოდეს ამცირებდა მოწინააღმდეგეს, აძლევდა შანს, რომ წაგებულ სიტუაციაშიც კი თავი შერცხვენილად არ ეგრძნო. ეს ადამიანური მომენტი — დამარცხებულისთვის ღირსების შენარჩუნება, მისი თანმდევი თვისება იყო.**

გენერალისიმუსი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი ტიპის ცივილიზაციის შემოქმედი



## შტრიხები იოსებ სტალინის ისტორიული პორტრეტისთვის

**21 დეკემბერი სტალინის — იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის დაბადების დღეა — 133-ე დაბადების დღე. თუ 134-ე? ბოლო წლების გამოკვლევებით, სტალინის ბიოგრაფების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი 1878 წლის 6 დეკემბერსაა დაბადებული. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ ენციკლოპედიურ ცნობას დავეყრდნოთ, მით უფრო, რომ მისი ხელით შევსებულ ანკეტაში 1879 წლის 21 დეკემბერია ჩაწერილი.**

მნიშვნელოვან ნაშრომის „სტალინის დიპლომატიური ორთაბრძოლები" ავტორები რუდოლფ ბალანდინი და სერგეი მირონოვი აღნიშნავენ, რომ სტალინის ეპოქაში საბჭოთა კავშირმა არნახულ წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მსოფლიო აღიარება და ავტორიტეტი მოიპოვა: **„ეს იყო სახელოვანი ჰეროიკული ხანა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, არ არსებობს დიადი გამარჯვებები უდიდესი დაძაბულობის, გაჭირვებისა და მსხვერპლის გარეშე. ასეთია ისტორიული სიმართლე. და ხშირად მძლავრი აღმავლობისა და ენთუზიაზმის პერიოდებს ცვლის სულიერი დაცემის, გადაგვარებისა და უმიზნოდ ცხოვრების პერიოდები".**

ეს ყველაფერი იყო, გადავიტანეთ.

ანტისტალინელების ცილისმწამებლური, ღვარძლიანი, დაშტამპული მატრიცების გადასაფარად მხოლოდ ორი ადამიანის პოზიციაც იკმარებს.

მაგრამ — რა მასშტაბის ადამიანებისა!

**„მის სიტყვებში ბუმბერაზული ძალა ჟღერდა. ეს ძალა სტალინის პიროვნებაში იმდენად დიდია, რომ ყველა დროისა და ყველა ხალხის ხელმძღვანელთა შორის მას წარმოაჩენს, როგორც განუმეორებელს".**

ამას ამბობდა **უინსტონ ჩერჩილი.**

ხოლო როცა მეოცე საუკუნის უდიდესმა მეცნიერმა **ვლადიმირ ვერნადსკიმ** 1943 წლის მარტში სტალინური პრემია მიიღო, უმაღლეს მთავარსარდალს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვა, ამ პრემიიდან 100000 მანეთი ფრონტის საჭიროებისთვის გამოეყენებინა, და დასძინა: **„ჩვენი საქმე სამართლიანია და ამჟამად სტიქიურად ემთხვევა ნოოსფეროს შემოტევას — სიცოცხლის ახალ მდგომარეობას... ისტორიული პროცესის საფუძველს, როცა ადამიანის გონება უზარმაზარ გეოლოგიურ, პლანეტარულ ძალად იქცევა".**

სტალინის მოღვაწეობამ, მისმა გონების ძალამ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტებას ლაღადებდა ბიოსფეროს შესახებ გენიალური მოძღვრების შემქმნელი და უდიდესი პატრიოტი ვლადიმირ ვერნადსკი.

ყურადსაღებია, რომ, როცა სამშობლოს მოღალატე გენერალმა ვლასოვმა 1944 წლის ბოლოს ფაშისტური პროპაგანდის შეფს განუცხადა, რომ **სტალინი ყველაზე უფრო საძულველი ადამიანია საბჭოთა კავშირში, იოზეფ გებელსმა, რომელიც უჭკუო კაცი არ იყო, თავის დღიურში ჩაწერა: „ეს, რა თქმა უნდა, თავის გასამართლებლად იყო თქმული".**

ზემოთ ნახსენებ მატრიცებში სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია, როგორც აგრესორი სახელმწიფო.

ინგლისელმა პოლიტოლოგმა რ. უ. ჯონსონმა 1984 წელს გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში, 1945-52 წლებში „საიდუმლო ოპერაციების" საკითხს მიეძღვნა. მეცნიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ვერც ერთი საიდუმლო ოპერაცია, რომელიც აგრესიულ მიზნებს ისახავდა და საბჭოთა კავშირის მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ იყო განხორციელებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალებით, ვერ აღმოაჩინეს იმიტომ, რომ ასეთი ოპერაცია საერთოდ არ ჩატარებულა. „მსოფლიოს ვერც ერთი დაზვერვა ვერ იქნება ისეთი სრულყოფილი ან ქუდბედიანი, ისეთი იღბლიანი, რომ 40 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ გამჟღავნებულიყო,** — ასკვნის ჯონსონი. და იქვე — პარალელი: აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ყოფილი მოადგილე კლაინი გულწრფელად აღიარებს, რომ **იმავე პერიოდში, კერძოდ, 1945-52 წლებში აშშ-ის ამ სპეცსამსახურმა თითქმის 50 ქვეყანაში განახორციელა საიდუმლო ოპერაციები.**

აი, ასეთი იყო სტალინის „აგრესიული საგარეო პოლიტიკა".

**სტალინი უბადლო გეოპოლიტიკოსი იყო.**

ზოგიერთი ანალიტიკოსის ფორმულირებას თუ გამოვიყენებთ, — უდიდესი გეოპოლიტიკოსი. ასეთ დასკვნას იზიარებენ „საქართველო და მსოფლიოს" ერთგული მკითხველები, ვინც სისტემატურად თვალს ადევნებდა ჩვენი გაზეთის მიერ ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ციკლს „სტალინის დიპლომატიური ორთაბრძოლები" და თავიანთ შთაბეჭდილებას უზიარებდნენ რედაქციას.

სტალინის გარდაცვალებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ დასავლეთში სტალინის მძაგებლების ენთუზიაზმი არ ცხრება.

რატომ?

იმიტომ, რომ, თუ ანალიტიკოს **მიხაილ ალექსანდროვს** ვერწმუნებით, **„დასავლეთში სტალინისადმი სიძულვილი, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ მან დაამტკიცა დასავლეთისეული ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული გზის არსებობა",** პრაქტიკულად დაადასტურა სოციალისტური წყობილების უპირატესობა არა მარტო სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, არამედ კულტურისა და მეცნიერების დარგებში, მტერზე გამარჯვებაშიც, რა თქმა უნდა.

სამწუხაროა, რომ წარმატებებს, რომლებიც სტალინის დროს იქნა მოპოვებული, ავადმოუბარნი დღეს დამარცხებად წარმოგვიდგენენ, და ამას გასავალი აქვს.

საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის პროფესორ **რიჩარდ პაიპსის** მაგალითი, მეცნიერის, რომელიც პრეზიდენტ რეიგანის მრჩეველი იყო საბჭოთა კავშირის საკითხებში. იგი იმდენად გადაყოლილი იყო „ბოროტების იმპერიად" სსრ კავშირის წარმოჩენის იდეას, რომ აბსოლუტურად კარგავდა მოვლენების შეფასების მეცნიერული ობიექტურობის ფუძემდებლურ პრინციპს, რაც მის უახლოეს ადამიანებსაც კი უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. პაიპსის მეუღლემ ამის შესახებ სტალინის პირად თარჯიმან ბერეჟკოვს განუცხადა და დააზუსტა:

**„— მე ყოველთვის მადლიერი ვიქნები წითელი არმიის, რომელმაც 1939 წელს მე და ჩემი ნათესავები სიკვდილს გადაგვარჩინა. მაშინ პატარა ვიყავი. ვცხოვრობდით ვარშავაში და, როცა გერმანია პოლონეთს თავს დაესხა, აღმოსავლეთით გავიქეცით. პინსკის რაიონში წითელი არმიის განლაგებაში მოვხვდით, რომელიც დასავლეთ ბელორუსიაში იყო შესული. არასოდეს დამავიწყდება, რა კარგად მოგვექცნენ ჩვენ და სხვა ლტოლვილებს თქვენი ოფიცრები და ჯარისკაცები. დაგვაპურეს, შეგვიფარეს... შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები ვილნიუსში გადასვლაში დაგვეხმარნენ — მაშინ ლიტვა ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რესპუბლიკა იყო. წითელი არმია რომ არა, დავიღუპებოდით. ყველა ჩვენი ახლობელი, ვინც ვარშავაში დარჩა, ნაცისტებმა გეტოში ამოხოცეს. რიჩარდმაც პოლონეთიდან ბალტიისპირეთით გამოაღწია, მაგრამ ამის გახსენება არ უყვარს".**

არ უყვარდა კი მიტომ, რომ სულით ხორცამდე გაყიდული იყო: პატრონის „მაღალ იდეალებს" შეწირული მადლიერების გრძნობა...

დაკვირვებული ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ **სტალინი ბრწყინვალე პოლემისტი იყო,** ყოველთვის თავშეკავებული, პროვოკაციებს არ აჰყვებოდა. თავს უფლებას არ აძლევდა, კალაპოტიდან ამოვარდნილიყო, თუმცა ხშირად თავშეკავება შინაგანი ძალების დიდ დაძაბულობას მოითხოვდა. **სიმტკიცე, თანმიმდევრულობა და მიზანმიმართულობა ერწყმოდა გონივრული კომპრომისების მისაღწევ მზადყოფნას. იგი არასოდეს ამცირებდა მოწინააღმდეგეს, აძლევდა შანს, რომ წაგებულ სიტუაციაშიც კი თავი შერცხვენილად არ ეგრძნო.** ეს ადამიანური მომენტი — დამარცხებულისთვის ღირსების შენარჩუნება, მისი თანმდევი თვისება იყო.

ბუნებრივია, — ხაზგასმით აღნიშნავენ მისი ბიოგრაფები, — რომ **იგი არასოდეს ჰკარგავდა საკუთარი ღირსების გრძნობას და დიადი ქვეყნის, დიადი კულტურის მქონე ერების ხელმძღვანელის დონეზე რჩებოდა.**

საბჭოთა დიპლომატი და შორეული აღმოსავლეთის საკითხების სპეციალისტი **ნიკოლაი ფედორენკო** აღნიშნავს: **„სტალინს შესანიშნავად ჰქონდა მორგებული ნიღაბი, რომლის მიღმა იმალებოდა რაღაც შეუცნობელი. მას ახასიათებდა ჟესტების სირბილე, ინტონაციის დახვეწილობა. ეს ხიბლავდა მოსაუბრეებს და მისდამი სიმპათიით განაწყობდა, თუმცა, ამასთან ერთად, იცოდა მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმაც. არაერთხელ დავკვირვებივარ, როგორ ჭკვიანურად შეეძლო საუბრის სხვა, მისთვის მომგებიან თემაზე გადართვა წინადადების ჭეშმარიტ აზრზე შეფარული მინიშნებით ან სულაც — უთქმელობით".**

**ურთიერთობაში უბრალო იყო, ამასთან, პრობლემაში თავის განცნობიერებულობას ბოლომდე არ ამჟღავნებდა.** საჭირო მომენტში შეეძლო გაეოგნებინა თანამოსაუბრე: ჩერჩილზე წარუხოცავი შთაბეჭდილება მოახდინა იმით, რომ 10-15 წუთში ზუსტად შეაფასა იმ სამხედრო ოპერაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თავისი მრჩევლებითა და გენშტაბელებით მთელი თვის მანძილზე ამზადებდა.

**შეცდომაა, როცა სტალინს მხოლოდ კლასობრივი თეორიის ადეპტად წარმოიდგენენ, მან არაერთხელ დაამტკიცა, ჩინეთთან ურთიერთობაში კი — განსაკუთრებით, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პრინციპები მისთვის უცხო და მიუღებელი არა თუ არ იყო, არამედ გარკვეულ შემთხვევებში — პრიორიტეტული.**

პატიოსანი და დაკვირვებული ანალიტიკოსები ახლა უკვე პირდაპირ ამბობენ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალებს იგი დოგმატური მარქსიზმის კუთხით კი არ განიხილავდა, არამედ ეროვნული ინტერესების, ეროვნული იდეის საფუძველზე განახორციელებდა.

ისტორიკოსმა **ნიკოლაი ბერდიაევმა** თავის დროზე აღნიშნა, რომ **რუსეთის წინაშე დგას საბედისწერო დილემა. გასაკეთებელი არჩევანი დიადსა, დიად მისიას, დიად საქმეთა და სრულ არარაობას, არარსებობას შორის. საშუალო, „მორიდებული გზა რუსეთისთვის არ არსებობს",** — ამბობდა იგი.

იმავეს თქმა შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის მისამართითაც.

ასეთი იყო, ასკვნიან ანალიტიკოსები, გეოპოლიტიკური რეალობა, რომელსაც სრულად აცნობიერებდა სტალინი. **უმოკლეს ისტორიულ პერიოდში მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი ტიპის ცივილიზაცია, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული მიღწევების დონეზე გავიდა.**

**«დასავლეთში სტალინისადმი სიძულვილი, როგორც ჩანს, აიხსნება იმით, რომ მან დაამტკიცა დასავლეთისეული ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული გზის არსებობა»**

**არმაზ სანებლიძე**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ბევრ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, შინსახკომის ხაზითაც, მუშაობდნენ ჩვენი თანამემამულეები; არადა, 1938-1953 წლების მანძილზე მათი მხრიდან არ იყო ღალატის არც ერთი შემთხვევა, რაც დაზვერვის ისტორიაში უნიკალური გამონაკლისია! აი, ასეთი კადრები ჰყავდა ბერიას!“**

# იოსებ სტალინის ირანული ტრიუმფი



**ამ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო მოვლენაზე დაიწერა ათასობით ფურცელი, გადაღებულია დიდებული კინოფილმიც — „თეირანი-43“ ნატალია ბელოხვოსტიკოვას, ალენ დელონის, ჟორჟ ჟერეს, არმენ ჯიგარხანიანის, იგორ კოსტოლევსკის, კურდ იურგენსის მონაწილეობით და, მიუხედავად ამისა, დღევანდელი მკითხველისთვის ჯერ კიდევ უცნობია ამ კონფერენციაში ჩვენი თანამემამულეთა მონაწილეობის უამრავი ფაქტი. ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ქართველი გენერალიტეტის მემატიანეს, მეორე მსოფლიო ომის მკვლევარს, ისტორიკოსს, მრავალი პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენოსან ლევან დოლიძეს.**

**— თქვენთან წინა ინტერვიუმ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ გადავწყვიტეთ, „თეირანის“ თემა გაგვეგრძელებინა, მით უმეტეს, ბევრი რამ წინა წერილში, უბრალოდ, ვერ „ჩაეტია“.**

— ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე, არაერთხელ მისაუბრია თეირანის შეხვედრის უშუალო მონაწილეებთან, იმ ადამიანებთან, რომლებიც ამზადებდნენ მას და ზრუნავდნენ მის უსაფრთხოებაზე. სამწუხაროდ, დღეს უკვე არც ერთი მათგანი აღარაა ცოცხალი. „თეირანის“ ბოლო მოწმე და მაგ მოვლენების აქტიური მონაწილე, ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი-არალეგალი, საბჭოთა კავშირის გმირი, თბილისელი გევორქ ვართანიანი ამა წლის იანვარში გარდაიცვალა მოსკოვში, 88 წლის ასაკში...

შევახსენებ მკითხველს „დიდი სამეულის“ — სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის — შეხვედრის ძირითად პერიპეტიებს, რასაც წინ უძღოდა მრავალთვიანი მიმოწერა სამი მოკავშირე ქვეყნის ლიდერთა შორის. დასახელებული იყო რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, ქალაქი კასაბლანკა მაროკოში, სადაც ნიადაგის მოსასინჯად ჩავიდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენლები. საბოლოო ჯამში, უკვე 1943 წლის 5 ნოემბერს, სტალინის წინადადებით, „დიდმა სამეულმა“ გადაწყვიტა, შეხვედრა ჩაეტარებინა ირანის დედაქალაქ თეირანში, სადაც 1941 წლის აგვისტოში ერთდროულად შევიდნენ საბჭოთა და ბრიტანეთის ჯარები, ხოლო ერთი წლის შემდეგ ყოფილ სპარსეთში განლაგდნენ ამერიკული ჯარის ნაწილებიც.

სტალინი მომავალ შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და ამიტომ დააკისრა ლავრენტი ბერიას, მიუხედავად მისი მეტისმეტი გადატვირთულობისა, საბჭოთა დელეგაციის დაცვის საკითხები.

თავის დროზე, საპატიო ჩეკისტმა, საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებულმა მუშაკმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ზარელუამ მიამბო, რომ ლავრენტი ბერია გახლდათ უბადლო ორგანიზატორი, რომელიც პროფესიონალურად არჩევდა კადრებს. **რატომღაც დღემდე არ აქვეყნებენ იმ ფაქტებს, რომ დიდი სამამულო ომის ყველაზე მძიმე წლებში საბჭოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ბევრ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, შინსახკომის ხაზითაც, მუშაობდნენ ჩვენი თანამემამულეები; არადა, 1938-1953 წლების მანძილზე მათი მხრიდან არ იყო ღალატის არც ერთი შემთხვევა, რაც დაზვერვის ისტორიაში უნიკალური გამონაკლისია! აი, ასეთი კადრები ჰყავდა ბერიას!**

როგორც ისტორიამ დაგვანახა, სტალინი, ბერიას დახმარებით, ყველაზე უკეთ იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა მსოფლიოში და, განსჯის შედეგად, სასურველ მიზნებს აღწევდა. ასე, მაგალითად, თეირანის კონფერენციის დაწყებამდე სტალინმა მშვენივრად იცოდა როგორც ჩერჩილის, ისე რუზველტის გემოვნება, ჩვევები, სისუსტეები, მათი საოჯახო თუ სხვა კავშირების თაობაზე. ყველაფერ ამაზე ბელადს ბერია ატყობინებდა; თავის მხრივ, **ბერიას ინფორმაციას აწვდიდა ლონდონიდან „ზენკენი“, იგივე კიმ ფილბი — ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი, რომელიც თავის დროზე ბერიას დავალებით გადმოიბირა საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა, ხოლო ნიუ იორკიდან შეტყობინებები მოდიოდა აშშ-ში 1941 წლიდან ჩანერგილი შინსახკომის რეზიდენტის, ავლაბრელი ხელოსნის შვილის, ჰაიკ ოვაკიმიანისგან და მისი ჯგუფისგან, რომელმაც შემდგომ, სხვა გამოჩენილ მზვერავებთან ერთად, მოსკოვში გადმოსცა თითქმის ყველა მასალა ატომურ ბომბზე!**

დამატებით გეტყვით, რომ ოვაკიმიანი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ხელმძღვანელობდა ლევ ტროცკის ლიკვიდაციას. 1941-43 წლებში ბერიამ იგი დანიშნა საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის უფროსის მოადგილედ. ამაზე და კიდევ სხვა საინტერესო ამბებზე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიყვებოდა ლავრენტი ბერიას ვაჟი სერგო — საოცარი ბედის ადამიანი, რომელზეც შეიძლება გადაიღო მრავალსერიანი ფილმი! სერგო ბერია იყო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რაკეტების კონსტრუქტორი. მამის მკვლელობის შემდეგ, მას შეუცვალეს გვარი, მამის სახელი, ჩამოართვეს ყველა ჯილდო და წოდება. უნდა დაეხვრიტათ კიდეც, მაგრამ საქონლის „ინტელექტის“ პატრონს — ხრუშჩოვს უთხრეს, რომ, თუ სერგოს დავხვრეტთ, მაშინ სარაკეტო ტექნიკაში ამერიკელებს ოცი წლით ჩამოვრჩებითო! „Тогда, пусть живет“, — წაიღრუტუნა ყველა ანტისტალინელის „სულიერმა მამამ“ — ხრუშჩოვმა. აი, ასე იცხოვრა ბატონმა სერგომ დანარჩენი 45 წელი!.. როცა იგი გარდაიცვალა, 2000 წლის ნოემბერში, გაზეთ „ნედელია“-ში მოთავსდა ძალზე მოკრძალებული შეტყობინება: „В Киеве скончался директор НИИ „Комета“ Сергей Алексеевич Гегечкори“(?!).

სხვათა შორის, ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი — სერგო, რომელიც ჯერ კიდევ 17 წლისა არ იყო, 1941 წლის ზაფხულში, რადიოკავშირის მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ, სადაზვერვო ჯგუფთან ერთად, გადაისროლეს ირანის ქურთისტანში, თუმცა მისი ჯგუფის თავდაპირველი დავალება იყო მოხვედრა გერმანიაში, ზესაიდუმლო (ოღონდ არა ბერიასთვის) სარაკეტო ცენტრ — „პეენემიუნდეში“. სერგომ არალეგალურად დაჰყო ირანში ხუთი თვე, საიდანაც გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას „ცენტრში“, რომელიც განთავსებული იყო თბილისში, მას კი, ეგონა, მოსკოვში აგზავნიდა მონაცემებს.

1935 წლიდან სპარსეთში არალეგალურად იმყოფებოდა თბილისელი **ბოგდან ქობულოვი.** მან ადგილზე რამდენიმე დაზვერვის ცენტრი შექმნა, რამაც ხელი შეუწყო ომის დასაწყისში გერმანელი მსტოვრებისა და დივერსანტების გაუვნებელყოფას. ომამდე ირანში მუშაობდა კიდევ ერთი თბილისელი, პროფესიონალი მზვერავი **სერგო კორხმაზიანი.** ომის დამთავრების შემდეგ, ბერიას რეკომენდაციით, იგი სათავეში ჩაუდგა სომხეთის უშიშროების სამინისტროს და 1950 წელს გენერალიც გახდა. ირანში მუშაობდა შინსახკომის გენერალი, კაცი ლეგენდა — **ვარლამ კაკუჩაია,** ხოლო თბილისელი **ვანო ალაიანცი** გაგზავნილი იყო ირანში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად პარიზიდან, სადაც დიპლომატიურ რანგს ამოფარებული (საფრანგეთში სსრკ-ს საელჩოს მესამე მდივანი) ასრულებდა საფრანგეთში საბჭოთა რეზიდენტის მოადგილის მოვალეობას. ომის შემდეგ ალაიანცი იკავებდა მაღალ თანამდებობებს სუს-ში და სუკ-ში. გენერლის წოდებაც მიიღო.

**— ბატონო ლევან, თქვენი მონაყოლიდან ირკვევა, რომ ბერიას, ასე ვთქვათ, გარემოცვაში ბევრი სომეხი ეროვნების ადამიანი იყო. რით ხსნით ამას?**

— ლავრენტი ბერია პრაგმატიკოსი გახლდათ. მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: მაგ წლებში სპარსეთ-ირანში უამრავი სომეხი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა ვაჭრობით იყო დაკავებული და ხშირად დადიოდა ავღანეთსა და თურქეთში, ამიტომაც ბერია სადაზვერვო სამსახურში იზიდავდა თბილისელ სომხებს და ისინიც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდნენ მის დავალებებს!

სომხების გარდა, თბილისელი რუსებიც იყვნენ, მაგალითად, **პეტრე ზუბოვი,** რომელიც მაგ დროს ორჯერ ჩავიდა ირანში. პეტრე იაკობის ძე იცოდა ქართული ენა და ბერიამ ისიც მოიწვია საიდუმლო სამსახურში. ზუბოვმა თავი გამოიჩინა კავკასიისთვის ბრძოლაში, სადაც, ლავრენტი ბერიასთან ერთად, ჩამოვიდა მოსკოვიდან 1942 წლის ზაფხულში.

**„დიდი სამეულის“ შეხვედრამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ეს ამბავი ჰიტლერისთვის გახდა ცნობილი. მან უმალ მიიღო ყველა ზომა, რომ ადგილზე გაენადგურებინათ სტალინი და ჩერჩილი. რაც შეეხება რუზველტს, „ცოფიანმა ფიურერმა“ მისი დატყვევება უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა; ალბათ, ამერიკასთან „სავაჭროდ“ გამოსაყენებლად...**

**— ბატონო ლევან, როგორ გაიგო ჰიტლერმა ამ შეხვედრის თაობაზე? ვინ მიაწოდა ინფორმაცია?**

— ეს დღემდე არაა ცნობილი; თუმცა საფიქრებელია, ინფორმაციამ ინგლისელებისგან გაჟონა. დაახლოებით ასე თვლიდა ქართველი **რუდოლფ ფონ შელია,** იმ წლებში შინსახკომის რეზიდენტი ბერლინში. საბჭოთა დაზვერვის უმაღლესი ხელმძღვანელობა იცნობდა მას, როგორც „არნეცს“.

გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდა საბჭოთა ფილმი „მზვერავის გმირობა“ და მიეძღვნა განთქმული საბჭოთა მზვერავის, საბჭოთა კავშირის გმირის, ნიკოლოზ კუზნეცოვის, ხსოვნას, მაგრამ ამის თაობაზე ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ. მთავარი როლი ამ ფილმში შეასრულა პოპულარულმა მსახიობმა, სტალინური პრემიის სამგზის ლაურეატმა — პავლე კადოჩნიკოვმა.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ **ნიკოლოზ კუზნეცოვი** მოიზიდეს ბერიას საიდუმლო თანამშრომლებმა. იმ დროს ბერიას მოუწია, თითქმის მთლიანად განეახლებინა საკავშირო შინსახკომის ცენტრალური აპარატი და ახალი პერსპექტიული თანამშრომლების მოეძებნა. ნიკოლოზ კუზნეცოვმა გაიარა ბერიას ჩეკისტთა კოჰორტის, ლეგენდარული გენერლის — პავლე სუდოპლატოვის სკოლა და გადაისროლეს გერმანელთა ზურგში ობერ-ლეიტენანტ პაულ ვილჰელმ ზიბერტის სახელით. ვისაც ეს ფილმი არ უნახავს და არ სმენია ამ გახმაურებულ ისტორიაზე, მოკლედ მოვახსენებ: პაულ ზიბერტმა ოკუპირებულ ლვოვში გაიცნო მნიშვნელოვანი პერსონა, SS-ის შტურმბანფიურერი ულრიხ ფონ ორტელი, რომელიც ენათესავებოდა მესამე რაიხის ზოგიერთ ხელმძღვანელს, თუმცა ჰქონდა ნაკლიც — ეტანებოდა „შნაპსს“, ანუ ლოთობდა. კაზინოში მორიგი შეხვედრის დროს ▶



თეირანის კონფერენციაზე

**„ნაცისტების მიერ დაგეგმილი ოპერაცია კოდური დასახელებით „გრძელი ნახტომი“ დაიწყო ნოემბრის შუა რიცხვებში, მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ არათუ ჩაშალა ეს შეთქმულება და გააუვნებელყო გერმანიის „მთავარი დივერსანტის“ — ოტტო სკორცენის ათობით თანამოღვაწე, არამედ სრულად ისარგებლა ამერიკის პრეზიდენტის — რუზველტის სამდღიანი ყოფნით საბჭოთა საელჩოში. იმ ოთახებში, რომლებშიც გაჩერდა რუზველტი, დაყენებულ იქნა მოსასმენი მიკროფონები. ეს საკმაოდ საჩოთირო საქმე სტალინმა პირადად სერგო ბერიას დაავალა.“**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ფონ ორტელმა წამოაყრანტალა, რომ საიდუმლო დავალებით მიემგზავრება თეირანში, სადაც მალე ერთმანეთს შეხვდებიან სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი და მათი განადგურება იგეგმებაო. ორტელი უფრო შორს წავიდა და პაულ ზიბერტს შესთავაზა ამ საიდუმლო ჯგუფის წევრობა. სულ მალე ეს ინფორმაცია ბერიას მაგიდაზე ედო.

**ნაცისტების მიერ დაგეგმილი ოპერაცია კოდური დასახელებით „გრძელი ნახტომი“ ნოემბრის შუა რიცხვებში დაიწყო, მაგრამ საბჭოთა დაზვერვამ არათუ ჩაშალა ეს შეთქმულება და გააუვნებელყო გერმანიის „მთავარი დივერსანტის“ — ოტტო სკორცენის ათობით თანამებრძოლი, არამედ სრულად ისარგებლა ამერიკის პრეზიდენტის — რუზველტის სამდღიანი ყოფნით საბჭოთა საელჩოში. იმ ოთახებში, რომლებშიც რუზველტი გაჩერდა, მოსასმენი მიკროფონები დააყენეს. ეს საკმაოდ საჩოთირო საქმე სტალინმა პირადად სერგო ბერიას დაავალა.** სერგოს არა მარტო ყურადღებით უნდა მოესმინა რუზველტის და ჩერჩილის საუბრები, არამედ დაკვირვებოდა მათ ინტონაციასაც, ხოლო დილით პირადად სტალინისთვის მოეხსენებინა.

თბილისში მე ახლოს გავიცანი უკვე თადარიგში მყოფი ჩეკისტი, შინსახკომის, შემდგომ სუს-ის პოლკოვნიკი ალექსანდრე ნაბიჭვრიშვილი. იგი ცხოვრობდა მაჩაბლის ქ.№7-ში. სხვათა შორის, მაგ აგურის სახლში ცხოვრობდა უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ გვიშიანიც, რომლის შვილი — ჯერმენი, მომავალი ცნობილი აკადემიკოსი, დაქორწინდა სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ალექსეი კოსიგინის ქალიშვილზე — ლუდმილაზე. გვერდით კი, ერთი სახლის გამოტოვებით, 1938 წლამდე, მოსკოვში გადასვლამდე, ცხოვრობდა ლავრენტი ბერიას ოჯახი.

**ბერიას სკოლის ჩეკისტები არ გახლდნენ საუბრის მოყვარულნი, ამიტომაც მიხდებოდა მათთან ხშირად შეხვედრა; საუბრისას „ვიჭერდი“ ცალკეულ ფრაზებს. „მშველოდა“ ისიც, რომ ვმეგობრობდი მათ შვილებთან და ახლო ნათესავებთან. მოკლედ, მარცვალ-მარცვალ ვაგროვებდი ინფორმაციას.**

მაშ ასე, პოლკოვნიკმა საშა (როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ ახლობლები) ნაბიჭვრიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ იყო ბერიას ნდობით აღჭურვილი თანამშრომელი, არ იცოდა, რომ მორიგი დიდი პარტია ყველანაირი პროდუქტისა, ღვინისა, კონიაკისა, ხილისა და ა. შ. გააგზავნა „დიდი სამეულის“ სუფრაზე თეირანში. აღსანიშნავია, იმ დროს საქართველოდან სურსათ-სანოვაგის გაგზავნა მოსკოვში სტალინისთვის, ბერიასთვის და სხვებისთვის არ ხორციელდებოდა სპეციალური ლაბორატორიის გასინჯვის და საშა ნაბიჭვრიშვილის ბეჭდის გარეშე.

როცა პარტიულ სამუშაოზე ვიყავი, ჩვენთან, „ცეკას“ სასადილოში, შეფ-მზარეულად მუშაობდა ძალზე გულკეთილი ადამიანი — ალექსანდრე არსენის ძე რთველაძე. ბატონი ალექსანდრე იმ დროისთვის ცკ-ის მაშინდელი „პატრონის“ — ედუარდ შევარდნაძის პირად მზარეულად მსახურობდა. გვიან საღამოს, სამსახურის შემდეგ, ჩვენ ხშირად დავმგზავრებივართ ერთმანეთს. იგი გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, ჩემი ძმის მეზობლად. სულ მოკლე დროში ჩვენ ნათესავებივით დავახლოვდით. ჰოდა, ერთხელ შაბათ საღამოს, ჩაის რომ მივირთმევდით, არსენიჩმა, როგორც მას პარტმუშაკები და ნაცნობები მიმართავდნენ, საოცარი ისტორია მომიყვა. ვფიქრობ, ცნობილი მზარეული არაგამოგონილ ამბავს ყვებოდა, რაც, თითქმის 35 წლის შემდეგ არც თუ ისე უინტერესო იქნება მკითხველისთვის.

თურმე ალექსანდრე რთველაძე 30-იან წლებში ლავრენტი ბერიას მზარეული იყო. მოსკოვში გადასვლის შემდეგ, მან რთველაძეც თან წაიყვანა. გადიოდა წლები. ბერიასთან სახლში ხშირად სტუმრობდა სტალინი. სოსოს ძალიან უყვარდა ბერიას მეუღლის — ნინო გეგეჭკორის მომზადებული ქართული კერძები. რამდენიმე ხნის შემდეგ, რთველაძემ სტალინის სამზარეულოში დაიწყო მუშაობა.

ერთხელ არსენიჩს უბრძანეს, მისულიყო ვაგზალზე, კუნცევოს რაიონში. საით უნდა გაეშვათ, არავინ იცოდა. დრო იყო ასეთი — „ზედმეტი სიტყვების გარეშე“. ამგვარად, იგი აღმოჩნდა ბაქოში, საიდანაც რამდენიმე თვითმფრინავით მთელი ჯგუფი (60 კაცამდე) თეირანში ჩაიყვანეს. უნდა გითხრათ, იმდროინდელი თეირანი ძალიან ჰგავდა თბილისის ცენტრს და რთველაძესაც თურმე თავდაპირველად თბილისში ეგონა თავი. 1943 წლის 25 ნოემბერი იყო და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგეს, რომ აქ უნდა ჩატარებულიყო საერთაშორისო შეხვედრა!..

**უინსტონ ჩერჩილს 30 ნოემბერს 69 წელი უსრულდებოდა. ჩვენმა ჩეკისტებმა იცოდნენ, რომ მას ჭკუა ეკეტებოდა მოხარშულ ზუთხზე. ბერიას დავალებით, აზერბაიჯანის ხელმძღვანელმა მირ ჯაფარ ბაგიროვმა კასპიის ზღვაში მეთევზეებს დააჭერინა ორი მეტრ-ნახევრიანი ზუთხი; რთველაძეს უბრძანეს ზუთხის მთლიანად მოხარშვა. საბჭოთა საელჩოს „სამეურნეო“ ეზოში კოცონი დაანთეს, ადუღებულ წყალში ჩაუშვეს დოლბანდში გახვეული ზუთხი. კოცონის ორივე მხრიდან იდგნენ ჩეკისტები, რომლებსაც ეკავათ ხეზე გადასროლილი თოკის ბოლოები; როგორც კი არსენიჩმა ნიშანი მისცა, ზუთხი ასწიეს, მოაშორეს დოლბანდი და სპეციალურად ლენინგრადის ერმიტაჟიდან ჩამოტანილ ვეებერთელა სინზე მოათავსეს. შემდეგ „მორთეს“ მოხარშული ზუთხი, მათ შორის, შავი ხიზილალითაც.** მერე რთველაძემ და მისმა დამხმარეებმა, უშიშროების მესამე რანგის კომისრის, ალექსანდრე ეგნატაშვილის ( თეირანში კურირებდა ყველა სამეურნეო საკითხს), მითითებით, სინი საზეიმოდ შეიტანეს საბანკეტო დარბაზში (მადლობა ღმერთს, ინგლისის საელჩო გვერდით იყო) და დადგეს მაგიდაზე ჩერჩილის წინ. **ბრიტანეთის პრემიერის აღტაცებას და ემოციებს ბოლო არ უჩანდა! ბანკეტის ბოლოს იუბილარს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადეს — მის წინ აღმოჩნდა მთლიანად შოკოლადიდან დამზადებული უზარმაზარი კომპოზიცია „რუსული ტროიკა“.**



**კონფერენციის დამთავრებისას, «დიდმა სამეულმა» თურმე სამახსოვრო სურათის გადაღება მოისურვა. რატომღაც ორ ჩვეულებრივ სავარძელთან ერთად დადგეს შესამჩნევად დაბალი სავარძელი, რომელზეც ჩერჩილი მოთავსდა. პრემიერი ტანმორჩილი იყო. უმცირეს ნიუანსებზეც დაკვირვებულმა ჩერჩილმა, როგორც ჩანს, შეამჩნია დამსწრეთა თვალებში ირონია და შემდგომში, იალტაშიც და პოტსდამშიც «დიდი სამეულის» სავარძლები მხოლოდ ერთი სიმაღლისა იყო!**

ეს ამბავი დამიდასტურა გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ კარანაძის შვილმაც (ბატონი გრიგოლი, სხვა ჩეკისტებთან ერთად, უზრუნველყოფდა საბჭოთა დელეგაციის უსაფრთხოებას), რომელიც მამასთან ერთად ამ მოვლენის მოწმე იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, ჩემს ნათესავებთან მოსკოვში ყოფნისას, ოჯახურ ვითარებაში გავიცანი მათი მეგობარი, ყოფილი ჩეკისტი, მაიორი გრიშა ზაქარაია. იგი თეირანში სტალინის დაცვის ჯგუფში შედიოდა. მისგან საინტერესო ფაქტი შევიტყვე.

**კონფერენციის დამთავრებისას, „დიდმა სამეულმა“ თურმე სამახსოვრო სურათის გადაღება მოისურვა. რატომღაც ორ ჩვეულებრივ სავარძელთან ერთად დადგეს შესამჩნევად დაბალი სავარძელი, რომელზეც ჩერჩილი მოთავსდა. პრემიერი ტანმორჩილი იყო. უმცირეს ნიუანსებზეც დაკვირვებულმა ჩერჩილმა, როგორც ჩანს, შეამჩნია დამსწრეთა თვალებში ირონია და შემდგომში, იალტაშიც და პოტსდამშიც „დიდი სამეულის“ სავარძლები მხოლოდ ერთი სიმაღლისა იყო!**

ყველაზე გასაკვირი ჩემთვის ის გახდა, რომ მაშინ თეირანში იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, მოსე თოიძის ხუთი ვაჟიდან ერთ-ერთი — გიორგი. აღმოჩნდა, რომ ლავრენტი ბერია მეგობრობდა მოსე თოიძესთან და ეს უკანასკნელი ხშირად სტუმრობდა შინსახკომის ყოვლისშემძლე თავკაცს. ცნობილია, ბერია კარგად ხატავდა ფანქრითაც და ფუნჯით და არც თუ ისე ურიგო არქიტექტორი იყო; მაშასადამე, მას ჰქონდა სასაუბრო თემა მხცოვან ქართველ მხატვართან. ჰოდა, მოსე თოიძის ნაბოლარა — გიორგი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე, იმ დიდი ომის პირველივე დღიდან ებრძოდა მტერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოქმედ ჯარებში, შემდეგ — ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე. როგორ აღმოჩნდა გიორგი თოიძე ირანში, აღარ მახსოვს, თუმცა ჩემს ბლოკნოტში შემომრჩა მისი იმდროინდელი ზოგიერთი მოგონება.

### გიორგი თოიძის მოგონება

**„თეირანში ვმუშაობდი მთავარ და, საერთოდ, ერთადერთ მხატვრად გაზეთ „ირანის მეგობარში“, რომელიც ფარსის ენაზე გამოდიოდა. რედაქცია თეირანიდან 7 კილომეტრში, ზერგენდში იმყოფებოდა, სადაც განთავსებული იყო საბჭოთა საელჩოს საზაფხულო რეზიდენცია. კონფერენციის მომზადების და ჩატარების პერიოდში ბევრ ქართველს შევხვდი, მათ შორის, მშვენიერ სპორტსმენ-ტანმოვარჯიშეს, უშიშროების სამსახურის მაიორ ლევან ჩაჩავას, კინოოპერატორ კანდელაკს და მრავალ სხვას...“**

* * *

მე კი ჩამონათვალს რამდენიმე სახელს დავუმატებდი: სტალინის პირადი დაცვის უფროსს, წარმოსადეგ გენერალს — **შალვა წერეთელს** (მას ბერია იცნობდა ოციანი წლებიდან, როდესაც ერთად ისხდნენ ქუთაისის ციხეში), ასევე, ულამაზეს ვაჟკაცს, გენერალ **კაპიტონ ნაჭყებიას** (რომელსაც ყურადღება მიაქცია უინსტონ ჩერჩილმა) და კიდევ ბევრი სხვა...

**„დიდი სამეულის“ შეხვედრა, ასე ბრწყინვალედ ორგანიზებული და ჩატარებული დასრულდა სტალინის და მისი თანამემამულეების ტრიუმფით, განსაკუთრებით საბჭოთა ჯარების უდიდესი გამარჯვებებით სტალინგრადთან, კავკასიის ფრონტზე, კურსკის რკალზე, დნეპრის ფორსირების და კიევის განთავისუფლების ფონზე! რუზველტი მოხიბლული იყო სტალინის პიროვნებით, ხოლო ჩერჩილი — საბჭოთა ბელადის ქარიზმით!** ასაკით ყველაზე უფროსი ჩერჩილი გახლდათ — მას 69 წელი შეუსრულდა; 21 დღის შემდეგ სტალინი 64-ისა ხდებოდა, რუზველტს კი 62 წლამდე ცოტაღა აკლდა. ყველაზე ახალგაზრდა, რომელსაც დაეკისრა „დიდი სამეულის“ დაცვა, იყო ბერია. იგი ცხოვრების მხოლოდ 44 წელს ითვლიდა.

მათ შორის ყველაზე დიდხანს ჩერჩილმა — უჭკვიანესმა, ბრძენმა პოლიტიკოსმა — იცოცხლა. მან, საბჭოთა რუსეთის და სსრკ-ის პირველმა მტერმა 1959 წელს, როცა საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვის მიერ გაჩაღებული იყო აღვირახსნილი ანტისტალინური ისტერია, ლორდთა პალატაში სტალინის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში სტალინს გენია უწოდა და დასძინა: **„...სტალინმა რუსეთი გუთნით ჩაიბარა, ხოლო ატომური ბომბით შეიარაღებული დატოვა“!**

**— ბატონო ლევან, ამ საკითხზე მე ვაპირებ ერთ ცნობილ რუს მკვლევარს ვესაუბრო, მაგრამ ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი, ასეთმა იდეურმა მტერმა, როგორიც ჩერჩილი იყო სტალინისთვის, როგორ გაიმეტა საბჭოთა კავშირის ბელადისთვის აღტაცებული სიტყვები?**

— ჩემი აზრით, ეს უბრალოდ აიხსნება: ჩერჩილი ჰერცოგ მალბოროების პირდაპირი ჩამომავალი იყო, ანუ უმაღლესი რანგის არისტოკრატი. კეთილშობილი ადამიანებისთვის ცხოვრებაში ღირსებაა უმთავრესი. ღირსების არქონა არისტოკრატისთვის სიკვდილის ტოლფასია; **ჩერჩილი პირადად იცნობდა სტალინს და მშვენივრად იცოდა, რომ ხრუშჩოვი და მისი მდაბიო ბანდა ცრუობდნენ და მას — ლორდ ჩერჩილს, უფლება არ ჰქონდა, ხმა არ ამოეღო ამ საძაგლობის წინააღმდეგ!** წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მყეფარე უჯიშო ლუმპენს დაემსგავსებოდა! აი, მოკლედ, პასუხი თქვენს კითხვაზე.

**— რამდენიმე ხნის წინ მქონდა „ბედნიერება“, გავცნობოდი ოტტო სკორცენის მოგონებებს. იგი ამბობს, რომ გერმანელები „დიდი სამეულის“ განადგურებას არ აპირებდნენო. თქვენი კომენტარი.**

— დაუჯერეთ?

**— რა თქმა უნდა, არა!**

— ჩემი აზრით, სკორცენის ასეთი უცნაური „საქციელი“, შესაძლოა, აიხსნას სამი მიზეზით: პირველი — რაღაც ფაქტებზე მზვერავები პირში წყალს იგუბებენ სიკვდილამდე; მეორე: სკორცენი ორმაგი აგენტი იყო, მუშაობდა არა მხოლოდ ჰიტლერზე, არამედ სტალინსაც ემსახურებოდა და მესამე: ძალზე არ სიამოვნებდა, რომ საბჭოთა დაზვერვასთან პირწმინდად დამარცხდა.

აპირებდნენ და კიდევ როგორ აპირებდნენ „დიდი სამეულის“ ლიკვიდაციას! თუ რა აგენტურული ქსელი ჰქონდათ ფაშისტებს შექმნილი, ეს ორი ფაქტიც მეტყველებს. SD-ს ოფიცერი ფრანც მაიერი მუშაობდა თეირანში სომხურ სასაფლაოზე მესაფლავედ, ხოლო ჰაუპტშტურმფიურერი იულიუს შულცე მსახურობდა ისპაჰანის მეჩეთში მოლად და ყოველ პარასკევს მუსლიმებს უქადაგებდა, რომ „ყველა მართლმორწმუნეს ვალია, გამოუცხადოს ინგლისელებს და რუსებს, რომლებიც თავის აქ ყოფნით შეურაცხყოფენ ისლამის მიწას, ჯიჰადი“. მაიერი დააპატიმრეს კონფერენციამდე ორი თვით ადრე. ასე რომ, **ბერიამ და მისმა სამსახურმა აშკარად დაჩაგრეს ფაშისტების უძლიერესი დაზვერვა!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სსრ კავშირის წარმომქმნელი „ეროვნებათა ჩაქრობისა“ და „საბჭოთა შტატების“ შექმნის ანდროპოვისეული ჩანაფიქრის ძალაში შესვლას ხელი შეუშალა იმან, რომ იური ვლადიმიროვიჩი „ლოგინად ჩავარდა“.**

# «არაჩვეულებრივი გამოფენა» ლალის ვარსკვლავების ცის ქვეშ

საბჭოთა კავშირის დანგრევა რომ გლობალური მოვლენა იყო, განვლილმა დრომ დაადასტურა. დროის გადასახედიდან ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ კოლოსის მსხვრევის გარდაუვალობის მიზეზი იმპერიის სათავეში უნიჭო, შემთხვევით აღზევებული პატარა კაცების მისვლითაც იყო განპირობებული. სტალინის წასვლით დამთავრდა ტიტანების ეპოქა. იყო სხვა სერიოზული მიზეზებიც, რა თქმა უნდა, მაგრამ „საქართველო და მსოფლიოს“ ახალ რუბრიკა წინა ნომერში სწორედ ამ თემით დავიწყეთ. ეს ციკლი მრავალრიცხოვანი უცხოური პუბლიკაციების, საბჭოთა არქივების განსაიდუმლოებული მასალების მიხედვითაა შედგენილი.



იური ანდროპოვი და მიხეილ გორბაჩოვი

# ასე იმსხვრეოდა ფოლადი

**1982 წლის 25 მარტს ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გარდაიცვალა მიხაილ სუსლოვი, სკკპ ცკ მეორე მდივანი, პოლიტბიუროს წევრი, „მეორე კაცი“ პარტიის ხელმძღვანელობაში. მომდევნო ადგილი კონსტანტინ ჩერნენკოს ეკავა — ბრეჟნევის უახლოეს ადამიანს.**

პარტიულ იერარქიაში არსებული დაუწერელი წესითა და რიგით, სუსლოვის ადგილი ჩერნენკოს უნდა დაეკავებინა, მით უფრო, რომ მან ცკ საერთო განყოფილების გამგეობასთან ერთად შეითავსა ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის (ანუ კადრების) და აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებების გამგის თანამდებობები.

მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1982 წლის 24 მაისს სკკპ ცკ პლენუმზე ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს იური ანდროპოვი, სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მაგრამ მას საკურატოროდ არ ჩააბარეს ის საკითხები, რომლებიც უწინ სუსლოვს ებარა.

პარტიულმა ელიტამ მიიჩნია, რომ ანდროპოვი საპატიო დევნილობისთვის გაწირეს. მაგრამ მალე, ანუ 1982 წლის ნოემბრის დასაწყისში უმაღლეს დონეზე შიდაპარტიული ბრძოლა მთავრდება იმით, რომ ანდროპოვი მკვიდრდება მეორე კაცად პარტიულ იერარქიაში.

ეს პერიოდი სსრ კავშირის კომპარტიაში შიდაპარტიული ბრძოლის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანი, როგორც მკითხველებს ციკლის დასაწყისში ვაცნობეთ, სხვა არის, და მივყვეთ თხრობის არჩეულ მიმართულებას.

## ავადმყოფობდა თუ არა იური ანდროპოვი?

1982 წლის 28 ოქტომბერს ბრეჟნევმა მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსს, აკადემიკოს ჩაზოვს უთხრა: **„მითხრეს, რომ ის (ანდროპოვი) მძიმე ავადმყოფია და მისი დღეები დათვლილია. შენ იცი, რომ მასზე ფსონია დადებული და მე მისი იმედი მაქვს. გაითვალისწინე ეს. მან უნდა იმუშაოს“.**

ჩაზოვმა ბრეჟნევი დაამშვიდა. კვალად ანდროპოვმა დაბეჯითებით სთხოვა აკადემიკოსს, დაერწმუნებინა გენერალური მდივანი, რომ იგი, ანდროპოვი, სავსებით ჯანმრთელია.

ჩაზოვმა შეუსრულა თხოვნა.

ვნახოთ, მართლა ჯანმაგარი კაცი იყო იური ვლადიმიროვიჩი?

1982 წლის ნოემბერში ანდროპოვი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელად აირჩიეს — სკკპ ცკ გენერალურ მდივნად. დაიწყო ახალი ეტაპი იმპერიის ისტორიაში.

თანამედროვეთა შეხედულებით, რაც იმავე პერიოდში მათ არაერთხელ საჯაროდ განუცხადებიათ, ანდროპოვს ჰქონდა ქვეყნის საფუძვლიანი გარდაქმნის ღრმად გააზრებული გეგმა, რომელიც ეკონომიკური სფეროს გარდა ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურების და პოლიტიკური სისტემის რეფორმირებას ითვალისწინებდა.

**საინტერესოა, რომ ანდროპოვის პრინციპული შეხედულებით, საბჭოთა კავშირი უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთიან უზარმაზარ კორპორაციად, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელი იქნებოდა, მეურნეობრიობის თვალსაზრისით ჩაკეტილი და კოლოსალური ტექნოლოგი პოტენციალით გაძლიერებული. ამ კორპორაციის ფარგლებში შეიქმნებოდა მსხვილი გაერთიანებები, რომლებსაც საშუალება ექნებოდა ეთანამშრომლა მსოფლიო საფინანსო და საფონდო ბაზრებთან, საბჭოთა ეკონომიკაში მიეზიდათ დასავლეთის კაპიტალი და მისი დახმარებით აემაღლებინათ საკუთარი ტექნოლოგიური აღჭურვილობის დონე. მოკლედ, ანდროპოვი ისწრაფოდა იმისკენ, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისთვის გამოეყენებინა ისეთი საშუალება, როგორიცაა ერთობლივი საწარმოები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით.**

პოლიტიკური სისტემის რეორგანიზაცია იური ვლადიმიროვიჩს ესახებოდა დემოკრატიის თანდათანობითი დამკვიდრების გზით, განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა იგი შიდაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციას.

მაგრამ 1983 წლის შემოდგომისთვის ანდროპოვს ავადმყოფობა მოეძალა.

ავადმყოფობა ცუდი რამეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი დადებითი შედეგი გამოიღო.

2002 წელს ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ არკადი ვოლსკიმ ანდროპოვის ერთი სენსაციური ჩანაფიქრის რეალიზაციის თაობაზე ინტერვიუ მისცა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“:

„ერთხელ გამომიძახა იური ვლადიმიროვიჩმა და მითხრა: „ჩვენ ძალიან ბევრი სსრკ სუბიექტი გვყავს. მოდით, გავაერთიანოთ ყველა ისინი 15-16 ეკონომიკურ რეგიონად და ჩამოვაყალიბოთ როგორც შტატები ამერიკაში. ეროვნული ნიშნით ერთი ქვეყნის დაყოფა, ჩვენს გარდა მსოფლიოს არცერთი ქვეყნისთვის დამახასიათებელი არ არის! კარგად მოიფიქრეთ და დამიხაზეთ ამ რეგიონების რუკა“.

**ასე უნდა მოშლილიყო საბჭოთა კავშირის ფარგლებში ეროვნული რესპუბლიკების სახსენებელიც კი.**

არკადი ვოლსკიმ და აკადემიკოსმა ევგენი ველიხოვმა შეადგინეს „საბჭოთა კავშირსი ახალი რუკის“ 15 ვარიანტი. **სსრ კავშირის წარმომქმნელი „ეროვნებათა ჩაქრობისა“ და „საბჭოთა შტატების“ შექმნის ანდროპოვისეული ჩანაფიქრის ძალაში შესვლას ხელი შეუშალა იმან, რომ იური ვლადიმიროვიჩი „ლოგინად ჩავარდა“.**

კიდევ კარგი!

## როგორ გარდაიცვალა ანდროპოვი

**იური ანდროპოვის გარდაცვალება დაემთხვა კრიტიკულ პერიოდს, როცა გენერალური მდივნის ყველა ჩანაფიქრი — პლიუსითა თუ მინუსი ნიშნით განხორციელების ფაზაში უნდა შესულიყო, როცა ამასთან ერთად, სსრ კავშირისა და აშშ-ის გამწვავებული ურთიერთობა „საბედისწერო ნიშნულს“ უახლოვდებოდა.**

1984 წლის 11 თებერვალს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ოფიციალური სამედიცინო დასკვნა: **„ი.ვ. ანდროპოვი, დაბადებული 1914 წელს, დაავადებული იყო ინტერსტიციული ნეფრიტით, ნეფროსკლეროზით, მეორადი ჰიპერტონიით, შაქრის დიაბეტით, რომელიც გართულდა თირკმლების უკმარისობით“.**

ამ მდიდარი თაიგულის ხალხის საცნობრად გამოტანა ერთ მიზანს ისახავდა — სკკპ ცკ გენერალური მდივანი უიმედო ავადმყოფი იყო, მაშასადამე, 70 წელს მიტანებული კაცი თავისი სიკვდილით გარდაიცვალა.

ზემოთ გავიხსენეთ ბრეჟნევის მიერ ჩაზოვისათვის გაზიარებული ეჭვი: „მითხრეს, რომ ის (ანდროპოვი) მძიმე ავადმყოფია“. მართალია, ჩაზოვმა დაარწმუნა ლეონიდ ილიჩი, რომ მომავალი გენერალური მდივანი ჯანმრთელია, მაგრამ რეალობა, სამწუხაროდ, საპირისპირო იყო.

**ჯერ კიდევ სამოციანი წლების ბოლოს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში ყველამ იცოდა, რომ ანდროპოვს თირკმლები დაავადებული ჰქონდა და რომ დაავადება წლების განმავლობაში აწუხებდა, თუმცა ეს მაინც და მაინც ხელს არ უშლიდა ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.**

მაგრამ 1969 წლის სექტემბერში მოხდა არაპროგნოზირებადი რამ.

3 სექტემბერს გარდაიცვალა ჩრდილოეთ ვიეტნამის მეთაური ხო ში მინი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ჰანოიში მიავლინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი და იური ანდროპოვი.

უკანა გზაზე ისინი პეკინში შეჩერდნენ. მოსკოვში რომ დაბრუნდნენ, ანდროპოვი ავად გახდა. უშიშროების მაღალი თანამდებობის ერთმა ინკოგნიტო გენერალმა ამ ამბით დაინტერესებულ ჟურნალისტს განუცხადა, რომ გამოჯანმრთელებულმა ანდროპოვმა ვიწრო წრეში თქვა: **„ჩინელებმა რაღაცით მომწამლეს“.**

ამ კუკუდამალობანას გაშიფვრას მხოლოდ წელიწადნახევარი დაჭირდა: „მაღალი თანამდებობის გენერალი“ იყო ვ. პიროჟკოვი (ვერ გეტყვით, დიდად ნაცნობი ფართე საზოგადოებისთვის), ჟურნალისტი — დ. მაკაროვი, არცთუ გამორჩეული კალმის ოსტატი, მაგრამ, როგორც ჩანს, სპეცსამსახურების წრეში მიღებული კაცი. მაკაროვთან საუბარში გენერალმა პიროჟკოვმა საჯაროდ დაადასტურა დასახელებული ფაქტი: ანდროპოვმა მართლაც ასე თქვაო.

1976-1977 წლების გასაყარზე ანდროპოვი საიდუმლო მივლინებით ავღანეთში ჩავიდა.

„მოსკოვის აეროპორტიდან მას რომ ვაცი- ▶

**ანდროპოვი ისწრაფოდა იმისკენ, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისთვის გამოეყენებინა ისეთი საშუალება, როგორიცაა ერთობლივი საწარმოები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით**

მსოფლიო

## თურქეთის ექს-პრეზიდენტის ნეშტში საწამლავი იპოვეს

**სპეციალისტებმა თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის ნეშტში საწამლავი აღმოაჩინა. თუმცა გახდა თუ არა ეს საწამლავი 1993 წელს გარდაცვლილი თურქეთის პრეზიდენტის, ტურგუტ ოზალის, სიკვდილის მიზეზი, ვერ დაადგინა. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი მედია ავრცელებს. ტელეკომპანია NTV იუწყება, რომ სტამბულის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა ზემდგომ ინსტანციაში გადაიგზავნა.**

ოზალას აკლდამა, რომელიც სტამბულში მდებარე მავზოლეუმში მდებარეობდა, ანკარის პროკურატურის განკარგულებით, ოქტომბერში გახსნეს. ანკარის პროკურატურა პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზებს ხელახლა იძიებდა. ექსჰუმაციის შემდეგ პრეზიდენტის ნეშტი იქვე, ისეთივე სახელმწიფოებრივი პატივისცემით დაიკრძალა. თურქული მედია ნოემბრის დასაწყისში უკვე წერდა, რომ პრეზიდენტი ნივთიერება სტრიხნინით მოწამლეს, თუმცა ოფიციალური პირები ამ ფაქტს არ ადასტურებდნენ. აღსანიშნავია, რომ თურქეთის ექს-პრეზიდენტის ვაჟი ახმედ ოზალი გამუდმებით აცხადებდა, რომ მამამისი მოწამლეს.



# ექიმები იური ვლადიმეროვიჩს ამშვიდებდნენ, როგორც საერთოდ ყველა პაციენტს, რომ ამ პროცედურას კვირაში მხოლოდ ორჯერ ჩაუტარებდნენ, და, როცა ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა, კვირაში ერთხელ შეაწუხებდნენ, შემდეგ — უფრო იშვიათად.

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლებდით, — იხსენებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ერთ-ერთი ყოფილი თავმჯდომარე ჩებრიკოვი, — მან მსუბუქად აირბინა ტრაპზე. მაგრამ როცა რამდენიმე დღის შემდეგ ტრაპზე დამოუკიდებლად ჩამოსვლა ვერ შეძლო. იგი საკაცით ჩამოიყვანეს და აეროპორტიდან საავადმყოფოში წაიყვანეს“.

რა დაემართა ანდროპოვს ქაბულში?

დიდი არაფერი — ვირუსული ინფექცია შეეყარა, მაგრამ ისე გააასაიდუმლოეს, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლეს ხელმძღვანელობასაც კი დაუმალეს.

თუმცა — ბოლომდე ვერ. ორი თვე იავადმყოფა იური ანდროპოვმა მაშინ. და ისე მოტყდა, რომ გენერალმა ვლადიმირ პიროჟკოვმა, რომელიც სამსახურებრივი საქმის გამო მას ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ეზოში შეხვდა, განაცხადა, **„წინასწარ რომ არ მცოდნოდა, რომ ჩემ წინაშეა იური ვლადიმიროვიჩი, ვერც ვიცნობდი. მთელი სახე დაფარული ჰქონდა რაღაც საშინელი ქერქით. გადაადგილება ძალიან უჭირდა“.**

ეტყობა, ანდროპოვის ჩინეთში მოწამვლის ვერსიამ ისე გაიდგა ფესვები, რომ ამჯერადაც მის მოწამვლაზე ალაპარაკდნენ, ოღონდ — ავღანეთში და ისიც — ჩურჩულით.

**ავადმყოფობამ ავი ბეჭედი დაასვა მის გარეგნობას. კოლეგები იხსენებდნენ, რომ თავდაპირველად მას წარბებიც გასცვივდა, ძლიერ შეუთხელდა და გაუჭაღარავდა თმა, მოულოდნელი გულის წასვლაც დასჩემდა.**

იური ვლადიმიროვიჩმა შეძლო და დაამარცხა ორი „მოწამვლით“ გამოწვეული დაავადება: ისინი, ვინც მას შეხვედრიან 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იგი საკმაოდ ენერგიული და არაჩვეულებრივად შრომისუნარიანი ჩანდა.

ჩეკისტი კორჟაკოვი, რომელიც ანდროპოვის გენერალურ მდივნად არჩევისთანავე (1982 წელს) მის დაცვაში მიიწვიეს, წერდა: „ვიცოდი, რომ მას თირკმელები აწუხებდა. მაგრამ არ ჩანდა, რომ სერიოზული ავადმყოფი იყო. ვხედავდი, რომ იყო ენერგიული, ფიზიკური დაძაბულობის გარეშე ჯდებოდა და გადმოდიოდა მანქანიდან, თავისუფლად ადიოდა კიბეზე, თუმცა სირბილით არ იყო გატაცებული“.

მისივე მტკიცებით, ანდროპოვის ჯანმრთელობის პრობლემა მწვავე ხასიათისა არ იყო: „მისთვის სავსებით საკმარისი იყო მედიკამენტოზური თერაპია. მაგრამ უცებ, ჩვენ თვალწინ მის მკურნალობასთან დაკავშირებული სიტუაცია შეიცვალა“.

ჯერჯერობით რთულია იმის მტკიცება, იყო ეს უბრალო დამთხვევა, თუ რაღაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირით იყო განპირობებული, მაგრამ სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის და ბრეჟნევის უახლოესი მეგობრის, გენერალ შჩოლოკოვის, გათავისუფლების შემდეგ ანდროპოვს ავადმყოფობა უფრო და უფრო გაუმწვავდა.



**გაჩნდა ჭორი, რომ შჩოლოკოვის ცოლი სადარბაზოში ჩაუსაფრდა ანდროპოვს (ისინი მეზობლები იყვნენ), ესროლა იური ვლადიმიროვიჩს, ტყვია შეეხო თირკმელს და დაჭრილის ჯანმრთელობა სერიოზულად გააუარესა**

ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ჭორი, რომ შჩოლოკოვის ცოლი სადარბაზოში ჩაუსაფრდა ანდროპოვს (ისინი მეზობლები იყვნენ), ესროლა იური ვლადიმიროვიჩს, ტყვია შეეხო თირკმელს და დაჭრილის ჯანმრთელობა სერიოზულად გააუარესა.

ამ ჭორის აგორების საფუძვლად მიმომხილველები ორ ფაქტს მიიჩნევენ: სვეტლანა შჩოლოკოვას თვითმკვლელობას, რომელიც 1989 წლის 19 თებერვალს მოხდა და ამის შემდეგ ანდროპოვის სამსახურში გამოუცხადებლობას სამი კვირის განმავლობაში.

ეს ვერსია დღემდე არავითარი ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება, ხოლო ანდროპოვის ახლობლები მას კატეგორიულად უარყოფენ.

უარყოფენ ფაქტებით: ანდროპოვი თვენახევარი — იანვრის ბოლოდან თებერვლის ჩათვლით თირკმლების ფუნქციის შეწყვეტის გამო ჰემოდიალიზით („ხელოვნური თირკმელი“) მკურნალობას გადიოდა. მაშასადამე, იგი ავად გახდა შჩოლოკოვას თვითმკვლელობამდე 2-3 კვირით ადრე.

მაშ, რა დაემართა ანდროპოვს?

მისი მკურნალ ექიმს ვალენტინ არქიპოვს შეეძლო ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, მაგრამ იგი ისე გარდაიცვალა, რომ არც მემუარები გამოუქვეყნებია, არც ინტერვიუ მიუცია.

**ჩაზოვის პასუხი კი ასეთია: „თირკმელების პროგრესირებადმა დაავადებამ, რომლის კომპენსირებასაც 16 წელიწადზე მეტ ხანს ვახერხებდით, გამოიწვია, როგორც ვვარაუდობდით, თირკმელების ფუნქციის შეწყვეტა“.**

ჩაზოვი მართალს ამბობს: კუნცევოში, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, რომელსაც „კრემლიოვკას“ უწოდებდნენ, ფუნქციონირებდა სპეციალური პალატა და საოპერაციო ამ პროცედურის ჩასატარებლად, ანდროპოვს ჰომოდიალიზს სწორედ იქ უკეთებდნენ.

**ექიმები იური ვლადიმეროვიჩს ამშვიდებდნენ, როგორც საერთოდ ყველა პაციენტს, რომ ამ პროცედურას კვირაში მხოლოდ ორჯერ ჩაუტარებდნენ, და, როცა ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა, კვირაში ერთხელ შეაწუხებდნენ, შემდეგ — უფრო იშვიათად.**

**მაგრამ მოვლენები უარესი სცენარით განვითარდა: ცოტა ხანში ექიმები იძულებული გახდნენ, სამჯერად პროცედურაზე გადასულიყვნენ, შემდეგ — ოთხჯერადზე, ბოლოს და ბოლოს, აპარატიდან აღარც რთავდნენ.**

**ეს პროცესი ერთ წელიწადს გაიწელა.**

პაციენტის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და დადგა თირკმელების გადანერგვის საკითხი. კონსულტაციისთვის აშშ-დან მოიწვიეს ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი ალბერტ რუბინი.

**რუბინმა გასინჯა ავადმყოფი და მისი მდგომარეობა იმდენად მძიმედ მიიჩნია, რომ საბჭოთა ექიმებს ურჩია, ხელი აელოთ გადანერგვაზე.**

მოკლედ, 1983 წლის ბოლომდე ანდროპოვის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი იყო და მხოლოდ 1984 წლის დასაწყისიდან გაუარესდა.

9 თებერვალს — გარდაიცვალა.

ბიოგრაფები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ იური ვლადიმიროვიჩი „შიდა ორგანოების მზარდი დასტროფიული ცვლილებებისა და პროგრესირებადი ჰიპოტონიის“ გამო არ გარდაიცვალა.

1 სექტემბერს ანდროპოვმა ჩაატარა პოლიტბიუროს სხდომა და მეორე დღეს ყირიმში გაფრინდა.

1983 წლის 30 სექტემბერს მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი ევგენი ჩაზოვი სასწრაფოდ გამოიძახეს ყირიმში იური ანდროპოვის ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების გამო.

რა მოხდა ყირიმში?

თავი უკეთესად რომ იგრძნო, ანდროპოვმა საავადმყოფოს გარემოს შეცვლის მიზნით ბუნებაში გასეირნება გადაწყვიტა. გარემოცვა რას შებედავდა, და ისიც რამდენიმე საათის განმავლობაში საკმაოდ შილიფად ჩაცმული სეირნობდა ტყეში. თუმცა მთლად ტყეში სეირნობა არ ეთქმის ერთი აგარაკიდან მეორე აგარაკზე გადასვლას, რომელიც მთაში მდებარეობდა. შესანიშნავ ხასიათზე იყო, რაც, სხვათა შორის, აღნიშნა მიხაილ გორბაჩოვმაც, რომელიც ანდროპოვს იმ დღეს ტელეფონით ელაპარაკა: დიდი ხანია, არაფერი მსგავსი არ ყოფილაო, აღნიშნა მან.

ბუკვალურად ორიოდ დღის შემდეგ მოსკოვს ყირიმიდან აცნობეს, რომ გენერალური მდივანი ძალიან მძიმედაა.

მაინც რა მოხდა ყირიმში?

სეირნობით დაღლილი ანდროპოვი მარმარილოს სკამზე დასასვენებლად ჩამოჯდა ხეების ჩრდილში. იგრძნო, რომ შეამცივნა. თბილი ტანსაცმელი მოითხოვა. პლედი მოახურეს. მაგრამ ამან ვერ უშველა: მეორე დღეს ფლეგმონა განუვითარდა.

ამას ირწმუნება კრემლის მთავარი ექიმი, აკადემიკოსი ჩაზოვი. მაგრამ ტყუის.

პროფესიონალები სხვა აზრისანი არიან. ისინი გვეუბნებიან, რომ ფლეგმონა უჯრედისის ჩირქოვანი ანთებაა, რომელიც ვითარდება მასში მიკროორგანიზმების შეჭრის შედეგად. მაშასადამე, ფლეგმონა გაცივებით კი არ არის გამოწვეული, არამედ მოწამვლის, გადადების შედეგია.

მთელი ეს ისტორია ანდროპოვის მთაში გასეირნების და გაცივების შესახებ მოგონილი იყო ანდროპოვის ჯანმრთელობის გაუარესების ჭეშმარიტი მიზეზების დასაფარად.

2001 წლის გაზაფხულზე ჩაზოვი ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგარ ვერსიას უმხელს „კომერსანტს“: ფლეგმონას განვითარების მიზეზი ანდროპოვის ზურგზე გაჩენილი ჩირქოვანი ანთება იყო.

ე.ი. გამოდის, რომ ვიღაცა უპასუხისმგებლოდ მოეკიდა უმაღლესი დონის პაციენტის მოვლა-მკურნალობის საქმეს, რაც ნაკლებ სარწმუნოა.

**ალექსანდრ ოსტროვსკი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ვინ გაქაჩა გორბაჩოვი“ პარალელს ავლებს აღნიშნულ ფაქტსა და 1982 წლის იანვარში დისპანსერიზაციის მიზნით სუსლოვის საავადმყოფოში დაწვენას, მისი პროფილაქტიკური მკურნალობისთვის ახალი პრეპარატის გამოყენების სანქცირებასა და ანდროპოვის მკურნალობისადმი ზერელე დამოკიდებულებას შორის.**

**პირველ შემთხვევაში სუსლოვის საავადმყოფოში მოთავსება მისი გარდაცვალებით დამთავრდა.**

**მეორე შემთხვევაში ანდროპოვის მკურნალობის დასასრულიც ლეტალური აღმოჩნდა.**

თავისთავად ჩნდება ეჭვი: ორივე შემთხვევაში ავადმყოფი ადამიანების გარდაცვალება ხომ არ დააჩქარეს? ხომ არ მოიცილეს იმ ძალებმა, რომლებიც პირველობისკენ ისწრაფოდნენ?

მოცილებით მოიცილეს, მაგრამ იწყებოდა ჩერნენკოს პერიოდი, რომელზეც უარესის მოგონებაც კი ძნელია.

**გაგრძელება იქნება**

**არმაზ სანებლიძე**



## Time-მა «წლის ადამიანად» ჩრდილოეთ კორეის ლიდერი დაასახელა

**ამერიკული ყოველკვირეული გამოცემა Time-ის მკითხველებმა, ონლაინ-გამოკითხვით, „წლის ადამიანად“ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი დაასახელეს.** ჩრდილოეთ კორეის ახალგაზრდა ლიდერს ტიტულს ოფიციალურად ჟურნალი მომავალ კვირას მიაკუთვნებს. როგორც Time-ი აღნიშნავს, რაც კიმ ჩენ ინი კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩაუდგა სათავეში, ქვეყნის კონტროლი გააძლიერა, Time-ის გარეკანზე მოხვდა და „წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცადაც“ კი დასახელდა. მას ეს ტიტული ამერიკულმა სატირულმა გამოცემა Onion-მა მიაკუთვნა. ჩრდილოეთ კორეის ლიდერს ხმა 5.6 მილიონმა ადამიანმა მისცა. მეორე ადგილზე ამერიკელი სატირიკოსი და პოპულარული ტელეწამყვანი ჯონ სტიუარტი გავიდა. მან მკითხველთა 2,4 მილიონი ხმა მოაგროვა. მესამე ადგილი არალეგალი იმიგრანტის კოლექტიურ იმიჯს გადაეცა (1,55 მილიონი ხმა). მეოთხე ადგილი ამერიკელ ტანმოვარჯიშე გოგონა გაბი დუგლასს ერგო (1,51 მილიონი ხმა). მეხუთეზე მიანმარის პრეზიდენტი ტხეინ სეინი და ოპოზიციის ლიდერი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი აუნ სან სუ ჩჟი (1,49 მილიონი ხმა) გავიდნენ.

**„წლის ადამიანის“ ტიტულისთვის ცნობილი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მუსიკოსები, სპორტსმენები, ტელეწამყვანები და უფლებადამცველები იბრძოდნენ. მათ რიცხვშია: რუსული პანკ-ჯგუფი Pussy Riot, ავსტრიელი პარაშუტისტი ფელიქს ბაუმგარტნერი, რომელმაც ოქტომბერში სტრატოსფეროდან წარმატებული ნახტომი განახორციელა და კორეელი რეპერი Psy.**

**19 დეკემბერს Time-ი დაასახელებს საკუთარ არჩეულ „წლის ადამიანს“, რომლის ფოტოც ჟურნალის გარეკანზე დაიბეჭდება. ეს არჩევანი არა მკითხველთა აზრს, არამედ გამოცემის ექსპერტებისა და რედაქტორების მსოფლმხედველობას ეფუძნება. ხშირად მკითხველთა და რედაქციის არჩევანი ერთმანეთს არ ემთხვევა.**

Time-მა პირველი წლის ადამიანი 1927 წელს დაასახელა. იგი ამერიკელი მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი გახდა, რომელმაც ატლანტის ოკეანეს პირველად გადაუფრინა მარტომ. სხვადასხვა დროს ეს საპატიო წოდება ჯორჯ ბუშუმცროსმა, რომის პაპმა იოან პავლე II-მ, უინსტონ ჩერჩილმა, იოსებ სტალინმა, ადოლფ ჰიტლერმა და ბარაკ ობამამ მოიპოვეს.

მოკლედ



## კანადაში დამნაშავეების გამოსწორებას საშობაოდ შეეცდებიან

კანადის აბოტსფორდის პოლიციამ ადგილობრივ დამნაშავეებს ბარათებით შობა მიულოცა და თან ჰკითხა: **„აპირებთ ამ სიაში მოხვედრას მომავალ წელს?“ ღია ბარათზე გამოსახულია სანტა კლაუსი, ჯავშანჟილეტში ტყვიამფრქვევით შეიარაღებული.** პოლიცია იმედს გამოთქვამს, რომ დამნაშავეები გონს მოეგებიან და ცხოვრების წესს შეიცვლიან. „თუ არ მივცემთ შანსს სწორი არჩევანის გაკეთებაში, როგორ უნდა გამოსწორდნენ ისინი?“ — აცხადებს პოლიციის წარმომადგენელი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ყველა ქვეყანა, რომელიც ტერორთან ომს აწარმოებს, ადრე თუ გვიან ვარდება სიტუაციაში, როდესაც კანონიერი მეთოდები შედეგის მიღწევის გარანტიას აღარ იძლევა. უბრალოდ, ამ ომს არ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული მიზნები. ამ საქმეში კაცობრიობას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია მკვეთრი კრიტერიუმები. მიღებულია, ითვლებოდეს, რომ ტერორს საფუძვლად უდევს საკმაოდ დიდი რაოდენობით ადამიანთა შიში. თუ არ არსებობს შიში, არ არსებობს არც ტერორი.**

# ანტიტერორისტული გეოსტრატეგიის ორმაგი სტანდარტები

**ბრიტანეთის ხელისუფლებამ ქვეყანაში, შესაძლოა, შემოიღოს განსაკუთრებული სასამართლოები ტერორისტულ მოღვაწეობაში ეჭვმიტანილთათვის. ექსპერტები ამგვარ ნაბიჯს იმ ქვეყნის მხრიდან, რომელიც მიჩვეულია, თავისი მართლმსაჯულება სხვა ქვეყნების მიბაძვით ააშენოს, „ორმაგი სტანდარტების“ ნათელ მაგალითს უწოდებენ.**



„სასამართლო წარმოებისა და უსაფრთხოების“ შესახებ კანონის სიფრთხილის ზომები ბრიტანეთის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, მიმართოს ე. წ. დახურული მასალების განხილვის პროცედურას. ამ პროცედურის ფარგლებში მოსარჩელეებს და მათ ადვოკატებს უფლება არ აქვთ, გაეცნონ სასამართლოსთვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმეში გამოვლინდება გაერთიანებული სამეფოს თანამდებობის პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიუხედავად ამ ქმედებების სიმძიმისა. თუ ამგვარი დოკუმენტების გამოაშკარავება ჩაითვლება „სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის“ ზიანის მომტანად, შეუძლიათ, ისინი გასაიდუმლოებული დატოვონ განუსაზღვრელი ვადით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ მიმართ განსაკუთრებით დიდი საზოგადოებრივი ინტერესია.

ბრიტანეთის მრავალი სამართალდამცავი და ლორდთა პალატის წევრთა უმრავლესობა, რომელმაც კანონპროექტისადმი საკუთარი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, დოკუმენტის შინაარსს ძალზე საეჭვოდ მიიჩნევს. სახელგანთქმული ორგანიზაცია „Amnesty International“-ი მკვეთრად აკრიტიკებს უკანასკნელ ათწლედში ძალზე გახშირებულ შემთხვევებს, რომელთა დროსაც გაერთიანებულ სამეფოში საიდუმლო სასამართლო წარმოების ზომას მიმართავდნენ. ორგანიზაცია ამ ზომებს აფასებს, როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სამართლიანობის ელემენტარული ნორმებიდან „რადიკალურ გადახვევას“. სამართალდამცავთა აზრით, თავად იდეა, რომ ვილაც სასამართლოს მიმართავს სამართლიანობის აღსადგენად, შემდეგ არ დაიშვება პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მოგვიანებით კი იგებს, რომ საქმე წააგო და ამის მიზეზებსაც კი არავინ უხსნის, ეწინააღმდეგება ყველა გაგებას სამართლიანობის, კანონის უზენაესობის და მართლმსაჯულების ღიაობის შესახებ. ეს საიდუმლო სასამართლო წარმოების სისტემა პირდაპირ კაფკას რომანის ფურცლებიდანაა, თვლიან დამოუკიდებელი ექსპერტები.

პარლამენტის წევრი კონსერვატიული პარტიიდან, ორგანიზაციის „წამების გარეშე“ აღმასრულებელი დირექტორი კიტ ბესტი ამბობს: **„სასამართლო სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი მხარეთა თანასწორობაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესის ყოველ მხარეს აქვს ინფორმაციასთან თანასწორი წვდომის უფლება, იმ ინფორმაციასთან, რომელიც მომავალში გამოყენებულ იქნება ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ. მოსამართლეები კი განსაზღვრავენ, ვის მხარესაა სიმართლე. კანონპროექტი არღვევს მხარეთა თანასწორობის შესახებ ფუძემდებლურ პრინციპს. ერთ-ერთ მხარეს არაფერი ეცოდინება იმის შესახებ, თუ რა ფაქტებს წარმოადგენს მის წინააღმდეგ მეორე მხარე. და ამ მხარეს არასდროს ექნება წვდომა ამ ინფორმაციასთან“.**

## აშშ-ის თანამედროვე ანტიტერორისტული კანონმდებლობა თავისი შინაარსით პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებს

რა თქმა უნდა, ბრიტანელები ამ ფონზე აშშ-თან შედარებით მეორეხარისხოვნად გამოიყურებიან. არსებობს აზრი, რომ 2001 წლის 11 სექტემბერი რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა ბუშმა გამოიყენა საბაბად, რათა უფლებები და თავისუფლებები შეეკვეცა ამერიკელი მოქალაქეებისთვის. ამ თვალსაზრისის მომხრეებს მაგალითად მოაქვთ ეგრედ წოდებული პატრიოტული აქტი, რომელიც ამერიკის სპეცსამსახურებს უფლებას აძლევს, მოისმინონ ნებისმიერი სატელეფონო საუბრები და საიდუმლოდ გაჩხრიკონ კერძო საკუთრებაში მყოფი სახლები ყოველგვარი სასამართლო სანქციის გარეშე. სხვათა შორის, კონსპიროლოგები მიგვითითებენ, ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ „პატრიოტული აქტი“ ქვეყანას ტერაქტების შემდეგ უმალ, წარმოუდგენელი სისწრაფით მოევლინა. იმის გათვალისწინებით, რომ იგი მოიცავს დადგენილებათა მთელ რიგს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე მუშაობა 11 სექტემბრამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო.



ასეა თუ ისე, **აშშ-ის თანამედროვე ანტიტერორისტული კანონმდებლობა თავისი შინაარსით პირდაპირ ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებს.** მაგალითად, ძირითადი კანონის მე-4 შესწორებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ დაუშვებელია მოქალაქის პიროვნული ხელშეუხებლობის, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის, ქაღალდებისა და ქონების ხელშეუხებლობის უფლების შელახვა, ამისათვის საკმარისი საფუძვლების არსებობის გარეშე. ცალსახად უკანონო ინსტრუმენტების სიაშია მთელ მსოფლიოში ცსს-ს საიდუმლო ციხეების გახსნა და წამების სანქცირებული გამოყენება როგორც ეს ერაყის „აბუ-გრეიბის“ ციხეში ან გუანტანამოს ამერიკულ ბაზაზე ხდება.

მაგალითები საკმარისზე მეტი შეიძლება დასახელდეს. **იქმნება საერთო შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკის ხელისუფლება აბსოლუტურად შეგნებულად ცდილობდა, სიტუაცია ისე მოეწყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო, თვით გარემოს დამცველებისა და პაციფისტების ჩათვლითაც კი რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგის ტერორისტებად გამოცხადება.** ამგვარი პოზიცია, ცხადია, განაპირობებს კრიტიკის ქარცეცხლს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებმაც, ამერიკელთა აზრით, მათგან უნდა აიღონ მაგალითი დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

აშშ-ის პოზიციას აკრიტიკებს რუსეთიც. კერძოდ, ის ყურადღებას ამახვილებს ამერიკის ხელისუფლების უარზე, პასუხისმგებლობაში მიეცნენ ცსს-ს საიდუმლო ციხეების ფუნქციონირებაში მონაწილე პირები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, სერგეი რიაბკოვის, განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ამგვარი პრაქტიკა ოფიციალურად შეწყდა, უკვე ჩადენილისთვის არავინ დასჯილა — არც აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ადამიანების გატაცებასა და წამების მეთოდებით დაკითხვის წარმოებაში და არც მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც ამგვარი ქმედებების შესაბამის განკარგულებებსა და ბრძანებებს იძლეოდნენ. როგორც რუსი დიპლომატი აცხადებს, **ამერიკის ახლანდელი ხელისუფლება ძველის მსგავსად ნაციონალური უსაფრთხოების ინტერესებით იმართლებს თავს.**

„პატრიოტული აქტის“ მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბერს უნდა ამოწურულიყო, მაგრამ „ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე“ ამერიკის ხელისუფლებამ აუცილებლად მიიჩნია, გაეხანგრძლივებინათ განსაკუთრებული ზომების მოქმედების პერიოდი. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ ზომებს აღარასდროს გააუქმებენ. და საქმე სულაც არაა ამერიკელი ხელისუფლების განსაკუთრებული დემონიზმი, უბრალოდ, ტერორისტულამდე ერაში დაბრუნება უკვე შეუძლებელია.

**დღეს ყველა ქვეყანა, რომელიც ტერორთან ომს აწარმოებს, ადრე თუ გვიან ვარდება სიტუაციაში, როდესაც კანონიერი მეთოდები შედეგის მიღწევის გარანტიას აღარ იძლევა. უბრალოდ, ამ ომს არ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული მიზნები. ამ საქმეში კაცობრიობას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია მკვეთრი კრიტერიუმები. მიღებულია ითვლებოდეს, რომ ტერორს საფუძვლად უდევს საკმაოდ დიდი რაოდენობით ადამიანთა შიში. თუ არ არსებობს შიში, არ არსებობს არც ტერორი.** და ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი მხოლოდ რა-

▶

**ბარაკ ობამას ისლა დარჩენია, ჩამოაყალიბოს ახალი კაბინეტი, მოძებნოს ხალხი, რომელიც შეძლებს, გაატაროს მისი ახალი პოლიტიკა. მას განსაკუთრებით დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატისა და ამჟამინდელი სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონ კერის, იმედი აქვს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ღაც მძიმე დანაშაულზე, რომელიც, სხვათა შორის, თავისი ჩვეულებრიობის წყალობით, არ განაპირობებს მასობრივი საფრთხის შეგრძნებას.

ტერორიზმი არის საბრძოლო მოქმედებების განსაკუთრებული სახეობა, თანაც ძალზე ვერაგი და ამაზრზენი, რადგან ამ დროს უდანაშაულო ადამიანები ისჯებიან. მას არ გააჩნია რაიმე მორალური ჩარჩოები და ბუნებრივია, რომ ტერორისტების წინააღმდეგ სარკული ზომები გამოიყენება. ეს იმას ნიშნავს, რომ **ტერორისტულ აქტივობებში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ მართლმსაჯულების დეკლარირებული ნორმები გვერდზეა გადადებული.** ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ზოგიერთ განცხადებებს, რომელთაც დასავლელი პოლიტიკოსები აკეთებენ ხოლმე. ეს ეწინააღმდეგება დაწერილ პრინციპებსაც. მაგრამ შეგნების დონეზე ყველასათვის ყველაფერი გასაგებია. ტერორისტების დასჯისაკენ მისწრაფება კანონის ძალაზე მეტია. გამოყენებული ზომები კი, დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად, ძალზე მკაცრი იქნება. სხვას არაფერს უნდა ველოდოთ.

ინტუიტიურ დონეზე ტერმინი „ტერორი“ ხშირად გამოიყენება „სუსტის“ მხრიდან მოტივირებული ძალადობის დასახასიათებლად, ამიტომაც ტერორიზმი ხშირად ეყრდნობოდა გარკვეულ თანაგრძნობას იმ ხალხის მხრიდან, რომელიც ბედის ნებით ჯერ არ გამხდარა მისი მსხვერპლი. ისეც ხდებოდა, რომ „სუსტი“ ტერორისტის ქმედებები განაპირობებდა არა მხოლოდ შერჩევითი გულშემატკივარი ადამიანების მხარდაჭერას, არამედ გამართლებასაც ხელმძღვანელობის უმაღლეს დონეზე. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფო იდეურად ეყრდნობოდა ვლადიმერ ლენინის შეუბღალავ ავტორიტეტს, ამ უკანასკნელმა კი 1901 წელს დაწერა: „პრინციპულად ჩვენ არასდროს გვითქვამს და არც შეგვიძლია უარი ვთქვათ ტერორზე. ეს არის ერთ-ერთი სამხედრო მოქმედება, რომელიც, შესაძლოა, სავსებით გამოსადეგი იყოს და აუცილებელიც კი ბრძოლის ცნობილ მომენტში, ჯარების ცნობილ მდგომარეობასა და ცნობილ პირობებში“.

**როგორც ჩანს, მთავარი პრობლემა ორმაგი შეფასებაა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა იდეალებს მისდევს ტერორისტი, რა ძალების ინტერესებს ემსახურება, ვის წინააღმდეგ მოქმედებს. ის ან „ჩვენია“ — და ამ შემთხვევაში ტერორისტი კი არა, გმირია, რომელიც უმაღლესი რანგის მოსაზრებებით მოქმედებს, ან „არაა ჩვენი“ — და ამ შემთხვევაში ყველაზე სისხლიანი დამნაშავეა, რომელიც არანაირ შემწყნარებლობას არ იმსახურებს. ამგვარი ორაზროვნება უფრო ადრეც არსებობდა, ახლაც არსებობს და, სავარაუდოდ, იარსებებს მომავალშიც. მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლიო განაგრძობს თავის გეოპოლიტიკურ თამაშებს.**

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კაცობრიობა ფართოდ იყენებს ტერმინს „საერთაშორისო ტერორიზმი“, მაგრამ გაერო ასეც ვერ ახერხებს შეთანხმებას ამ მოვლენის საერთო ინტერპრეტაციაზე. მაგალითად, სადავო რჩება საკითხი ტერორისტების მოქმედებებსა და საფრთხის თავიდან აცილებისთვის ქვედანაყოფების ქმედებების შესახებ. მაგალითად, დავუშვათ, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში ზიანი ადგება მშვიდობიან მოსახლეობას. ამგვარ სიტუაციებთან მიმართებაში ერთსულოვნება ჯერ არ არსებობს. პოლემიკა გრძელდება ტერორისტულ საქმიანობასა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას შორის ზღვარის თაობაზეც.

სხვადასხვა ქვეყნები ტერორიზმს სხვადასხვა რამეს უწოდებენ და ეს მუდამ ასე იყო. ცივი ომის ეპოქაში ერთნი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას უწოდებდნენ ტერორიზმს, მეორენი — ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ახლაც არაფერი შეცვლილა. მაგალითად, არაბული ქვეყნები პალესტინელების მოქმედებებს ტერორიზმად არასდროს ჩათვლიან. ისინი მათ ქმედებებს ტერიტორიის გასათავისუფლებელ სამართლიან ბრძოლად მიიჩნევენ და პირიქით. ამიტომაც **გაერო ვერასდროს მიიღებს ტერორიზმის რაიმე იურიდიულად სავალდებულო განსაზღვრებას.**

რეალურად ტერორიზმი პოლიტიკურად ნეიტრალური მოვლენაა. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის მეთოდების ნაკრები, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, როდესაც კონიუნქტურული მოსაზრებებით იწყებენ მის გამოყენებას. მაგალითად მაშინ, როდესაც სახელმწიფო საშუალებას აძლევს ტერორისტებს, უშფოთველად იგრძნონ თავი მის ტერიტორიაზე მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი მოქმედებენ გეოპოლიტიკური ოპონენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ. სწორედ ამის გამოა, რომ მუდამ იზრდება ტერორისტთა რაოდენობა.

მეორე მხრივ, ტერორი ძალზე მასიური ხდება. იგი ფაქტობრივად ყველაფერს ეხება, ყოველ ჩვენგანს გვიპირისპირდება და ამიტომაც მსოფლიოში ტერორიზმისადმი შეურიგებლობა იზრდება. რა თქმა უნდა, **გეოპოლიტიკური კონკურენცია სახელმწიფოებს ჯერ არ აძლევს უფლებას, ამ ბოროტების წინააღმდეგ მართლაც ერთიანი ფრონტით იბრძოლოს, მაგრამ ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას საერთაშორისო საზოგადოებამ,** რომლის ავტორიტეტული აზრიც მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანას მკრეხელობაზე ხელს აალებინებს და ისინიც, სხვების მსგავსად, ტერორისტებს ტერორისტებს უწოდებენ, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მსოფლმხედველობისა.

**rus.ruvr.ru**

# ობამა II: წმენდა ხელისუფლებაში და შეთანხმება მშვიდობის შესახებ

**მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბარაკ ობამა ახალი საგარეო პოლიტიკისთვის ემზადება. გააკეთა რა დასკვნები ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის შედარებითი დასუსტების კვალობაზე, იგი უარს აცხადებს მსოფლიოს ერთპიროვნულ მართვაზე. იგი განაგრძობს ევროპიდან შეიარაღებული ძალების გაყვანას და ნაწილობრივ იხსნის საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით, რათა გაცილებით ზუსტი პოზიცია დაიკავოს ჩინეთთან მიმართებაში.**



პერსპექტივაში ობამა გეგმავს, ერთდროულად შეასუსტოს რუსეთ-ჩინეთის ფორმირებადი ალიანსი და რუსეთს გაუზიაროს შუა აღმოსავლეთის ტვირთი. შედეგის სახით, იგი მზადაა, მოქმედებაში მოიყვანოს სირიის შესახებ შეთანხმება, რომელიც ჟენევაში 30 ივნისს დაიდო (ამ შეთანხმების თანახმად, თუ ბაშარ ასადს სირიაში ხმათა უმრავლესობით აირჩევს ხალხი, გაეროს მშვიდობის მხარდაჭერის ძალებში უმეტესწილად იქნებიან სწორედ ბაშარ ასადის ხელისუფლების საყრდენი შენაერთები).

მაგრამ ამ ახალ საგარეო პოლიტიკას დიდ წინააღმდეგობას უწევენ ვაშინგტონში. ივლისში ორგანიზეულ იქნა პრესაში ინფორმაციის გაჟონვა, რამაც ჟენევის შეთანხმების ჩაშლა განაპირობა და კოფი ანანი აიძულა, გადამდგარიყო. ეს დივერსია უმაღლესი თანამდებობის პირების ჯგუფმა ჩაიფიქრა, მათ არ შეუძლიათ, შეელიონ ოცნებას მსოფლიო ბატონობის შესახებ.

**საგარეო პოლიტიკის თემას არავინ შეხებია პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიისას. ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე კანდიდატმა ერთსა და იმავე პოლიტიკურ მანევრს მიმართა და ერთმანეთისგან მხოლოდ ამ მანევრის შესრულების დეტალებით განსხვავდებოდნენ.**

აი, რატომ ელოდა ბარაკ ობამა არჩევნების შედეგების გამოცხადებას, რის შემდეგაც გასცემდა ბრძანებას რამდენიმე თვით ადრე დაგეგმილი წმენდის განხორციელების შესახებ. გენერალ დევიდ პეტრეუსის თანამდებობიდან გათავისუფლება, რომელიც უწვრილეს დეტალებამდე განიხილა მასმედიამ, მხოლოდ დასაწყისია. მალე კიდევ ბევრი უმაღლესი რანგის ჩინოვნიკის მოკვეთილი თავი იგორებს გზისპირა მტვერში.

წმენდა, უპირველეს ყოვლისა, ეხება ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს და აშშ-ის ევროპული სარდლობის უფროსს, ადმირალ ჯეიმს ჯ. სტავრიდისს, რომელიც ასრულებს მსახურებას და გენერალ ჯონ რ.ალენს, რომელიც მის მემკვიდრედ მოიაზრება. სიას განაგრძობენ აფრიკული სარდლობის ყოფილი უფროსი გენერალი უილიამ ე. უორდი და მისი მემკვიდრე გენერალი კარტერ ხემი. ეს ყველაფერი უნდა შეეხოს რაკეტსაწინააღმდეგო ფარის პატრონ გენერალ პატრიკ ჯ. ორეილის და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან პირებსაც.

**ყველა შემთხვევაში ყოფილ ოფიცრებს ბრალი ედებოდათ ამორალურ ქმედებებში ან სახელმწიფო სახსრების ფლანგვაში.** აშშ-ის მასმედია სავსეა იმ სასიყვარულო სამკუთხედის ბინძური დეტალებით, რომლებშიც მონაწილეობდნენ პეტრეუსი, ალენი და პეტრეუსის ბიოგრაფიის ავტორი პოლა ბროდველი, თანაც ყველა მდუმარედ უვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ ეს უკანასკნელი სამხედრო დაზვერვის პოდპოლკოვნიკია. როგორც ჩანს, იგი ორივე გენერლის გარემოცვაში იმიტომ ჩანერგეს, რომ მათი ადგილები გაეთავისუფლებინათ.

ვაშინგტონში წმენდას წინ უსწრებდა საპასუხისმგებლო უცხოელების ლიკვიდაცია ივლისში. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ახალ პოლიტიკას და დამასკოს ოპერაციაში იქნენ ჩართულნი. ყველაფერი ისე მოხდა, თითქოს ობამამ ამგვარი წმენდის ნებართვა გასცა, მაგალითად, ამერიკულ სამხედრო ჰოსპიტალში შემოწმებაზე მისული ეგვიპტელი გენერლის, ომარ სულეიმანის, ნაადრევი სიკვდილი, სულ რამდენიმე დღეში საუდის არაბეთის პრინც ბანდარა ბენ სულთანზე თავდასხმა.

**ბარაკ ობამას ისლა დარჩენია, ჩამოაყალიბოს ახალი კაბინეტი, მოძებნოს ხალხი, რომლებიც შეძლებს, გაატაროს მისი ახალი პოლიტიკა. მას განსაკუთრებით დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის ყოფილი პრეზიდენტობის კანდიდატისა და ამჟამინდელი სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონ კერის, იმედი აქვს.**

მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ შეელევიან დემოკრატები სენატში ერთი ადგილის დაკარგვას, თუ კერი სახელმწიფო სამდივნოს ან თავდაცვის სამინისტროს ჩაუდგება სათავეში. იმ შემთხვევაში, თუ კერი სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ადგილზე განაცხადებს პრეტენზიას, თავდაცვის სამინისტრო მიშელ ფლურნუას ან ასტონ კარტერს დარჩება, ისინი კი ამჟამად მიმდინარე საბიუჯეტო შეკვეცებს განაგრძობენ.

თუ კერი თავდაცვის სამინისტროს ჩაუდგება სათავეში, სახელმწიფო დეპარტამენტი სიუზენ რაისს დარჩება, რაც აუცილებლად შექმნის მთელ რიგ პრობლემებს.

**თავისი განსაკუთრებით ბინძური და სასტიკი საქმეებით ცნობილი ჯონ ბრენანი, შესაძლოა, ცსს-ს მომავალი დირექტორი გახდეს.** ამ შემთხვევაში მას ბუშის პერიოდში დაწერილი გვერდის გადაშლა მოუწევს — იმ ჯიჰადისტების ლიკვიდირება, რომლებიც სააგენტოზე მუშაობენ, და პოლიტიკური არენიდან საუდის არაბეთის მოშორება, რადგან მისი საჭიროება აღარ არსებობს. თუ ბრენანს არა, ეს თანამდებობა მიტელ ვიკერსს დარჩება ან მიტჩელ მორელს, რომელიც 11 სექტემბრის სამახსოვრო დღეს ჯორჯ ბუშს არ სცილდებოდა და ვისი კარნახითაც მოქმედებდა ეს უკანასკნელი.

**სიონისტი და ამავე დროს რეალისტი ენტონი ბლინკენი პრეზიდენტის მრჩეველი იქნებოდა ეროვნული უშიშროების საკითხებში.** აი, ახლა მაინც შეძლებდა იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც ერთ დროს ბილ კლინტონისთვის შექმნა: ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფა ასადის მოდგმაზე დაყრდნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კაბინეტი ჯერ არ არსებობს, პოლიტიკური საიდუმლო მოლაპარაკებები თეირანთან უკვე განახლდა. ახალი შეთანხმება მოითხოვს ირანის პოლიტიკური იზოლაციის შეწყვეტას და ისლამური რესპუბლიკის რეგიონულ ლიდერად აღიარებას.

ობამა II-ს ახალი საგარეო პოლიტიკა 2013 წელს გადაატრიალებს მთელ შუა აღმოსავლეთს, ოღონდ იმის საწინააღმდეგოდ, რასაც დასავლეთისა და სპარსეთის ყურის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წინასწარმეტყველებდნენ.

## ობამა II-ს ახალი საგარეო პოლიტიკა 2013 წელს გადაატრიალებს მთელ შუა აღმოსავლეთს

**Сеть Вольтер**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცხოეთში მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებს უდიდესი შემოსავლები მოაქვს წარმოების სამოქალაქო დარგებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვაზე, რომელიც შეიმუშავებს და უშვებს იარაღს შეიარაღებული ძალებისთვის.**

# აშშ-ის სამხედრო ბაზები — მსოფლიოს კოლონიზაციის ფორმა

**მსოფლიოს ყველა სხვა ხალხთაგან განსხვავებით, ამერიკელები არ აღიარებენ ან არ სურთ აღიარონ, რომ აშშ მთელ მსოფლიოზე ახორციელებს ზეწოლას სამხედრო ძალის საშუალებით. გასაიდუმლოების წყალობით, ამერიკის მოქალაქეებს ხშირად წარმოდგენაც კი არ აქვთ იმ ფაქტზე, რომ მათი ქვეყნის სამხედრო გარნიზონები მთელ პლანეტაზეა მიმოფანტული. ამერიკული სამხედრო ბაზების ეს დატოტვილი ქსელი, რომელიც კონტინენტებს მოიცავს, გარდა ერთადერთი კონტინენტის — ანტარქტიდისა, იმპერიის ახალ ფორმას წარმოადგენს. ეს არის სამხედრო ბაზების იმპერია თავისი საკუთარი გეოგრაფიით, რომელიც, საეჭვოა, ოდესმე სკოლებში ასწავლონ.**



ამერიკული სამხედრო მანქანა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს ნახევარ მილიონზე მეტ სამხედროს, ჯაშუშს, ტექნიკოსს, მასწავლებელს, სამხედროების ოჯახების წევრებს და სამოქალაქო კონტრაქტორებს სხვა ქვეყნებში. ზღვებსა და ოკეანეებზე დომინირებისთვის ავიამზიდების ირგვლივ შექმნილია 13 ფლოტილია. ამერიკელები მრავალრიცხოვანი საიდუმლო ბაზებიდან ოპერირებენ საკუთარი ტერიტორიების მიღმა იმაზე თვალთვალის მიზნით, თუ რაზე საუბრობენ მსოფლიოში ადამიანები, მათ შორის თვით ამერიკის მოქალაქეებიც კი ტელეფონების, ფაქსებისა თუ ელექტრონული ფოსტების საშუალებით.

**უცხოეთში მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზებს უდიდესი შემოსავლები მოაქვს წარმოების სამოქალაქო დარგებისთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვაზე, რომელიც შეიმუშავებს და უშვებს იარაღს შეიარაღებული ძალებისთვის.** იგივე თავდაცვის სფერო მთელ მსოფლიოში მიმოფანტული სამხედრო ბაზების მშენებლობისა და შენახვისთვის სამოქალაქო კონტრაქტებს აფორმებს. სამოქალაქო კონტრაქტორების ერთ-ერთი ამოცანაა იმპერიის მსახურთა ფორმაში გამოწყობილები კომფორტულ სახლებში დააბინაონ და უზრუნველყონ კარგი კვებით, შვებულებების ხელმისაწვდომ ფასად სასიამოვნოდ გატარებითა და გართობით.

დღეისათვის ამერიკის ეკონომიკის ყველა საიდუმლო დაკავშირებულია სამხედრო გაყიდვებთან. მაგალითად, როდესაც ერაყის ომის დროს თავდაცვის სამინისტრო უკვეთავდა ფრთოსანი რაკეტებისა და ურანით გამდიდრებული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარების დამატებით მარაგს, ამასთან ერთად, უკვეთავდა 273 000 ბოთლ გასარუჯ ლოსიონს. ეს 1999 წლის ანალოგიურ შეკვეთაზე სამჯერ მეტია, რამაც, ცხადია, მნიშვნელოვნად გაზარდა გასარუჯი ლოზიონის — „Native Tan“-ის მომწოდებელთა შემოსავლები.

**11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოში ტერიტორიის გეოპოლიტიკური გადაკეთების ახალი ეპოქა დაიწყო. აშშ-მა მთელ მსოფლიოში სამხედრო ბაზების განლაგების არაჩვეულებრივი შანსი მიიღო. სამხედრო ბაზებს კი, როგორც წესი, მუდამ თან მოსდევს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა იმ ქვეყანაზე, რომელშიც ეს ბაზებია განთავსებული.**

ადვილი არაა ამერიკის სამხედრო ბაზების იმპერიის საერთო მოცულობისა და ღირებულების განსაზღვრა. ამასთან დაკავშირებით ოფიციალური მონაცემები, როგორც წესი, არასწორია. **აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ყოველწლიური სტრუქტურული ანგარიშის თანახმად, 2003 ფინანსურ წელს პენტაგონი უცხოეთის 130 ქვეყანაში 702 სამხედრო ბაზას ფლობდა ან ქირაობდა და ამავე დროს კიდევ 6000 ბაზას ფლობდა თავად აშშ-ის ტერიტორიაზე. პენტაგონის ბიუროკრატებმა დაითვალეს, რომ მხოლოდ უცხოური ბაზების ასაგებად 114,2 მილიარდი დოლარია საჭირო.** ცხადია, ეს თანხა მნიშვნელოვნადაა შეკუმშული, მაგრამ ამის მიუხედავადაც აღემატება მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საერთო ეროვნულ შემოსავალს. **უცხოეთში ამერიკის სამხედრო ბაზებზე მუშაობს 253 288 სამხედრო პირი და ამავე რაოდენობის სამოქალაქო პირი. ეს ბაზები სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს უცხო ქვეყნების უამრავ ადგილობრივ მოსახლეს. პენტაგონის განცხადებით, ეს ბაზები ფლობენ ან ქირაობენ 44 870 ყაზარმას, საავადმყოფოსა და სხვა შენობას, დამატებით კი — კიდევ 4844 შენობას.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრები მართლაც შთამბეჭდავია, ისინი მხოლოდ რეალობის ნაწილს ასახავენ. მაგალითად, პენტაგონის ანგარიშში არაფერია ნათქვამი ამერიკის ჯარებზე კოსოვოში, ავღანეთში, ერაყში, ქუვეიტში, ისრაელში, ყირგიზეთში, ყატარსა და უზბეკეთში. არადა, ამერიკულმა სამხედრო სტრუქტურებმა ამ არასტაბილურობის თალში გიგანრუტი ქსელი ააგეს 2001 წლის 11 სექტემბრიდან სულ რაღაც 2,5 წელიწადში.

ანგარიში ასახელებს ერთადერთ სამხედრო-საზღვაო ბაზას კემპ ბატლერს ოკინავაზე, იაპონიის კუნძულზე, რომელიც ფაქტობრივად ამერიკის კოლონიაა უკანასკნელი 58 წლის მანძილზე. არადა, სინამდვილეში მხოლოდ ოკინავაზე 10 სამხედრო-საზღვაო ბაზაა, მათ შორის ფუტენმაც, რომელიც ამ კუნძულის სიდიდით მეორე ქალაქის ცენტრში 1.186 აკრ მიწას იკავებს. შედარებისთვის, ნიუ იორკის მანჰეტენზე ცენტრალურ პარკს მხოლოდ 843 აკრ მიწა უჭირავს.

პენტაგონი ასევე არ ითვალისწინებს 5 მილიარდი დოლარის ღირებულების საჯაშუშო დანადგარებს ბრიტანეთში, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სახელსაა ამოფარებული. ეს რომ კეთილსინდისიერი დათვლა ყოფილიყო, ამერიკის სამხედრო იმპერიის ნამდვილი ზომები გადააჭარბებდა სხვადასხვა ხალხების კუთვნილი ათასობით სამხედრო ბაზის მოცულობას, მაგრამ, **როგორც ჩანს, თავად პენტაგონმაც კი არ იცის სრულად საკუთარი ბაზების რაოდენობა, რომელიც უკანასკნელ წლებში მკვეთრად და მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

პენტაგონი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები ატრაქციონების პარკებს ან საკურორტო ზონებს ჰგავდეს. **ზოგიერთი ბაზის ტერიტორია იმხელაა, რომ სამხედროებისა და სამოქალაქო კონტრაქტორებისთვის სამუშაო ადგილამდე მისასვლელად 9 შიდა მარშრუტი მუშაობს. მაგალითად, ასეთია 1500 კვადრატული კილომეტრის ფართობზე განლაგებული ბანაკი ანაკონდა, სადაც 20 000 სამხედრო მსახურობს.**

ამერიკელი სამხედროები ამჯობინებენ, აშენონ ბაზები, რომლებიც პატარა ამერიკულ ქალაქებს ჰგავს. ასეთ ბაზებში, რომლებიც უცხოეთშია, დაახლოებით 100 000 ქალი ცხოვრობს უშუალოდ სამხედროებისა და სამხედროთა ცოლების ჩათვლით. სამხედრო ჰოსპიტლებში აბორტები აკრძალულია. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკულ არმიაში მისი ჯარისკაცები ყოველწლიურად სულ მცირე 14 000 სექსუალურ თავდასხმას ახორციელებენ, მათი მსხვერპლი ქალები თუ დაორსულდნენ, იძულებულნი არიან, ადგილობრივ კერძო ექიმებს მიმართონ აბორტისთვის, ეს კი საკმაოდ რთული საქმეა ბაღდადში ან ამერიკული სამხედრო იმპერიის სხვა კუთხეებში.

ამერიკელი „მისიონერები“ ცხოვრობენ გარემოდან მოწყვეტილნი, თვითკმარ სამყაროში, რომელსაც ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავები ემსახურებიან, გენერლები და ადმირალები კი სარგებლობენ ლუქსი-თვითმფრინავებით ისეთ ადგილებში, როგორიცაა სამთო-სათხილამურო დასვენება ბავარიის ალპებში, ან პენტაგონის კუთვნილი 234 გოლფის მოედნიდან ერთ-ერთზე. თავდაცვის მინისტრი, ცხადია, საკუთარი ბოინგ 757-ით დაფრინავს.

კოლონიის ამერიკული ვერსია სამხედრო ბაზებია. ახალი სამხედრო ბაზების გეოგრაფიაში ცვლილებების შესწავლისას ბევრი რამის გაგება შეიძლება ახალ იმპერიაზე და მილიტარიზმზე, რომელიც მასთან ერთად იზრდება. მილიტარიზმი და იმპერიალიზმი სიამის ტყუპები არიან, რომლებიც ერთმანეთის ხარჯზე ცხოვრობენ. ამერიკაში უკვე საკმაოდ მაღალი განვითარების მქონენი, ორივე მათგანი ხარისხობრივად ახალი ნახტომის ზღვარზეა, ეს კი აუცილებლად კიდევ უფრო გაწელავს სამხედრო ბაზებს მთელ მსოფლიოში ისე, ▶

**პენტაგონის ბიუროკრატებმა დაითვალეს, რომ მხოლოდ უცხოური ბაზების ასაგებად 114,2 მილიარდი დოლარია საჭირო**

## რელიგიური ნიშნით ყველაზე ხშირად ათეისტებს დევნიან

**საერთაშორისო ჰუმანისტთა და ეთიკის კავშირის (IHEU) ახალი მოხსენების მიხედვით, ადამიანებს მსოფლიოში განსხვავებული სარწმუნოების პირებზე გაცილებით მეტად ათეისტები აღიზიანებთ. 69-გვერდიან მოხსენებაში, „ფიქრის თავისუფლება 2012 წელს: გლობალური დისკრიმინაცია ჰუმანისტების, ათეისტებისა და რელიგიის არმქონე პირთა წინააღმდეგ“ ნათქვამია, რომ მსოფლიოს გარშემო ათეისტებს, რელიგიისადმი განსხვავებული მიდგომის გამო, სხვადასხვა სიმძიმის ზეწოლის ქვეშ უწევთ ცხოვრება.** მათ წინააღმდეგ დისკრიმინაცია კი, მოხსენების მიხედვით, ხშირად ვლინდება ისეთი მძიმე ფორმებით, როგორიცაა სამედიცინო და განათლების უფლებების ხელყოფა, მოქალაქეობის ჩამორთმევა, სამუდამო პატიმრობა და სიკვდილით დასჯაც კი. მოხსენების მიხედვით, რომელიც მსოფლიოს 60 ყველაზე რელიგიურ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად შეიქმნა, ამ მხრივ ყველაზე მძიმე სიტუაციაა შუა აღმოსავლეთსა და აფრიკაში. მოხსენებაში ნახსენებია რიგი ქვეყნების მიერ ათეისტური და ჰუმანისტური მოსაზრებების წინააღმდეგ გატარებული ცენზურის პოლიტიკის შესახებაც, განსაკუთრებული ყურადღება კი ბანგლადეშზე, ეგვიპტესა და ინდონეზიაზე მახვილდება, სადაც ჰუმანისტური ქვეტექსტის მქონე ნააზრევის გამოთქმა-გამოქვეყნება კანონით ისჯება.

International Humanist and Ethical Union

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მობილური ბაზები აშშ-ს საშუალებას მისცემს, ნაკლებად იყოს დამოკიდებული თავის მოკავშირეებზე, რომლებიც მრავალ შემთხვევაში არ თანხმდებიან, საკუთარი ბაზები და აეროდრომები აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის დათმონ.

◀ რომ ისინი ვეღარ გააკონტროლებენ მას. ეს თავის მხრივ მომაკვდინებელ ფინანსურ დარტყმას მიაყენებს ქვეყანას და მის დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

**საზღვაო ქვეითთა ბრიგადის გენერალი მარტინ როზსონი, რომელიც დაახლოებით 1800 ამერიკელ ჯარისკაცს მეთაურობს, აცხადებს, რომ „პრევენციული“ ომისთვის ამერიკას ესაჭიროება „გლობალური დასწრება“, რომელშიც იგი გულისხმობს ჰეგემონიის დამყარებას ყველა იმ ქვეყანაზე, რომელიც ჯერ კიდევ არაა ამერიკის უღელქვეშ. იდეა მდგომარეობს „გლობალური კავალერიის“ შექმნაში, რომელიც უფრო მალე მიაცხრილავს „ცუდ ბიჭებს“, ვიდრე მათი არსებობის შესახებ გაიგებს ვინმე.**

**ამ ყველაფერთან ერთად ამერიკა აპირებს თავის კონტროლის ქვეშ დატოვოს კუვეიტის მთელი ჩრდილოეთი — 1600 კვადრატული მილი, რომელსაც ახლა იყენებს ერაყში თავისი არმიის მოსამარაგებლად.**

სხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც კოლინ პაუელმა დაასახელა მათი განთავსების ადგილად, რასაც „ბაზების ახალ ოჯახს“ უწოდებს, ახალი ევროპის გალატაკებული რაიონები — რუმინეთი, პოლონეთი და ბულგარეთი, აზიაში — პაკისტანი, ინდოეთი, ავსტრალია, სინგაპური, მალაიზია, ფილიპინები და ვიეტნამი, ჩრდილო აფრიკაში — მაროკო, ტუნისი და ალჟირი (აქ 1992 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამერიკისა და საფრანგეთის მხრიდან მხარდაჭერით ხელისუფლებაში სამხედროები მოვიდნენ, 100 000-ზე მეტი უდანაშაულო სამოქალაქო პირი გამოასალმეს სიცოცხლეს) იგულისხმება. ამ ახალი ბაზების მოდელს წარმოადგენს ის ბაზები, რომლებიც უკანასკნელ ოც წელიწადში უკვე აშენდა სპარსეთის ყურეში ისეთ ანტიდემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრეინი, კუვეიტი, ყატარი, ომანი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

**დანახარჯების შესავსებად პენტაგონი ახლავე ავრცელებს ჭორებს, რომ დაიხურება მრავალი გიგანტური ამერიკული სამხედრო რეზერვაცია გერმანიაში, რომლებიც ცივი ომის პერიოდიდან შემორჩა ასევე კორეაში და, შესაძლოა, ოკინავაშიც. ერაყის ომის შემდეგ ამერიკამ პრაქტიკულად სრულად გაიყვანა თავისი სამხედრო ძალები საუდის არაბეთიდან და თურქეთიდან და ამით ნაწილობრივ დასაჯა კიდეც ისინი ომში არასათანადო დახმარების გამო. ამერიკა იმავეს უპირებს სამხრეთ კორეას — ყველაზე ანტიამერიკულ დემოკრატიას პლანეტაზე.**

გეგმის მიხედვით, გერმანიაში რამდენიმე ბაზა ლიკვიდაციას დაექვემდებარება ისევ იმის გამო, რომ შრედერმა თავის დროზე ერაყთან დაკავშირებული ბუშის გეგმები უარყო.

მთელ მსოფლიოში ახლა აშშ-ის 730 სამხედრო ბაზაა, მაგრამ ეს ძალზე სადავო ციფრია, რადგან ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ ავღანეთში ამერიკას ათასამდე სამხედრო ბაზა აქვს. მხოლოდ 730 ბაზის შემთხვევაშიც ეს მთელ მსოფლიოში არსებული უცხოური სამხედრო ბაზების 75%-ს აღემატება, რაც მსოფლიოს კოლონიზაციის ერთგვარი სახეობაა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სამხედრო ძლევამოსილებისა და ძალაუფლების ჩანერგვის გზით. ამრიგად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს სამხედრო ბაზების იმპერია აქვს და ეს იმპერია განუწყვეტლივ იზრდება.

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აშშ-ის სამხედრო ბაზების გერმანიიდან, ბრიტანეთიდან და იტალიიდან პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში გადატანას აპირებს, ახლო და შუა აღმოსავლეთთან რაც შეიძლება ახლოს.**

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აშშ-ის საზღვრებს გარეთ ამერიკელი სამხედროების რაოდენობა მცირდება. თუ 1980 წელს საზღვრებს გარეთ თითქმის 689 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა, 1990 წელს მათმა რაოდენობამ 610 ათასამდე იკლო. აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 2002 წლის დეკემბერში სულ მილიონ 141 ათასი ადამიანი მსახურობდა და მათგან დაახლოებით 600 ათასს სამოქალაქო პერსონალი შეადგენდა.

**დაახლოებით 117 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი განთესილია ევროპაში, სადაც ისინი 1945 წლიდან არიან. დიდ ბრიტანეთში დაახლოებით 11 ათასი ამერიკელი მსახურობს, ძირითადად, სამხედრო-საჰაერო ძალებში. გერმანიაში მსახურობს 71 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, ისინი ძირითადად ქვეითი და სატანკო ნაწილებში არიან გადანაწილებულნი. იტალია, სადაც მუდმივადაა დისლოცირებული 23 ათასი სამხედრო მოსამსახურე, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი მთავარი ბაზაა.** პენტაგონში მიიჩნევენ, რომ ამ ბაზებმა დიდწილად დაკარგეს მნიშვნელობა, რადგან შეიქმნა ცივი ომის ეპოქაში საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო თავდასხმის საწინააღმდეგოდ. ამიტომ დასავლეთ ევროპაში ამერიკის სამხედრო ბაზები შემცირებას დაექვემდებარებიან, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრები აშშ-ში გაიგზავნებიან. შესაძლოა, ანალოგიური ბედი ეწიოს 37 ათას ამერიკელ ჯარისკაცსა და ოფიცერს, რომლებიც სამხრეთ კორეაში არიან ბაზირებულნი. ჩრდილოკორეულმა არტილერიამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მათ დარტყმა მიაყენოს. ამიტომ უკვე ახლო მომავალში ამერიკის სახმელეთო ჯარებმა, შესაძლოა, დატოვონ სამხრეთ კორეის ტერიტორია, სადაც 1951 წლიდან იმყოფებიან. მათ მცირე ზომის ავიამზიდების შენაერთები ჩაანაცვლებენ.



## მთელ მსოფლიოში ახლა აშშ-ის 730 სამხედრო ბაზაა, ეს მთელ მსოფლიოში არსებული უცხოური სამხედრო ბაზების 75%-ს აღემატება

აშშ-ის შეიარაღებული ძალების დიდი სამხედრო შენაერთები საზღვარგარეთ წარსულს ჩაბარდება. ახლა აშშ ფსონს აკეთებს მომცრო ზომის ბაზებზე, რომლებიც შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტების სიახლოვეს განთავსდებიან და ტერორისტული ორგანიზაციების ბაზირების სიახლოვესაც. **აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამომავლო მიზანია ძლიერი და სწრაფი დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგისთვის**. ამგვარი დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგემ საწინააღმდეგო ქმედებათა ორგანიზება ვერ უნდა შეძლოს. გარდა ამისა, სამხედრო ბაზები აუცილებელია სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩასატარებლად.

როგორც იგულისხმება, უკვე 2015 წლისთვის აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალები შეძლებენ მობილური სამხედრო ბაზების — გიგანტური სატრანსპორტო პლატფორმების, იმავე „მცურავი კუნძულების“ შექმნას, რომლებიც ჩაანაცვლებენ ტრადიციულ სამხედრო ბაზებს, ავიამზიდებსა და სატრანსპორტო გემებს. ეს პლატფორმები აიგება საბავშვო კონსტრუქტორების პრინციპის შესაბამისად — ცალკეული დეტალები მთლიანი კონსტრუქციის აწყობის ადგილამდე გადაიზიდება თვითმფრინავებით და მომცრო ზომის გემებით.

თავდაცვის ანალიზის ინსტიტუტის გათვლებით, ყოველი მცურავი კუნძულის მშენებლობის ღირებულება დაახლოებით 1,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. თუმცა, აშშ-ის სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ფულის ამგვარი დაბანდება გამართლებულია: **მობილური ბაზები აშშ-ს საშუალებას მისცემს, ნაკლებად იყოს დამოკიდებული თავის მოკავშირეებზე, რომლებიც მრავალ შემთხვევაში არ თანხმდებიან, საკუთარი ბაზები და აეროდრომები აშშ-ის შეიარაღებული ძალებისთვის დათმონ.**

ასევე შესაძლებელია დირიჟაბლებისა და სხვა სახის საფრენი აპარატების „მეორედ მოსვლა“. ახლებურ დირიჟაბლებს შეეძლებათ, მნიშვნელოვანი ტვირთები ჩაიტანონ ნებისმიერი მანძილით დაშორებულ დანიშნულების ადგილამდე. ანალოგიური საჭიროებებისთვის, შესაძლოა, შემუშავებულ იქნეს გიგანტური სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენებიც. მომავალში დიდი მოთხოვნა იქნება ზეზუსტი დაშვების მოწყობილობებსა და სხვა ტექნოლოგიებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურად სწრაფ, ზუსტ და უსაფრთხო ტრანსპორტირებას ნებისმიერი დაშორების დანიშნულების წერტილამდე როგორც ადამიანების, ასევე ტვირთებისთვის.

რეორგანიზაცია შეეხება აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობას. მაგალითად, ამჟამად სამხედრო-საზღვაო ფლოტი შედგება 12 ავიამზიდი ჯგუფისგან. თავდაპირველად ისინი შეიქმნა იმისათვის, რომ ავიაციისთვის მიეცა საშუალება, დარტყმები განეხორციელებინათ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. კიდევ ათობით ფლოტილია განკუთვნილი იყო საზღვაო ქვეითთა ნაწილების გადასაყვანად. მაგრამ ტრანსპორტი, რომელსაც საზღვაო ქვეითები გადაჰყავდა, დაცვისათვის ავიამზიდებისა და კრეისერების მხრიდან გაცილებას საჭიროებენ.

ავიამზიდები ასევე გამოყენებულ იქნება აქამდე მათთვის უჩვეულო ამოცანების გადასაჭრელად. ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ავიამზიდი „Kitty Hawk“ იმ ვერტმფრენების ბაზად გამოიყენებოდა, რომლებითაც ამერიკული სპეცქვედანაყოფები სარგებლობდნენ. სამხედრო საზღვაო ძალების შეიარაღებაში გაჩნდა პრინციპულად ახალი ტიპის სამხედრო გემები. მაგალითად, სანაპირო საბრძოლო გემი, რომელიც სადარაჯო, სადესანტო და სატრანსპორტო გემების ფუნქციებს ითავსებდა. მას შეეძლება, ოპერაციები განახორციელოს წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ, ებრძოლოს ნაღმებს და ამავე დროს შეასრულოს საზღვაო ბაზის როლი — მიიღოს ვერტმფრენები, გადაზიდოს მნიშვნელოვანი ტვირთები, 150 ავტომობილი, ტანკი და ბრონიმანქანა ან გადაიყვანოს ათასამდე ჯარისკაცი. ამავე დროს, იგი აღჭურვილი იქნება ჰუმანიტარული ოპერაციების ჩასატარებლად — გათვალისწინებულია მასზე ჰოსპიტლის განლაგებაც. პირველი ასეთი გემი ორ წელიწადში უკვე მწყობრში იდგება.

მსხვილი სამხედრო შენაერთები, რომლებიც თავდაპირველად საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად იყო გამიზნული, დიდი ხანია, უფუნქციოდ დარჩა. ისინი დანაწილდება მომცრო და უფრო მობილურ ნაწილებად, რომელთაც ავტონომიურად მოქმედება შეეძლებათ.

**ამერიკულმა არმიამ უკვე დაიწყო სწრაფი რეაგირების ჯგუფების — „Striker“-ების შექმნა. ისინი შედგება 3,5 ათასი ჯარისკაცისა და ბრონიტექნიკისგან, რომელთაც „ცხელ წერტილებში“ სატრანსპორტო თვითმფრინავებით საჭიროებისთანავე გადაისვრიან.**

dokumentika.org

## 2015 წლისთვის აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალები შეძლებენ მობილური სამხედრო ბაზების — გიგანტური სატრანსპორტო პლატფორმების, იმავე «მცურავი კუნძულების» შექმნას

## შავ ზღვაში მეტეორიტი ჩავარდა

**12 დეკემბერს შავ ზღვაში თურქეთის სანაპიროსთან ახლოს მეტეორიტი ჩავარდა.** ამის შესახებ ცნობას თურქული მედია ავრცელებს. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი კამერამაც დააფიქსირა, ხოლო ჩანაწერი ტელეკომპანია TRT-მ ეთერში გაუშვა. მომხდარმა თურქეთის ქალაქ ორდუში პანიკა გამოიწვია. მოსახლეობამ მცირე მეტეორიტის ჩამოვარდნის ფაქტი 21 დეკემბერს „მოსალოდნელ“ ეგრეთ წოდებულ სამყაროს აღსასრულის შესახებ გავრცელებულ ჭორებს დაუკავშირა. ზღვაში მეტეორიტის ჩავარდნის ფაქტი ორდუს მერმაც დაადასტურა.



## სერგეი უდალცოვი და ქსენია სობჩაკი დააკავეს

**მოსკოვში რუსმა სამართალდამცავებმა ოპოზიციის ლიდერები: სერგეი უდალცოვი, ილია იაშინი და ქსენია სობჩაკი დააკავეს.** როგორც მასმედია იუწყება, უდალცოვის შეკითხვა, თუ რის საფუძველზე ხდებოდა მისი დაკავება, პოლიციელებმა უპასუხოდ დატოვეს. პირველად ინფორმაცია უდალცოვისა და სობჩაკის დაკავების შესახებ „ლუბიანკაზე“ შეკრებილმა არასანქცირებული მარშის მონაწილეებმა გაავრცელეს.

საქართველო და მსოფლიო
პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებს ჰგონიათ, რომ ჩვენი ქვეყანა კოლონიაა და უფლება აქვთ, როგორც სატელიტს, ისე მოგვექცნენ. ჩვენ მშიშარა მთავრობა არ გვჭირდება. ჩვენთან, კახეთში, მშიშრებს „ქვეშაფსიებს“ უწოდებენ.**

# ამერიკის დიქტატის ქვეშ იყვნენ «ნაციონალები» და ამ დიქტატის ქვეშ არიან «მეოცნებეებიც»

**ამასწინათ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოში უნდა აიკრძალოს ისევე, როგორც ფაშისტური პარტია აიკრძალა თავის დროზე გერმანიასა და ევროპის სახელმწიფოებში. მაგრამ ეს სახელმწიფო ორგანოებმა კი არ უნდა გააკეთონ, არამედ, რომ ვვარგოდეთ, ანათემა ჩვენ, ხალხმა უნდა გამოვუცხადოთ „ნაციონალებს“ და პოლიტიკიდან სამუდამოდ უნდა განვდევნოთ.**

„ნაციონალების“ დამარცხება საარჩევნო ბატალიებში ბიძინა ივანიშვილის დიდი გმირობა იყო, მაგრამ მათ ისე აქვთ ფესვები გადგმული ქვეყნის მოსახლეობის ერთ ნაწილში და ისე აქვთ საცეცები მოდებული პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე, რომ დამშვიდების უფლება არ უნდა გვქონდეს.

ვინაიდან „ნაცონალური მოძრაობა“ მთლიანად დანაშაულებრივია ქვეყნის მიმართ, მისი ყველა წევრი დამნაშავეა ქართველი ხალხის წინაშე. ამიტომ მათი ცინიზმი მოსახლეობის მიმართ, რომელსაც პარლამენტიდან ახმიანებს ამ მოძრაობის ელიტარული ნაწილი, ქართველი ხალხის აბუჩად აგდებაა.

მათი მოძღვრება, იდეოლოგია, პოლიტიკა ქართველი ერის სულიერების მოსპობას და ალმოფხვრას ისახავს მიზნად.

**მართალია, ორი თვე გავიდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლიდან, მაგრამ ნათქვამია, სახარე ხბოს სასკორავში ეტყობაო. როგორც პროგრამაში, ისე უკვე განვლილ პრაქტიკულ მოღვაწეობაში, სიახლის ნიშნებს ვერ ვატყობთ.**

როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში არსებითი პოზიტიური ძვრები არ შეინიშნება და იდენტურია „ნაციონალების“ უნივერსალური კრედოსი.

ეს ხდება იმიტომ, რომ ამერიკის დიქტატის ქვეშ იყვნენ „ნაციონალები“ და ამ დიქტატის ქვეშ არიან „მეოცნებეები“. **ნატო და ამერიკა რომ ხსნა ყოფილიყო ჩვენი უბედური ერისთვის, მაშინ 2008 წლის ომიც აღარ იქნებოდა. ახალმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნატო და ამერიკა გარანტია არ არის საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩვენი გულისთვის რუსეთს არ გადაიკიდებენ.**

დამნაშავეების მიმართ დაწყებულ სამართლებრივ დევნას პოლიტიკურ დევნად აფასებენ ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები და მიგვითითებენ, თავი დავანებოთ სამართლიანობის აღდგენაზე ფიქრსაც კი.

ამერიკელებს ჰგონიათ, რომ ჩვენი ქვეყანა კოლონიაა და უფლება აქვთ, როგორც სატელიტს, ისე მოგვექცნენ. ჩვენ მშიშარა მთავრობა არ გვჭირდება. ჩვენთან, კახეთში, მშიშრებს „ქვეშაფსიებს“ უწოდებენ. სულაც არ მინდა მე, როგორც „ქართული ოცნების“ აქტიურ მხარდამჭერს, „ქვეშაფსია“ თიკუნი მიწოდონ.

**საშინაო პოლიტიკაშიც ჯერჯერობით არსებითად არაფერი იცვლება. არც პროგრამაში და არც მმართველობის ორ თვეში არ გამოკვეთილა ახალი მთავრობის დამოკიდებულება რეგიონული მართვის სისტემისადმი.**

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის გარიჟრაჟზე „ნაცების“ ფიურერი შევარდნაძეს აკრიტიკებდა, რომ რეგიონული მართვის სისტემა თავის გუბერნატორებიანად სრულიად ზედმეტი რგოლი იყო და რომ ამაზე იხარჯებოდა დიდძალი თანხები. მაგრამ სააკაშვილმა არათუ შეინარჩუნა მართვის ძველი სტრუქტურა, არამედ უფლებამოსილება გაუზარდა კიდეც. ეს ყველაფერი კი სჭირდებოდა საარჩევნო ხმების მობილიზაციისა და ადგილებზე საღი აზრის ჩახშობისთვის.

სამწუხაროა, რომ დღეს ნიშანწყალიც კი არ ჩანს იმისა, რომ ეს ზედმეტი რგოლი გაუქმდეს.




**ახალმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ნატო და ამერიკა გარანტია არ არის საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ჩვენი გულისთვის რუსეთს არ გადაიკიდებენ**

**საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ახალმა ხელისუფლებამ უცვლელად დატოვა სრულიად უფუნქციო და უსარგებლო სამინისტროები.** მხედველობაში მაქვს დიასპორის, ევროინტეგრაციის, რეინტეგრაციისა და დასაქმების სამინისტროები.

ავიღოთ ქვეყნის მაღალი ეშელონების ბოსების ხელფასები. აქ შეცდომაზე კი არა, დანაშაულზეა საუბარი. წინა ხელისუფლება რომ ბრმა და ყრუ იყო რიგითი მოხელეების მიმართ, ეს არახალია. როგორ შეიძლება ქვეყნის ხელმძღვანელი იყო და ასეთი სხვაობა დაუშვა ხელფასებში?! **საწყალი პენსიონერებისა და რიგითი მოხელეების ფონზე, როგორ გამოიყურებოდა კოტე კუბლაშვილის 35-ათასლარიანი თვიური ხელფასი, ან მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელის 25-ათასლარიანი ხელფასი, ან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 22-ათასლარიანი ხელფასი, ან მარეგულირებელი კომისიის წევრის, მაია ნადირაძის, 14-ათასიანი ხელფასი?!** თურმე ასეთ ანაზღაურებას იმიტომ აძლევდნენ, რომ ქრთამი რა აეღოთ, ე. ი. ქრთამის აუღებლობის მიზნით სახელმწიფო ქვეყნის ბიუჯეტიდან ქრთამს აძლევდა მოხელეს. ახლა, მკითხველო, თქვენ გააანალიზეთ, კერძო ჯიბიდან გაღებული ქრთამი უფრო გაალარიბებდა სახელმწიფოს თუ ბიუჯეტიდან ამ მიზნით გაწეული უშველებელი ხარჯი?

ორი თვე ახალი მთავრობის მმართველობისათვის ცოტა დროა, მაგრამ ამ დროშიც შეიძლებოდა წინა მთავრობის ზოგიერთი უმართებულო გადაწყვეტილების გაუქმება. ჩვენ, ამომრჩევლები, მოველოდით, რომ პირველი რიგის საკითხად პარლამენტი განიხილავდა პირადობის მოწმობაში ეროვნებისა და მამის სახელის აღდგენას, რომ ამ დროში მოასწრებდა პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის საკითხის განხილვას, რომ დაუბრუნებდნენ მწერლებს გამომცემლობებს, კომპოზიტორებს, სპორტის აკადემიას, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს წართმეულ შენობებს, ძეგლებსაც დააბრუნებდნენ უწინდელ ადგილებზე.

**ვურჩევ ახალ მთავრობას, რომ ქვეყანაში მშენებლობის ერთიანი პოლიტიკის გასატარებლად შექმნას მშენებლობის სამინისტრო.**

როცა ხალხის დასაქმებაზე ვლაპარაკობთ და ამ საქმეში პანაცეად ინვესტიციების მოზიდვას განვიხილავთ, ეს, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს მართებული. ჯერ ერთი, ახალი მთავრობის უფლებამოსილების 4-წლიან ვადაში ინვესტორების მოზღვავებაზე ფიქრი თავის და საზოგადოების მოტყუებაა. მეორეც, დღევანდელობა გვიჩვენებს, რომ ინვესტორები სამუშაოდან მასობრივად ყრიან ბევრ დასაქმებულს და გარანტია სად არის, რომ ასევე არ მოიქცევიან ახლადშემოსული ინვესტორები? ამიტომ **ახალმა მთავრობამ თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად უნდა გაიხადოს ფართო მასშტაბით სამრეწველო ობიექტების მშენებლობა.**

ჯერ ერთი, სოციალისტურ ელემენტებს რატომ უფრთხიან მეოცნებეები? თუკი საქმეს წაადგება, რატომ უნდა ვთქვათ ჯიუტად უარი? და, მეორეც, რა არის ამაში სოციალისტური, რომ უკანონოდ გასხვისებული ოქროს, მანგანუმის მოპოვება და სხვა სახელმწიფო საწარმოები გადაეცეს სახელმწიფოს სამართავად და საექსპლუატაციოდ?

**ცალკე მსჯელობის საგანია სოფლის მეურნეობა.**

მიწების პრივატიზების დანაშაულებრივად განხორციელების შედეგად, მისი დიდი და ნაყოფიერი ნაწილი ისეთი პირების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან, ხოლო მწირი და მცირე ზომის მიწები პირდაპირ მიაყარეს (დიახ, მიაყარეს!) **ტრადიციულად მიწაზე მიმაგრებულ მოსახლეობას ყოველგვარი მომზადებისა და უზრუნველყოფის გარეშე.** შედეგად ის მივიღეთ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე წვრილ მესაკუთრეთა 70 პროცენტი ვერ ამუშავებს მიწას საწვავის სიძვირისა და ტექნიკის უქონლობის გამო. სოფლის მეურნეობაში ჩაუხედავმა პროფანმა ნაცისტურმა ხელისუფლებამ ზარზეიმით გამოაცხადა, რომ შემოტანილია 1000 და კიდევ შემოვა 2000 ტრაქტორი და ტექნიკით მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობაო. სინამდვილეში ადრე, კომუნისტების დროს, თითოეულ რაიონს ჰქონდა ამაზე მეტი ტრაქტორი.

**ვაყენებ წინადადებას მთავრობის წინაშე, რომ მოხდეს ჯერ საცდელად, შემდეგ კი მასობრივად სოფლის მეურნეობის კოოპერირება, რომლებშიც უბნების მიხედვით შევლენ მიწის მესაკუთრეები და გააერთიანებენ სამუშაო ძალებს და საწარმოო გამოცდილებას. მისასალმებელია, რომ ამ იდეას მხარს უჭერენ სოფლის მეურნეობის ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოსები, კერძოდ, ეს ინიციატივა გააჰმაურა პროფესორმა პაატა კოღუაშვილმა, რომელმაც ახლახან გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია.**

პირველ ეტაპზე კოოპერატივებს უნდა გამოეყოთ გრძელვადიანი უპროცენტო სესხები, 5 წლით უნდა გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან. კოოპერატივები თავიანთ საქმიანობაში და საკუთრების განკარგვაში უნდა იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებელნი, მათი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ დაწესებული გადასახადების გადახდა.

და კიდევ: **უნდა აღორძინდეს ადრე მოქმედი და მერე გაუქმებული საცდელი სადგურები, სანერგეები, სასელექციო სადგურები და სოფლის მეურნეობის თანამდევი სხვა სამეცნიერო სტრუქტურები.**

მთავრობას მივმართავ წინადადებით, დროულად შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა ამისთვის და დაიწყოს მისი ამოქმედება.

**ინდიკო სეფაშვილი,**
ისტორიკოსი
ქ. ყვარელი

მოკლედ

## წლეულს ჩრდილოკავკასიაში 347 ბოევიკი განადგურდა

**რუსეთის ფედერაციის შს სამინისტრო რეგიონში სიტუაციის სტაბილიზებისთვის ჩრდილოკავკასიაში უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან ბრძოლას გააძლიერებს. განცხადება ამის შესახებ რუსეთის შს მინისტრმა ვლადიმერ კოლოკოლცევმა გააკეთა. „შემიძლია პროგნოზი გავაკეთო, რომ ბანდიტებთან ბრძოლის საკითხში მოქმედებების გაატიურება მოხდება იმისათვის, რათა ჩრდილოკავკასიაში სიტუაციის სტაბილიზება მოხდეს“,** — განაცხადა კოლოკოლცევმა. მისივე თქმით, წლის დასაწყისიდან ჩრდილოკავკასიაში 347 ბოევიკია განადგურებული. სპეცოპერაციების მსვლელობისას ასევე დაღუპულია 149 სამართალდამცავი და დაჭრილია 276. **„მიუხედავად ამისა, ბანდიტებთან ბრძოლა გაგრძელდება“,** — განაცხადა მინისტრმა.

## ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი გადადგა

**ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. მან ამის მიზეზად ისრაელში 10 წლის წინანდელ საქმესთან დაკავშირებით აგორებული სკანდალი დაასახელა, რომელიც ფულის გათეთრებას ეხება და რომელშიც მისი გვარიც ფიგურირებს.** ლიბერმანი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, თუმცა თანამდებობას მაინც ტოვებს.

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში ლიბერმანი მიმდინარე თვეში თბილისს უნდა სწვეოდა, თუმცა ეს ვიზიტი გადაიდო.

ევროპულ ცივილიზაციაში ექვთიმე ათონელის ეპოქის ქართული აზროვნების როლის არსებითი გადაფასება რეალურად ახლა იწყება. ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგება ამ პროცესში მაღალ საერთაშორისო დონეზე მონაწილეობის არც თუ მარტივი ამოცანა.

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპული ცივილიზაციის ქართული შენაკადი

**ახლახან (2012 წლის 13 ნოემბერს) იტალიურ „ლა სტამპაში" გამოქვეყნდა კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიური ცივილიზაციის მკვლევარის, სიენის უნივერსიტეტის პროფესორ სილვია რონჩის (Silvia Ronchey) უაღრესად მნიშვნელოვანი სტატია „როცა ბუდა ქრისტიანი წმინდანი იყო". რაც ჩვენთვის არსებითია, გასული ათასწლეულის ევროპული რენესანსისა და განმანათლებლობის გენეზისის მის მიერ წარმოდგენილ ახალ ხედვაში საერთო პროცესის ქართული შენაკადის ფუძემდებლური როლი იკვეთება.**

სტატია ორ-სამ დღეში გავრცელდა მრავალენოვან საინტერნეტო სივრცეში, რუსული და სომხური საიტების ჩათვლით. საერთო სურათიდან ერთგვარად ამოვარდა **ქართულენოვანი საინტერნეტო სივრცე, რომელმაც ხსენებული მოვლენა საერთოდ არ ასახა.**

ჩვენ ქვემოთ, შევეცდებით მკითხველს სტატიის მთავარი მომენტები გავაცნოთ და, შეძლებისდაგვარად, გარკვეული კომენტარიც გავაკეთოთ.

სტატიის პათოსი კარგად არის გამოხატული მის ეპიგრაფში:

**„დასავლურ განმანათლებლობას სათავე დაუდო ბიზანტიურმა ისტორიამ იოასაფის შესახებ, შუასაუკუნეების ბესტსელერმა, რომელიც წინ უძღოდა ჰესეს „სიდხარტას".**

სტატია დაფუძნებულია დებულებაზე ქრისტიანობისა და ბუდიზმის სინთეზის წამყვანი როლის შესახებ დასავლური აზროვნების განვითარებაში. გვიანდელი მაგალითის სახით მოყვანილია ნობელის პრემიის ლაურეატის — ჰერმან ჰესეს „სიდხარტა", რომელმაც, სილვია რონჩის აზრით, დიდი გავლენა იქონია დასავლური აზროვნების განვითარებაზე XX საუკუნეში.

ამავე დროს ავტორი ხაზს უსვამს იმ ფუნდამენტურ გარემოებას, რომ **ბუდიზმი საუკუნეების მანძილზე ინერგებოდა დასავლურ ფსიქიკასა და კულტურაში, დაწყებული XI საუკუნიდან, როცა ბუდა იოასაფის სახელით ქრისტიან წმინდანად იქნა შერაცხული.**

შემდგომ, ალბათ, კიდევ ერთი ციტირება იქნება მართებული:

**„რამდენადაც ბუდიზმისთვის მთავარია არა დოქტრინა, არამედ ქცევის ჰარმონია, მას არასოდეს ჰქონია საღვთო წერილის ანალოგი. სხვადასხვა კულტურაში ეს ფაქტი განსხვავებულად აღიქმებოდა და წერილობით წყაროებშიც სხვადასხვაგვარად აისახებოდა. რამდენადაც ბიზანტიური ცივილიზაცია მწიგნობრობას წინ აყენებდა, სწორედ აქ შეიქმნა ორიგინალური „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრება", რომელიც ექვთიმე ივერმა დაწერა X საუკუნის ბოლოს — XI საუკუნის დასაწყისში.**

იგი იყო ქართველი დიდგვაროვანი, ბავშვობიდან მძევლად წარგზავნილი კონსტანტინეპოლში ბიზანტიის იმპერატორის კარზე, სადაც წარმატებული მწიგნობრული განათლება მიიღო. შემდგომში იგი ათონის წმინდა მთის ივერთა მონასტრის ბერი ხდება. **აქედან იღებს სათავეს ბუდისტური კვალი ბიზანტიურ მწერლობაში.**

ამ მომენტიდან დასავლურ ლიტერატურაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ბუდას ცხოვრებაზე დაწერილ მოთხრობათა რიცხვი, ხოლო თვით ბუდა, ქრისტიანი წმინდანის სახით, თავისი მოძღვრების გავრცელების ჰორიზონტებს აფართოებს".

არც თუ ვრცელი სტატიის ბოლო ნაწილი მთლიანად ეძღვნება პრაქტიკულად ყველა მწიგნობრულ ენაზე ნათარგმნი ექვთიმე ათონელის ამ ნაწარმოების „გავლენის სფეროების" მოკლე, მაგრამ შთამბეჭდავ აღწერას. აღნიშნულია, რომ არც ერთ სხვა ნაწარმოებს დასავლეთში ასეთი პოპულარობა არ მოუპოვებია.

„გავლენის სფეროების" პერსონალიაში წარმოდგენილია ბოკაჩო, შექსპირი, ლოპე დე ვეგა, პედრო კალდერონ დე ლა ბარკა, ბორხესი, ბოდლერი, ტოლსტოი და სხვ. ნაწარმოები აისახა შუასაუკუნეების ფრანგულ ქალაქურ ლიტერატურაში, შუასაუკუნეების ფრანგულ და გერმანულ ეპოსში, XVIII და XIX საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში.

ამავე დროს, რაც ამ ეტაპზე სრულიად ბუნებრივია, უაღრესად მასშტაბური პრობლემის ახალი კონცეპტუალური ხედვა სტატიაში მხოლოდ პრინციპულად არის დასაბუთებული, პრობლემის მრავალი არსებითი ასპექტი კი შემდგომ ანალიზს საჭიროებს.

კერძოდ, **ჯერჯერობით კონკრეტული განხილვის მიღმა რჩება ქართული მწერლობისა და აზროვნების როლი აღმოსავლური და დასავლური კულტურების სინთეზსა და ურთიერთდაკავშირებაში, რაც არსებითად თვით სტატიაში აღწერილი პროცესის მთავარ ამძრავად იკვეთება. იგივე ითქმის ექვთიმე ათონელის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის ღვაწლის შეფასების, ცივილიზაციის გიგანტთა რიგში მისი პიროვნების ღირსეული წარმოჩენისა და პრობლემის არაერთი სხვა ასპექტის შესახებ.**



ქვემოთ შეძლებისდაგვარად შევეცდებით, განვიხილოთ ზოგიერთი ასეთი საკითხი.

პირველ რიგში, შევეხოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებულ მიდგომებს.

დიდი ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის" მეორე ტომში ექვთიმე ათონელის ეპოქასა და პიროვნებას შემდეგ შეფასებას აძლევს:

**„მრავალრიცხოვანი კულტურული საგანმანათებლო ცენტრები, რომლებიც არსებობდა საზღვარგარეთ მონასტრების სახით, დაწყებული განაპირა სამხრეთით სინას მთა, პალესტინა, იერუსალიმი, კვიპროსი, შავ-მთა ანტიოქიის მახლობლად, რომანა კონსტანტინეპოლის ახლოს და გათავებული ათონის მთით ქალკედონის ნახევარკუნძულზე, სადაც მოღვაწეობდა მთელი პლეადა გამოჩენილ ქართველ მთარგმნელთა, ფილოსოფოსთა და სხვა მეცნიერთა, რომლებიც თავიანთი შრომების მეშვეობით საშუალებას აძლევდნენ ქართულ განათლებულ საზოგადოებას ზედმიწევნით სცოდნოდა, რაც ბიზანტიასა და მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანო სამყაროში ფუნდამეტალური რამ იქმნებოდა. გარდა ამისა, საქართველოს ახლო ურთიერთობამ არაბულ-სპარსულ კულტურულ მიმდინარეობებთან და მათი სალიტერატურო ძეგლების გაცნობამ საქართველო ერთგვარად აქცია შუამავლად მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა და ქრისტიანულ ბერძნულ-რომაულ დასავლეთს შორის,** ამ ორ, სარწმუნოებრივად განსხვავებულ სამყაროს შორის. ამის ნათელსაყოფად საკმარისი იქნება მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომელიც ახლა სრული უეჭველობით არის დადგენილი, სახელდობრ, რომ **საშუალო საუკუნეებში საქართველოს წყალობით მიეცა ევროპას საშუალება, გასცნობოდა პირველ ქრისტიანულ რომანს, ამ უაღრესად პოპულარულ თხზულებას, ვარლამისა და იოასაფის შესახებ, რომელიც ბერძნულ ენაზე თარგმნა და დაამუშავა სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა".**

როგორც ვხედავთ, სილვია რონჩი სრულად იზიარებს და ავითარებს ივანე ჯავახიშვილის მოყვანილ შეფასებას. ამ მიმართებაში, მის მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომას შეიძლება ჯავახიშვილ-რონჩის კონცეფცია ეწოდოს.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი იდეური ერთიანობა ისტორიულად არც თუ მარტივად იქნა მიღწეული.

რაც თითქმის ერთი საუკუნის წინ ივანე ჯავახიშვილს „სრული უეჭველობით დადგენილად" მიაჩნდა, დასავლურ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ბოლო ათწლეულის მანძილზე იქნა აღიარებული.

**საუკუნეების მანძილზე „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრების" ავტორად VII საუკუნის დიდი მოღვაწე იოანე დამასკელი სახელდებოდა, რაც დასავლურმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებული კვლევების შედეგად გამორიცხა.** თუ წიგნის 1967 წლის გამოცემის ავტორი ჯერ კიდევ იოანე დამასკელია, 1980 და 1993 წლების გამოცემებში უკვე ანონიმი ავტორი ფიგურირებს, **ნამდვილი ავტორის სახელით მისი გამოცემა კი ჯერაც მომავლის საქმედ რჩება.**

**დასავლეთში ექვთიმე ათონელის ავტორობის საბოლოო აღიარებას საფუძვლად 2004 და 2006 წლებში გამოქვეყნებული კვლევები დაედო.**

მიმდინარე პერიოდში, როგორც ჩანს, უმძიმესი კრიზისის ათწლეულებთან და თაობათა ცვლასთან დაკავშირებით, ჩვენში გაჭირდა შუასაუკუნეების ქართული აზროვნების კვლევის ტრადიციულად მაღალი დონის შენარჩუნება.

სხვაგვარად ძნელი ასახსნელია ის გარემოება, რომ ვიკიპედიის ქართულ ვერსიაში 2011 წლის 7 დეკემბერს განახლებული სტატიის („ექვთიმე მთაწმინდელი") მიხედვით, ექვთიმე ათონელს „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრებასთან" არავითარი შეხება არ აქვს.

როგორც ჩანს, სტატიის ქართველი ავტორებისთვის დიდი ივანესა და წინა თაობების სხვა ქართველი მეცნიერების არგუმენტები საკმარისად მყარი არ აღმოჩნდა, ხოლო უცხოელი მეცნიერების ზემოხსენებული ახალი დასკვნები ამ მომენტში მათთვის უბრალოდ უცნობია. უფრო მეტიც, მათ ჯერ კიდევ იმ ადვილად მისაწვდომ პრინციპულ სიახლეზეც **არ გაუკეთებიათ რეაგირება, რომ ექვთიმე ათონელის მიერ „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრების" შექმნა უკვე აღიარებულია ამავე საერთაშორისო ენციკლოპედიის ძირითადი, ინგლისური ვერსიის სტატიაში „EUTHYMIUS OF ATHOS"** (განახლებულია 2012 წლის 23 მაისს).

ასე რომ, დღეს ენციკლოპედიის ძირითადი, ინგლისური ვერსია აღიარებს ექვთიმე ათონელის ავტორობას, ხოლო ქართული არ აღიარებს!

**მსგავსი პრობლემების დაძლევა, სამწუხაროდ, ვერც 2012 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში და ერთტომეულში მოხერხდა, რომლებშიც ქართული აზროვნების ისტორიის ხსენებული უმნიშვნელოვანესი ეტაპი საერთოდ არ არის გაშუქებული.**

**ევროპულ ცივილიზაციაში ათონელის ეპოქის ქართული აზროვნების როლის არსებითი გადაფასება რეალურად ახლა იწყება. ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგება ამ პროცესში მაღალ საერთაშორისო დონეზე მონაწილეობის არც თუ მარტივი ამოცანა.**

დიდ მოაზროვნეს პეტრე იბერს საქართველოსთან პრაქტიკულად მხოლოდ ეთნიკური წარმომავლობა აკავშირებს. მსოფლიო პოეზიის შედევრი „ვეფხისტყაოსანი" ძნელბედობის ეპოქაში საუკუნეების მანძილზე იყო მიუწვდომელი გარე სამყაროსთვის.

არსებითად სხვაგვარად, „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრება" და თვით **ექვთიმე ათონელის ფიგურა მძლავრი ქართული ინტელექტუალური კონტინიუმის საუკუნოვანი ძალისხმევის დამაგვირგვინებელ აკორდად გვევლინება,** თანაც, როგორც ვხედავთ, **უშუალო გავლენით გლობალურ ცივილიზაციურ პროცესებზე.**

აქ იგულისხმება, რომ ხსენებულ დამაგვირგვინებელ აკორდს წინ უძღოდა უშუალოდ საქართველოში გაწეული მრავალწლიანი ძალისხმევა აღმოსავლური ცოდნის სინთეზისა და განზოგადოების სფეროში, რაც „ბალავარიანის" ვერსიებით შეჯამდა. **ბოლო ეტაპზე ათონის ივერთა მონასტერში ექვთიმე ათონელმა ეს ნაღვაწი ახალ დონეზე აიყვანა და, როგორც ვხედავთ, ბერძნულ-რომაულ სამყაროს თითქმის იდეალურად მიუსადაგა.**

ამჯერად სილვია რონჩი არ უღრმავდება X საუკუნეში საქართველოში განხორციელებულ საბაზო ეტაპს, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი მისთვის კარგადაა ცნობილი, როგორც მინიმუმ, ილია აბულაძის, დევიდ ლენგისა (David Marshall Lang) და ელენე მეტრეველის ფუნდამენტური შრომებით.

პრაქტიკულად, ფაქტების ანალიზის დონეზე, იგი მეორე ათასწლეულის ევროპული ლიტერატურის „გენეალოგიური ხის" (სქემის) გამოკვეთით შემოიფარგლება, რომლის საფუძველშიც წამყვან პოზიციას „ვარლაამისა და იოასაფის ცხოვრება" იკავებს.

ამასთან, მოყვანილი სქემა, რა თქმა უნდა, არასრულია, რაც აქამდე „ცხოვრების" ავტორის გაურკვევლობას უკავშირდებოდა. ექვთიმე ათონელის ავტორობის აღიარებასთან ერთად, გზა იხსნება სქემის საფუძვლიანი გამდიდრებისთვის. მისი არსებითი საბაზო მდგენელი ხდება, აგრეთვე, X საუკუნის ზემოხსენებული მძლავრი ქართული ინტელექტუალური კონტინიუმის ქმნილება ქართული „ბალავარიანი".

**საერთაშორისო დონეზე ჯავახიშვილ-რონჩის კონცეფციის სწორედ ასეთ ასპექტში კვლევა უნდა გახდეს ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობის მთავარი მიზანი. წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ ამ მიმართებით საჭირო ძალისხმევას არ გავწევთ) საქმე შეიძლება ენციკლოპედიებში ბუმბერაზი ქართველების მთარგმნელებად წარმოდგენით დამთავრდეს (ვიკიპედიის ქართული ვერსიის ზემოხსენებული სტატიის მსგავსად).**

ყურადღების ღირსია, ჩვენი აზრით, პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი.

**ექვთიმე ათონელი დიდი გავლენით სარგებლობდა ბიზანტიის უმაღლეს საეკლესიო და სახელისუფლო წრეებში, ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ** (და ასეთი ვარაუდი კვლევის საგანიც გავხადოთ) **ბუდას ქრისტიან წმინდანად შერაცხვის მის მიერ ინიცირება.**

ასეთ შემთხვევაში იგი სილვია რონჩის მიერ აღნიშნული, დასავლური ფსიქიკისა და კულტურის მრავალსაუკუნოვანი, მიზანმიმართული ტრანსფორმაციის უშუალო არქიტექტორადაც მოგვევლინება.

**ათი საუკუნეა, ჩრდილში მდგომი აშენებს ევროპულ ცივილიზაციას უდიდესი ქართველი, ქრისტიანი წმინდანი ექვთიმე ათონელი.**

ათასი წლის შემდეგ განგებამ მსოფლიო სარბიელზე მისი ძლევამოსილი დაბრუნება ინება, როგორც ჩანს, ისტორიის კიდევ ერთ დიდ გასაყარზე ქართველთა მოდგმის, და არა მარტო, გზის გამკვლევად და დამლოცავად.

გამარჯვების შემდეგი ათასი წელი ვუსურვოთ მას.

**ირაკლი შეყრილაძე,**
**პროფესორი**

მეცნიერება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც ერთი წინაქრისტიანული ეპოქის წარწერიანი მატერიალური ძეგლი არ არის წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით 2012 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“.**

# ვის წისქვილზე ასხამს წყალს ამნაირად შედგენილი ისტორია?

**ინტერვიუ კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „აია-კოლხეთის“ ერთ-ერთ დამფუძნებელ რაულ გვეტაძესთან.**

**— ბატონო რაულ, გამოვიდა „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეული, რომლის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, ხოლო სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან აკადემიკოსები ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი და რ. მეტრეველი. რას გვეტყვით ამ ოთხტომეულში შემჩნეულ ხარვეზებზე?**

— უპირველესად, დიდი მადლობა თქვენი გაზეთის რედაქციას, რომელმაც ადგილი დაუთმო „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში შემჩნეულ ხარვეზებთან დაკავშირებით საგაზეთო სტატიებს. დღეს მასმედიის ყურადღება ძირითადად მიმდინარე პოლიტიკაზეა მიპყრობილი, ეს კი ისტორიული პროცესის მხოლოდ ტაქტიკას ასახავს. პოლიტიკური სტრატეგია ერის ჭეშმარიტ ისტორიაზე აისახება. მოგეხსენებათ, საინგილო ბოლშევიკებმა წაგვართვეს, მაგრამ იდეოლოგიურად ეს აქტი გაამაგრეს იმ დროის ისტორიკოსებმა, რომლებიც „ქართიზაციის თეორიას“ იზიარებდნენ. ასევე წარმოიშვა, მაგ., დავით გარეჯის პრობლემაც. ეს ქართველი ერის მრავალი განსაცდელიდან ერთ-ერთია.

მოკლედ მოგახსენებთ, გახლავართ კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „აია-კოლხეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ჩვენი სამეცნიერო-კვლევის სფეროდან ერთ-ერთია წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული ეპოქის ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებსა და ძველი ხუროთმოძღვრების ტაძრებზე წარმოდგენილი წარწერების ამოკითხვა, ამიტომ მეც მხოლოდ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობას შევეხები.

**— თქვენ, ტექნიკური მეცნიერების დოქტორი, სრული პროფესორი რა არგუმენტების საფუძველზე უწევთ ოპონირებას ცნობილ ისტორიკოსებს?**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ საისტორიო მეცნიერებაში სხვა სპეციალობის მოღვაწეებსაც აქვთ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი. გავიხსენოთ 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის პოლემიკურ-პუბლიცისტური ნაშრომი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, რომლის დედააზრია, რომ არქეოლოგიურ ძეგლებზე ასახული წერილობითი ინფორმაცია ეწინააღმდეგება იმას, რასაც უსამართლოდ ქადაგებდნენ რუსი და სომეხი ნაციონალისტები. ილია ჭავჭავაძემ თავის ნაშრომს დაურთო გენიალური რუსთველის უკვდავი სიტყვები: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს; მოყვარესა-მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს“.

**სამწუხაროდ, 2012 წელს ისეთი „საქართველოს ისტორია“ გამოიცა, რომლის დასახასიათებლად ილია ჭავჭავაძის ნაშრომის სათაურში მხოლოდ პირველი სიტყვის შეცვლაა საჭირო „ქართველთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. ამ ოთხტომეულში არქეოლოგიურ ძეგლებზე ასახული ინფორმაცია არ არის ადეკვატურად ასახული ან საერთოდ არის უგულებელყოფილი.**

ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი ამაგი დასდო ცნობილმა ქველმოქმედმა, განათლებით ინჟინერმა ბადრი პატარკაციშვილმა. მან დააფინანსა გამოჩენილი არქეოლოგის, აკადემიკოს ლევან ჭილაშვილის მონოგრაფია: **„ნეკრესის უძველესი ქართული ნაწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები“.** ეს რომ არ მომხდარიყო, გაგვიჭირდებოდა არგუმენტირებული ოპონირება, რადგან ქართველოლოგიისთვის ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის ძეგლის შესახებ ოთხტომეულიდან გვექნებოდა ასეთი მცირე და არასწორი ინფორმაცია:

**„უკანასკნელ ხანს ნეკრესის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ასომთავრული წარწერების ფრაგმენტების საფუძველზე, ლ. ჭილაშვილი გამოთქვამს ვარაუდს ასომთავრული დამწერლობის არსებობის შესაძლებლობის შესახებ წინაქრისტიანულ ხანაში, რაც სადავო უნდა იყოს“** *(„საქ. ისტორია“, 2012, ტ. II, გვ. 286, სქოლიო 2).*

„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეული და, აგრეთვე, ლევან ჭილაშვილის მონოგრაფია გამოცემულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით. ვის მხარეს არის სიმართლე: აკად. ლ. ჭილაშვილის, რომელმაც დაასაბუთა, რომ ქართველები ძველთაგან ფლობდნენ საკუთარ ანბანურ დამწერლობას, თუ სარედაქციო კოლეგიის, რომელმაც იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინათ ასეთი კულტურული მემკვიდრეობის არსებობა, წინაქრისტიანული ეპოქის ძველქართული წარწერის 15 ნიმუში, რომლებიც მოპოვებულია ნეკრესში, რუსთავსა და მცხეთაში, ოთხტომეულიდან ამოიღეს? მათ რიცხვში აღმოჩნდა იბერიის მეფე მითრიდატე II-ს მემორიალური ძეგლი, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. 97 წლით.



მცხეთის ჯვრის არქიტექტორის მიქელ თხელის ბარელიეფი

**«ქვაზე შესრულებული ადრექრისტიანულ წარწერიანი ძეგლები ან არასწორად იქნა ინტერპრეტირებული, ან ვერ იქნა ამოხსნილი მათზე ასახული ქრონოლოგიური ინფორმაცია»**

**— ბატონო რაულ, თქვენ ამბობთ, რომ ქართველი ხალხის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია იბერიულ ცივილიზაციას. რის საფუძველზე ადასტურებთ იბერიის ცივილიზაციის არსებობას?**

— იბერიის ცივილიზაციის არსებობას ვასაბუთებ ქართველი მეცნიერების ნაშრომებისა და მათი ანალიზის საფუძველზე:

**1. ძველ ცივილიზაციას არ მოეპოვება ქართული ანბანის ბადალი.** როგორც რ. პატარიძე აღნიშნავს, მასში ფინიკიური და ბერძნული ვოკალიზებული ანბანების ბაზაზე, ასოთა დასახელების სპეციფიკური პრინციპის შერჩევისა და ასოთა რიცხვული მახასიათებლის გამოყენების საშუალებით, სისტემაშია მოყვანილი ასტრონომიული, კალენდარული და ქრონოლოგიური ძველაღმოსავლური ინფორმაცია.

**2. ნეკრესის №1 წარწერიანი ქვა ეპოქალური მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლად იქნა აღიარებული** იმის შემდეგ, რაც მათემატიკოსმა ნოდარ გაფრინდაშვილმა ამ ძეგლში ამოიცნო წარმართული მთვარე-მზის კალენდარი, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოში პასქალური ციკლის გათვლებს. მისი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ძეგლის მესამე სტრიქონში წარმოდგენილი სამი რიცხვ-ნიშნის არითმეტიკული ჯამი უდრის 19-ს (3+10+6=19), რაც მთვარე-მზის კალენდრის სინქრონიზაციის ციკლის რიცხვია, რომელიც ბერძენი ასტრონომის — მეტონის სახელს ატარებს.

**3. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარმართული ხანის ნეკრესის არქეოლოგიური ნაგებობა, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა: ი. სიმონიამ და ნ. ბახტაძემ ბრიტანელ სპეციალისტთან ერთად ჩატარებული არქეოასტრონომიული კვლევების შედეგად „ნეკრესის მზის ტაძარი“ უწოდეს.** ნეკრესის წარმართული სატაძრო კომპლექსი იბერიულ-ქართული ცივილიზაციის მეცნიერული და კულტურული მიღწევების ამსახველი ბრწყინვალე ძეგლია. მასში შერწყმულია არქიტექტურული, კალენდარულ-ქრონოლოგიური და თეოლოგიური იდეები. არქეოასტრონომიული კვლევებით დასტურდება, რომ ნეკრესში ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ვიდრე საქართველოში ფეხს მოიკიდებდა ქრისტიანობა, არსებობდა მაღალი დონის ცივილიზაციის კერა, სადაც მოღვაწეობდნენ ბაბილონური და ელინისტური მათემატიკურ და ასტრონომიულ-ქრონოლოგიურ მიღწევათა მცოდნენი, შემოქმედებითი ნიჭით აღსავსე ქართველი ქუმერები, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში.

**ამ მოვლენების იგნორირება სხვა არაფერია, თუ არა ქართული ისტორიის დისკრედიტაცია.**

**— რით აიხსნება ისტორიკოსების მხრიდან ქართული კულტურის თქვენგან განსხვავებული შეფასება?**

— იმით, რომ არქეოლოგიურ ძეგლებზე ასახული ძველი ქართული წარწერები ადასტურებს აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ქართული ანბანი შეიქმნა ანტიკურ ხანაში, წინა აზიაში ქართველების განსახლების ტერიტორიაზე. ამაზე მეტყველებს ასომთავრულ ანბანში ასახული ბაბილონური ცივილიზაციის ასტრონომიულ-კალენდარული ინფორმაცია. ოთხტომეულის ავტორები კი აკად. კორნელი კეკელიძის კონცეფციის ტყვეობიდან თავი ვერ დაუხსნიათ, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ქართული დამწერლობის წარმომავლობის ყალბ ვერსიას უჭერდა მხარს. ამით აიხსნება, რომ **არც ერთი წინაქრისტიანული ეპოქის წარწერიანი მატერიალური ძეგლი არ არის წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით 2012 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“.**

**ეს საგანგაშო სიტუაციაა!!!**

**— ოთხტომეულში აღნიშნულია, რომ „არმაზის ეკლესია უძველესი ნაგებობაა საქართველოში, რომელზეც აგების თარიღია მითითებული, 846 წ.“ გამოდის, რომ IX საუკუნემდე ქართველებს საერთოდ არ ჰქონიათ საკუთარი წელთაღრიცხვა და თარიღიანი ძეგლები?**

— თუ წინაქრისტანული ეპოქის ძეგლები საერთოდ არის იგნორირებული, **ქვაზე შესრულებული ადრექრისტიანულ წარწერიანი ძეგლები ან არასწორად იქნა ინტერპრეტირებული, ან ვერ იქნა ამოხსნილი მათზე ასახული ქრონოლოგიური ინფორმაცია.** ოთხტომეულში მოცემულია „ბოლნისი სიონის დავით ეპისკოპოსის წარწერა“, რომელიც დათარიღებულია ახ.წ. 472 წლით. ამ წარწერის დათარიღებას სწორი მიმართულება მისცა აკად. შ. ამირანაშვილმა, ხოლო ზუსტი თარიღი დაადგინა ცნობილმა არქიტექტორმა მ. ჩხიკვაძემ (რომელსაც ეკუთვნის ეროვნული არქიტექტორის ბრწყინვალე ნიმუში, შენობა, სადაც განთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია). 472 წელი შემთხვევით არ არის აღნიშნული ბოლნისის სიონის წარწერაზე. ამ წელს, როგორც აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, ვახტანგ გორგასალმა კათალიკოსის ინსტიტუტი შემოიღო.

**ბოლნისის სიონის მშენებლობის დასაწყისი და დასრულება აღნიშნულია მეორე წარწერაზე, რომელზეც ქრონოლოგიური დანიშნულების შემორჩენილი სიმბოლოების საშუალებითაა ნაჩვენები, რომ ტაძარი შენდებოდა 15 წლის განმავლობაში და დამთავრებულია 351 წელს.**

1975 წელს გამოსულ „ენციკლოპედიაში“ სხვანაირად არის ინტერპრეტირებული ბოლნისის სიონის იგივე წარწერა: „წარწერა დათარიღებულია პეროზ მეფის ხსენების მიხედვით: მისი მეფობის მეოცე (479) წელს დაწყებული მშენებლობა დამთავრებულა 15 წლის შემდეგ, ე.ი. 493-494“.

როგორ მოხერხდა ასეთი ყალბი თარიღის დასაბუთება? ძალიან მარტივად, მეფე მირიანის სპარსი სიძის მოხსენიებული სახელი სპარსეთის მეფის პერსონას მიაკუთვნეს, რომელიც ტაძრის ▶

**„გაკვირვებას იწვევს „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში ილუსტრაციების შერჩევის მანერა. სურათების დამთვალიერებელი იფიქრებს, ქართველებს არც წინაქრისტიანულ და არც ადრექრისტიანულ ეპოქებში არაფერი მნიშვნელოვანი და საამაყო არ აუშენებიათ. პირველი შენობა VII საუკუნით დათარიღებული ატენის სიონია, რომლის არქიტექტორობა, მართალია, უსაფუძვლოდ მოძმე სომხებს დაუჩემებიათ.“**

მეცნიერება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მშენებლობის დამთავრებისთვის 10 წლის მკვდარი იყო. **ამრიგად, IV საუკუნის პირველ ნახევარში აშენებული ტაძრის თარიღი V საუკუნის მეორე ნახევარში გადაიტანეს. თუ ეს მისაღები იყო საბჭოური იდეოლოგიისათვის, შეუთავსებელია ისტორიულ ჭეშმარიტებასთან და ბოლნისის სიონი უნდა გადათარიღდეს.**

**— რა გავლენა იქონია პეტრე იბერმა ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაზე და როგორ არის გაშუქებული ეს საკითხი ახალგამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში?**

— ღვაწლმოსილმა ისტორიკოსმა, წარმატებულმა არქეოლოგმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა რამინ რამიშვილმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ქართული ქრისტიანული არქეოლოგიის“ სემინარს, გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე დაწერა შემდეგი მოსაზრება: **„ოთხტომეულის II ტომში სრულიად ალმაშფოთებელია ის დამოკიდებულება, რაც გამოხატულია პეტრე იბერის მიმართ.** ალბათ, არც ერთი რუსი ან სომეხი ნაციონალისტი არ იკადრებდა ამას, რაც ამ უდიდესი ქართველი მოაზროვნის მიმართაა გამოთქმული“.

**მართლაც, ძნელია, სხვანაირად შეაფასდეს ამონარიდი, რომელიც შეეხება პეტრე იბერს: „პეტრე იბერიელი მხოლოდ დაიბადა საქართველოში. ...ძნელია, მას ქართველი მოღვაწე ვუწოდოთ“** *(„საქ. ისტორია“, 2012, ტ. II, გვ. 325).*

მრავალი წლის განმავლობაში მეცნიერებს აინტერესებდათ ცნობილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულების — არეოპაგიტული კორპუსის ავტორის ვინაობა. ბელგიელმა მეცნიერმა **ერნსტ ჰონიგმანმა** 1952 წელს გამოაქვეყნა თეორია, რომლის თანახმად, **არეოპაგიტული მოძღვრების ავტორი, ე. წ. ფსევდოდიონისე იყო ქართველი ფილოსოფოსი და საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი.** ე. ჰონიგმანის აღმოჩენამ სენსაცია მოახდინა დასავლეთის სამეცნიერო წრეებში. ამ თეორიის აღიარებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ გამოკვლევა ფსევდოარეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტურობის შესახებ უფრო ადრე გამოქვეყნებული ჰქონდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ფილოსოფოსსა და ლიტერატურათმცოდნეს **შალვა ნუცუბიძეს**. ეს ბრწყინვალე აღმოჩენა სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც **ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია.**

არეოპაგიტული თხზულებანი ასაზრდოებდა შუა საუკუნეების ფილოსოფიურ მიმდინარეობებს. ამ შრომების ავტორმა პასუხი გასცა ანტიკური ფილოსოფიის დროიდან წამოჭრილ გადაუწყვეტელ საკითხებს, ხელი შეუწყო ევროპული რენესანსის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნას.

**ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენლის, აკად. შ. ნუცუბიძის ღვაწლის დაკნინებად უნდა ჩაითვალოს ახალგამოცემული „საქართველოს ისტორიიდან“ მეორე ამონარიდი: „თუ ჭეშმარიტია ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიაც“.** რა თქმა უნდა, ჭეშმარიტია და ამის დასტურია პალესტინის აბა ანტონის ძველქართული მოზაიკური წარწერა, რომლის სურათიც კი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში. ამ სურათში ჩამოშორებულია კრიპტოგრამული სამკუთხა ნიშნები, რომლებიც, როგორც ჩანს, მხოლოდ დეკორატიულ ელემენტად მიიჩნიეს. ეს მინიშნებები მიუთითებს პეტრე იბერის მოღვაწეობის თარიღს. ეს ძეგლი მსოფლიო მნიშვნელობის პირველი ეპიგრაფიული ძეგლია, რომელიც დათარიღებულია ქრისტიანული ხანით. ეს საამაყო ფაქტია და უნდა იცოდეს ქართველმა მკითხველმა.

**ქართველი ისტორიკოსების მერყევი პოზიცია ხელს უწყობს იმას, რომ ზოგიერთი რელიგიური პიროვნებები უსაფუძვლოდ ეწინააღმდეგებიან პეტრე იბერის წმინდანად აღიარებას. ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ლეიტმოტივია. ამით აიხსნება პეტრე იბერის შეუფასებლობა.**

**— ბატონო რაულ, სხვა რა მნიშვნელოვანი არგუმენტია ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების დამადასტურებელი?**

— მცხეთის ჯვრის ტაძარი, ეროვნული ხუროთმოძღვრების საქვეყნოდ განთქმული ძეგლია. „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში ვკითხულობთ: **„ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ხუროთმოძღვრების მშვენებაა მცხეთის ჯვარი, VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე მცხეთის ერისმთავართა მიერ აგებული დიდებული ტაძარი, სრულყოფილი და დახვეწილი ფორმებით ფასადზე ამშენებელთა რელიეფური ქანდაკებებით და ეპოქის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წარწერებით. მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრები VII საუკუნის საქართველოში არაერთი აიგო: ატენის სიონი, ჭყონდიდელის საეპისკოპოსო ტაძარი მარტვილში, ძველი შუამთა. ...ჯვრის ტიპის ტაძრები ამჟღავნებენ გარკვეულ მსგავსებას, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, განსაკუთრებით კი სომხეთის, ამ ეპოქისა და ტიპის ტაძრებთან, მაგრამ ამასთანავე საგრძნობლად განსხვავდებიან მათგან სიმაღლით, ფასადებითა და ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტით“** *(„საქ. ისტორია“, 2012 წ., II ტ., გვ. 334).*

„საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულის ავტორებმა ქართველ მკითხველს უნდა აუხსნან, რას ნიშნავს „და არა მხოლოდ ქართული“.

ამ ოთხტომეულის ავტორებს: დ. მუსხელიშვილს, მ. სამსონაძეს და ა. დაუშვილს






არქიტექტორ მიქელ თხელის ავტოგრაფი



ოთხტომეული

# «ქართული კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება «საქართველოს ისტორიის» ოთხტომეულის ლეიტმოტივია»

2012 წელს ასევე გამოშვებული აქვთ „საქართველოს მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში“. 113-ე გვერდზე წერია: „გუარამ დიდმა, პირველმა ქართლის ერისთავმა, „ამან დადვა საფუძველი პატიოსნის ჯუარისაი“, ანუ მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. როგორც ირკვევა, მისი აშენებული უნდა იყოს მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესია“.

**ვინ არის მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვარი? ამ წიგნებიდან ამის პასუხს მკითხველი ვერ მიიღებს.**

ზემოთ წარმოდგენილი პასაჟებიდან ჩანს, რომ ქართველ ისტორიკოსებს არ სჯერათ ცნობილი ქართველი მეცნიერის, გურამ აბრამიშვილის, კვლევების, რომელმაც დაადგინა, რომ ატენის სიონის სომხური წარწერა „მე თეოდორაკ, მშენებელი [ამისა] წმინდა ეკლესიის“ არის X საუკუნის მეორადი წარწერა. მის ქვემოთ ქართული ასოების კვალი დღესაც ემჩნევა. ამ წარწერის საფუძველზე სომეხი მეცნიერები თვლიან, რომ, როგორც მცხეთის ჯვარი, ასევე ატენის სიონი სომეხი არქიტექტორის ქმნილებაა. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ მცხეთის ჯვრის მშენებლობის პერიოდი 586/87–604 წლებიდან გადაიტანონ 626-642 წლების ფარგლებში, რათა ქრონოლოგიური პრიორიტეტი ჯვრის ტიპის ტაძრებს, სომხურ ეკლესიებს მიაკუთვნონ.

**ეს უსუსური მცდელობაა, რადგან მცხეთის ჯვრის წინამორბედია ნინოწმინდის კათედრალური ტაძარი. ჩვენი თვალთახედვით, ნინოწმინდის ტაძრის კომპოზიციას საფუძვლად უდევს რვაფურცლიანი როზეტის გამოსახულება. ეს ორნამენტი ბევრ ქართულ ეკლესიას ამშვენებს და წარმოადგენს მზის სიმბოლოს. იგი ასევე დასტურდება ფესტოსის დისკოს პროტოქართველურ წარწერაში, რომელიც ეძღვნება პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას.** ეს არქეოლოგიური ძეგლი თარიღდება ძვ.წ. 1850-1600 წ.წ. და აღმოჩენილი იქნა კუნძულ კრეტაზე.

**V-VI საუკუნეებში წმინდა მიწაზე მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის პროცესში, ეტყობა, ჩამოყალიბდა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტრადიცია. აი, ასეთ ფესვებზე აღმოცენდა ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი — მცხეთის ჯვრის ტაძარი და ნინოწმინდის კათედრალური ეკლესია.**

ფართო სამეცნიერო წრეებისთვის კარგად არის ცნობილი გამოჩენილი ქართველი არქიტექტორის, მიხეილ ჩხიკვაძის, მონოგრაფია „Архитектура Джвари“, რომელიც რუსულად 1940 წელს დაბეჭდა საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა აკადემიის გამომცემლობამ. მ. ჩხიკვაძემ პირველად გამოაქვეყნა მის მიერ აღმოჩენილი დიდი კუთხოვანი ასომთავრული ასოებით დაწერილი დაქარაგმებული წარწერა „მიქელ თხელი“ (იხ. სურ. 1). ეს წარწერა მართლაც თხელი აღნაგობის მამაკაცის ბარელიეფის გვერდით არის განთავსებული (იხ. სურ. 2). ბარელიეფი ეკუთვნის მცხეთის ჯვრის არქიტექტორს, ხოლო წარწერა მისი ავტოგრაფია.

ამრიგად, მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვარი ცნობილია — მიქელ თხელი. ჩვენ მალე გამოვაქვეყნებთ დამატებით დამადასტურებელ მასალასაც.

მ. ჩხიკვაძე კიდევ ერთ გარემოებას აქცევს ყურადღებას: „В Джвари мною обнаружены 24 различных камнеотесаных знаков, большинство из них грузинских, 2 армянских и № греческий“.

**ქართველი მკვლევარების: გ. აბრამიშვილის, ზ. ალექსიძის, გ. ჩუბინაშვილი, მ. ჩხენკელის შრომები ადასტურებენ, რომ ქართული ჯვრის ტიპის ეკლესიები უფრო ადრეულია ვიდრე სომხური.**

გაკვირვებას იწვევს „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეულში ილუსტრაციების შერჩევის მანერა. სურათების დამთვალიერებელი იფიქრებს, ქართველებს არც წინაქრისტიანულ და არც ადრექრისტიანულ ეპოქებში არაფერი მნიშვნელოვანი და საამაყო არ აუშენებიათ. პირველი შენობა VII საუკუნით დათარიღებული ატენის სიონია, რომლის არქიტექტორობა, მართალია უსაფუძვლოდ, მოძმე სომხებს დაუჩემებიათ.

**ვის წისქვილზე ასხამს წყალს ამნაირად შედგენილი ისტორია?**

წმინდა ილია ჭავჭავაძე წერს: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ანუ ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესლაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი — აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და ულირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი“.

**— რას გვეტყვით მეცნიერ გია კვაშილავას ნაშრომებზე, მეცნიერზე, რომელმაც პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე ამოიკითხა კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ტიპის საგანზე მოცემული 1427 წარწერა?**

— ამაზე, უმჯობესია, თავად ბატონმა გია კვაშილავამ უამბოს თქვენი გაზეთის მკითხველს, მაგრამ რამდენიმე ფრაზას მაინც დავსძენ: ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ არ იცის. მისი ნაშრომების გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ ქართველოლოგია შესაძლებელია გახდეს ისეთივე კატეგორიის დარგი როგორიცაა ეგვიპტოლოგია, ასიროლოგია და ხეთოლოგია.

**ამ არქეოლოგიური მასალის მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ არგონავტების ლეგენდა დადასტურებულ ფაქტად იქცა. კრეტა-მინოსური კულტურის მონაწილენი ჩვენი წინაპრები ყოფილან. და ბოლოს, ქართული ცივილიზაციისა და სახელმწიფოს ოთხიათასწლოვანი ისტორია ამ უძველესი ქართული წერითი სისტემის — 1427-ზე მეტი არტეფაქტის საფუძველზე მტკიცდება.**

**ძალიან დასანანია, რომ ახლადგამოცემული „საქართველოს ისტორია“ ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს, მაშინ როდესაც მსოფლიოს მრავალმა მეცნიერმა ბატონი გია კვაშილავას აღმოჩენა თავიანთ მონოგრაფიებში შეიტანეს...**

ესაუბრა
**გიორგი მაისურაძე**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შოკოლადის მატარებელი

**ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ერთ-ერთ ფაბრიკაში, შოკოლადის მინანქრისგან დაამზადეს მატარებელი, რომლისთვისაც 1285 კგ შოკოლადი დასჭირდათ.**





## მხატვარი ძაღლი

**პეკინესის ჯიშის ძაღლი, სახელად ზიგი, თავის პატრონთან ერთად ფოლბურკში (კალიფორნია) ცხოვრობს.** ზიგი ორიგინალურ აბსტრაქტულ სურათებს ხატავს, ფუნჯი კი პირით უჭირავს. ერთი სურათის დახატვას ზიგი რამდენიმე დღეს, ზოგჯერ რამდენიმე კვირასაც ანდომებს. ეს დამოკიდებულია მის განწყობასა და ხასიათზე. ზიგის ნახატები ხანდახან იყიდება, თანაც არც თუ ისე იაფად — მეზობლები მზად არიან. 200-250 დოლარი გადაიხადონ.





## ნაძვის ხის კაბა

**ბრიტანეთში ორიგინალური ნაძვის ხე შექმნეს. ნაძვის ხეს კაბის ფორმა აქვს, 150 ნათურითა და ვარსკვლავითაა გაფორმებული, ღილების ფუნქციას კი წითელი პატარა ბურთულები ითავსებს. ნაძვის ხის ღირებულება 157 გირვანქა სტერლინგია. „ეს ნაძვის ხე მხოლოდ იმ ადამიანებს დააინტერესებთ, რომლებსაც შობის დღესასწაულის აღნიშვნა განსაკუთრებულად უყვართ“,** — აღნიშნავენ დიზაინერები.

# სად გაუჩინარდა მონა ლიზა?

**სიყვარულის ქალაქ პარიზში ვერსალის, ტრიუმფალური თაღის, ეიფელის კოშკის და სხვა მრავალ ღირსშესანიშაობასთან ერთად მსოფლიოს კულტურულ ძეგლთა შორის ლუვრის მუზეუმს უმთავრესი ადგილი უკავია. პარიზი ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში დაუარსებიათ კელტებს, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებდნენ პარიზიის.** მას შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო. ქალაქს აოხრებდნენ გალები, იპყრობდნენ კეისრების ლეგიონები, თავს ესხმოდნენ ბარბაროსები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დინასტიები და რეჟიმები, ბობოქრობდა რევოლუციები. აქ იბადებოდნენ გენიოსები, რომლებიც მსოფლიო ისტორიას ქმნიდნენ. დღეს პარიზი 106 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული და მას ყოველწლიურად, სწორედ რომ ლუვრის მუზეუმის წყალობით, მილიონობით ტურისტი სტუმრობს. ლუვრი ყველაზე განთქმული და უდიდესი მუზეუმია მსოფლიოში. მხოლოდ მას ყოველწლიურად 5 მილიონი დამთვალიერებელი სტუმრობს, დღეში — 15 ათასი ადამიანი, რომელთაგან 65% ევროპელია.



# ქორწილი კუების გარემოცვაში

**ორიგინალობის მოყვარულმა კიდევ ერთმა წყვილმა გადაწყვიტა, არც მეტი, არც ნაკლები, ზღვის ფსკერზე წყლის კუების გარემოცვაში ექორწინა.**

ტანად ყველაზე დიდი ზღვის კუები არიან, მათი სიგრძე 2 მეტრია, ხოლო მასა 400 კგ აღწევს. ასევე მეტნაკლებად დიდია შორეულაღმოსავლური კუ, ხმელთაშუაზღვის კუ და შუააზიური კუ....

ახალდაქორწინებულები, მართალია, ზღვაში კუებთან ხალისობენ, მაგრამ, როგორც თავად ბრძანეს, ძალიან ენატრებათ ხმელეთის დიდი კუ, რომელიც ნახეს ერთ-ერთ გადაცემაში და ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ წასულიყვნენ გალაპაგოსის კუნძულებზე მის სანახავად. 35 წლის განმავლობაში მრავალჯერ სცადეს ამ კუს მსგავსი სახეობის მდედრებთან შეჯვარება სახეობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც მან დამსახურებულად დაიკავა ადგილი გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე მარტოხელა არსებამ დედამიწაზე.

ბედნიერი წყვილი კმაყოფილია ამ დაუვიწყარი წუთებით და თაფლობის თვეშიც აპირებს უკვე ნაცნობ კუებთან სტუმრობას.







# მაიკლ გრების ქვების ბალანსი

**ლანდშაფტის დიზაინერი მაიკლ გრები ქმნის საოცარ კოშკებსა და სფეროებს ქვებისგან. ნამუშევრების შესაქმნელად მას მხოლოდ არაადამიანური მოთმინება და ბალანსის გრძნობა სჭირდება.**

გრები ინტერვიუში ამბობს, რომ ბალანსირებული ქვების ხელოვნება მრავალ კულტურაში იყო გავრცელებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით მრავალი საუკუნის განმავლობაში, თუმცა ამ საქმიანობას ნერვების დიდი წილი მსხვერპლად მიაქვს. მისთვის კი ეს აქტი სიმშვიდისა და სულიერი წონასწორობის მომგვრელია.

უკანასკნელი წლებია, ქვების ბალანსირება გამოიყენება სამკურნალო რიტუალად, რომელიც ეხმარება ადამიანს, შეინარჩუნოს ტვინის კარგი ფუნქციონირება და მოჰგვაროს შთაგონება. გარდა შთაგონებისა, ქვების ბალანსი ადამიანს აძლევს უფრო წყნარი მედიტაციის, ლოცვის გრძნობას და მადლიერების გამოხატვის უკეთეს ნიჭს.













## ყველაზე დიდი ყვავილი მსოფლიოში

ამ უზარმაზარი ყვავილის სახელწოდებაა ტიტან არუმი. ის შვეიცარიაში ხარობს და, მიუხედავად იმისა, რომ დამპალი ხორცის სუნი აქვს, უამრავი დამთვალიერებელი სტუმრობს. ტიტან არუმი 20-30 წელიწადში ერთხელ ამოდის და ისიც 2-3 დღით. მსოფლიოში მისი გაშლის მხოლოდ 163 ფაქტია აღრიცხული.



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცნაური კოლეჯები და უნივერსიტეტები

მსოფლიოში არსებობს არაერთი ძალზე უცნაური სკოლა, კოლეჯი თუ უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მორალისა და ეტიკეტის ნორმების გამო სასწავლებლად წასვლას ყველა როდი გაბედავს. თუმცა, ეს სასწავლებლები მოსწავლეების ნაკლებობას მაინც არ უჩივიან და წარმატებით განაგრძობენ საქმიანობას. მსოფლიოს ათი ყველაზე უცნაური საგანმანათლებლო დაწესებულება კი ასე გამოიყურება:



## კოლეჯი «მარიხუანა»

**მიჩიგანის კოლეჯში „Med Grow Cannabis“ ასწავლიან მარიხუანას, იმავე კანაფის გამოყენებას სამედიცინო მიზნებისათვის. კურსის ხანგრძლივობაა 7 კვირა და მისი ღირებულებაა 485 ამერიკული დოლარს შეადგენს.**

მსოფლიო მასშტაბით ჯერაც არაა დასრულებული დავა იმაზე, მარიხუანა სამკურნალო საშუალებაა თუ ნარკოტიკული ნივთიერება, მიუხედავად ამისა, ამერიკის 14 შტატში დაკანონდა მარიხუანას გამოყენება სამედიცინო მიზნით. ეს კანონი თავის დროზე მიიღეს არიზონასა და ნიუ ჯერსის შტატებშიც, თუმცა, ამ შტატების სენატორები ამაზე არ შეჩერდნენ და უფრო შორს წავიდნენ. მათ ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებს მისცეს 5-თვიანი ვადა, რათა შეემუშავებინათ მარიხუანის რეალიზაციის ახალი გეგმა. თუმცა, სხვა სენატორებმა უარი განაცხადეს და არ დაეთანხმნენ ამ გეგმაზე მუშაობას. მათი აზრით, მარიხუანა უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ პაციენტებისათვის.

და კიდევ ერთი პრობლემა: ჯერაც არ გასცემია გადამჭრელი პასუხი კითხვას, არის თუ არა მარიხუანა მამაკეცებს და ქალებს შორის უნაყოფობის მიზეზი?

**როგორც ჩანს, გლობალურმა ანტი-თამბაქოს კამპანიებმა ამერიკაში საპირისპირო შედეგი გამოიწვიეს. უამრავი ამერიკელი თინეიჯერი თავს ანებებს სიგარეტს და იწყებს მარიხუანის მოწევას. პოზიციას კარგავს აგრეთვე ალკოჰოლი — ის პოპულარულია მოზარდების მხოლოდ 23%-ში.**



## ავსტრიის სექს-სკოლა

**ავსტრიაში სექს-სკოლა გაიხსნა და მსგავსი რამ არა მხოლოდ ავსტრიაში, არამედ მთელ მსოფლიოში პირველად მოხდა! სკოლაში სწავლა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც უკვე შეუსრულდა 16 წელი. ორივე სქესის სტუდენტები ცხოვრობენ კოლეჯთან არსებულ შერეულ საერთო საცხოვრებელში, სადაც შეუძლიათ შეასრულონ პრაქტიკული „საშინაო დავალებები“. კურსის დამთავრებისთანავე სტუდენტებს გადაეცემათ დიპლომები.**

სკოლა შვედმა ბიზნეს-ლედიმ ილვა-მარია ტომპსონმა გახსნა. მისი თქმით, ეს პირველი სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც მსურველებს სექსს პრაქტიკაში შეასწავლის.

**„სწავლების მთავარი მიზანია არა თეორია, არამედ პრაქტიკა. ჩვენ ადამიანი საუკეთესო საყვარლად უნდა ჩამოვაყალიბოთ“,** — აცხადებს ტომპსონი.

ხორციელი სიყვარულის ხელოვნების შესწავლის მსურველები სემესტრში 2 200 დოლარს იხდიან. ბიზნეს-ლედი და მისი თანაგუნდელები დარწმუნებულნი არიან, რომ პროექტს დიდი წარმატება ელის. ავსტრიაში კი მისმა დაარსებამ საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. თამამი სარეკლამო რგოლი, რომელზეც მოსიყვარულე წყვილი იყო გამოსახული, ადგილობრივმა ტელევიზიებმა ეთერში არ გაუშვეს.

რაც შეეხება საზოგადოებას, ის ორად გაიყო, ზოგი გმობს ამ იდეას, ზოგს — მოსწონს.



## სკოლა «მაგია»

**კალიფორნიაში გაიხსნა უჩვეულო სკოლა „მაგია“. მისი დირექტორია ობერონ ზელ-რავენჰართი, რომელიც ჰარი პოტერის ტრაგიკული სიკვდილის ისტორიებით და ამ თემაზე გადაღებული ფილმებით შთაგონებული, მთელი ცხოვრება სწავლობდა „ბნელ“ ხელოვნებას — მაგიას. გარდა ამისა, ობერონმა გახსნა ჯადოქრობის საკუთარი აკადემია სან ფრანცისკოსთან ახლოს.**



## შემფუთავი

**უნივერსიტეტი ვისკონსინის შტატში სთავაზობს სწავლებას „შემფუთავის“ სპეციალობაზე. აქ ასწავლიან არა მარტო შეფუთვას, არამედ შეფუთვის ახალი დიზაინის შექმნასაც.**




## სანაშენე ფრინველის უნივერსიტეტი

**ალაბამას „Alburn University“-ში სტუდენტები სწავლობენ ფრინველის მოშენებას და გაზრდას, ასევე ქიმიის და ბიოლოგიის საფუძვლებს.**



## სტვირების საფუძვლები

**„Carnegie Mellon University“ – ეს კერძო უნივერსიტეტია პიტსბურგში. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება მიიღოთ ხარისხი სტვირებზე დაკვრის სფეროში.**

ამ ინსტრუმენტზე დაკვრის გარდა, უნივერსიტეტში ისწავლება აგრეთვე მისი ისტორიაც.

## სპეციალობა: «ბიტლზი, პოპ-მუსიკა და საზოგადოება»




**ლივერპულის ერთ-ერთ აკადემიაში გაიხსნა ახალი სპეციალობა, რომელიც სწავლობს ბიტლების გავლენას მთელ დასავლეთ კულტურაზე. ამ ფაკულტეტზე უკვე ჩარიცხულია და სწავლობს 12 სტუდენტი. სწავლების ღირებულება სამ თვეში 750 დოლარია.**



## ხორცის დაჭრის სახელმწიფო კოლეჯი

**აღმოსავლეთ ოკლაჰომაში მდებარე „Eastern Oklahoma“-ში ხორცის დაჭრის ხელობის შესწავლა 350 დოლარი ღირს.**



## გაზონების მენეჯერი

**მიჩიგანის უნივერსიტეტში სტუდენტებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოვუაროთ გოლფის მდელოს, სტადიონებს და პარკებს, რომ შენარჩუნებულ იქნეს მათი იდეალური და სრულყოფილი მდგომარეობა.**




## პროფესიული ძიძა

**უნივერსიტეტი „Sullivan University“ მსურველებს სთავაზობს გადიას ხელობის დაუფლების ონლაინ სასწავლო კურსს.**

სასწავლო პროცესის დამთავრებისთანავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაოთი. უნივერსიტეტმა „გადიამ“ უკვე დაამყარა კავშირი ბევრ წამყვან სააგენტოებთან, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება და მომავალში ძიძის აყვანის მსურველებს საშუალება ექნებათ, დაათვალიერონ არამარტო კანდიდატის ანკეტა და მისი სურათები, არამედ მოისმინოს მისი რეზიუმე, შეაფასოთ მისი მეტყველება და შესაბამისი ენის ცოდნა ვიდეო მასალის საშუალებით.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პროფესია: ლეიბზე ხტომა

**არსებობს პროფესია, რომელიც, ზამბარებიან ლეიბზე ხტუნვის გარდა, სხვას არაფერს გულისხმობს. ეს ჩვეულებრივი სამსახურია, რომელიც სხვა სამსახურების მსგავსად დაზღვევით, შვებულებითა და ერთსაათიანი შესვენებითაა უზრუნველყოფილი.** თუმცა ეს თანამდებობა მხიარული სულაც არ არის. ის ლეიბზე ხტუნვის სპეციალური მეთოდის ცოდნას საჭიროებს. ლეიბების „მტესტავს" მხოლოდ მისი აკრობატული უნარჩვევების გამომჟღავნება არ ევალება. მისი მიზანი ზამბარებიან ლეიბზე ყველაზე პატარა დეფექტების აღმოჩენაა. ასეთი პროფესიის ადამიანთა მომსახურებით მხოლოდ ის ბრენდები სარგებლობენ, რომელთაც პრეტენზია აქვთ მაღალ ხარისხზე.



## ხელქვეითები ხმის დაბალი ტემბრის მქონე უფროსს ემორჩილებიან

**დიუკის და მაიამის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გადაწყვიტეს დაედგინათ, თუ როგორი გავლენა აქვს ხმის ტემბრს ადამიანებზე, რომლებიც, მაგალითად, პედაგოგიური საბჭოს თავჯდომარის ან მშობელთა ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობას იკავებენ.**

მკვლევარებმა პირობითი არჩევნები ჩაატარეს. მონაწილეებს სთხოვეს, მოესმინათ ფრაზის — „მოგიწოდებთ, ნოემბერში ხმა მომცეთ" — ორი ვერსია, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ ხმის ტემბრით განსხვავედებოდა. შედეგად, ქალებმა და მამაკაცებმა უპირატესობა მიანიჭეს ქალ კანდიდატს, რომელსაც უხეში, თითქმის მამაკაცური ხმა ჰქონდა. მამაკაცის ხმის მოსმენისას მამაკაცები ხმის დაბალი ტემბრის მქონე მამაკაცს აძლევდნენ ხმას, ქალები კი მამაკაცის ხმებს შორის განსხვავებას არ აკეთებდნენ.

ავტორები ვარაუდობენ, რომ ლიდერობაზე ჩვენი წარმოდგენა სოციალურ კონტექსტზე დამოკიდებული არაა. **„ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ჩვენი ბუნება ჩვენს გადაწყვეტილებებზე. ამ კვლევის შედეგები აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ხმის ტემბრს, სხვა ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს ლიდრის არჩევაზე გავლენა მოახდინოს",** — ამბობენ ავტორები.

რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა და კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ხმის დაბალ ტემბრიან მამაკაცებს მეტი შვილი ჰყავთ.





## საუკეთესო ცოლები აზიელები არიან

**როგორც მამაკაცები აცხადებენ, მსოფლიოში საუკეთესო ცოლები აზიელები არიან. აზიელი ქალბატონები მომხიბვლელები, მშვიდები და კარგი მეოჯახეები არიან. მათ კარგი მანერები აქვთ და მსოფლიოში ყველაზე კარგად აქვთ გაცნობიერებული, რა ფუნქცია აკისრია ცოლს.**

აზიელები დიდ დროს უთმობენ ქმრისა და შვილების მოვლა-პატრონობას, მეუღლის ნათესავებსაც უანგაროდ ეხმარებიან. კაცების თქმით, მათი ერთ-ერთი დადებითი თვისება ისაა, რომ ოჯახში ფინანსური კრიზისის შემთხვევაშიც კი სიმშვიდეს ინარჩუნებენ. **აზიელი ქალბატონები გულწრფელები არიან და ხშირად ქმარ-შვილის გამო პირად კომფორტზე უარს ამბობენ. ისინი ერთგულებითაც გამოირჩევიან, მიაჩნიათ მამაკაცებს.**





## 94 წლის იაპონელი პოლიტიკაში მიდის

**94 წლის იოკიჩი კაუშიმამ პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა. იოკიჩიმ იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საკუთარი კანდიდატურა ცესკოში კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე სამი საათით ადრე წარადგინა.**

კანდიდატის საარჩევნო შტაბში მისი ოჯახის წევრები შედიან. საარჩევნო კამპანიას იაპონიის უხუცესი პოლიტიკოსი საკუთარი დაკრძალვისთვის შენახული 3 მილიონი იენით დააფინანსებს.

**„ეს იდეა მაშინ გამიჩნდა, როდესაც ტელევიზიით პარტიებს შორის დებატებს ვუყურე. უბრალოდ ვერ გავიგე, როგორ გახდნენ ასეთი არაორგანიზებულები. რეალობას ვერ აკონტროლებენ",** — განაცხადა იოკიჩი კაუშიმამ. კაუშიმა იმედოვნებს, რომ ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატაში მანდატს მიიღებს და ამით ისტორიაში შევა.

## ყველაზე ტატუირებული ადამიანი ჩეხეთის პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელეს





**სოციალურ ქსელ Facebook-ის ერთ-ერთმა საინიციატივო ჯგუფმა ჩეხეთის პრეზიდენტობის კანდიდატად ქვეყნის ყველაზე ტატუირებული ადამიანი ვლადიმერ ფრანცი დაასახელა. თაყვანისმცემლების იდეას თავად ფრანცმაც დაუჭირა მხარი.**

ვლადიმერ ფრანცი მარიხუანის ლეგალიზაციის მხარდაჭერით არის ცნობილი. „რატომ მოხვდა მაინც და მაინც მარიხუანა საშიში მცენარეების სიაში? გარკვეული დოზით მარილიც კი შეიძლება სასიკვდილო აღმოჩნდეს, მაგრამ მარილის მოხმარებას ხომ არავინ კრძალავს?" — აცხადებს ფრანცი საკუთარ ვიდეობლოგზე. **ვლადიმერ ფრანცი 1959 წელს პრაღაში დაიბადა. მისი სახე თითქმის მთლიანად სვირინგით არის დაფარული, მას ტატუირებული აქვს სხეულის 90%.**

ამჟამად ის პრაღის უნივერსიტეტის თეატრალურ ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს და ჩეხური პოსტმოდერნისტული დრამის არაოფიციალურ ხელმძღვანელად მიიჩნევა. ის ასევე თანამედროვე ჩეხ კომპოზიტორებს შორის თვალსაჩინო ფიგურაა. ფრანცს იურისპრუდენციაში სადოქტორო დისერტაციაც აქვს დაცული.

## ყველაზე ცხარე ბურგერი

**მათ, ვისაც ბრისტოლის ერთ-ერთი რესტორნის საფირმო ბურგერის Atomic Fallout Pizza-ს გასინჯვა სურს, ჯერ სრულწლოვანების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა და პრეტენზიების არქონის დამადასტურებელ დოკუმენტზე ხელის მოწერა მოუწევთ. Atomic Fallout Pizza მსოფლიოში ყველაზე ცხარე ბურგერია.**

ბურგერის მირთმევისას კლიენტებს დამცავი ხელთათმანის მორგება უწევთ, ვინაიდან ის სოუსთან ერთად მოაქვთ, ხოლო სოუსი ორი ყველაზე ცხარე ჩილისგან — სკოჩ ნონეტისა და ბჰუტ ჯოლოკიასგან მზადდება.

გარდა საოცარი სიცხარისა, ეს კერძი ერთ-ერთი ყველაზე კალორიულია. მასში 500 გრამი საქონლის ხორცი, ნახევარი კილოგრამი ყველი და ორი კარგად შემწვარი პიცის ცომი შედის.

ბურგერის ჭამისას უამრავი ადამიანი ცუდად ხდება. ყველა მათგანი ტირის, ხოლო მისი ბოლომდე მირთმევა მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს. თუ ბურგერს რეტორანში ბოლომდე შეჭამთ და ამასთან, სასწრაფო დახმარების გამოძახება არ დაგჭირდებათ, რესტორნის დიდების დაფაზე თქვენი სახელი სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს. გარდა ამისა, გამარჯვებულს საჩუქრად მაისურსაც გადასცემენ, რომელზეც მსოფლიოში ყველაზე ცხარე ბურგერის ფოტოა დატანილი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სანტას პინგვინები

**იაპონელმა სანტა კლაუსმა საახალწლოდ უჩვეულო დამხმარეები შეარჩია — ირმების ნაცვლად მას პინგვინები ეყოლება. იაპონიის ოკეანერიუმში ტრადიციული საშობაო ალლუმები უკვე იმართება.** სანტას პინგვინებისთვის საგანგებოდ შეკერეს საახალწლო კოსტიუმები. ერთთვიანი რეპეტიციის შედეგად პინგვინებმა მწყობრში სიარული ისწავლეს. ისინი მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე საშობაო ნაძვის ხის ანთების ცერემონიაშიც მიიღებენ მონაწილეობას. არ არის გამორიცხული, ღონისძიების მაყურებლებს კურიოზები შეემთხვეთ. რეპეტიციაზე სანტა კლაუსის როლის შემსრულებელ მსახიობს პინგვინების დასაჭერად სირბილი მოუხდა — ვინაიდან ფრინველებმა იციან, რომ ღონისძიების დასასრულს გემრიელი საკვები ელით, მოუთმენლობას იჩენენ და პირდაპირ თევზისკენ გარბიან.



## სად მიაქვთ ქალებს მობილურები?



**SimplySwitch-მა ჩაატარა ახალი სოციოლოგიური კვლევა, რომელშიც 800-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა. რესპონდენტთა 73%-მა აღნიშნა, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი ტელეფონია. გამოკითხულთა მხოლოდ 8%-მა აღნიშნა, რომ უპირატესობას კომპიუტერს ანიჭებს, ხოლო 18%-ს ყველაფერს პლანშეტი ურჩევნია.**

გარდა ამისა, გამოკითხულთა 80%-მა აღიარა, რომ საუბრისას ტელეფონს ძირითადად ნიკაპით და მხრით იკავებს, რათა ხელები სხვა საქმისთვის გაითავისუფლოს.

**ქალების 3/4-მა განაცხადა, რომ ტელეფონზე სახლის დალაგებისას საუბრობს. მესამედის თქმით, ყველაზე ხშირად ტუალეტში ყოფნისას ან მაკიაჟის გაკეთებისას სარგებლობენ მობილურით.**

კვლევამ აჩვენა, რომ ყოველ მეათე ქალს ტელეფონი უნიტაზში უვარდება. 16%-ს მობილური ხელსაბან ნიჟარაში, ხოლო 20%-ს ველოსიპედით სიარულის დროს უვარდება.

**SIMPLYSWITCH-ის კვლევის მიხედვით, ყოველ წელს ბრიტანეთში 855 000 ტელეფონი ვარდება უნიტაზში.**

## რომის პაპი «ტვიტერზე» დარეგისტრირდა

**ვატიკანში რომის პაპის — ბენედიქტ XVI-ს მიკრობლოგ „ტვიტერზე“ დარეგისტრირების ოფიციალური ღონისძიება გაიმართა. სასულიერო პირის წარმომადგენლებმა რომის პაპი მიკრობლოგზე @BenedictusPPXVI-ის ნიკით დაარეგისტრირეს.**

**„ტვიტერზე“ ბენედიქტ XVI-ს გვერდზე ჯერ არც ერთი ჩანაწერი არ გამოჩენილა. პირველ შეტყობინებას რომის პაპი 12 დეკემბერს თავად განათავსებს. ბენედიქტ XVI ჩანაწერების გაკეთებას როგორც ყოველდღიურად, ისე დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს აპირებს.**

„ტვიტერზე“ რომის პაპის პროფილს უკვე 6000-მდე ხელმომწერი ჰყავს.

აღსანიშნავია, რომ ვატიკანი, უკვე დიდი ხანია, აქტიურად იყენებს სხვადასხვა სოციალურ ქსელს. ცოტა ხნის წინ მოხმარებაში ჩაეშვა საერთაშორისო პორტალი, რომელიც ყველა კათოლიკური ეკლესიის ვებგვერდს აერთიანებს.

როგორც BBC იუწყება, ბენედიქტ XVI იშვიათად განათავსებს „ტვიტებს“ საკუთარი ხელით, ვინაიდან ხშირად არ იყენებს კომპიუტერს. **ვატიკანის ასეთი აქტიურობა სოციალურ ქსელებში, ახალგაზრდა თაობის ეკლესიასთან დაახლოებას ემსახურება.**



## შვიდი ჯუჯა დაქორწინდა

**ჩინეთის დედაქალაქ პეკინში შვიდმა ჩინელმა ჯუჯა წყვილმა ერთად იქორწინა. მათი ასაკი 21-დან 27 წლამდეა. მათ შორის ყველაზე მაღალი 135 სანტიმეტრია, ხოლო ყველაზე დაბალი — 122 სანტიმეტრი.**

**წყვილებმა წითელ ხალიჩაზეც გაიარეს და ფოტოებიც გადაიღეს.**









## აშშ-ში დედამიწის ყველაზე მხცოვანი მკვიდრი გარდაიცვალა

**დედამიწის ყველაზე მხცოვანი მაცხოვრებელი, ამერიკელი ბესი კუპერი ჯორჯიანას შტატში, მოხუცებულთა თავშესაფარში 116 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

კუპერის ნათესავების თქმით, გარდაცვალებიდან რამდენიმე დღით ადრე იგი კუჭის ინფექციით დაავადდა.

გინესის რეკორდების წიგნის მესვეურებმა დედამიწის ყველაზე მხცოვანი მაცხოვრებლის სტატუსი ბესი კუპერს 2012 წლის იანვარში მიანიჭეს. მისი ასაკი დოკუმენტურად დადასტურებული იყო. მაისში გაირკვა, რომ ბრაზილიელი მარია გომეს ვალენტინი კუპერზე 48 დღით უფროსი იყო და ამერიკელმა ტიტული დაკარგა, მაგრამ ივნისის ბოლოს გომეს ვალენტინი გარდაიცვალა და ბეს კუპერი კვლავ მსოფლიოს ყველაზე მხცოვანი ადამიანი გახდა.

პლანეტის უხუცესი ადამიანის წოდება ახლა ეკუთვნის 115 წლის იტალიელ დინა მანფრედინის, რომელიც ასევე ამერიკაში ცხოვრობს.

## რუსი ნათელმხილველი ქართულად ალაპარაკდა

**რუსეთში ტელეპროექტ „ექსტრასენსთა ბრძოლის“ მე-13 სეზონი მიმდინარეობს. ოთხი ძლიერი ექსტრასენსიდან, სამი მათგანი უნდა გავიდეს ფინალში, თუმცა, უკვე რამდენიმე კვირაა, ჟიურის არჩევა უჭირს. ყოველ კვირა ექსტრასენსებს სხვადასხვა რთულ დავალებას აძლევენ, თუმცა საუკეთესოს გამოვლენა ჯერ ვერ მოხერხდა. ერთ-ერთი ასეთი დავალება ცნობილ რუს პოეტს ვლადიმერ მაიაკოვსკის ეხებოდა.**

ექსტრასენსები თვალახვეულნი მიიყვანეს იმ ოთახში, სადაც მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა. მათი დავალება იყო, გაეგოთ, თუ სად იმყოფებოდნენ და რა მოხდა ამ ოთახში. ერთმა ექსტრასენსმა ელენა გალუნოვამ დავალების შესრულებისას ყველას გაოცება მოახერხა, როდესაც გაურკვეველ ენაზე სამი სიტყვა წარმოთქვა. თავიდან ვერც ე.წ სკეპტიკოსები და ვერც დამკვირვებლები ვერ მიხვდნენ, რას ამბობდა ელენა. მან სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა და საბოლოოდ დამკვირვებელმა ქართული ენა ამოიცნო. ამის შემდეგ ექსტრასენსმა კვანძის გახსნა ადვილად მოახერხა.

მართალია, ელენა სიტყვებს გაურკვევლად წარმოსთქვამს, მაგრამ მისი გაშიფვრა მაინც მოხერხდა. ეს არის ფრაზა „ნუ შედრკება თქვენი გული“ იროდიონ ევდოშვილის ლექსიდან.





## აივანი გამოძახებით

**ფრანგი მხატვარი და დიზაინერი ჟულიენ ბარტე გამოსავალს სთავაზობს ყველას, ვის ბინასაც აივანი არ აქვს. სწორედ მას ეკუთვნის პროექტი „აივანი გამოძახებით“.**

სერვისს Balcon Additionel ქვია, რაც ქართულად „დამატებით აივანს“ ნიშნავს. გამოძახების შემდეგ ამწეს დახმარებით თქვენს სახლთან პატარა აივანს მოიტანენ და კედელზე დაამონტაჟებენ.

**პორტატული აივნის ეს პროტოტიპი პლასტიკური პოლიმერისგან მზადდება, იღებება და ნებისმიერ კედელზე ამწეს მეშვეობით მაგრდება.**

რა თქმა უნდა, ასეთი კონსტრუქცია აივნის მაგივრობას სამუდამოდ ვერ გასწევს. ის მხოლოდ რამდენიმე საათით შეგიძლიათ გამოიძახოთ. კონსტრუქცია იაფფასიანი და ნაკლებად გამძლე მასალისგან მზადდება, ამიტომ მასზე მხოლოდ ერთი ადამიანი დაიშვება.

# მეგრული პოეზიის საღამო – ზუგდიდში

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ (თავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია) და ამ მოძრაობის ზუგდიდის ორგანიზაცია (ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია) თავისი საქმიანობის მთავარ ფუნქციად ყოველთვის მიიჩნევდა მეგრული კულტურის, ფოლკლორის, ენის შენარჩუნება-განვითარებისთვის ზრუნვას. ამ მიზნით ზუგდიდის ოფისში არაერთი შეხვედრა გაიმართა მეგრული სიტყვის ოსტატებთან, თუმცა იმას, რაც ამ დღეებში ჩატარდა, ანალოგი არ მოეძებნება.**



სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ზურაბ კვარაცხელიას, ძალისხმევითა და ჭეშმარიტი კოლხი ქალბატონის, **ხატია ჯანაშიას,** დახმარებით, ზუგდიდში ჩატარდა მეგრული პოეზიის გრანდიოზული საღამო ენგურს გაღმა-გამოღმა მოღვაწე მეგრელი პოეტებისა და მეგრელი მკვლევარების მონაწილეობით. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე ზუგდიდისა და წალენჯიხის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

თავიანთი ლექსები წაიკითხეს გალში მცხოვრებმა პოეტებმა: **ნარგიზა ბასარიამ, ნუგზარ შამუგიამ** და **თენგიზ ფეტელავამ;** ზუგდიდში მცხოვრებმა ოჩამჩირელმა პოეტმა **ავერიკო თორიამ,** წალენჯიხელებმა — ენათმეცნიერმა **მამანტი ძაძამიამ, რინოს კვარაცხელიამ,** ჩხოროწყუელმა **კოტე ნაჭყებიამ,** ზუგდიდელმა **ედემ იზორიამ, ბეჟით ჯალაღონიამ, გიორგი შენგელიამ, შუკო ჯიქიამ,** ფოთელმა — **ოთარ აძინბაიამ,** ასევე ახალგაზრდა პოეტებმა **ზაალ ჯალაღონიამ, ნიკა ლაშხიამ** და **გიგა ქავთარაძემ.**

საღამო მუსიკალურად შესანიშნავად გააფორმეს **ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“ და ცნობილმა მომღერალმა გურიელ ჭითანავამ. ისმოდა სიმღერები ქართულ, მეგრულ და აფხაზურ ენებზე.**





გალელმა პოეტმა **ნუგზარ შამუგიამ** წაიკითხა გაზეთ „გალის“ რედაქტორის,ეროვნებით აფხაზის, მეგრული ენისა და კულტურის თაყვანისმცემლის, **ნუგზარ სალაყაიას,** მიმართვის წერილი დამსწრე საზოგადოებისადმი, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ გაზეთ „გალის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღე, 5 ივნისი (1995 წ), გამოცხადდეს გალის რაიონში მეგრული ენის დღედ, რასაც მოჰყვა ზურაბ კვარაცხელიას შემხვედრი მოსაზრება. **„დღეს ჩვენ ზუგდიდში გვაქვს მეგრული სიტყვისა და პოეზიის ზეიმი. უნდა დავანახოთ ყველას, რომ ვარსებობთ და ვიარსებებთ მომავალშიც. მეგრული ენის დღე უნდა იყოს ერთი ენგურს გაღმა-გამოღმა. ამიტომ შემომაქვს წინადადება, რომ მეგრული ენის დღედ გამოცხადდეს 29 მაისი — ცნობილი მეგრელი ენათმეცნიერისა და მეგრული ენის მკვლევარის — მამანტი ძაძამიას დაბადების დღე“,** — აღნიშნა ზურაბ კავარცხელიამ და მის ამ მოსაზრებას დარბაზი აღფრთოვანებით შეხვდა.

ცნობილმა ენათმეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ პრეზიდენტმა მამანტი ძაძამიამ საზოგადოებას აუწყა, რომ მეგრული ენისა და კულტურის დარგში გაწეული წარმატებული საქმიანობის გამო მეცნიერებათა აკადემია „აიას“ შემადგენლობაში არჩეულ იქნა ნუგზარ სალაყაია. „აიას“ წევრობისა და აკადემიკოსობის დამადასტურებელი მოწმობა მისი არყოფნის გამო გადაეცა ნუგზარ შამუგიას. **„დღევანდელი შეხვედრა იმდენად შთამბეჭდავია და განუმეორებელი, რომ აუცილებლად უნდა გამოიცეს ამ დღესთან დაკავშირებით წიგნი ან ალმანახი“,** — განაცხადა მამანტი ძაძამიამ.

დამსწრეები, რომელთაც ვერ იტევდა პატარა დარბაზი, მადლობას უხდიდნენ ზურაბ კვარაცხელიას ასეთი ღონისძიების ჩატარებისთვის.

**ლადო ქირია, ზუგდიდი**

# ბარაკ ობამამ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესახებ კანონს ხელი მოაწერა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შესახებ კანონს მოაწერა ხელი. დოკუმენტი, რომელსაც 6 დეკემბერს აშშ-ის კონგრესმა მხარი დაუჭირა, ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმებასა და ამავე დროს „მაგნიტსკის აქტს“ ითვალისწინებს და სანქციებს აწესებს რუსეთის იმ ოფიციალური პირების მიმართ, რომლებიც ადამიანის უფლებათა დარღვევაში არიან ეჭვმიტანილნი.**



სანქციები ითვალისწინებს აღნიშნული პირებისთვის აშშ-ის ვიზებზე უარის თქმას და აშშ-ში მათი ქონების გაყინვას. მოსკოვმა „მაგნიტსკის აქტი“ უკვე შეაფასა, როგორც რუსეთის შიდა საქმეებში უხეში ჩარევა და გაფრთხილება მისცა, რომ მისი მიღება ორი ქვეყნის ურთიერთობებს დიდ ზიანს მიაყენებდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კანონპროექტს „არამეგობრული და პროვოკაციული“ უწოდა.

„მაგნიტსკის აქტის“ საპასუხოდ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი მოსმენით მიიღო კანონი „რუსეთის მოქალაქეთა უფლებების დარღვევასთან კავშირში მყოფი პირების წინააღმდეგ შესაბამისი ზომების“ შესახებ. ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რომელიც რუსეთთან და მოლდავეთთან ვაჭრობას ზღუდავდა, 1974 წელს იქნა მიღებული. კანონპროექტის ინიციატორები იყვნენ კონგრესმენები ჰენრი ჯექსონი და ჩარლზ ვენიკი. აღნიშნული ინიციატივის მიხედვით, იკრძალებოდა შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის დამყარება, სახელმწიფო სესხებისა და სესხის გარანტიების გაცემა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არღვევდნენ ან მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ საკუთარი მოქალაქეების ემიგრაციის უფლებას.

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

# ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ჩინეთში მიემგზავრება

**17 დეკემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი საგასტროლო ტურნეს გასამართად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა.**

ორკესტრის პირველი კონცერტი პეკინის საშემსრულებლო ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში 20 დეკემბერს გაიმართება. ორკესტრი კონცერტებს ასევე გამართავს ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში — შენიანგში, დალიანში, ანშანში და ჰეფეიში.

**ორკესტრს წარუძღვება თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**

კონცერტების პროგრამაშია როსინის საოპერო უვერტიურები, ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია, შუბერტის **„დაუმთავრებელი სიმფონია.“**

ღონისძიების ორგანიზატორია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ფონდი, რომლის მიზანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.

**სიმფონიური ორკესტრი თბილისში 31 დეკემბერს დაბრუნდება.**

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894